

ჩვენი მსურლობა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით

ფასი 1,50 ლარი

5 იანვარი 2007 №1 (27)



კომპიუტერი ამარცხებს ჩემპიონს
დოქმა მითხრა საიდუმლოდ
მარკესი გვაფრთხილებს
ოთარ ჩხეიძის ნოველა
ვარდნარის ჩრდილში

შინაარსი

არი და გედინწარა	2	როსტომ ჩხეიძე საკურთხნი სარარადისო (დავით ერისთავი, ნიკოლოზ ხიმშიაშვილი, სოლომონ ლიონიძე)
ჩვენი ყოფა, წუთისოვალი	5	გაბრიელ გარსია მარკესი ეს ავისომომასწავებელი შოგა
	6	ივანე ამირხანაშვილი მარკესი გვაწრთხილავს!
პროზა	7	ოთარ ჩხეიძე ჩრდილები რუსთაველისა
პოეზია	13	ნონა გიორგაძე აეროპორტი და სხვა ლექსები
პოეტის ერთი ლექსი	16	შოთა იათაშვილი ტანსაცმლის ოდა
პირველი შთაგაქწილვა	17	მაია ჯალიაშვილი „ადამიანი ღმერთს ჩაცმულიც და შიშველიც უყვარს“
უსწოთის სწოვრებიდან	19	რომენ როლანი რილქეს
შოგონებათა სქივრიდან	22	გრიგოლ აბაშიძე ანი, ბანი, ბანი...
ღიალოგი	25	ის იყო საოცრება... (ნუცა თოფჩიშვილს ესაუბრება მერაბ თავაძე)
ღებქები	28	ძირო აკაგავა შეხვედრა გმირებთან
რეპორტაჟი	37	დოქმა მითწრა სანიღუმლოდ (ქართული ხაიამიანა თვალის გადავლებით)
წინაარსი და შთამოგავალი	40	შორენა ლებანიძე ნაკაშიძეთა საგა
ქრიტიკა	44	მაკა ჯოხაძე პრიტიკოსთა წიგნები
გამოსწავრება	47	ნინო ვახანია დრო რბის
	48	ელისო კალანდარიშვილი ყავლგასული სოკრება
ასწავრება, აწ კი თქვენ	50	გრიგოლ როგაძიძე და ასალი თაოგა
პოეზიის გარიღიანები	51	ღვთის საღიღებლები
სოკრტი	53	გივი გამრეკელი „ელექტრონული ჯალატი“ აცამტვერებას მსოფლიო ჩემპიონს
უსწოვი წოველა	55	ღევიდ შერბერტ ლორენსი ვარდნარის ჩრდილში
წაკვსები	61	მასვილსიტყვოგის წიგნები
გოზიკა	63	გულს გული იცნოგს

დამფუძნებელი „ილიონი“

მისამართი: თბილისი,
ჩუბინაშვილის №41

რედაქცია – (995 32) 95-23-24

რეკლამა – (995 77) 48-12-24

გავრცელება – (995 99) 93-18-52

ფაქსი: (995 32) 96-20-62

E-mail: info@mtserloba.ge



დაბაწილია საბაბოი „ომეგა ტეგი“
საბაბოი, თბილისი, საბაბოი 17
ტელეფონი: +995 32 53 03 62

PRINTED BY "OMEGA TEGI" PRINT HOUSE
TBILISI, GEORGIA, 17 SARAJISHVILI STREET
TELEPHONE: +995 32 53 03 62

მთავარი რედაქტორი – როსტომ ჩხეიძე

პროზის რედაქტორი – მაკა ჯოხაძე პოეზიის რედაქტორი – გიორგი ლობჯანიძე

კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი – თამაზ ნატროშვილი

ღიზინერი – მალხაზ იაშვილი მხატვრული რედაქტორი – კარლო ფაჩულია

კორექტორი – ნინო დეკანოიძე დაკაბადონება – ლევან ჩხეიძე

ოპერატორი – თამარ ჩიხლაძე სარეკლამო მენეჯერი – მაკა ჯაფარიძე

გავრცელების სამსახური – ლევან ბინაძე

გარეკანზე: ლონდონი ღამის ნათელში

მაკა ჯოხაძე

„ჩვენი მწერლობის“ მომღვწეო ნომერი გამოგა 19 იანვარს

როსტომ ჩხეიძე

საკურთხი სამარადისო

*

დავით ერისთავი, ნიკოლოზ სიხიანაშვილი, სოლომონ ლიონიძე

ქართული თეატრი სკოლააო, – ყურს მოჰკრავდა თუ არა იოსებ იმედაშვილი ამ მოარულ ფრაზას, მაშინვე ან გონებაში დასძენდა, ან ხმამაღლავე: აკადემიაც და წმინდა ტაძარიც, და მის სიმბოლოდ, უპირველეს ყოვლისა, რეპერტუარის მარგალიტი „სამშობლო“ უნდა ვიგულისხმოთო.

ასეც იყო – „სამშობლოს“ გულისხმობდნენ, ამ სპექტაკლის თავისთავად მნიშვნელობასაც და იმ დიდ გამოძახილსაც, მის პრემიერას რომ მოჰყოლოდა, და ის დღე – 1882 წლის 20 იანვარი – თავისებურ ნიშანსვეტად აღბეჭდილიყო საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

წლები ჩაივლიდა, ამ პიესისა და სპექტაკლის შარავანდი კი არამცთუ გახუნებულიყო, სულ უფრო მატულობდა და ლეგენდური იერითაც იმოსებოდა.

ერთი საგულისხმო ეპიზოდიც ჩაერთვის იოსებ იმედაშვილის მოგონებაში, დავით ერისთავის დაბადების ასწლისთავზე რომ აღიდგენდა მეხსიერებაში:

ამ პიესას კიდევ ერთხელ რომ ამკობენ ქებით, ვილაც გაღიზიანდება:

– რა ძალიან გიკვირთ „სამშობლო“, ეგ ხომ ქართული არ არის.

– მაშ სადაური?!

– „ფრანციცულიდან“ გადმოკეთებული.

მაქებარნი აღშფოთდებიან და მკაცრადაც შეეპასუხებიან: რას გადასც-გადმოსცემ, რის ფრანციცული, რა ფრანციცულიო.

მაგრამ ის არ დაუთმობთ:

– დაბეჭდილი ნაიკითხეთ, თუ არა გჯერათ. ნახეთ, რა აწერია.

ჰგონია, სიტყვა მოვუჭერიო. აგერ თვითონ დავით ერისთავი აღიარებს, თარგმნილია და არა ორიგინალურიო. და მაშ ამათ რაღა უნდათ, ნეტა ხომ არა ნებავთ დავით ერისთავსაც ასე უხეშად მოსთხოვონ პასუხი: რის თარგმანი, რა თარგმანიო.

მაგრამ ამათთვის მოულოდნელი კი არ არის ეს ცნობა და დამაბნეველი, რომ გაუყურდნენ, პიესა დაბეჭდილიც უნახავთ, ამ წარწერასაც ჩაჰკვირვებიან და ის ახსნა მოუძებნიათ, რომ:

– მერე, რომ აწერია, ეგ ცენზურის თვალის ასახვევად, თორემ შიგ ყველაფერი ქართულია...

ნეტა იმას რა ჰგონია, ვაჟა-ფშაველა რომ მიაწერს ხოლმე თავის ხან ერთ თხზულებას, ხან მეორეს – „ძველი ამბავიო“, მართლა ძველი ამბავია თუ... ცენზურას უნდა გამოსთხოვოს ამ მარჯვე ხერხით ნებართვა? ცენზურას, აბა, რა ხელი აქვს გარდასული ჟამის გადმოცემებთან, ანდა ფრანგულ ისტორიულ სინამდვილესთან, და დავით ერისთავსაც თუ იმის გაცურების ხრიკი მოუძებნია და „სამშობლოს“ თარგმანად ასალებს, აუცილვე-

ბელი სულაც არ არის, მკითხველმა ამგვარი წარწერა პირდაპირ გაიგოს.

მოკამათე მაინც თავისას დაიფინებს: გეუბნებით, გადმოკეთებულიაო, – მაგრამ აღიარებითაც აღიარებს: ისეთი გადმოკეთებულია, რომ ქართულისაგან ვერ გაარჩევთო.

დავით ერისთავი ვიქტორიენ სარდუსს, ფრანგი დრამატურგის, დიდად პოპულარულ ისტორიულ პიესას – „სამშობლო“ – რომ გაეცნობოდა და ქართული თეატრის ღარიბი რეპერტუარისათვის მისწრებად მიიჩნევდა, ჯერ თვითონ ვერც შებედავდა და დიმიტრი ყიფიანს გადასცემდა გადმოსაკეთებლად. ის შეეცდებოდა, მაგრამ რაღაც გარემოებანი დააბრკოლებდა და დავით ერისთავი, ისედაც მონდომებული ქართული თეატრის აღორძინებისათვის და არაერთი პიესის მთარგმნელი თუ გადმოკეთებელი, თვითონვე მოჰკიდებდა ხელს.

უშუალოდ ვერცერთ ეპიზოდს ვერ მოერგებოდა პიესის სიუჟეტური ქარგა საქართველოს ისტორიიდან?

სულისკვეთებას ხომ წარმოაჩენდა ქართლის ცხოვრებისაც და თუნდ შაჰ-აბასის ეპოქისაც ჩვენს ტრაგიკულ სინამდვილეში. აუცილებელი არ იყო, მაინცდამაინც ისტორიული პერსონაჟები გამოსულიყვნენ სცენაზე და ეს გარემოება კიდევ უფრო გაუადვილებდა დავით ერისთავს ფრანგული დრამის ისე მარჯვედ და სახიერად გადამუშავებას, რომ მისი ვერსია ქართული პიესისაგან აღარც განირჩეოდა.

ზოგიერთი სურათი 1832 წლის შეთქმულთა ცხოვრებიდანაც ჩაერთვოდა პიესას.

ლოცვის სცენაში ილია ჭავჭავაძის „აჩრდილიდანაც“ პირდაპირ გადმოდიოდა სტრიქონები (მაშინდელი პოსტმოდერნიზმი!).

ასე იკვროდა განწყობილებანი, განზოგადება კიდევ უფრო ხელშესახები ხდებოდა და საქართველოს თავისუფლების ძახილი წარსულის სურათთა აღდგენაზე მეტად მომავლის ბრძოლებით სუნთქავდა. მკაფიოდ გამოსჭვიოდა სპექტაკლიდან პოლიტიკური სიმძაფრე და რუსეთის ლიტერატურულ-პოლიტიკური წრეები ამიტომაც განრისხდებოდნენ და ნააქეზებდნენ კატკოვს, ვინც ასე გამოიღებდა თავს და კიდევ გაუხდებოდა სათრევად ილია ჭავჭავაძის.

როდესაც გაღიზიანებით არაერთი გაღიზიანდებოდა ქართველთაგანაც და იონა მეუნარგიასაც გააგონებდნენ: დავით ერისთავისა რა არის, პიესა ხომ მას არ დაუნერიო, ის ამგვარ სიტყვებს პირად შეურაცხყოფად მიიღებდა და მაშინვე ბურთს ჩაჩრიდათ პირში:

– როგორ? კაცმა მთელ საქართველოს ტანში თითქო ელექტრონის ძალა გაუტარა, ლამის ისტორიაში არ ჩააგდო თავი, და თქვენ ამბობთ ეს არაფერიო?! თუ ეს ასე

ადვილი იყო, რატომ თქვენ არ მოსძებნეთ და გადააკეთეთ ამგვარი პიესა, თქვე კურთხეულის შვილებო!

დრამატურგიის წინაშე, ისევე, როგორც 1832 წლის შეთქმულების წინაშე დავით ერისთავს ის ვალდებულება დაჰკისრებოდა განგებისაგან, რომ გიორგი ერისთავის ვაჟი გახლდათ, საქართველოს თავისუფლებისათვის ნატანჯისა (და, სხვათა შორის, პატარაობისას რომ დაჰკარგავდა მამას – ელიზბარ ერისთავი ითავებდა მის აღზრდას, დამხობილი მთავარსარდალი). და ეს ვალდებულება სწორედ ამ პიესაში მოიყრიდა თავს და იმ ძალით ამოსკდებოდა, მთელი ცხოვრების ოცნებას რეალობად რომ აქცევდა.

საკმაო მასალა დაგროვდება „სამშობლოს“ ირგვლივ – რეცენზიები, გამოხმაურებანი, მოგონებანი, ლიტერატურულ-თეატრალური პორტრეტები, ნარკვევები – და ეს ყოველივე 1998 წელს ნათელა არველაძის მონოგრაფიაში მოიყრიდა თავს, რომელსაც თითქოს სპეციფიკური სახელი დაერქმეოდა – „თეატრმცოდნეობითი კვლევის ფორმები (სპექტაკლ „სამშობლოს“ შესწავლა რეკონსტრუქციის მეთოდით)“ – მაგრამ ამ დრამის ხსენება და მასთან ერთად მკვლევარის სულიერი ინტერესები იმთავითვე მიახვედრებდა მკითხველს, რომ მეცნიერულ ნაშრომსაც გამოჰყვებოდა მძაფრი პოლიტიკური მუხტი და „სამშობლო“ წარმოდგებოდა ეპოქალური ფონზეც და ზოგადეროვნული პრობლემატიკის შუაგულშიც.

ამიტომაცაა ეს წიგნი მიუკერძოებელი და სრული სურათი პიესისა, სპექტაკლისა, ჩვენი საზოგადოებრივი ცნობიერების ერთი გარკვეული ხაზისა და ქვეყნის ტრაგიკულ-მონუმენტური ბედისწერის ამრეკლავიც.

საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენები ისე წაწყობდა ერთმანეთს, „სამშობლო“ მთელი თავისი მნიშვნელობით წარმოეჩინა და „გულუხარიჩის“ ვაჟი ცხოვრების ზედაპირზეც ამოეტივტივებინა და მთანინდისაკენაც დაელოცა გზა.

და აკაკი წერეთლის მუნასიბი წამიერი განწყობილების გამომხატველი კი აღარ იქნებოდა, მართლაც ძეგლად გადაეფარებოდა მის სამარეს:

**ძღვნად და საკურთხად სამარადისოდ
საამქვეყნიო და საიმსოფლო.
ღირსმა ერის-ქმე, თვით ერისთავმა,
სამშობლოსათვის დასდგა „სამშობლო“.**

თუ არა ეს დრამა – დარჩებოდა დავით ერისთავი ერთ რიგით, თუმც შედარებით კოლორიტულ ფიგურად თავისი დროის მოღვაწეთა დასში და მხატვრულ-დოკუმენტური თხზულებების შექმნისას მის ეპოქაზე ისიც შეიძლება გაელვებულებოდა კულუარებში, როგორც ძლიერ მოძრავი და ახლის მძებნელი პიროვნება – თავგადაკლული თეატრალი, პრემიერა უიმისოდ რომ არ ჩაივლიდა.



დავით ერისთავი

და კიდევ – ყოველი ახალი უცხოელი სტუმარი – მწერალი თუ მოღვაწე – პირველად მას უნდა გაეცნო, პირველი ტელეფონიც მას გაეყვანა ქალაქში დავით სარაჯიშვილის სახლიდან სასახლის ქუჩაზე – მთავარსამართველოს სტამბამდე, ლორის მელიქოვის ქუჩაზე პირველ ჰექტოგრაფზე თბილისში მისი ნაწერი დაბეჭდილიყო, მას მოსვლოდა პირველი თავის საკრეჭი მანქანა. ყოველგვარ გამოგონებას პირველი იგი უნდა გაცნობოდა და ახალგამოცემული საინტერესო წიგნიც სხვაზე უწინ მას მოეპოვებინა.

რედაქტორადაც სიმარჯვეს იჩენდა, კალამბურებიც ეხერხებოდა, ცხარე-ცხარე ფელეტონებიც და საჯარო დეკლამაციაც, ოღონდ ქართულ ენაზე მამია გურიელი და გრიგოლ დიანი სჯობნიდნენ ძალიან და, რაკილა პირველობა იმით ჩამოერთმიათ, მთლიანად რუსული ლექსების საჯარო კითხვაზე გადაერთვოდა.

იონა მეუნარგიას თავის ბიოგრაფიულ ქრონიკაში – „დავით გიორგის-ძე ერისთავი“ – არ გამოიჩინებოდა ეს და ამგვარი – მეტად საგულისხმო – დეტალები, ისევე, როგორც უიმისოდ არც „დროების“ რედაქციაში წაუკითხავს 1881 წლის აგვისტოში ოძისიდან ახალჩამოსულ დავით ერისთავს თავისი ეს გადაკეთებული პიესა და არც პრემიერასა და შემდგომ მომხდარ დიდ ზეიმს გამოჰკლებია:

„წარმოდგენა რომ გათავდა, ავტორს დაფნის გვირგვინი მიართვა საზოგადოებამ ატლასის აფიშით და ბებუთოვს დაფნისავე ჩანგი ამგვარივე აფიშით. როცა ეს ორი გამოვიდნენ თეატრის კარიდორზე, საზოგადოებამ აიტაცა ისინი და ხელდახელ წაიყვანა ეკიპაჟამდის; აქ უცდიდა იმთა გულერეიდან ჩამოსული ხალხი, რომელმაც ავტორი და რეჟისორი ნაბიჯ-ნაბიჯ გააცილა ბენგალის ცეცხლით და ტაშის კვრით ერისთავის სადგომამდის, ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. მაყურებლებით მთლად გაიჭედა მიხეილის ხიდი, ასე რომ ერთ დროს მოძრაობა მთლად შეჩერდა“.

ბიოგრაფოსი შეუმცდარად გრძნობს, რომ საყოველთაო ალტკინების მიზეზი მართოდენ ესთეტიკური ზემოქმედება არა ყოფილა და ვერც იქნებოდა, და „სამშობლო“ იმით განსხვავდებოდა ყველა სხვა დრამატულ თხზულებათაგან, რომ:

ბიოგრაფოსი შეუმცდარად გრძნობს, რომ საყოველთაო ალტკინების მიზეზი მართოდენ ესთეტიკური ზემოქმედება არა ყოფილა და ვერც იქნებოდა, და „სამშობლო“ იმით განსხვავდებოდა ყველა სხვა დრამატულ თხზულებათაგან, რომ:

„... ამ დრამამ დაამთავრა ის პატრიოტული აღზრდა ჩვენი საზოგადოებისა, რომელიც „დროებამ“ დაიწყო და „დედა-ენამ“ ვერ მოათავა...“

პერსონაჟთა სახელების შერჩევისას დავით ერისთავს ქართლის ცხოვრების ქრონიკები კი არ გამოუყენებია, არამედ პლატონ იოსელიანის ბიოგრაფიული რომანი „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა“ და იქიდან ამოუკრებიან: როინ, ესტატე, ზაზა, გოგია დააკონი.

იონა მეუნარგია აქ წყვეტს ჩამოთვლას, ნიკო ტატიშვილი კი ამ პიესისადმი მიძღვნილ ლიტერატურულ ნარკვევში („მნათობი“, 1940, №10) კიდევ ორ სახელს მიიჩ-

ნევს ამავე წყაროდან ნასესხებად: სოლომონ ლიონიძესა და ნიკოლოზ ხიმშიაშვილს, თუმცა გვარები რომ ხელუხლებლად შეუნარჩუნებია დავით ერისთავს, დრამაში ერთის სახელი სვიმონად შეუცვლია, მეორისა კი ლევანად.

მკვლევარი ადასტურებს იმ ვარაუდს, რაც ისედაც საფიქრებელია, რომ: სოლომონ ლიონიძეს დავით ერისთავი სახელმწიფოებრივად სცენაზე ვერ გამოიყვანდა.

მერე რა, რომ იგი ერთ-ერთი ხელმძღვანელი გახლდათ გეორგიევსკის 1783 წლის ტრაქტატისა, რუსეთისაგან საქართველოს მფარველობას რომ ითვალისწინებდა და ოფიციალურ დოკუმენტად და გზისგამკვლევად ის გამოადგებოდა რუსეთის იმპერიას ქართლ-კახეთისა და შემდგომ იმერეთის სამეფოებისა და გურიისა და სამეგრელოს სამთავროების გასაუქმებლად.

იმპერიას უხეშად დაერღვია ის პირობები, რასაც მეფის მსაჯული ეთანხმებოდა, და ამიტომაც სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე სოლომონი თავგამოდებული მებრძოლი შეიქნებოდა საქართველოს დაკარგული სახელმწიფოებრიობის ამოსაგებად.

კი მაგრამ, სოლომონ ლიონიძე ნიკოლოზ ბარათაშვილის „ბედი ქართლისაშიც“ რომ წარმოდგება ერთ-ერთ მთავარ გმირად და მეფე ერეკლეს მტკიცე მონიანაღმდეგედ ქვეყნის ბედის გადანყვევების წინ – არაფრისდიდებით არ ურიგდება თავისი უფლებების განსყიდვას?!

იქ თუ შეიძლება, აქ ხელს რა უშლიდა?

სცენიდან ნათქვამი სიტყვა სულ სხვაგვარად მოეჭდობოდა მაყურებლის გულსა და გონებას, სხვა ზეგავლენას იქონიებდა, გვარ-სახელი სულ სხვა ეფექტით გახმიანდებოდა.

ამიტომაც ამჯობინებდა დრამატურგი მხოლოდ გამჭვირვალე მინიშნებას.

და კიდევ იმიტომაც – მკვლევარისა არ იყოს – სარდუს პიესით შეზღუდული დავით ერისთავი იძულებული შეიქნებოდა მოლაღატედ გამოეყვანა მისი მეუღლე, ვინც ნიკოლოზ ბარათაშვილს ასე აღემალღებინა და განეზოგადებინა: ჰოი, დედანო, მარად ნეტარნოო.

და კიდევ გამჭვირვალე მინიშნებას დასჯერდებოდა, როდესაც ნიკოლოზ ხიმშიაშვილს სახელს ლევანად გადაუქვებდა, იმ ისტორიულ პიროვნებას, ვისაც საკუთარი ხელით განეგმირა გენერალი ლაზარევი, დედოფალ მარიამს ასე უდიერად რომ აძალებდა ეტლში ჩაჯდომასა და პეტერბურგში გამგზავრებას. მარიამ დედოფალი თვითონ დაიბრალებდა თავისი მცველის ამ თავგანწირულ მოქმედებას, რადგანაც იმას უეჭველი სიკვდილით დასჯა ემუქრებოდა, დედოფალს კი გადასახლება აკმარებდნენ.

პლატონ იოსელიანს შემოენახა ეს მღელვარე ეპიზოდი და ნიკოლოზ ხიმშიაშვილი საზოგადოებრივ ცნობიერებაში რჩებოდა იმ გმირად, ვინც სინმინდის ხელყოფას არ დაანებებდა მოძალადეს.

ასე რომ, სოლომონ ლიონიძე და ნიკოლოზ ხიმშიაშვილი თან არიან პროტოტიპები „სამშობლოს“ ორი მთავარი გმირისა, თან... თითქოს არც არიან.

თავთავიანთი რეალური ბიოგრაფიით ერთიც და მეორეც შორს დგანან პიესის მოქმედებისაგან.

მაგრამ სულისკვეთებას კი მთელი სიდიადით წარმოსახვენ და ჰეროიკულ განწყობილებასაც ისინი ამკვიდრებენ.

მაყურებელზე ის უჩვეულო ზეგავლენაც მათ მოეხდინათ და სიუჟეტური დრამატიზმისას თავისი განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა ამ ორი ისტორიული პიროვნების აჩრდილთა გამოხმობას.

მათი გვარები ზარივით რეკდა.

მათი აჩრდილები შაჰ-აბასის ურდოებს კი არა, ჩრდილოელ მოძალადეებს მიერეკებოდნენ.

შაჰ-აბასის შემოსევათა ხანა იყო ვითომ ფონი და სინამდვილეში კი პიესის არცერთი პასაჟი, რეალია თუ დეტალი არ გასცილებია XIX საუკუნის დასაწყისსა და აჯანყებათა უწყვეტი ჯაჭვის წამს, სადაც 1832 წლის შეთქმულება ნიშანსვეტად ამოზრდილიყო.

გაუმარჯოს საქართველოსო, – ეს მხოლოდ ზოგადი შეძახილი არა ყოფილა პიესის სიუჟეტში და უშუალოდ იმ გადმოცემითაც სუნთქავდა, საიდუმლო ორგანიზაციის წევრები სოლომონ დოდაშვილის ბინაზე რომ შეკრებილიყვნენ: ანტონ აფხაზი, ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანები, ელიზბარ და გიორგი ერისთავები, იასე ფალავანდიშვილი – და ალექსანდრე ორბელიანი, აიღებდა ჭიქას, გაავსებდა ღვინით და დაიძახებდა, გაუმარჯოს საქართველოსო, და ყველა იქ მყოფი დაღევდა საქართველოს სადღეგრძელოს.

ფარულ ლანდებად მოძრაობდნენ სცენაზე 1832 წლის შეთქმულებიც.

ისტორიულ ფონს ისინი ავსებდნენ.

სარდუს პიესის სიუჟეტური ქარგა უფრო მეტის საშუალებას აღარ მისცემდა დავით ერისთავს და რუსეთის იმპერიასთან ყოველგვარი ძაფების გასანყვეტად შემართულ თაობებს ამ ორ სახელში გაასიმბოლოებდა:

სოლომონ ლიონიძის – მეფე ერეკლეს მსაჯულისა

და

ნიკოლოზ ხიმშიაშვილის – დედოფალ მარიამის მცველის.

საუკეთესო მსახიობები რომ მონაწილეობდნენ სპექტაკლში და მის შთამბეჭდაობას ესეც ამძაფრებდა, ეს თავისთავად, მაგრამ კოტე ყიფიანის მონაწილეობა იმ მხრივაც იხვევს მღელვარებას, რომ – დავით ერისთავისა არ იყოს – ისიც მამის, დიმიტრი ყიფიანის, შემწეობით გადაბოდა უშუალოდ 1832 წლის შეთქმულების განწყობილებებსა და სურათებს.

და იმ ცნობამაც შეუძლებელია არ იმოქმედოს, რომ სვიმონ ლიონიძის როლს თამაშობდა... ალექსანდრე ყაზბეგიც, ვინც იმ ისტორიული დღის მონაწილედ გახლდათ, დრამატურგმა „დროების“ რედაქციაში პირველად რომ ნაიკითხა ახალდასრულებული პიესა.

ანდა იმ ცნობამ, ქუთაისში „სამშობლოს“ აკაკი წერეთელი რომ ურეჟისორებდა.

ქვეყანა სცენად ქცეულა და სცენა ქვეყანად.

ნაშლია მიჯნა სცენასა და დარბაზს შორის... მსახიობებსა და მაყურებელს შორის... შეზავებულან, შენივთებულან და სპექტაკლი გართავს, ქუჩებსა და მოედნებზე, ძალდაუტანებლად გრძელდება.

დაეტოვებინათ სოლომონ მსაჯულსა და ნიკოლოზ ხიმშიაშვილს პლატონ იოსელიანის ქრონიკის ფურცლები, თავთავიანთი ბიოგრაფიაც დაეტოვებინათ, სულ სხვა სიუჟეტურ გარსში მოქცეულიყვნენ, მაგრამ ის სული შეენარჩუნებინათ ხელუხლებლად და მონუმენტურობით, ეს ამხელა მღელვარება რომ გამოენვია.

ლიტერატურისმცოდნეობითი თვალსაზრისით ცოტა არ იყოს ბუნდოვანი და უცნაური მოჩანს მათი პროტოტიპობა, იქნებ ნაკლებ დამაჯერებელიც, მაგრამ ზნეობრივი გადმოსახედიდან უდავოა და უეჭველი.

რამხელა მნიშვნელობა ენიჭება ხან მარტო გვარსაც.

თუნდ მის მიღმა სულ სხვა ბიოგრაფია გაშლილიყოს.

... აკაკი წერეთელს ერთადერთი ეს წყინდა:

როგორ შეიძლება ქართველი ქალის გამცემად გამოყვანა, ეს სულ სარდუს ბრალიაო.

რა სარდუ, რომელი სარდუო, – ახალგაზრდებს ვერც დაარწმუნებდი, – ერთი ვაჟა-ფშაველას ნაწერების ძველ ამბად გასაღებაა დასაჯერებელი და მეორე ამ პიესის ფრანგულიდან თარგმნაო.

ჩვენი ყოფა, წუთისოვლი


გაბრიელ გარსია მარკესი

ეს ავისმომასწავლებელი შობა

შობა დღეს აღარავის ახსენდება ღმერთი. უწყვეტი საყვირი და ფეიერვერკი, ფერად-ფერადი გირლანდები, უთვალავი უდანაშაულო ყელგამოლადრული ინდაური და უზომო ფულის სურვილი, რათა, რეალურ შესაძლებლობათა მიუხედავად, არ შერცხვე. და ჩნდება კითხვა: რჩება კი თუნდაც წამი იმისათვის, რომ გაიაზრო: ესოდენ მფლანგველობა იმისთვისაა, რათა აღინიშნოს იმ ჩვილის დაბადების დღე, რომელიც 2000 წლის წინათ ღარიბულ თავლაში იშვა, შორიახლო იმ ადგილიდან, სადაც დაახლოებით ათასი წლით ადრე დაიბადა მეფე დავითი. 954 მილიონ ქრისტიანს სწამს, რომ ეს ჩვილი ხორცშესხმული ღმერთი იყო, მაგრამ ბევრი შობას ისე აღნიშნავს, თითქოს ამის არც სჯეროდეს. გარდა ამისა, შობას დღესასწაულობს მილიონობით ის ადამიანი, რომელიც არასოდეს ყოფილა რელიგიური, მაგრამ უყვარს ქეიფი, და აგრეთვე ისინიც, მზად რომ არიან თავდაყირა დააყენონ სამყარო, რათა აღარავინ იწამოს. საინტერესოა, გულის სიღრმეში რამდენი ფიქრობს, რომ შობა, დღევანდელი სახით, აუტანელია; და ცრურწმენისა გამო ვერ ბედავს იმის თქმას, რომ ეს უკვე არა რელიგიური, არამედ სოციალური დღესასწაულია.

ყველაზე მძიმე კი ის კულტურული კატასტროფაა, რასაც ასერიგად გადაგვარებული შობა იწვევს ლათინურ ამერიკაში. ძველად, როდესაც გაგვაჩნდა მხოლოდ ესპანელთაგან ნამემკვიდრევი წეს-ჩვეულებები, ოჯახური ბაგა-საკვებური ხალხური წარმოსახვის საოცრებას წარმოადგენდა. ჩვილი ღმერთი უფრო დიდი იყო, ვიდრე ხარი, ბორცვებზე აღმართული კოპნია სახლები კი ღვთისმშობელზე დიდი. და არავინ აქცევდა ყურადღებას ანაქრონიზმებს: ბეთლემის პეიზაჟში დასაქოქ მატარებელს, რომლის ფუმფულა ხავერდის თათი უფრო დიდი იყო, ვიდრე იმ ლომისა, სასტუმრო ოთახის სარკეში რომ ირეკლებოდა; ანდა საგზაო აგენტს, რომელიც იერუსალიმის ერთ-ერთ უბანში ცხვრის ფარას მიერეკებოდა. ყოველივე ამას ემატებოდა ოქროსფერი ქალაღლისაგან გამოჭრილი

ვარსკვლავი, შუაში მიმაგრებული მანათობლითა და ყვითელი აბრეშუმის სხივით, რომელსაც მოგვებისათვის უნდა მიეთითებინა გზა ხსნისა. ყოველივე საშინელი იყო, მაგრამ ჩვენეული; და, ყოველ შემთხვევაში, მებაჟე რუსოს მიერ ცუდად გადახატულ სურათებს სჯობდა.



მითოლოგიზაცია დაიწყო ადათით: სათამაშოები მოაქვთ არა მოგვებს – როგორც ეს წესითა და რიგით ხდება ესპანეთში, არამედ ჩვილ ღმერთს. ბავშვობაში უფრო ადრე ვიძინებდით, რათა უფრო ადრე მიგველო საჩუქრები, და ბედნიერები ვიყავით, როდესაც უფროსების მიერ მოგონილ პოეტურ ტყუილებს ვისმენდით. თუმცა ხუთი-ოდე წლის ვიქნებოდი, როდესაც ვიღაცამ ჩვენს ოჯახში გადაწყვიტა, სიმართლის გამჟღავნების დრო დადგაო. ეს იყო იმედგაცრუება. და არა მხოლოდ იმიტომ, რომ მართლა მჯეროდა, სწორედ ჩვილს მოაქვს ჩემთან სათამაშოები-მეთქი. იმიტომაც, რომ, მინდოდა ისევე და ისევე დამეჯერებინა ყოველივე ეს. გარდა ამისა, სავსებით მონიფულის ლოგიკით დავასკვნენი, რომ დანარჩენი კათოლიკური მისტიკებიც მშობლების მიერ იყო გამოგონილი ბავშვების გასართობად, და აღმოვჩნდი სამოთხის კარიბჭესთან. იმ დღეს, როგორც ამას დაწყებითი სკოლის იეზუიტი მასწავლებლები ამბობდნენ, დავკარგე უმანკოება: აღმოვაჩინე ისიც, თურმე არც ბავშვები მოჰყავდათ წეროებს პარიზიდან, რისი დაჯერებაც ძალიან მინდოდა, რათა მეტად მეფიქრა სიყვარულზე და ნაკლებად აბეზზე.

უკანასკნელი ოცდაათი წელია მსოფლიო მასშტაბის კომერციული ოპერაციის შედეგად ყველაფერი შეიცვალა, რაც, იმავდროულად, გამანადგურებელი კულტურული აგრესიაა. ჩვილი ღმერთი ტახტიდან ჩამოგდებულ იქნა გრინგოებისა და ინგლისელთა სანტა კლაუსის მიერ, რაც ფრანგებისათვის პაპა ნოელია, და რომელთაც სუყველანი ძალიან კარგად ვიცნობთ. მან ყველაფერი თან წამოიღო: ხარ-ირეში შებმული ციგა და სათამაშოებით დახუნძლული ნაძვის ხე, ფანტასტიკური თოვლის გრიგალიც კი გამოაყოლა. სინამდვილეში ეს ლოთისცხვირიანი

უზურპატორი სხვა არავინაა, თუ არა კეთილი წმინდა ნიკოლასი, წმინდანი, რომელიც ძალიან მიყვარს თუნდაც იმიტომ, რომ ჩემი პოლკოვნიკი პაპის წმინდანია; მაგრამ საერთო არაფერი აქვს შობასთან, მითუმეტეს, ლათინური ამერიკის ტროპიკული შობის ღამესთან. ჩრდილოური ლეგენდის თანახმად, წმინდა ნიკოლასმა გააცოცხლა და განკურნა რამდენიმე სკოლის მონაწილე, რომლებიც დათვმა თოვლში დაგლიჯა; ამიტომაც გამოაცხადეს ბავშვების მფარველად. მაგრამ, მისი ხსენების დღე აღინიშნება 6 და არა 25 დეკემბერს. ინსტიტუციური ხასიათი მორთულ-მოკაზმული ნაძვის ხის ლეგენდამ გერმანიის ჩრდილოეთ პროვინციებში XVIII საუკუნის ბოლოს მიიღო; ხოლო ასწლებზე ცოტა მეტი ხნის წინათ დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთში გადაინაცვლა. შემდეგ გავრცელდა შეერთებულ შტატებში, და მათ კი ეს ტრადიცია ლათინურ ამერიკაში გამოგვიგზავნეს მთელი თავისი კონტრანტანდული კულტურით: ხელოვნური თოვლით, ფერადი კელაპტრებით, ფარშირებული ინდაურითა და ორკვირიანი ზღვარს გადასული მომხმარებლობით, რომლისგანაც თავის დაღწევას ძალიან ცოტანი თუ ვბედავთ. და მაინც, ალბათ ყველაზე საბედისწერო ამ მომხმარებლური შობიდან ის უბადრუკი ესთეტიკაა, რომელიც მას თან მოჰყვა: უგემოვნო საფოსტო ბარათები, ფერადი ნათურების აცმა, მინის ზანზალაკები, ზღურბლზე დაკიდებული ფითრის გვირგვინი, ინგლისურიდან თარგმნილი საშობაო სიმღერები გონებაჩლუნგთათვის და სხვა უამრავი ბრწყინვალე სიბრიყვე, რომელთა გამოც არც კი ღირდა ელექტრობის გამოგონება.

და ყოველივე ეს ხდება წლის ყველაზე შემამფოთებელი დღესასწაულის დროს: ჯოჯოხეთურ ღამეს, როდესაც ბავშვები ვერ იძინებენ მთვრალეობით სავსე სახლში, ოთახიდან ოთახში რომ ბორიალობენ და ეძებენ ადგილს, სადა დაიცალონ, ან სულაც დასდევნენ სხვის ცოლებს, რომელთა ქმრებსაც სასტუმრო ოთახში დაძინების ბედნიერება ერგოთ წილად. ყველაფერი სიყალბეა. ეს არ არის სიმშვიდისა და სიყვარულის ღამე, არამედ, პირიქით. ეს არის ზემო იმბათთვის, ვისაც ერთმანეთი არ უყვარს. ეს განსაკუთრებული შემთხვევაა, როცა ბოლოს და ბოლოს უნდა შეასრულო გადადებული ვალდებულებანი, რომელთა შესრულებაც არ გინდა: მოიბატიყო საცოდავი უსინათლო, რომელიც არავის ახსოვს, ან ბიძაშვილი ისაბელი, თხუთმეტი წლის წინათ დაქვრივებული, ან დამბლადაცემული ბებია, რომლის გამოჩენასაც ვერავინ ბედავს. ეს დეკრეტი ნებადართული მხიარულებაა, სიყვარული სიბრალულისა გამო: წამი გაცემისა, იმიტომ, რომ შენც გწყალობენ და წამი ტირილისა საჯარო ახსნა-განმარტების გარეშე. ბედნიერება გამოწვეულია იმით, რომ სტუმრებმა დალიონ ყველაფერი, რაც წინა შობიდან მორჩა: პიტნის კრემი, შოკოლადის ლიქიორი, ბანანის ღვინო. არც ის არის გასაკვირი, რომ დღესასწაული ხშირად ჩხუბითა და სროლით მთავრდება, და აღარც ის, რომ ამდენი სისასტიკის შემხედვარე ბავშვები დაიჯერებენ, ჩვილი იესო დაიბადა არა ბეთლემს, არამედ შეერთებულ შტატებში.

ესპანურიდან თარგმნა ელიონორა კუჭავასი

ივანე ამირხანაშვილი

მარკესი გვაფრთხილებს!

გაბრიელ გარსია მარკესი ამას წინათ ტელეეკრანზე მოვკარი თვალი. ჰავანაში ჩასულიყო ფიდელ კასტროსთან, იუბილეს ულოცავდა კომუნის უკანასკნელ ბურჯს.

მარგალიტი ტალახშიც მარგალიტიაო...

მაგრამ არც ისეა საქმე. მარკესის ჰავანაში გამოჩენას იმაზე გაცილებით ღრმა და სერიოზული ქვეტექსტი აქვს, ვიდრე ეს შეიძლება დემოკრატიზმით ატაცებულ პროფანს მოეჩვენოს.

დიდი კოლუმბიელის მიმართ ჩემი დიდი თაყვანისცემის მიუხედავად, მაინც ამეკვირბა კითხვა — „რა უნდოდა ფიდელთან?“

ნავიკითხე „ეს ავისმომასწავებელი შობა“, თარგმნილი ელიონორა კუჭავას მიერ, და მივხვდი, რა უნდოდა — თავისუფლების იდეას იცავდა დემოკრატიის შემოტევისგან.

დემოკრატია თავისუფლების წინააღმდეგ! ეს რომ პოლიტიკური ოქსიმორონი არ არის, ამას ჩვენს მაგალითზეც ვხედავთ, ჩვენს ტყავზეც ვცდით.

მსოფლიო ტყვეობაშია, დემოკრატიული თავისუფლების ტყვეობაში. ყველგან გაჰყვირიან დემოკრატიაზე, თავისუფლებაზე, ადამიანთა უფლებებზე, მაგრამ სიტყვა არ დასცდებათ ზნეობაზე, სინდისზე, მორალზე, რადგან ეს ყველაფერი ადამიანის შიგნით არის, მათ კი ყველაფერი გარეთ გააქვთ, ყველაფერს აშიშვლებენ, ალებენ და აღიავებენ.

„გამოდით გარეთ!“ — გვიხმობს დესტრუქტივისტი ქართველების ახალი თაობა და გვთავაზობს ახალ წელს ქუჩაში შევხვდეთ.

მეტი გნებავთ?!

სახლიდან გავყავართ, შინიდან გარეთ გვეზიდება საბედისწერო ძალა — დაარქვით ამას გინდ დემოკრატიზმი, გინდ გლობალიზმი და გინდაც პანგლობალიზმი.

კულტურული კატასტროფა, რაზედაც მარკესი წერს, მარტო ლათინური ამერიკის ტრაგედია არ არის, კონტრანტანდულმა ფსევდოკულტურამ ჩვენც მოგვივლინა წმინდა ნიკოლასი „ლოთისცხვირიან უზურპატორად“, ჩვენთანაც შემოიჭრა ფულის კულტი, ჩვენშიც დაიწყეს აღმოფხვრა მამაპაპური კულტის მსახურებისა ანუ კულტურისა, ჩვენც ვხდებით ნაწილი გლობალური სოფლისა, სადაც ადამიანებს ერთმანეთთან გრძნობები კი არა, ელექტრონული ქსელი აკავშირებს.

მარკესი გვაფრთხილებს!

კარგია, რომ მარკესი გვაფრთხილებს. ბევრი კი აღარ დარჩა ამქვეყნად ადამიანი, ვისაც ბოლომდე ენდობი.

ოთარ ჩხეიძე

ჩრდილები რუსთაველისა

შესანდობარი

შერგილი!..
გახსოვს?..

რალა თქმა უნდა!..

მე იმას უკანასკნელად სანატორიუმში შევხვდი. ის ჩამოვიდა. მე ვბრუნდებოდი. მისალმებაც ძლივს მოვასწარი. მაშინვე მომწყდა. მალევე მომიბრუნდა ნასიამოვნები. შენს ოთახს დამპირდნენო. უცნაური რამ გახლდა. შენ უკეთ იცნობდი. სანატორიუმებს ერიდებოდა. სასტუმროებს ერიდებოდა. მატარებლებს ერიდებოდა. სასტუმროში რალა ელონა ან თუ სასტუმროში. ოღონდ მატარებელში: ღამისთევით თუ მიდიოდა – იძინებდა ეგრევე. მჯდომიარედა. იმასაც ძილი თუ დაერქმეოდა. რაც თუ რა იყო, არ ჩანებოდა სხვის ნახმარ ქვეშავში. უამრავი რამ სუნი მცემს. უამრავს რო გამოუცვლია, იმ უამრავთა სუნი მამრუებსო. ლანდებად მეხვევა. თითქმის ცოცხლად წარმომიდგებიან. ვიბნევი და ველარ ვისვენებ. ის ერთი ღამე თუ არც არაფერი, მერეც თანმდევენ. კარგახან თავიდან ვერ ვიშორებო. მაშინ ალბათ მოისვენებდა: ლანდთა იმათა მე გამომატანდა. ჩემს ლანდს აიტანდა. რალა თქმა უნდა.

რამ გამახსენა –

მერე და ახლა, რო იცოდე –

ვითომდა როგორ არ გეცოდინება. მე შენ გეტყვი და მაშინვე არ მოედება ქვეყნიერებასა თუ სადმე დატრილალა სუნი იარალისა. მერე აქ არცა სჭირდება სატელეფონო კავშირები. აგერა ე კავკასიონი – ბარად ჩამოვიდა. ყვავყორანიცა. ქორიც შენიშნეს. არნივიცა. უყურე შენა – არნივიც რო გადარჩენილა!.. სისხლის სუნი სცემთ. სისხლმა ჩამორეკა. აბა მამ რაო – აგვიტეხა ჰო ეს ჩვენი ოსები. რუსმა ცხადია. ვინ უწყის თუ ეს მერამდენედა. ბლოკპოსტებიო ანუ ხერგილები აგერ მოიტანეს – ჩვენ მინდვრებამდისა. ერთად მოიტანეს. ერთადაცა დგანან ეს ეგრეთწოდებული რუსი სამშვიდობოები და ოსი ტერორისტები. ერთადაც გვემუქრებიან. ფიცსაცა სდებენ. ერთადვე. ცხადია. ერთადვე ჩავახშობთ ქართველების აგრესიასაო. რა ენა ამბობს?!. რა ყურმა გაიგონოს?!. რა დროს შერგილია. რამ მომაგონამეთქი. მაგრამ ისიცაა: მეც რო კვლავაც ამაზე ვიფიქრო – ამ გაუთავებელ ხრიკებზე რუსებისა – პრეზიდენტმა რალა აკეთოს. ჩვენმა. ცხადია. იმათსას ჰო – რუსებისასა – სისხლში მოჰყვება. მოსდევს და მოჰყვება ქვეცნობიერის მიულწეველი უჯრედებიდან: ხელიდან არ გაუშვას საქართველო. არა და არა. არა და არა.

თანაც რო გადაჰყვეს – არა და არა!.. ზოგჯერ მიხვალ რო იქამდისაცა: ჯანდაბას, დავილუპოთ, ოღონდ ეგეც თან გადამოგვეყვესო.

და აი შერგილიო – რა დროს შერგილია!..

შენ ცოტა აღმაცერად უყურებდი: ცოტა მოისულელებსო. არა. არა. კეთილი გახლდა. ეგება რო უსაზღვროდ კეთილი. არც პატივმოყვარეობა რო არ აკლდა?!. შეიძლება რო აქ ირღვეოდა. აქ წამოჰკრავდა რალაც ისეთი, სისულელეს რო მიამგვანებდი. ცოტასაო. მაგრამ ცოტაც ჰო საკმარისია ზოგჯერ მაინცა. ეს ისე, სიტყვა რო აგიყოლიებს. თორემ რაც იყო, კარგი იყო, კეთილი გახლდა. ხოლო სიკეთე მოიძებნებოდა განა ადვილად და ჩვენს საუკუნეში?.. ან გარდასულში. რალა თქმა უნდა. სიკეთესაც გადაჰყვა. ენდობოდა. და დაუფიქრებლადაც გადაჰყვა თანა. ახლა ასე ითქმის. წარსულის ამბავია. ეგება რო ბევრიც იფიქრა.

სანატორიუმში.

მე ვბრუნდებოდი. ის ჩამოვიდა. მერე მე ის აღარ მიხახვამეთქი. შესასვლელთან ვისხედით. სანატორიუმისა. ბარგიც ეხროვა იქვე. მომსვლელებისაცა. წამსვლელებისაცა. ჯერ არ გავყრილიყავით. მომსვლელები დატოვა. ავტობუსმა. თავის გზას გაუყვა. ჩამოერიგებინა რო სხვებიცა. შემობრუნდებოდა და მიგვარძანებდა ჩვენცა. რკინიგზის სადგურშია. შერგილს ჩაებლუჯა თავისი ბარგი. ხელიდან არ უშვებდა. ერთი ჩანთაო. ალბათ რო აუცილებლობისათვისა. თავისი. ერთიცა – ჩემოდანი. წიგნებით ექნებოდა გამოტენილი. ათ-ცამეტ მამათა ცხორებას ირკვევდა. გამოიყოლებდა საამისო ლიტერატურასა. თემა კორნელი კეკელიძემ ურჩია. კორნელისთან ტრიფონმა მიიყვანა. ტრიფონ რუხაძემა. გზაი მანამდელი რთული გახლდა. შერგილისათვისა. მოკლეი და რთული. დაბნეული. აუნყობელი. როგორც რო პოეტთა. იმჟამინდელთა. თავს რო იყრიდნენ რუსთაველზედა. ჩრდილი რო არ აკლდა არასოდესა. ჭადრების ჩრდილი. შუადღისასაცა. მერე ჰო მთანმინდაც წამოეხურებოდა. ჯერ ლალიძისა და ბორჯომის მხარესა. ჩაივლიდა ხოლმე ტრიფონიცა. მცირეხანსაც შეჩერდებოდა. ოღონდ მხოლოდ გახსენებისათვისა – თვითონაც რო წერდა ლექსებსა. რო მიჰხვდა დროზე. და რო მიაგნო მონოდებასა თავისასა. სამეცნიერო მონოდებასა. შერგილსაც მიუხვდა. გაიხმო ცალკე. ხელი გამოსდო და გაიყოლია. რა გინდა მაგათთანა. წამო. კორნელისთან ვილაპარაკოთო. იქ საუბარი დარბაისულე გახლდა. სირიელი მამები საქართველოში. მონოფიზიტობაო. დიოფიზიტობაო. წარმართობაო. ისევა და ისევაო. იდეურ-რელიგიური და პოლიტიკური ბრძოლებიო. ბერძენთა მომძლავრება. სპარსთა დევნა



საქართველოდანაო. კაციც დარბაისელი. თეთრი. თეთრი. ერთიანადა. პატარა წვერითა. ნიკაპზედა. იქ გავლევლილი ახალგაზრდები. ჩრდილებში. რუსთაველისა. აცვენილი ახალგაზრდები. ზოგი ნიჭითა. უმეტესობა უნიჭობითა. აცვენილი და გუდამშიერი. უთავშესაფრო. უიმედო. ულუკმაპურო. ტერენტი გრანელი რო ასულდგმულედა. ტერენტი. ტერენტი. პოეზია. ოლონდ პოეზია. ოლონდა. ოლონდაცა. სხვას რო არაფერს არად აგდებდნენ. ანთუ რა იყო რაიმედ ჩასაგდები – ძალღური სიცოცხლე ჰო მაინც არა. სულს მოითქვამდა. ასათიანი. ლაზლანდარობითა. – ჟაკიმ გაჰსნა რუსთაველზე ლიცეი და დოცენტურა, მწერლები და პოეტები გაიზარდნენ პროცენტულადო. – მაშინდელია. სხვანიც ამითივე მოითქვამდნენ სულსა. ლაზლანდარობითა. ყველას დასცინოდნენ. ყველაფერს დასცინოდნენ. ერთმანეთს დასცინოდნენ. მომეტებულადა. არც საკუთარი დამცირება არ ენაღვლებოდათ. სხვისა მითუფრო. თუნდაც რო შერგილისა!.. ეს რო არავის არ დასცინოდა. მოკრძალებულიყო. პრეზია რო იქ ეგულეობდა – რუსთაველის ჭადართა ჩრდილების ქვეშა. ნაკლიც ანუხებდა. თავისი. ცხადია. კოჭლობდა. კოჭებში მორღევოდა მარცხენა ფეხი. დაბადებითვე. სიარულსაც უშლიდა. აუშნოებდა ერთიანადა: იჯდა – იტყოდ: ნეტავი შენა და შენს პატრონსაო. ადგებოდა და – გული ჩაგწყებოდა: ვაი შენი გაჩენის დღესაო. რუსული სკოლა დაემთავრებინა. ლაპარაკისას არც რა ეტყობოდა. ლექსში რაღაც ვერ გამოდიოდა. რაღაცა. რაღაცაი. შველოდნენ რო თანატოლები. გულითა შველოდნენ. გულითა მეგობრობდნენ. ვერცა შველოდნენ. მაინც რო ვერა!.. დაეხსენითო. ურჩევდა ასათიანი. საჯაიასა. ძიგვაშვილსა. გელოვანსა. რა გაასწორებს ლექსსა მაგისასა ან ფეხს მაგისას რა გაასწორებსო. არ გეგონოს რო – ზურგთუკანაო!.. არც რას დაგიდევდა. ზურგთუკანაო თუ პირისპირაო. ერჩივნა პირისპირა. ბაირონიც მაშინ გაასწორებოდა – რო უახლოვდებოდა ჩრდილსა იმათსასა. შერგილი. ჭადრის ჩრდილსა. რაღა თქმა უნდა. და არც მაშინაც არ ერიდებოდა, მცირე რამ ფული რო გაუჩნდებოდა. შერგილსა. პირდაპირ ჩრდილისკენ არც მიასწორებდა. შეჩერდებოდა ლაღიდის კართანა. ხელს დაუქნევდა. შევიდოდა. შეჰყვებოდნენ. ვითომ შენც ინტურისტის ბაღში გვაპტიყობო. თან პირველ ჭიქას ის დასწვდებოდა. ასათიანი. ჭიქა ჭიქას მოედევნებოდა. სწრაფად ასხამდნენ ლაღიდის ქალები. ეგება რო პოეტურადაცა. მუზა იქაც რო იპოვნა ტაბიძემა. ტიცაინმა.

აღარც სად ცისფერყანწელებიო.

ფუტურისტებიც რო აღარა!..

პროლეტარული პოეზია იქცა მოდერნადა. პროლეტარული და პოსტპროლეტარული. სანდრო ეულიო. და. ალიო მირცხულავაო. ხელი მიგირბის კარლო კალაძეც რო ჩაატანო თანა. კიდევ სხვანიცა. მაგრამ ზედმეტია ამშემთხვევაში. რადგან რო ისინი აღარ უთარგმნია. შერგილსა. რუსულადა. ის ორი თარგმნა: ეულიო და მაშაშვილიო. გვარიც მოანერა რაღაც რუსული. ახლა იმას ვილა მოძებნის?.. მაშინ იცოდნენ. ბეჯითადაც იცოდნენ და კარგადაც ერთობოდნენ ჩრდილებშია

რუსთაველისა. პასტერნაკია აღფროვანებული. აი ბართაშვილი ვის უნდა ეთარგმნაო. ხელი აულია ვაჟაზედა ზაბოლოცკისა. აი თარგმანის უზენაესობა. მე ამას აბა ვით შევწვდებიო. ერთობოდნენ და ერთობოდნენ. ამისათვის არცა სძრახავდა თანატოლებსა. შერგილი. არა. ოლონდ რო ეშოვნათ ცოტა რამ ფული. არც რო ისინი არა თაკილობდნენ ძირს დაშვებასა ამალელებული პოეზიიდანა. ისედაც როო – ამალელებულს თუ რო აღწევდნენ... მსჯელობით აღწევდნენ. ლექსებით ვერა. მაინცდამაინცა. ბოდიშობდა. შერგილი. მაინცა. ეპატიუებოდა რო ლაღიდის წყალზედა. მიიწვია ბაღშიცა ინტურისტისა. თარგმანების ჰონორარიითა. ეს უფრო დიდი ბოდიში გახლდა. მერე ჰო სულაც დაეხსნა ლექსებსა. დაეხსნა და დაეხსნა. ჩაეფლო შორეულ საუკუნეებში. იკვლევდა როგორ რო მომხდარიყო: ისევ წარმართობას რო დაპირისპირებოდნენ ასურელი მამები, წარმართობასა და კერპთაყვანისმცემლობასა, თუმცა ქრისტეს რჯულზე რო მოქცეულიყო. ქართლი. სამი საუკუნის წინა. რანაირადა და როგორაო. აქედან იქ დაბრუნებულიყო: ათ-ცამეტ მამამდე. ეულიდანა. იქიდან აქეთვე თუ მობრუნდებოდა, მოაღწევდა ეულამდისა. ისევ და ისევ ეულამდისა. არც ასაქცევი არსაით გახლდა. ვერც რო მიეკვლია კორნელისა. პავლესაც ვერა. ეულთან შემდგარიყვნენ. ახლა შენ იციო. ტრიფონი აქეზებდა. შერგილს აქეზებდა. იქიდან დაიწყე. მერედა-მერე მეც გამოგყვებიო. მამაუცხოვნდათ, გადაასწრებდნენ ვითომ რო ეულსა!.. ყველაფერი იქა თავდებოდა.

აქა ყოფილა ესეცაო. ჩაილაპარაკა თითქოს თავისთვისა. შერგილმა. ცხადია. თუ მე მკითხა. კარგად ვერც მივხვდი. ჰოომეთქი. მაინც დავატანე. ვერც გავარჩევიდი თუ ვისა გულისხმობდა. მომსვლელ-წამსვლელნი რო არეულიყვნენ. მობრუნებულიყო ჩვენი ავტობუსი.

გამოვემშვიდობე.

ის იყო და ისა. აღარც შევხვედრივარ.

გადამქართულდა ალბათ რო მეცა, იმასცა აგრეთვე – აქა ყოფილა ესეცაო რო ამოსცდა. ათ-ცამეტ მამათა ცხორების გარდა, სხვას არაფერს რო არც ეტანებოდა. ბოლოხანებშია. გადიოდა საბანაოდა ყველაზე ადრე. ვიდრე ხალხი გამოიშლებოდა. ნაირნაირი საბანაოებითა. რხევა-ცმუკვითა ნაირნაირითა. გამოეფინებოდა ვიდრე რო ხორცი მწველ მზეზედა. მწველი ვნებითა. გაურბოდა. თითქოს გაურბოდა. ვით მართლაც რო იმათთაგანი: ათ-ცამეტთაგანი. ან თუნდაც რო: მეთათოთხმეტეო. გაურბოდა. გაურბოდა. თითქოსაო. ან თუნდაც მართლაო. დავით გარეჯელზე მეტად ჰო ვერც გაექცეოდა. ვერა. ცხადია. მაინც თბილისის შვილი გახლდა. XX საუკუნის თბილისისაი. ისიც ჰო ვერ ასცდა ცილისწამებასა. ჰო განაზრახეს დედაკაცი. მაზდეანელებმა. ორსული დედაკაცი. უბედური. მაგისგანა ვარ ფეხმძიმედაო. ემაგ მთანმინდის ბერისაგანაო. ვერა. ვერ ასცდა. რო ვერც ვერავინ ასცდენია ცილისწამებასა. ესეც ტყუილად გაექცეოდა. ანთუ რაც იყო, აღარც გასტანა დარმა საამურმა – გამოფენამა ლამაზი ხორცისა. ცოცხალი ხორცისა. მფეთქავი ხორცისა. ზღვა აირია. ავარდა. შეიშალა. აიგრაგნა მღვრიე ტალ-

ლები. აიგრანა სიკამკამეი. სინაზეი. ფროთონა მიმ-
ზიდველი. გაშმაგდა და გადაირია. თითქოს ამიტომა,
სანატორიუმი რო მოიტაცოსო. კანკალებდა სანატო-
რიუმი. შხეფები ურტყამდა კარ-ფანჯრებსა. კენჭები
ეყარა აივნებზედა. ფერადფერადი. ნიჟარებიცა. მზე
მცირე ხნით თუ გამოანათებდა. მცირეთი. მცირეთი.
ჯერ რო არ გაეგლო შიშსა. თვით გაბედულნიც რო მო-
რიდებულყვენ. ღამით დაცხრებოდა. თუმცა არც
ისე. ვერ ელეოდა მაგნოლი-
ებსა მაინცა. ეხვეოდა. ელა-
ციცებოდა. ქვიშასა ლოკავ-
და. ქვიშასა. ქვიშასა. ხასხა-
სა ქვიშასა. აღბეჭდილსა სი-
ლამაზითა. ღამი მოჰქონდა.
შავი. შავი. სიღრმეებიდანა
უშავესიო. ღამი თუ ტლა-
პოი, ანთუ სხვაიო, რალაც
სხვაიო, ტლაპოზე უარესი.
გასვლით გარეთ აღარც გა-
დიოდნენ. ანთუ რალადო,
ანთუ რილასთვისაო. ზღვის
ბობოქრება მოსჩანდა ისე-
დაცა. შინიდანაცა. მოსჩან-
და გორებიცა. ტლაპოსიო
თუ უარესისაო. აღიმართე-
ბოდა და ჩაირეცხებოდა.
ილენებოდა მაგნოლიები ან
იგრიხებოდა და აღიმართე-
ბოდა. ნანვებოდა და გას-
ნორდებოდა. ან გაჰყვებოდა
ფესვიანადა. სად თუ რადო
– ვილა ეძიებდა. ვილაცა მა-
ინც მიჰყვებოდა ზღვასა.
უკან რო დაიხვედა. ზღვიო. ცოტას დაიხვედა. ისიც
ცოტცოტას თუ მიჰყვებოდა. ის ვილაცაო. ეყარა წინვი.
ტოტებიც ჰო – მაგნოლიისა. შეიმჩნეოდა ის ვილაცაო.
მღვრიე ფერებში: ანთუ ქარი მიაგორებდა ბუჩქსა ტუი-
სა. ანთუ ზღვის ღომი შემოვარდნილიყო – დელფინი
მაინცა – გზას მიიკვლევდა ისევე ზღვისკენა. მიიკვლევ-
და და ველარც მიიკვლევდა. გახლართულიყო აკლებულ
ბალში. ქარისაგანა და ზღვისაგანა. აკლებულში. გავე-
რანებულში. ამას მაინც ასე ეგონა – ასე გახლდა და ასე
ეგონა – შერგილსა ცხადია. ვერც რო გაეგო – თვითონ-
ნაც ვერა. რალა თქმა უნდა. – რად აიხირა და რად მიჰ-
ყვებოდა ზღვასა. დახეულსა. უკან. უკანა. თვითონაცა.
ქარი რო ჰქროდა ისევე ისე. წვიმითაცა წვიმდა. თუ გა-
დაიღებდა. მოუგერისებდა ცოტასაო. მხოლოდ იმიტო-
ნა, მოვარდნილიყო რო უარესადა. ეშხაპუნა და ეშხაპუ-
ნა. შხაპუნისათვის უნდა შეესწრო. ტალღისთვისაცა.
რო დაიხვედა, მხოლოდ იმიტომა – უარესად მოხეთქი-
ლიყო. უარესადა და უარესადა. ქარიცა. ავდარიცა.
ზღვისმოქცევაცა. და მირბოდა, შერგილი, მიკვანჭი-
ლებდა. რალა თქმა უნდა. ოლონდ მირბოდა. თვითონ

რო ეგონა. მირბოდა. მიჰქროდა თავისუფლადა. თავის-
თვის რო იყო. მარტო რო იყო. არავისი რო არ ერიდებო-
და. მაგრამ ის ღომიო. ზღვისა. თუ დელფინიო!.. მო-
ლანდებებს ჰო არც ერიდებოდა. მოსდევდა თუმცა. წინ
გადაუდგა. ეს არ შეყოვნდა. გამოუქროლა. გამოჰყვა
ისა. ხმაც რო გაილო?!. რა გასაკვირია – ლანდებს თუ



მხატვარი გიორგი ჩაჩანიძე

ეჩვევი, ხმაც გესმის იმათი. იმათში ხარ და იმათად იქ-
ცევი. უნდა ისწრაფო. უნდა
მოსცილდე. არაამქვეყნი-
ურს მთლად რო არ მიეცე-
უდროუდროსა. ცოტახანს
კიდე აქ რო მოითმინო.
ღმერთი თუ დაგაცდის. და
ეს პირიქითო – აღარ აჩქარ-
და. შებრუნდა. შეიცადა. გა-
ახილა თვალი –

„თქვენ?!.. არ წასულ-
ხართ?!.“ –

– ხმაც ამოიღო. ეს ჯერ
ამანა. მერე იმანაცა:

„არა... ჯერ არა!..“ შე-
ყოვნდა. შეძოძგინდა. „მე-
შინიან!..“ აღმოხდა ისე,
თითქოს აი და დაეცემო.
ხელებიც განიწოდა იმგვა-
რადვე, დასაყრდენს ეძებს
თითქოსაო. დასაყრდენიც
ის გახლდა – ისა – შერგი-
ლის ხელი. მოჰკიდა. მიეშ-
ველა. გადაადგმევინა ნაბი-
ჯიცა. აიყოლია. წაიყოლია.
თვითონ ველარ მიჰყვა ისე
მარჯვედა. ნაბიჯი ეშლებო-
და. კოჭლი ფეხი!.. აერია

უარესადა. მხარი შეიცვალა. მაინც ირყევდა. ჩვეუ-
ლებრივზე მომეტებულადა. ირყევოდა და აყყევდა. მი-
ერეკებოდა რო ქარცა – გადამზღვეულიყვენ ლა-
მის ორივენი. ერთადვე ორივენი. არსაით სხვა ხედი რო
აღარ მოსჩანდა. შეაღწიეს როგორც რო იქნა. სასტუმ-
როში. რალა თქმა უნდა. მეშინიანო. კვლავაც აღმოჰ-
ხდა. ქალსა. ცხადია. უკვე უმწეოდა. სრულიად უმწეო-
და. ღამის რო დავარდა კიდევაცა. ქალი. ღამისა. იმარ-
ჯვა კაცმა. მოჰხვია ხელი. შეიყვანა თავის ოთახში. ის
იქვე გახლდა. პირველ სართულზე. ქალი მესამეზე დაე-
ბინავებინათ. ეგება მეორეზე. ეგება მეოთხეზე. შერ-
გილს ეს მერეც არ გაურკვევია. მაშინ ჰო მითუფრო.
რალა თქმა უნდა. შეიყვანა. დაანვინა. საწოლზე დაან-
ვინა. სკამზე ვერ დასვამდა. კანკალებდა ქალი. ისე. ისე.
სკამზე თავს ვერ შეიმარებდა. კანკალებდა ერთიანა-
და. მკლავებს უმწეოდ ასავსავებდა. უმწეოდა და უფ-
რძნობელადა. ამან არ იცოდა თუ რა ელონა. ექიმი უნდა
გამოეძახა. ეს მაინც გაახსენდა. ერთი ნაბიჯი გადას-
დგა კიდევაცა. მაგრამ შეყოვნდა იმ ერთ ნაბიჯზევე.
საქმე ექიმით არ მოთავდებოდა. თავსდახვევოდა სანა-

ტორიუმი. ერთადა და ერთიანადა. ან სხვა რა საქმე ჰქონდათ ან სიერს ვინ გამორჩებოდა. მერე რა სიერსა – ქალი უცხო კაცის სანოლში. მერე რა ყოფაში ჩავარდნილი ქალი!.. მიჰყე და აუხსენი სათითაოდ, ყველა სათითაოდ რო მოგთხოვს პასუხსა. სათითაოდ და დაუყინებითა. არავის არავისათვის რო არ შესტკივა გული, ცოდვის მხილება ატკობს ყველასა. მაინც უნდა წაედგა ნაბიჯი – ეხმო ექიმი. გამკლავებოდა მოსიერეთა. არაო. მოესმა. მოესმა თუ თვითონვე ეუარა თავსა. უნდა მიეხედა რო მაინცა: წამომჯდარიყო. ქალი. ფეხები ძირს ჩამოეყარა. სულო ცოდვილო – რა მშვენიერი ფეხები ჰქონდა!..

„ექიმი გავიფიქრე...“ ხმის კილო უფრო ბოდიშისა გახლდა.

„რა საჭიროა?!“ უბრალოდ მიუგებს. „არც არსებობს შიშის მკურნალი. უცნაურია. შიში. მოუხელთებელი. შიში. რა თქმა უნდა. შიში!.. შეძლება რო გაგაქროს. შიშია. ერთ წუთს გაგაქროს. და იმავე წუთს მოგანიჭოს გაბედულება ცა ისეთი, ზღაპრადაც რო არ გაგონილა. ანთუ რა არის: ან ზღაპრად რო არა თქმულიყოს ან სინამდვილეს რო არ მოეტანოს?...“

„მე თუ მკითხავ...“

„არა. არა გკითხავ.“ უცებ წამოდგება. ქალი. ფანჯარას გამოაღებს. უცბადვე ზღვაც შემოვარდება. ერთადა. ერთბაშადა. ერთობლივი მძვინვარებითა. აგრიგალება ჰო ისედაც ისმოდა. გარეთა. გარეშემო. შიგნით შემოიჭრა და გადაიხარხარა სტიქიისებრი კმაყოფილებითა: ვიპოვე აგერ, ვისაც ვეძებდიო. ამანაც გაჰშალა ხელები ისე: მეც შენ გეძებდიო. გადაეხვია. ჩაეხუტა და თან გაჰყვა თითქოსა. თითქოსა. თითქოსა. არადა მოასწრო კაცმა. ფანჯარა მიკეტა. ქარტეხილმაც თავისი მოასწრო: მიმოურია ოთახი ერთბაშადა. ფარდები ჩამოსწყვიტა. სურათები ძირს ჩამოჰყარა. ააფრიალა ცხორებანი ათ-ცამეტ მამათა. მიჰყარმოჰყარა საბანგობანიცა. ამისი გატაცება. მაინც ვერ მოესწრო. ქალისა. ანუ – ჰო მიჰყვა. მიჰყვა და თვითონვე წაერთმია თავი: მობუზულიყო. მოკრუნჩხულიყო. კანკალებდა. ისევე ისევე. მაგიდის ძგიდეს ჩაჭიდებული. მალევე გადიყარა კანკალიო. შიში იგი თუ რაც თუ რა იყო. ცივად გაიცინა. ცივად. ცივად. არაფრის მთქმელადა. წარემართა ისევე ფანჯრისკენა. შერგილი არ ჩამოეცალა. იდგა მტკიცედა. ცალ ფეხზე იდგა, ოღონდ მტკიცედა. ფანჯარას აღარ გააღებინებდა. აღარც ამას აუხირობია.

„მე ზღვა მენევა... ზღვის იქით მე გზას ვერა ვხედავ და მეშინიან. მეშინიან ზღვისა.“ ბოდიშობდაო თუ თავისი მართლებდა ქალი. „წყნარი ზღვა არ მომწონს. ყველას საქყუმპალო, ყველას, გასართობი არც სხვა არაფერი არ მომწონს. ასეთი მომწონს. აზავებულნი ასე. ასეთი მიზიდავს. და მეშინიან. მეშინიან. მეშინიან სწორედ ასეთისა. ვიცი რატომაც მეშინიან... ჩემი გადაწყვეტილებებისა მეშინიან, მაგისი არა. არა. არა. რა საშიშია ან ეგ ან სხვა რამა... ერთი წამისაა ჰო ყველაფერი!.. ერთი წამისაა!.. იქამდეა, რაც არის... იქამდე... იქამდე... რას აღარ ეჭიდები. დამამდაბლებელსა თუნდაცა, ყოვლად დამამდაბლებელსა. ხავსს ჰო ეჭიდები და ეჭიდები. მთელი ცხოვ-

რება ხავსს ეჭიდები. ზღვასთანაც მივსულვარ და გამიბოძიგებია ფეხიცა: ეგება ვინმემ ხელი ჩამკიდოს. არაო. მითხრას. გულზე მიმიყრდნოს. გამომაბრუნოს. საქმეში ხარ – ვისა სცალიან შენთვისა!.. არავინ არის!.. არავინ არის!.. და გამოვრბივარ. რად გამოვრბივარ, როს აღარ არის აღარავინა. და შიში მიპყრობს. შიში. შიში. გაუსაძლისი. აღარავინ რო აღარ არის. იქ ზღვა მაინც არის. აქ აღარავინ არის. ის მე მინდა. იმას მე ვუნდივარ. მე იმას გავურბივარ. ის მე მომდევს. ჰხედავ როგორ მომდევს. როგორ ვუნდივარ?! აქაც მეჭრება. უფრო შმაგადა. ნდომითა უფრო... ვითომ მეპოვნოს ნავთსაყუდარი. ვითომ ვილაცას მოეხვიოს ხელი. იმისი ხელიდან გამგლიჯოს. ლამობს. გააღე აბა, ფანჯარა გააღე – გამიტაცებს და მეშველებს!.. ხსნა წამისაა. სასონარკვეთას დრო არ გააჩნია. ან რად მელანდება ხელი. უცნაური. ვითომ ჩემსკენ გამოშვერილი. მე ჰო ურწმუნო დროის შვილი ვარ: რო აღარა სწამს ადამიანს ადამიანი. აღარც ღმერთი სწამს იმ თავისი მონოფიზიტებითა თუ დიოფიზიტებითა. მაზღეანობაც ჰო აღარა და აღარა. ქართული წარმართული პანთეონიც აღარა. რა თქმა უნდა. რა თქმა უნდა და რა თქმა უნდა!.. რწმენა მხოლოდ ადამიანია. სხვა დანარჩენი ბოდგაა მხოლოდდა. რწმენა ხელია. გადარჩენისა. გამოწვდილი ხელი. ვინ გამოგინოდებს?! ყველას ჯიბისკენ გაურბის ხელი. რა გინდა ამ ხალხში?! არა. შენ არა!.. ჩემს თავს ვეუბნები. ანთუ ვისა ვძრახავ?! ვისა?! ვისა?! და რადაო. შენ შესცოდე და სძლიე შენვე. ან არად ჩააგდე ან თან გადაჰყე. რა ხელი. რის ხელი. ვისი ხელიო. ხელი ვითომ რო შემეჩერებს: ხელი!.. – აჰა. დაეყრდენი. მტკიცედ დაეყრდენი. შენი შვილი ჩემი შვილია. მამა მე ვარ. ამაყად იარე. ამაყადა. ამაყადა. დაივიწყე უღირსი. უღირსობა. ღირსება იწამე. რადგან რო მე ვარ. ვარ. ვარ. მეცა ვარ ამ წამხდარ ქვეყანაში. სიყვარული რო გადაუგდია. მრუშობად უქცევია მაღლი ღვთაებრივი... მეც ჰო იმითა ვარ. არაფრით არ განვსხვავებულვარ. რა ხელს მოვუხმობ. რა სიყვარული მაღლაპარაკებს?... რასაც რო ვენდე?... რამაც რო მაცდუნა?... ერთხელ მაცდუნა?... მეორედ მაცდუნა?... ერთხელ მოვიშორე ჰო ადვილადა ნაყოფი იმისი?... ადვილადა!.. სულ ადვილადა!.. მეორედ რალად გამჭირებია?! მოვიშორე და მოვისვენე. გამოვეთხოვო სიყვარულობანასა. გასართობად რო გადაქცეულა. გასართობადა. გასართობადა. მრუშობა თუ გვეუხერხულება. რა მბოჭავს?! რა მთანგავს?! რა მეუხერხულება?! სირცხვილი!.. სადღაა?! ვის რისა სცხვენიან?! შეჰხედე ამ პოლიტიკოსებსა. ცრუ პატრიოტებსა. ცრუ სწავლულებსა. ცრუ ხელოვანებსა. შეჰხედე. შეჰხედე. რილასი გცხვენოდეს შემყურესა ამათი?! ბავშვი გააჩინო რო უმამოდა?! არ გააჩინოდა... და აღარ არის იმედი, შვილი რო გეყოლოს, მუცლის მეორედ მოშლის შემდგომა... თავიდანვე... თავიდანვე... ვინ უწყის რო მაინც გაგიმართლოს, როგორღაც მაინცა, ამ უკულმართ წუთისოფელში და არ გინდა იქვე უნაყოფობადა, ყოფიერებისათვის რო გაჩენილხარ. ყოფიერებისათვისა!.. ყოფიერი ყოფიერებისათვისა!.. აბა სხვა რისთვისა: ბრმად აჰყოლოდი უკულმართობას – გარდაქმნასა სიყვარულისა, მრუშობად გარდაქ-

მნასა?! ო როგორ მენევა!.. ო როგორ მოინევეს!.. გააღე. შემოვიდეს. ჩვენ თვითონ მოვრიგდებით. გააღე!.. გააღე!.. შენ ვილა ხარ?!. შენ რად გველობები?!.“ – თითქოსა ფხიზლდება. უფართოვდება თვალები თითქოსა. უფრო და უფრო უფართოვდება.“ – შენც ჰო მოგნონდი!.. მე არ მომნონდი!.. ჩვენი გზები ასცდა ერთმანეთსა. შენ არც რა გითქვამს. არც მე არაფერი. ისე ასცდა. ისე გაიყარა. ნუთუ იმიტომ, აქ შევეყრილიყავით, მე მეთქვა ჩემი დამცირებანი, შენ მოგესმინა ისე მდუმარედა, ისე, ისევე, როგორც რო მოგნონდი?!.. ჰაჰაჰაჰაჰაჰაჰაჰა... რა სასაცილოა ეს ყველაფერი!!!. როდემდის უნდა იცინო ღმერთო?!.“ და შებრუნდება კარისაკენა. იდგა მანამდე ასვეტილი. ყოვლად ურხეველი. მხოლოდ ტუჩები თუ მოძრაობდა. ისიც თითქოსა. მკაფიოდ ისმოდა სიტყვები მაინც თვით იმ გრგვინვაში ქარტეხილისა, ღმუილში ზღვისა, მცირე რამ მაინც რო აკავებდა – მინა აკავებდა, ანთუ ზურგიო შერგილისა. ესეც უძრავი. ურხეველი. აუტოკებელი. შეტოკდება რო მხოლოდლა მაშინა, ის რო კარს მიართავს –

„გაგაცილებ!..“
 „რა საჭიროა?!!“

გარეთ ისევა გრიალებდა ქარი. წიოდა. მრისხანებდა. წყალი მიწას ზანზარებდა. ჭამდა მიწასა. მიწასა ჭამდა. წყალი. გაძღა თუ რა რაი ჰქმნა – დამშვიდდა წყალი. ქარი სადღაც გადაიკარგა. ქარმა თავისი მოიგულისჭირა. წყალმა თავისი. დატოვა ბალი აკლებული. სანაპირო მიმორეული. ადამიანი ერთი შეინირა. თანაბრად გაიყო და გაეცალა იქაობასა. თუ ვინ შეინირა, ამას არ უკითხავს. შერგილსა. არც არავის არ უთქვამს არაფერი. არც გაურჩევია თუ ვინ ამოიყვანეს – გადააფარეს მაშინვე ზენარი – კატარლასა ჰხედავდა. შერგილი. აკვალანგებსაცა. ხალხსაცა. ნაპირზე მოფუსფუსესა. მოსიერესა. საიდუმლო რამ ამბავისა – დამხრჩვალს თან რო ამოჰყვებოდა. ამოჰყვა კიდევცა. მრავალიც ითქვა. ამას არცერთიც რო არ მოუსმენია. შერგილსა. რა თქმა უნდა. სანაპიროზე ჰო აღარც გასულა. არც სასადილოში არ გამოჩენილა. მადა დაჰკარგა. არც საჭმელი და არც სასმელიო, არაფერი პირში აღარ ჩასდიოდა. სანატორიუმშიც ვეღარ დახანდა. შინ გაეშურა. ისე გაეშურა – ათცამეტი მამაც რო იქავე დარჩა. მერე მოხვეტეს და გაუგზავნეს. შინა. არც შენუხებულა თუ რა დამრჩაო. არც დამშვიდებულა – ჰო დამიბრუნდაო. მადა მაინც აღარ მოჰგვრია. ლალიძის წყალთან თუ მოჰკრავდნენ თვალსა – ლანდს მოჰკრავდნენ. ძლივას საცნობსა ან თითქმის უცნობსა. აღარ იზიდავდა აღარც ჩრდილები. რუსთაველისა. ასათიანის კალამბურებიც არ აგონდებოდა. თვითონვე სწყინდა. ასათიანსა. ბოდიშს უთვლიდა. არც იმ ბოდიშს არად აგდებდა. შერგილი. მხრებს იჩეჩავდა საჯაიაი. აიხუხებოდა ძიგვამვილი. იმშუშნებოდა გელოვანი. რა ლექსებიო თუ რა ბაირონიო, ვერ იქნა და ვერ ჩავაგონეთო სუფრაც გაშალა ინტურისტის ბაღში. ასათიანმა. აღარც ინტურისტი ჰო აღარ არის იმ ადგილასა, აღარც რო ბალი იმისიო. რაღა თქმა უნდა. აღდგა ნამუსრევი იმ საბედისწერო ზამთრისაი. აღსდგა სხვა დანარჩენი. ის ჯერაც რო ვერ აღ-

სდგა. ან თუმცა რო – ისეთი ჰო აღარც იქნება: ისეთი მყუდრო. ისეთი მშვიდი. ისეთი პოეტური. ნავთსაყუდელი ხელოვანთა. მართლაც ხელოვანთა. ნავთსაყუდელი მართლაცაო. იქ რო აღარც აღწევდა თბილისი მაშინდელი. შეხვიდოდა და გადაყრუვებოდა თბილისი – ინდუსტრიის მშენებელი თბილისი. ქუთაისისა არიყო. მიფუჩქვებოდა ის იმისი მოსართავებიცა. იგი – ცრუ კულტი პროლეტარიატისა. მიყრუვებოდა. იქავე. შუა თბილისშია. ჰლირდა რო თუნდაც ამიტომაცა, სხვა არც არაფერი რო არა ყოფილიყო. არა და იყო – სულო და გულო – იყო. იყო. რაც სხვაგან არ იყო. ფული თუ გქონდა!!!!.. სულო და გულოო. თუ არა გქონდა და არც იმას გიშლიდნენ – მიგედგათ საფერავი თუნდ ერთი ბოთლი და გელაპარაკათ ხელოვნებაზე. გათენებამდის გელაპარაკათ. ოღონდ ჩუმათ გელაპარაკათ. ჩუმადა. ჩუმადა. იქ ყველაფერი საჩუმო გახლდა. საჭმელ-სასმელიდან მოკიდებული გათენებამდის დროსტარებითა. როდისლა გემრომა. შრომის ფერხულს ვით აჰყვებოდა – ფერხულსა და სიხარულსა შრომისა: შრომა, შრომა, შრომა, მხოლოდ შრომა, მხოლოდ შრომის სიყვარულიო. ჰო თარგმნა შერგილმა. გადარეულიყო იქ დემიან ბედნი. მოსკოვში: აი ჩემი სულიერი ძმაო. შერგილი არა. რაღა თქმა უნდა. ვინც რო გადათარგმნა – ისა. ცხადია. იმის მადლითვე ჰო ის იყო, სუფრა რო გაშალა იმ ბაღში. მადლიანში. სწორედაც მადლიანში, თორემ ან თუ რა ბალი გახლდა – ორი ხე იდგა ვინრო ეზოში. დაბალი ხეი. ორიცა ბუჩქი. აღარც რო გახსოვს თუ რა ჯიშისაო. აღარც ის მადლი რო არ გამეორდება. ასათიანმაც ჰო გაშალა სუფრაო – ის ერთიო და ის ერთი გაიხარა. მოებოდიშა შერგილსაცა. ენვია. ისიცა. იჯდა. არც რაი უთქვამს. არც ლუკმა არ გაულეჭია. დაუდგეს ლალიძის ყველა სასმელი. ქარხნიდან მოტანილი. უშუალოდა. იჯდა და ნრუპავდა. დროდადრო. ოდნავა. იჯდა. და. იჯდა. მეტი არაფერი. სადღაც სხვაგან გახლდა. იქ მხოლოდ იჯდა. ასათიანი გახარებულყო იმ ერთხელაო ანუ: იმ პირველად და უკანასკნელადყო. ავანსი აელო პირველი ნიგნისა. პირველად ეშოვა ცოტა რამ ფული. პირველი ნიგნის წყალობით ეშოვა. ის შერჩა. ის იყო. ნიგნი ჰო დაუჭრეს. ჯერ დაუჭრეს და მერე დაუნვეს. ვითომ დაუჭრელად არ დაინვოდა. პროლეტარული პოეზიაც გარდასულიყო. პოსტპროლეტარულიცა. ზეიმობდა – პოსტპოსტპროლეტარული.

ამაოდ ირხეოდა რუსთაველის ჩრდილები.
 რაღაც არ მოსწონდა. რაღაცას მოსთქვამდა.
 ვილაცას უხმობდა.
 ვილას რა ესმოდა!..
 არცთუ არსაით აღარავინაო...

შერგილი ჰო გადაკარგულიყო. თავიც დაეკარგა. ადგილიცა თავისი თუ რამ ადგილი მიჰკუთვნებოდა, მოვლენილიყო რო რადგანა, ისე ჰალაჰალად ჰო არ გადმოვარდებოდა!.. ეგება ის ადგილი – ასული რო ეხსნა სასონარკვეთილი. ბევრი არაფერი – გაენოდებინა ხელი. ხელი. ხელი გაენოდებინა. ანთუ თვითონვე როგორც რო ბრძანებდა: შეეხო ხელი. მხარზე შეეხო. მეტი არაფერი. ამისგანა. დანარჩენი თვითონ იცოდა –

ზურგს შეაქცევდა ქარტყილსა. ზღვასა. გამოეწვინათ რო შმაგი ტალღები, მთლად დედამინის გადასაყლაპადა. მთლად. მთლად. ერთიანად. ერთ ასულს ველარ გაიტაცებდა?!. როგორ ეშინოდა. კანკალებდა როგორა. ჰოი როგორა!.. ჰო უქქეროდა თავისი თვალითა. შერგილი. ის იყო. ერთი. სხვა არავინა. სხვა ვინ გაიწვინდა ხელსა?!. რამ გააშეშა. რამ გაახეშეშა. გააქვათ თუ გაამყინვარა რამა. რამა. რამა. თუ არც არარამაო. თუ არც რა არის. არც რა იქნება. რო არის, მაინც რო არ იქნება. ერთი შეტოკება მაინც რა ქმნილიყო. ერთი. ერთადერთი. ფანთხალი ერთი წვეთი სისხლისა. თუნდა რო მაშინა – გადავარდნილიყო რო სანოლზედა. კანკალებდა რო. გადაჰხვოდა. იმ ერთი წვეთითაც გაათბობდა რო!.. ჩავარდებოდა გარეთ ქარიშხალი. ზღვა დაიხვედა. უკან. უკანა. ზღვაც დაიხვედა. იმ ერთი წვეთის ამოძრავებითა. ეს რაო – იდგა გადაფიცრული ფანჯარაზედა. უსისხლო მხრებითა. არა კანკალებდა. სციოდა თვითონაცა. ცივა რო უსისხლოდა. სასონარკვეთაც სისხლს მოჰყოლოდა. გამყინვარებასა სისხლისაი. ცოდვაცა და სასონარკვეთაცა. ის ძახილიცა. თავდავინწყებაცა ის ისე იმგვარი, საამქვეყნიოდ რო არც რა აკავებდა. ესეც იმდენად ვერ დაირღვევოდა. რაც უნდა ყოფილიყო ანთუ როგორადაო. ოღონდ ის ერთი წვეთი რაღა იქნა – ის ერთი წვეთი – ხელი რო დაექნია. რო ეხმო თავისთანა?!. არ მიირბენდა?!. მაშინ იმასვე დაბრალდებოდა. ამას აღარა. თან გაჰყვებოდა ის ცოდვანიცა. თავისი. ის ცოდვანიცა. ეს ამპარტავნობაცა – რატომ მიმიხმე. რატომ შენ თვითონ არ მოხვედიო. გამიზეზდებოდა ვითომ ამგვარადაცა?!. არა. არა. ის ჰო ლალატს აღეშფოთებინა – სიყვარულის ლალატსა. ამაღლებული სიყვარულისა. სიმრუშედ ქცევასა სიყვარულისა. ქარიშხლებსაც იმიტომ შენივთებოდა. მიწიერი რო მიუჩნდა არარადა. ყოველივეი. რახან რო დაეცა სიყვარული. არც ამის განვდილ ხელს არად ჩააგდებდა – ჰო უთხრა რო არ მომწონდიო. არც მო-

წონხარო – იგულისხმებოდა. მაინც ვინ უწყის რა მომხდარიყო. რა წამს რა ჭკუა მოჰბრუნებოდა. გაეწოდა ხელი. კრინტი დაეძრა... დაეხსენი მაგ აბდაუბდასაო. ასე ამგვარად დაეძრა კრინტი. თუნდაცა. თუნდაცა. დაივინყე თუ რაც მომხდარა. არც რა ყოფილა. არც ვინა ყოფილა. ეს იყო. ეს არის. ეს ემამება – ანუ მეო – ძესა შენსა. ეს არის და ესა. რა საჭიროა ეგ მაგდენი სასონარკვეთა. სიცოცხლე აქ არის. ქარიშხლებში რა უნდა სიცოცხლესა. განენოდა ხელი. ეთქვა ამგვარადა. როგორღაც ეთქვა. რაღაც ეთქვა. შემოებრუნებინა ცხოვრებისაკენა. შემობრუნდებოდა?!. შენ შენი გეცადა. გადაგერჩინა ეგება რო... კრიჭა აქ ეკვროდა. ისევე ისევე, მაშინ როგორც რო ვერ დასძრა კრინტი. აღარც ლუკმა აღარ ჩასდიოდა. ეს ჰო აღარა. აკრძალა ის ერთადერთი მასულდგმულბელიცა. ლალიძის სასმელი. ძლივძლივობისას მასულდგმულბელი. ჩადნა. ჩაილია. ჩაჰქრა. ველარც რო დგებოდა – ლოგინში ჩაჰქრა. ვერც რა გადმოიღეს – კუბოში რო ჩაესვენებინათ. ზენარს ეკრა ნახატივითა. ეგრევე ჩასდეს. ნახატი ჩასდეს. ხატი დაკრძალეს.

ალვების წვეროებს ცეცხლი უკიდილა... ისვრიან. ლამლამობითა. საგუშაგოდანა. კონფლიქტის ზონა გაიფართოვეს. ნაფუზრებში ჩავვიდგეს საგუშაგოები. რუსებმა. ცისფერჩაფხუტიანებმა. იქიდან ისვრიან. ბალებსა ცხრილავენ. ვენახებსა ცხრილავენ. დალენეს კრამიტები. ფანჯრები... დღიურ იტაცებენ ნახირსა. მწყემსები კომბლებით ვერ იგერიებენ. სახრითაც ვერა. რაღა თქმა უნდა. რასა სჩადიხართო. ეკითხებიან. რუსებსა. ცისფერჩაფხუტიანებსა. ჩვენ არაო. უარობენ რუსები: – ოსებიო. ოსებსა ჰკითხეთო. აბა თქვენ აქ რაღად ჩამდგარხართო. ნეიტრალიტეტს ვიცავთო... იცავენ. ნეიტრალიტეტს იცავენ. რუსები. ანთუ რას იცავენ?!. როდემდე. როდემდე. როდემდე დაიცავენ?!.

ქრონიკა

საბავშვო ლიტერატურის განვითარების ფონდმა, რომელიც სულ რამდენიმე თვის წინ ჩამოყალიბდა „სახალხო ბანკის“ ფინანსური დახმარებით გამოსცა „საბავშვო ლიტერატურის აღმანახის“ პირველი ნომერი. ჟურნალში შევიდა თანამედროვე ქართველი საბავშვო მწერლების ნაწარმოებები – პროზა, პოეზია, დრამატურგია, თარგმანი, საბავშვო მუსიკა და წერილები და ინტერვიუები. აღმანახი გამოვა სამ თვეში ერთხელ და მიმოიხილავს ქართულ საბავშვო მწერლობაში არსებულ პრობლემებს, მისი განვითარების გზებს, მკითხველს შესთავაზებს წერილებს საბავშვო ლიტერატურის თეორიიდან, რეცენზიებს, შეეცდება პოპულარიზაცია გაუწიოს ახალ სახელებსა და გამოცემებს. გაანალიზებს დღეს არსებული მდგომარეობა და პრობლემები, რომელიც უკავშირდება საბავშვო წიგნსა და ლიტერატურას.

საბავშვო ლიტერატურის განვითარების ფონდის პირველი ინიციატივა – 27 ოქტომბერი (იაკობ გოგებაშვილის დაბადების დღე) დაარსებულიყო ქართული საბავშვო წიგნის დღე, მხარდაჭერილი იქნა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ. ამიერიდან ყოველწლიურად საქართველოში ეს დღე ფართოდ აღინიშნება.

ფონდი, რომელიც დაარსდა მწერლების ირმა მალაციძისა და მარიამ ნიკლაურის თაოსნობით, აქტიურად თანამშრომლობს ყველა იმ ადამიანთან და ორგანიზაციასთან, ვისი საქმიანობაც უკავშირდება მომავალი თაობის განათლებასა და კულტურულ განვითარებას.

უნდა აღინიშნოს, რომ საბავშვო ლიტერატურის განვითარების ფონდმა „სახალხო ბანკთან“ ერთად დაიწყო საქველმოქმედო პროექტის „წიგნები ბავშვებისათვის“ განხორციელება, რომელიც გულისხმობს ბავშვთა სახლების აღსაზრდელებისათვის, დაბალბიუჯეტიანი სკოლების ბიბლიოთეკებისა და სოციალურად დაუცველი ბავშვებისათვის საბავშვო წიგნების შეგროვებას და უფასოდ გადაცემას.

ფონდი მიმართავს ყველას, ვისთვისაც მნიშვნელოვანია მომავალი თაობის სულიერი აღზრდა – გაილოს წიგნი და გაუმდიდროს ბიბლიოთეკა იმ ბავშვებს, რომელთაც იგი სჭირდებოდა.

წიგნების შეგროვება იწარმოებს „სახალხო ბანკის“ ოფისებში საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. პირველ ეტაპზე შეკრებილი წიგნები გადაეცემა ცხინვალის რეგიონის სკოლებს.



დაიბადა 1972 წელს, თბილისში, დაამთავრა თბილისის 169-ე საშუალო სკოლა, მერე თბილისის სახ-
ელმწიფო უნივერსიტეტი.
10 წელია ცხოვრობს და მოღვაწეობს ამერიკაში.
მონაფეობის ნლებიდან წერს ლექსებს, რომელსაც პერიოდულად აქვეყნებდა სხვადასხვა
გამოცემებში.

ნონა გიორგაძე

აეროპორტი თავშეყრას შლეგი ადამიანების,
რომელთაც მხოლოდ ახსენდებათ
თავიანთი დროებითი გეოგრაფიული მდებარეობა...

* * *

დარგე ჩემი გატოტილი სიყვარული,
დაუსხი წყალი ყოველ გამთენიისას...
გაიკვირტება და მის ჩეროში
თავს შეაფარებ ცხოვრების ხვატს...
გაგახსენდები და
ანკესივით ამოქაჩავ წარსულს
და მოფართხალე თევზებივით
გონების კალათაში ჩამარცვლავ...
ნუ დაივიწყებ, რომ
ეს მოფართხალე თევზები
ცხოვრობენ ქვემოთ, ძალიან ღრმად,
და თუკი მოახერხე
ზედაპირზე მათი ამოტივტივება,
დააპურე კიდეც და დაუსხი წყალი,
როგორც ჩემს გატოტილ სიყვარულს,
რომლის ჩეროში
ცხოვრების ხვატისაგან თავი შეგიფარებია...

აეროპორტი

აეროპორტი თავშეყრას შლეგი ადამიანების,
რომლებიც ხაზავენ უნესრიგო ტრაექტორიას,
მიდიან, მოდიან, ეწევიან, ლოცულობენ,
კომპიუტერის ეკრანებში იკარგებიან...
აეროპორტში უცხო რკინის ფრინველები დაფრინავენ,
რომელთა მუცლებში ჩანასახებივით სხედან ადამიანები,
მობილური ტელეფონები მათი ჭიპია,
რომლითაც ამყარებენ დედა მიწასთან დროებით
კონტაქტს
და ივიწყებენ თავიანთ დროებით გეოგრაფიულ
მდებარეობას ცაში...
აეროპორტი ოპიუმია შლეგი ადამიანების,
რომლებიც მოედინებიან მაღაზიების განათებული
ვიტრინებიდან
აეროპორტის ღრმად მსუნთქავ ფილტვში,
მისი ავხორცი სხეულიდან წამოსულ სურნელს
ხარბად ისრუტავენ, როგორც ოპიუმს
და თვალახელილ სიზმრებს ხედავენ...
მათ სიზმრებში აეროპორტი გიგანტური აკვარიუმია,
სადაც ფარფლებიანი ადამიანები
თევზებივით აღებენ პირს და ერთმანეთს უნიათო მზერას
ესვრიან.

* * *

ბენვის ხიდზე ჰკიდია სული,
სუნთქვაშეკრული...
სულ რაღაც მისხალი ცრუ მოძრაობა და...
ქვემოთ ხახადაღებული უფსკრულია...
ნუ, ნუ დაიხედავ დაბლა,
ახედე ღრუბლებს,
როგორ მსუბუქად მიაჩნევენ ფრთებს...
გაჰყვიე მზის სხივის მოძრაობას, –
მისხალითაც კი არ უხვევს გზიდან,
არღვევს პლანეტებს შორის გაწოლილ ღუმელს
და მოდის შენამდე...

სსოვნა

დროდადრო დედაჩემი შემოდის ჩემში,
ჩემს ხმაში,
გამოხედვაში,
მოძრაობაში,
და ვგრძნობ რომ
კი არ დაბრუნდა, –
ჩემთან დარჩენა ამჯობინა
შორეთში წასვლას,
და ვგრძნობ რომ
ჩვენ ერთმანეთში ვაგრძელებთ არსებობას,
როგორც ქარი და ხე ფოთლებმომორიალე...

* * *

ხე, რომელიც პირველი ააღდა ადრიანი შემოდგომისას,
თითქოს რაღაცას იხსენებდა მძაფრად,
მიატოვა ანმყო
და წუთებს დანებდა მოგონების...
მწვანეზე შინდისფრად აბრიალებული ხე,
როგორც მოგონებებში გარინდებული
ლამაზი ქალის მანდილი...

* * *

მოვიდა ლამე როგორც მგლის ყმუილი...
ხეების ბნელი კენწეროები მთვარეს მალავენ.
მოისროლე სევდა ამ ხეთა კენწეროებზე,

პლანეტების მოციმციმე შუქზე
 იქნებ განიმქვრეს იგი ბნელ ღამეში...
 გადაუგდე შენი ორი თვალის კაკალი
 და ათივე თითი,
 როგორც ცერცვის ათი მარცვალი, დათესე ღამეში...
 თითები სხივებად ამოიყრებიან
 და თავზე ელვასავით დაეცემიან ღამის სიბნელეს...
 გადაუგდე გულიც... ღამის ამ შავ-თეთრ ფოტოს
 წითელ ზოლად გაყვება სისხლი მისგან გამონადენი,
 როგორც ბავშვობისდროინდელი მოგონება:
 ქათამს რომ კლავდნენ,
 თავმოკვეთილი ტანი დახტოდა და სიკვდილს ებრძოდა...

* *

ჩემს მზერაში დედაჩემის თვალები,
 ხოლო მკერდში – ჩემი ბავშვობისდროინდელი
 გული ფეთქავს...
 ვცხოვრობ რომელიღაც წამში,
 როგორც პლანეტაზე,
 რომელიც ამოვარდნილია ბრუნვიდან:
 წარსული-ანწყო-მომავალი...
 ჩემი შინაგანი დრო
 ჩაგუბებული კოსმოსია, რომლის ფსკერზე
 წამისოდენა პლანეტები ტივტივებენ...
 მე მოხუცი ვარ და დედაჩემი ბავშვია,
 რომელსაც ვეფერები,
 ჩემი არდაბადებული შვილი კი
 სულ ორიოდ წამის წინ გარდაიცვალა...
 ვებლაუჭები ბავშვობისდროინდელ
 ბედნიერ პლანეტას –
 იქ ვკრეფდი მზეებს, როგორც ყვავილებს
 და მუდამყამს დიდი თაიგულით ვბრუნდებოდი
 სახლში დედაჩემთან...

* *

ნალვლიანი, უღმერთო დღე...
 მანქანების უწყვეტი კლაკნილი ზოლი,
 როგორც ვეებერთელა რკინის გველი,
 შენ – მისი ხერხემლის ერთი მალა –
 ზიხარ მანქანაში და ნალვლიან დღეში,
 როგორც კადრში,
 რომელიც უსასრულოდ მეორდება...

* *

შენი დაკარგული პლანეტა
 ამოგაგლიჯეს, როგორც გული
 და მოისროლეს კოსმოსის
 უკიდევანობაში...
 ირგვლივ მარტობაა.
 აღარც შვილი ხარ,
 აღარც დედა
 და აღარც სახელი გაქვს...
 პლანეტების უსასრულო დინებაში
 შორეულ და მზუჭავ სახლს ეძებ...

საიბარი

ღრმად რომ შეისუნთქო,
 მთელი ქალაქის შავ სევდას შეისრუტავ,
 რომელსაც ვერანაირად უწოდებ „ამაღლებულს“.
 „ინტოქსიკაცია“ კი სამედიცინო თუ
 არასამედიცინო გაგებით
 საშიშია ადამიანის ჯანმრთელობისათვის.
 ამიტომ ისუნთქე მოკლე-მოკლედ
 და შენი ტვინის ცალ ნახევარსფეროს
 ხელი წააფარე, როგორც ცალ თვალს.
 უმზირე ცხოვრებას ასე და
 იმეგობრე ქალაქთან
 მოკლე სუნთქვებით,
 ცალი ნახევარსფეროთი
 და ცალი თვალით...

* *

კედლები თავისთვის ბუტბუტებენ.
 შენამდე აღწევს მათი მღვრიე ბგერები.
 მიმედ ნევ სხეულს,
 უხმაუროდ შედიხარ კედელში და ქრები.
 პოულობენ შენს უკანასკნელ სიტყვებს:
 „წყლის ქვეშ, სადაც ბუყბუყებს სული,
 უკეთესია ცურვა“.

* *

ირწევა სავარძელი, რომელშიც არავინ ზის.
 ღიმილი ამაოდ ეძებს სახის ერთ მცირეოდენ კუნთს.
 თვალები არსად იმზირებიან.
 სიცოცხლე მხოლოდ ფიზიოლოგიურია
 და ამდენად – დანებებული ინერციას.
 აქ სიკვდილის სუნი იგრძნობა
 და ჰაერში გაფანტული მისი ქერცლის ანარეკლები
 მზერას ქრიან დროდადრო...

გეომეტრიული ლექსი

ოთხკუთხედი სიყვარული –
 ჭერი ზემოთ, იატაკი ქვემოთ
 და ირგვლივ კედლები...

სამკუთხედი სიძულვილი –
 მე, შენ და ის უცხო...

მრავალწახნაგა ფანტაზია –
 სიყვარულის კარს აღებ და
 შედიხარ ზღვაში, როგორც მეორე ოთახში...

პარალელური წრფეები (რომლებიც არასოდეს
 იკვეთებიან) –
 ის და ფილოსოფიის სიყვარული...

წრე – ვისთვის ჩინეთი, ვისთვის მონეტა,
ვისთვის ბურთივით დედამინა...

ცილინდრი – ბავშვობისდროინდელი გვირაბი
იქით-აქეთ დადარაჯებული
ორი განსხვავებული თვალით...

მხები წრეზე – გზასაცდენილი კაცის ზღაპარი...

რომბი – ორი ტოლგვერდა სიძულვილი:
მე და შენ
შენ და მე
და ის უცხო ასჯერ...

წრფე – საიდან მოვდივართ?... ანუ
რელიგიისა და ჭიანჭველების სიყვარული...

წერტილი წრეზე – ფილოსოფიური შეჩერება
ანუ სიცოცხლე...

მონაკვეთი – პრიმიტიული დღე,
რომელიც სიზმრებში მეტამორფოზდება...

პირამიდა – მონატრება, რომელიც აძლიერებს სწრაფვას...

კვადრატი – აბსოლუტური მარტოობა სიცარიელეში...

სპირალი – შეშინებული კაცის მოძრაობის ტრაექტორია...

ელიფსი – რომელსაც ოდესღაც
ცრემლის ფორმა ჰქონდა...

ცრემლი – რომელშიც სულის ერთი წვეთია...
წვეთი – რომელიც წყდება და ხდება ელიფსი...

სიზმარი

სიკვდილის წინ მითხარი, რომ
დაიმსხვრეოდი, როგორც შუშის მოზაიკა
და გაიფანტებოდი მთელს ქალაქში...
მე ხმამალლა მოვთქვამდი და გპირდებოდი,
რომ ფეხისგულეებს დავიტყავებდი და
ქუჩა-ქუჩა აგკრეფდი...
შენ გაგელიმა და თქვი, რომ ჩემი ხელები თეთრია და ნაზი
და არ გემეტებოდა ნაგავში ნამსხვრეების საქეჟად...
მე ჭიქა დავანარცხე იატაკზე და
ყველაზე ბასრი ნატეხით ხელისგულეები დავიკანრე –
ასე მსურდა მეგრძნო შენი სიყვარული!

სიკვდილი

როგორ მინდა დავატიო ერთ სიტყვაში,
მაგრამ გესაუბრები ალღევებით, შეუჩერებლივ
და ჩემს ირგვლივ
თავბრუდამხვევად ვართავ სიტყვების ქსელს.

მერე მოდის ობობა –
ვგრძნობ, როგორ ფრთხილად მოცოცავს იგი
ფეხისგულიდან ზემოთ და მყლაპავს.
ქრება სიტყვების აბლაპავს.
ირგვლივ ყველაფერი ბნელია და უსიტყვო.

* * *

ქუჩა პოეზიაა.
წვიმიანი ქუჩა ჯორჯთაუნში კი, –
მიუხედავად ამერიკული
რესტორნების ბიზნესის, –
კიდევ უფრო მეტი პოეზია.
მევალება ვიყო **hostess**
და რესტორანს შევმატო
ბევრი კლიენტი.
მაგიური სიტყვა **money**.
გეშინოდეს როგორც ღმერთის
და თაყვანს სცემდე!

* * *

ამ ჭიქაში
შენი ამღვრეული სული ილექება.
ქვიშა ნელა მოძრაობს ფსკერისაკენ.
შენი სული ქვიშა ამ ჭიქაში.
გამჭვირვალე ხარ და თხევადი,
როგორც ეს სითხე.
წყლისფერია ჩემი მოდარაჯე მზერა,
რომელიც მკარნახობს, რომ
არაფერია ამაღლელებელი იყო ასეთი,
ხასიათი გაკლია და ემონები ფორმას,
რომელშიც გასხამენ...

* * *

თეფშიდან
თევზის ორი თვალი მომშტერება.
ვჭამ თევზს და ბრინჯს.
ბრინჯში ვპოულობ
შენს ორ თვალს...
სუნი მექსიკური რესტორნის
ცხელ ზაფხულის დღეს შეენება...

* * *

მთვრალი თოვლის კაცი
შავი შლაპით, რომელიც
მოხდენილად მოიხადა,
ჩამიკრა თვალი და გაქრა...
ახალი წელი თბილისში...
მუდამ მქონდა შიში,
რომ მთვრალი ქალაქიც ასე გაქრებოდა –
მოხდენილად...



შოთა იათაშვილი

ტანსაცმლის ოდა

არ შეუქმნია ღმერთს ადამიანი დედიშობილა.
 ღმერთმა იგი ტანსაცმლით შექმნა.
 საცვლებით, კაბით, შარვლით, წინდებით...
 ადამიანი ტანსაცმლითაა ადამიანი...
 როცა აცვია, სხვანაირად ფიქრობს, მეტყველებს,
 სხვანაირად იღიბება, სხვანაირად უყვარს მოყვასი...
 საკუთარი თავის სჯერა, საკუთარ თავს გრძნობს...
 მხოლოდ ჩაცმული ადამიანი ართმევს ხელს ჩაცმულს,
 მხოლოდ ჩაცმული ხატავს შიშველს,
 მხოლოდ ჩაცმული მღერის „წინწყაროს“ და ცეკვავს
 „ხორუმს“...
 ადამიანი ღმერთმა ქუდი და ფეხსაცმლით შექმნა.
 შექმნა თუნდაც პიონერის ყელსახვევით, შარფით,
 ჰალსტუხით...
 კაცი ჩაცმულ ქალს უმიჯნურდება,
 ჩაცმულს ჩუქნის ყვავილებს და პირველად კოცნის...
 ქალიც შემოსილ მამაკაცს ეტრფის...
 და საერთოდ, სიყვარული თუკი არსებობს,
 ეს იმიტომ, რომ ადამიანს როდესაც ქმნიდა,
 ღმერთს გარდერობი ჰქონდა მისთვის გამზადებული...
 გარდერობში ქალისათვის იყო თავშალი,
 იყო ჩადრი,
 იყო კორსეტი...
 მამაკაცისთვის – ანაფორა, ბუშლატი, ჩოხა...
 ერთისთვის – კვარტიც...
 ადამიანი ღმერთს ჩაცმულიც და შიშველიც უყვარს,
 მაგრამ მეტად უყვარს ჩაცმული...
 ღმერთი არის ჩვენი პირველი ჭეშმარიტი დიზაინერი...
 ერთხელ მოხდა: მეცნიერი აბაზანაში შიშველი იწვა
 და სამყაროს ერთი კანონი აღმოაჩინა.
 მაგრამ ეს ერთხელ.
 ამის შემდეგ სამყაროს ახალ და უფრო ღრმა საიდუმლოებს
 მეცნიერები შემოსილი სწვდებიან ხოლმე...
 ელექტრობა, ტელევიზია, ავიაცია თუ ინტერნეტი
 ტანსაცმელმა გამოიგონა...
 ტანსაცმელი გენიოსია!...
 ტანსაცმელი წერს შედეგებს: ბატის ფრთით თუ
 კომპიუტერით...
 ტანსაცმელი წმინდა წიგნებს წერს...
 ტანსაცმელი წმინდანია,
 ტანსაცმელი ესთეტია,

ტანსაცმელი ბრძენზე ბრძენია...
 გამორჩეული ტალანტი აქვს თითოეულს:
 მაგალითად, ტოვა არის ორატორი, ფილოსოფოსი,
 პარიკი არის მეცნიერი ან მუსიკოსი,
 მაისური – ფეხბურთელი, ხელბურთელი,
 კალათბურთელი...
 კომბინიზონი იცმება ტანზე,
 თავზე სკაფანდრი იხურება და ადამიანი ზეცაში აღის...
 (ღვთის გარდერობში სომბრეროებთან,
 შლაპებთან და კეპებთან ერთად
 სკაფანდრებიც ეკიდა თურმე...)
 რომ არა ასე, ადამიანი მთვარეზე თავის შიშველ
 ფეხისგულს
 ვერასოდეს ვერ დაადგამდა...
 ვერ ჩაიცვით-დაიხურეთ ხალხნო და მერე...
 გაეშურეთ კოსმოსისკენ...
 ვერ ჩაიცვით-დაიხურეთ და...
 მერე ეშმაკსაც ნაუღიხართ – შახტაშიც ჩადით...
 პირველად იყო...
 ლამის პირველად იყო მგონი ტანისამოსი...
 რაც იგი იქმნა,
 ადამიანი-ტანსაცმელი პირველად იწერს,
 ლოცულობს და ნამაზს აკეთებს...
 ადამიანი-ტანსაცმელი თავის მეგობარ
 ადამიან-ტანსაცმელთან ერთად ღვინოს სვამს
 და ყველაფერ ადამიანურ-ტანსაცმელურზე საუბრობს
 მათთან...
 ადამიანი-ტანსაცმელი მინას ხნავს და მოსავალს იმკის...
 ჩაცმულ-დახურულ ადამიანს შეენიე, მაღალო ღმერთო!...
 თავის შორტთან,
 თავის ჯინსთან,
 თავის ფრაკთან ერთად დალოცე!..
 დალოცე თავის ჩუსტებთან ერთად,
 სახლში მშვიდად რომ დაბაჩუნობს
 და ოჯახურ სიმყუდროვეს ქმნის!..
 დაულოცე აჭიმები, ლიპები და პანტალონები!..
 საცურაო კოსტიუმიც დაულოცე,
 რადგან უკვე მეორე დღეს
 საკუთარი დიადი ნებით
 ხმელეთთან ერთად ზღვაც გააჩინე...
 და თუ ასეა, დალოცე ყველა სექენდ-ჰენდი,
 ყველა საფირმო მაღაზია თავის სეილით!..
 დალოცე ყველა თერძი, ხარაზი, მოდელიორი...
 დალოცე ხელი იმ ქალისა, რუდუნებით რომ შეუკერა
 იესოს კვართი...
 სამკერვალო ფაბრიკები დალოცე, ღმერთო!..
 დალოცე, რადგან ადამიანი ტანსაცმლითაა ადამიანი...
 ტანსაცმლით ცხოვრობს, იტანჯება, შრომობს და უყვარს...
 ხოლო როცა იმქვეყნად წავა,
 ტანსაცმელი მას ცოტა ხნით დაიცავს კიდევც...
 ის გმირივით ჭიაღუების გააფთრებულ შემოტყევეს
 შეენიერება...

 ღმერთო ძლიერო, კიდევ კარგი,
 არ შექმნი ადამიანი დედიშობილა,
 კიდევ კარგი ჩაცმული და დახურული შექმნი იგი!..

მაია ჯალიაშვილი

„ადამიანი ღმერთს ჩაცმულიც და შიშველიც უყვარს“

„ადამ, სად ხარ?“ დაუძახა უფალმა ღმერთმა ადამს, რომელიც ევასთან ერთად აკრძალულ ხილნაგემი, თვალახილული და საკუთარი სიშიშველით შერცხვენილი ლეღვის ფოთლის შესამოსელით იმალებოდა. აქედან იწყება ტანსაცმლის „ისტორია“. დღემდე სამოსის ცვლაშია ადამიანი და ეს ცვლა შეიძლება შეუცნობელი ძიებაც იყოს იმ „პირველი სამოსელისა“, სამოთხიდან გამოდევნისას რომ დაკარგა. მერე იყვნენ ღმერთშემოსილი მამები, წმინდანები, მართალნი, სულიერი სამოსის მაძიებელნი, „ქრისტე რომ შეიმოსეს“, მაგრამ ისინი წიგნებმა შეიფარეს. თანამედროვე ცივილიზაცია მხოლოდ მატერიალურ სამოსელს ცნობს. ტვ-ის სატელევიზიო არხის პულსი და რიტმი წუთისოფლის ტანსაცმელმანიით შეპყრობას ამხელს. ელიოტიესული „ფუტურო ადამიანები“ ნაირნაირი სამოსით ინიღბებიან და თავს ათასგვარად ასალებენ (მათ შორის, ყველაზე ძველი, ალბათ, მგლის შემოსვაც ხევის ტყავში).

შოთა იათაშვილის ახალი ლექსი აღვიქვი, როგორც პაროდია თანამედროვე ყოფისა. ირონია, ერთგვარი საქილიკო ტონი და ეპატაჟური მანერა ფარავს პოეტის ტკივილს, რომელიც მოჟონავს სტრიქონებიდან, რომ ადამიანს აღარ ახსოვს სული და აღარ ზრუნავს მასზე.

ლექსი, ერთი შეხედვით, პარადოქსული განცხადებით იწყება. ტრადიციით ნასაზრდოები მოლოდინის ჰორიზონტი მკითხველისა მოულოდნელ და უჩვეულო თვალსაზრისებს აწყდება.

არ შეუქმნია ღმერთს ადამიანი დედიშობილა. ღმერთმა იგი ტანსაცმლით შექმნა.

ტანსაცმელი, ჩემი აზრით, ლექსში გაიაზრება, როგორც უნივერსალური „ნიღაბი“, რომელსაც შეუძლია ადამიანი გაათავისუფლოს თავისი მესაგან და სხვად აქციოს. დედიშობილა მხოლოდ ამქვეყნად მოვლენისასაა ბავშვი. ყოველი დაბადება ხომ ადამისა და ევას სამოთხიდან გამოდევნის მისტერიას იმეორებს. ამქვეყნად მოვლენილი სული ჯერ სხეულით, ხოლო მერე სხეული სამოსით იმოსება. ლექსში დედიშობილა სინმინდის, უმანკოების სიმბოლოა. ჩაცმული ადამიანი კი ღმერთს დაშორებულია. გასაგებია ლექსის ირონიული ტონი, თანამედროვეობის დაპირისპირება სახარებისეულ ჭეშმარიტებებთან.

ადამიანი ტანსაცმლითაა ადამიანი....

ეს უკვე აღარ არის მხოლოდ „ღვთის მსგავსება და ხატებად“ შექმნილი არსება, თავისუფალი არჩევანის ნებითა და სულის უკვდავების რწმენით. ეს წუთისოფლის ადამიანია, ყოველდღიური ყოფითი საზრუნავებით, მათ შორის, უპირველესად, სამოსზე საზრუნავით, ზედაპირულობით. მისი მზერა სიღრმეში ველარ მიდის, ტანსაცმლის იქით ველარ იხედება, ჯერ ტანსაცმელია და მერე დანარჩენი ყველაფერი.

როცა აცვია, სხვანაირად ფიქრობს, მეტყველებს, სხვანაირად იღიმება, სხვანაირად უყვარს მოყვასი... საკუთარი თავის სჯერა, საკუთარ თავს გრძნობს...

„სამოსელზე რაღას ზრუნავთ? შეხედეთ ველის შრომანებს, როგორ იზრდებიან: არც შრომობენ, არც ართავენ. მაგრამ გეუბნებით თქვენ, რომ სოლომონიც კი, მთელ თავის დიდებაში, არ შემოსილა ისე, როგორც ერთი ამათგანი“ (მათე, 6. 27,28) ამის დანახვას სულიერი თვალის სჭირდება, რომელიც, სამსუხაროდ, დახშული აქვს თანამედროვე ადამიანს, ამგვარი მეტაფიზიკა რომ აღარ აღელვებს.

ლექსში, ოდის შესაფერისად, ქება-დიდებაა ტანსაცმლისა, რომლითაც ადამიანი ფარავს თავის უბადრუკობას. ღირებულებათა ტრადიციული იერარქია თავდაყირა დაყენებული, ჯერ ტანსაცმელია და მერე ადამიანი. თანამედროვეობის სული ასე ორიგინალურადაა წარმოჩენილი ამ ლექსში.

ადამიანი ისე დაშორდა ღმერთს, „სამოსელი პირველი“ აღარ ახსოვს, ან სახსენებლად აღარ უღირს, რადგან ყოველთვის ის წიგნებშია, მკვდარია, რომელიც იშვიათად ცოცხლდება, რადგან აღარ კითხულობენ. ცოცხალი კი ისაა, რასაც ვეხებით, ვგრძნობთ და განვიცდით. ლექსის ირონია კულმინაციაა აღწევს სტრიქონებში:

რომ ადამიანს როდესაც ქმნიდა, ღმერთს გარდერობი ჰქონდა მისთვის გამზადებული...

ვფიქრობ, პოეტმა შეძლო ჩვენი ეპოქის დახატვა ასეთი უჩვეულო რაკურსით, რომელიც შეიძლება გვეხამუშებოდეს, მაგრამ გულგრილს ვერ დაგვტოვებს, გამოძახილს ჰპოვებს ჩვენს გულსა და გონებაში. თვითონ პოეტს კი „სამოსელი პირველი“ რომ ახსოვს და ძლიან კარგადაც, ეს ლექსში გაბნეული რამდენიმე სტრიქონიდან ჩანს.

ერთისთვის – კვართიც... ადამიანი ღმერთს ჩაცმულიც და შიშველიც უყვარს.

და, რა თქმა უნდა, მოთმინებით ელის უძღები შვილის შინ დაბრუნებას, მოთმინებით, იმედით და სიყვარულით. ეს მოლოდინი უსასრულოა, დრო-სივრცეში დაუსაზღვრავი.

პოეტს თითქოს ეშინია ლექსის ირონია სერიოზულობამ არ გადასძალოს და იქვე მიაყოლებს ქილიკს:

მაგრამ მეტად უყვარს ჩაცმული... ღმერთი არის ჩვენი პირველი ჭეშმარიტი დიზაინერი...

ყველაფრის ქება შეიძლება, მათ შორის, სიზარმაცისა თუ სისულელისა. ასე რომ, არც ტანსაცმლის ამგვარი ქება უნდა გვეუცხოებოდეს. კაცია და გუნება. ქება ისეთი აზარტულია, ისე შეგიყოლიებს, ვერც კი მიხვდები, როდის გადაიღახება ის ზღვარი, როცა უკვე იწყება ქება ქებისთვის ე. ი. სიტყვებით თამაში:

ტანსაცმელი გენოსია!..
ტანსაცმელი წერს შედეგებს: ბატის ფრთით თუ კომპიუტერით...
ტანსაცმელი წმინდა წიგნებს წერს...
ტანსაცმელი წმინდანია,
ტანსაცმელი ესთეტია,
ტანსაცმელი ბრძენზე ბრძენია...

და თანამედროვე პოეტის მჭევრმეტყველება დიტირამბებით ასე შეიძლება უსასრულოდ დახუნძლულიყო. სამოსი, რა თქმა უნდა, ერის ისტორიასა და კულტურას ასახავს, მაგრამ თანამედროვე სამოსზე ეს აღარ იტყმის. დღეს ხომ ნიუ-იორკსა, ტოკიოსა თუ თბილისში ერთნაირად აცვიათ და მხოლოდ ფოლკლორულ დღესასწაულებზე იცვამენ ეროვნულ სამოსს.

პირველად იყო...
ლამის პირველად იყო მგონი ტანისამოსი...

ასე ჩაენაცვლა ტანსაცმელი სულს.

დალოცე ხელი იმ ქალისა, რუდუნებით რომ შეუკერა იესოს კვართი...

ჩემი აზრით, მთელი ლექსი ამ სტრიქონად ღირს. არ ვიცი, რამდენად გავუგებ პოეტს, რომელიც სამოსის თაობაზე სიტყვებით ბავშვური გულწრფელობით ანცობს და ერთობა, მაგრამ ამ თამაშში ის რაღაც მნიშვნელოვანს მიაგნებს. ჩემთვის ეს სტრიქონი გადაიქცა ერთგვარ საყრდენ ნერტილად, საიდანაც მთელი ლექსის დანახვას შევეცადე. ის ქალი კი, ვინც იესოს კვართი შეუკერა, ღვთისმშობელია, რომლის კალთას დღემდე მყუდროდ ვართ შეფარებულნი. ის კვართიც საქართველოშია, სვეტიცხოვლის საძირკველში საიდუმლოდ ჩამარხული. ღვთისმშობლის სამოსიც საქართველოშია. ასე რომ, ქების შესხმა ნამდვილად ღირს ამ სამოსისთვის. მაგრამ ჩემი ფიქრი სხვაგან მიემართება, იქნებ სცილდება კიდევაც ლექსს, მაგრამ მე ხომ ლექსმა მიბიძგა ამგვარი ფიქრებისკენ.

სულხან-საბას ერთი ქადაგება გამახსენდა: „ნუ ჰგონებთ, თუ გეტყოდე არაჩაცმასა, არცა დახურვასა, არა კეთილად შემოსვასა... არამედ გეტყვი ჩაცმასა უცოდველად, დახურვასა არა ვალითა, მოკაზმასა არა ნატაცებითა... სამკაულთა შესხმასა არა ანგარებითა, არამედ ყოვლითა სიმართლითა და მადლობითა ღმრთისაითა; და რა-იგი მოეცეს ღმერთსა, კმა-იყოფდეთ, და გული გითქმიდესთ სამოსლისათვის ზეციერთა“.

ზეციური სამოსლისთვის „გული უთქმიდა“ გურამიშვილს და ამ ნატვრას ასე გამოხატავდა:

მტერმან განმძარცვა მე შესამკელი,
ტანთ საქორწინე შესამოსელი,
ვა, თუ მით ვიქნა გარეთ მრეკელი,
ქორწილსა შინა ველარ შემსვლელი.

თანამედროვე საზოგადოება კი უკვე განძარცვულია „საქორწინე შესამოსელისაგან“ და ამიტომაც არავინ გაუღებს ქორწილში შესასვლელ კარს.

ლექსის სტრიქონები მიშველია, ე.ი. განძარცვული ყოველგვარი მხატვრული სამოსელისაგან. ადამიანისგან განსხვავებით, ლექსს მკითხველთან საკეკლუცოდ სამოსი არ სჭირდება. ნებისმიერი სიტყვა ხომ თვითონვე არის აზრის სამოსელი. ვფიქრობ, ამ ტექსტით პოეტი თავს აღწევს ტანსაცმლის ყოვლისმპყრობელობას და ირონიით დასძლევს ამაოებას.

ჩვენი ფოსტა

პატივცემულო როსტომ!
„ჩვენი მწერლობის“ 2006 წლის 17 მარტის ნომერში დაიბეჭდა ელგუჯა თავბერიძის ნარკვევი „არ იმღერება ეს სიმღერა“.

ჩემს დაბადების დღეზე ვიყავი დაბატივებული სოფელ სვირის (ზესტაფონის რ-ნი) რესტორან „ბრეგულა ედემში“. ჩემმა სტუმრებმა მთხოვეს დამკვრელებისათვის შემეკვეთა რაიმე სიმღერა. ძალიან აღელვებულმა, სიამოვნების შეგრძნებით მოვუყევი დამკვრელებს ამ ნარკვევის — „არ იმღერება ეს სიმღერა“ — მეორე ნაწილი, თუ რა ვითარებაში შესრულდა 1914 წელს შალვა დადიანის ლექსზე, საქართველოს ჰიმნი.

რესტორანში მყოფი სტუმრები (სხვა მაგიდებიდან) დიდი ყურადღებით მისმენდნენ, დამკვრელები კი თვალეზაფართოებული მიყურებდნენ და ელოდებოდნენ, თუ რა სიმღერას შევუკვეთდი 1914 წლიდან დღემდე მოსული.

მე არა ვჩქარობდი, მსიამოვნებდა, თუ როგორი ყურადღებით და მოლოდინით მისმენდნენ, და თბრობის ბოლომდე არ გავამხილე სიმღერის დასახელება, მხოლოდ ორი დასაწყისი სტრიქონი წაუშლურე. დამკვრელებმა იმ წუთში აიტაცეს „მხოლოდ შენ ერთს“ და შეუწყვეტილვ გააგრძელეს დღევანდელი ჰიმნი.

ყველა სტუმარი, ვინც იმყოფებოდა ამ რესტორანში, წამოდგა ფეხზე. დამკვრელებმა მართლაც ჩინებულად შესარულეს შეკვეთა. შემდეგ ყველა მამაკაცი, ჭიჭა ღვინით ხელში მოდიოდა ჩვენს სუფრასთან, მიხდიდა მადლობას ნაამბობისათვის და სვამდა ჩემს სადღერძელოს, დამკვრელებმაც გულწრფელი მადლობა რომ გადამიხადეს, მე მათ ვუთხარი, თუ რომელ ჟურნალში წავიკითხე, და ვინ არის ამ ნარკვევის ავტორი.

მეც მიინდა გადავუხადო დიდი მადლობა ელგუჯა თავბერიძეს ასეთი ლამაზი ნარკვევისათვის და ჩემი მხრივ შევთავაზო რადიონარკვევი „მხოლოდ შენ ერთს“ ანუ „Мамина песня“, რომელიც შექმნა ვალერიან უთურგაულმა და მიანოდა რუსეთის რადიომსმენელს.

ჩემი აზრით, ვალერიან უთურგაულსაც რადიო-ნარკვევი გამოუვიდა ძალიან საინტერესო და, ასე მგონია, ელგუჯა თავბერიძე არ დარჩება გულგრილი და უსათუოდ გამოიმეხაურება.

ლუიზა ჯაფარიძე
მოსკოვი

რომენ როლანი

რილკეს

*

მისი მუშაობის მოგონება

ჩვენ ათი წლის განმავლობაში, შეიძლება ითქვას, კარის მეზობლები ვიყავით: ის – კამპან-პრემიერის ქუჩის მე-17 ნომერში ბინადრობდა, მე – მონპარნასის ბულვარზე, 162 ნომერში. ორთავეს ფანჯრებიდან იშლებოდა ხედი ერთსა და იმავე მშვენიერ მონასტრის ბაღზე, სადაც იყო სიმშვიდე, ბუმბერაზი საუკუნოვანი ხეები, ჩიტების ჭიკჭიკი. მიუხედავად ამისა ერთმანეთს არ ვიცნობდით, რადგან ორივე გულჩათხრობილ და მარტოსულ ცხოვრებას ვენეოდით. ყოველი ჩვენგანი მხოლოდ მაშინ არღვევდა თავის მარტოსულობას, როცა, თუკი საფულე ამის საშუალებას აძლევდა, მცირე ხნით ტოვებდა საფრანგეთს. ორივე ჩვენგანი მთელი სულიერი ძალით ებრძოდა პარიზს, – ასეთ მშვენიერს, ასეთ მიმზიდველსა და ასეთ მტანჯველს... di es amo.¹

ერთმანეთი შტეფან ცვაიგმა გაგაცნო. მას მუდამ ჰქონდა იშვიათი უნარი, სხვებზე ადრე შეენიშნა და გამოერჩია ხელოვნების ახალი, ნატიფი და მოკრძალებული ფასეულობა. ამაღლელები და გულისამაჩუყებელი იყო ის ალტაცება, რასაც გერმანულ და ავსტრიულ ლიტერატურაში უკვე კარგად ცნობილი ეს მწერალი კამპან-პრემიერის ქუჩის ახალგაზრდა განდევილს უმუღავნებდა. ის რილკეს სხვა გერმანელ პოეტებზე უფრო მაღლა აყენებდა, თვით ჰაუპტმანსა და შოფმანსტალზე უფრო მაღლაც კი. მომავალში ის რილკეს დიდ ზეასვლასა და აღიარებას უქადადა, რადგან საამისოდ მკაცრი და დაჟინებული სულიერი დისციპლინა და გულმოდგინება ჰქონდა.

ცვაიგმა პირველად 1913 წლის 17 მარტს შემახვედრა რილკეს პალე-როიალის მახლობლად ერთ რესტორანში, ვერპარნისა და დე ბახალჟეტის საზოგადოებაში. საუბა-

რი გვიან ნაშუადღეს დასრულდა ოტელ ბოჟოლიში, ცვაიგის ოთახში, რომლის ფანჯარაც პალე-როიალის ბაღში გადიოდა.

შეუძლებელია წარმოდგინო ერთმანეთისაგან ვერპარნისა და რილკეზე უფრო მეტად განსხვავებული ორი პიროვნება, თუმცა ორივე სიყვარულის ღირსია. მათგან პირველი იმხანად უკვე ჩემი მეგობარი იყო... ეს კელტი დევი-გმირი, გრძელი უღვაშითა და ხშირი შევერცხლილი თმით, წითელი სახითა და როხროხა ხმით, ადამიანური სითბოსა და სიტყვათა უშრეტ ნიაღვარს რომ აფრქვევდა. მის გვერდით მოკრძალებული რილკე, ჩემს მაშინდელ ჩანაწერს თუ გავიხსენებ, „თხელ, ბავშვურად ვარდისფერლოყება ახალგაზრდად მეჩვენა, თავიდან ცოტათი მორცხვობდა, მაგრამ ჩვენს ვიწრო წრეში მალევე გამხნედა, ალტაცებით და ბევრს ლაპარობდა, – ძალზე მოხდენილად, ბავშვურად და რომანტიულად“. ვერპარნი ჰყვებოდა, პარიზში ჩამოსვლისთანავე როგორ გაიცნო ბანვილი, რომელიც გზას უკვალავდა იმხანად ახალგაზრდა რიშპენს, მალარმეს გულისთვის კი თავის შეწუხება არ სურდა (ვერპარნი კი დიდად აფასებდა მალარმეს); ახსენა ბრანდი, რომელიც რენანით იყო გატაცებული (თავად ვერპარნი ვერ იტანდა რენანს), ისიც შენიშნა, რომ სწორედ ბრანდი იყო ის, ვისგანაც 1886 წელს პირველად გაიგონა ნიცშეს სახელი. იმ დროს ვერპარნი მუშაობდა ესეზე ფრანგული ხელოვნების შესახებ, რაზეც ისევ და ისევ თავისი ჩვეული გზნებით საუბრობდა. რილკემ მშვიდად, თვინიერად გვი-



რაინერ მარია რილკე. 1913 წლის ზაფხული.

ამბო, თუ როგორ ესტუმრა ტოლსტოის ორჯერ – მოსკოვსა და იასნაია პოლიანაში. აღფრთოვანებული იყო ესპანეთით, სადაც ორჯერ მოუწია გაჩერება, ორჯერვე რონდაში (როგორც აღმოჩნდა, იმავე დღეებში მეც იქ ვიყავი და შეიძლებოდა იქ ერთმანეთს შევხვედროდით კიდეც). ესპანეთით რილკეს ალტაცება ყველამ გავიზიარეთ.

სადილის ბოლოს ვისაუბრეთ ერთი უტოპიური პროექტის შესახებ. ეს გახლდათ „ლიტერატურული მიმონერა“, – რალაც მსგავსი იმისა, რაც თავის დროზე გრიმმა და დიდრომ განახორციელეს, როდესაც შეკრიბეს ლიტერატორთა უმნიშვნელოვანესი გამონათქვამები დასავლეთ-ევროპის ქვეყნების შესახებ. მთელი გულით ვეთანხმებოდი იმას, რასაც ჩემი მეგობრები უპირველეს და აუცილებელ საქმედ თვლიდნენ: საფუძველი ჩავყავა-

¹ ნიგინდან „რილკე და საფრანგეთი“

რა ევროპის მორალური და ინტელექტუალური ერთობისათვის...

.....
 რილკემ და მე იმ დღეს უშუალოდ ერთმანეთს ძალზე ცოტა ვესაუბრეთ, თუმცა უსიტყვოდ გავუგეთ ერთი მეორეს. რამოდენიმე დღის შემდეგ რილკე ჩემს სანახავად მოვიდა, მაგრამ შინ არ დავხვდი. შემდეგ მე ვესტუმრე. აპრილის დასაწყისი იყო. ვისხედით სახელოსნოში, მესამე სართულზე, სადაც მაგიდებისა და სკამების გარდა სხვა ავეჯი არ ყოფილა, სამაგიეროდ იყო ბევრი სივრცე და სინათლე. გარს გვერტყა მშვენიერი ბალი. ერთი საათის განმავლობაში ძალზე თბილად ვისაუბრეთ. მიუხედავად იმ დახასიათებისა, რაც ცვაიგმა მისცა, მე მომეჩვენა, რომ რილკეს ძალიან უყვარდა მშვიდი, ხანგრძლივი საუბრები. თავიდანვე დიდი ნდობით გადამიხსნა გული. მთავარი პარიზში გატარებული წლების შესახებ. თურმე 1902 წლიდან უცხოვრია აქ. შემდეგ პირველად ახსენა ჩემი თანდასწრებით როდენის სახელი და დიდი მოწინებები ილაპარაკა მასზე. თავს ბედნიერად თვლიდა იმის გამო, რომ ეს ხელოვანი სწორედ მისი შემოქმედების მწვერვალზე გაიცნო. ყველაზე მეტად როდენში ორი რამ აოცებდა: პირველი – მისი განსაცვიფრებელი შრომისუნარიანობა; ის წუთს არ კარგავდა უქმად; სეირნობიდან ახალდაბრუნებულს, ან ორ სხვადასხვა საქმეს შორის მოკლე შუალედში შეეძლო ისე ჩაღრმავებულიყო თავის შემოქმედებაში, რომ არაფერი სხვა მისთვის იმ წუთში არ არსებობდა; მეორე, რაც დაასახელა, იყო არანაკლებ საოცარი უნარი, ნებისმიერ მომენტში, ყველაზე შემანუხებელი თუ უხერხული გარემოებების მიუხედავად შეენარჩუნებინა იუმორი და სილაღე. ერთხელ, შუა ზამთარში, საშინელ ქარბუქში, როდენი თურმე გათოშილ რილკესთან ერთად დიდხანს ტკბებოდა შარტრის ტაძრის ცქერით და სრულებით ვერ ამჩნევდა ყინვასა და ქარს. როდესაც რილკემ მიანიშნა ამ ხელისშემშლელ მომენტებზე, როდენმა გაკვირვებით გადახედა და უპასუხა: „კი მაგრამ, დიდი ტაძრების გარშემო მუდამ ქარიშხალია!..“ ეს იყო უდრეკი სულია და სხეულის დამაინანი. ერთხელ ძალზე შენუხებული მისულა რილკესთან: „ვერ გამოვიგია, რა მემართება... ეგებ თქვენ ამიხსნათ? დიჟონში გავემგზავრე ტაძრის სანახავად და... მოვიწყინე. პირველად დამემართა ასეთი რამ მშვენიერი საგნის დანახვისას... ნეტავ რა უნდა იყოს ამის მიზეზი?..“ მას არ უყვარდა ელგრეკო, რომელსაც რილკე დიდად აფასებდა. რილკეს განსაკუთრებით ხობლავდა ელგრეკოს ტილოებზე ზეცა, რომელიც საერთოდ არ ჩანს ტინტორეტოსთან. როდენი ამაზე მშვიდი ღიმილით მიუგებდა ხოლმე: „კი მაგრამ, ჩემო კარგო, ზეცა – ეს უგემოვნებაა!..“ ასეთ გოროზ სიტყვებს მის გარდა მხოლოდ მიქელანჯელო თუ იტყოდა.

რილკე დიდად მადლობელი იყო ანდრე ჟიდისა, რომელმაც თარგმნა მისი ნაწარმოებების რამოდენიმე ფრაგმენტი ფრანგული ჟურნალისათვის „ა ოუველლე ლეჟუე რანცაისე“. რილკე ამბობდა, თარგმანი თითქმის

სრულყოფილიაო. სურვილი გამოუთქვამს, რომ ჟიდს რომელიმე მისი ნაწარმოები მთლიანად ეთარგმნა, რაზეც ჟიდს მოუბოდიშია და განუცხადებია, ეს იმდენად რთული სამუშაოა, რომ იმ ორიოდ გვერდსაც კი სამი თვე მოვანდომეო...

რამდენიმე დღის შემდეგ რილკე საპასუხო ვიზიტით მესტუმრა. კვლავ ისეთივე ლალი, გულახდილი საუბარი გამოგვივიდა. ვიგრძენი მისგან მომავალი სითბო, ჩემგანაც საპასუხო გახსნილობას რომ მოელოდა. მუდამ მარტოსულს, აშკარად უხაროდა, ერთბაშად ახლობელსულს როცა შეხვდებოდა. მთავარი თავისი მრავალტანჯული ბავშვობის ის ჯოჯოხეთური პერიოდი, – ათიდან თექვსმეტ წლამდე, – როცა სამხედრო სკოლაში იყო გამოწყვედილი: იქ ისეთი უსასტიკესი პატრიარქალური დისციპლინა სუფევდა, სრულებით რომ ახრჩობდა ყოველგვარ სიცოცხლეს; აღმინერა, ჯგუფურად როგორ გაჰყავდათ სასეირნოდ ამ საპყრობილეს ოთხ გალავანს შორის, უხეში ოფიცრის მეთვალყურეობის ქვეშ; მთავარი, მისი ზნეობრივად გარყვნილი ამხანაგები მუდმივი ერთადყოფნის უნებურად როგორ რყვნიდნენ ერთი მეორეს. ასეთ ყოფაში სასონარკვეთილების იმ დონეს მიაღწია, რომ საკუთარ თავს ეუბნებოდა: „რაკილა ყველა გარსმყოფს ეს არსებობა ბუნებრივად მიაჩნია და მხოლოდ მე ვარ სანინალმდეგო აზრისა, მაშ, მე უნდა ვცდებოდე; აი, ეს ყოფილა ნამდვილი ცხოვრება; ცხოვრება საზარელი ყოფილა...“ სრულიად მარტო, ყველა-საგან გარიყული, განზე გამდგარი, თავს მხოლოდ იმითა შევლოდა, რომ უცქერდა, უცქერდა ამ ყოველივეს, თითქოს ფანჯრიდან გაჰყურებდა გარეშე მოვლენებს. ამაში არაჩვეულებრივად გაიწაფა: ძალზე განუფითარდა დაკვირვებისა და ანალიზის უნარი. მაგრამ ამ პერიოდმა სამუდამოდ დაუსახიჩრა სული. ამას ისიც ემატებოდა, რომ მამამისი ყოფილი ოფიცერი იყო; ოჯახური ტრადიციის თანახმად, უფროსი ვაჟი აუცილებლად სამხედრო სამსახურში უნდა წასულიყო. რილკე კი მისი ერთადერთი ვაჟი იყო და სამხედრო საქმეში მის წარუმატებლობას მამა მოთმინებულად გამოჰყავდა. თუმცა აშკარად ამჩნევდა ამას, მაინც არ გამოუყვანია შვილი სკოლიდან. უკანასკნელი სასწავლო წელი რილკემ უწყვეტად ჰოსპიტალში გაატარა. როდესაც ამბობდა, მინდა პოეტი გამოვიდეო, გარშემო ყველა მასხრად იგდებდა. სწორედ აქედან მოდის ის უკაცური, გულჩათხრობილი ხასიათი, მისი ბუნების განუყრელ ნაწილად რომ იქცა. მაგრამ აქედანვე მოდის მისი განსაკუთრებული ინტერესი განათლების საკითხებისა და იმ მნიშვნელობისადმი, რასაც დღეს პედაგოგიკაში ბავშვის დამოუკიდებლობასა და პირად ინიციატივას ანიჭებენ... (ო, სამწუხაროდ, ეს „დღეს“ უკვე გუშინდელი დღეა. ნეტავ რას იტყოდა რილკე ჩვენს დღევანდელ დღეზე?)

გარდა ამისა ვისაუბრეთ ჩვენს საერთო მეგობარზე, პოლანდიელ მწერალ ფრედერიკ ვან ედენზე... შემდეგ რამდენიმე ძალზე ნატიფი ბერძნული და გრეგორიანული მელოდია მოვასმენინე. ვიცოდი, რომ ისინი კარგად

უნდა შეხამებოდა რილკეს შინაგან სამყაროს და მართალიც აღმოვჩნდი.

მაღევე, 20 აპრილს, მთელი ზაფხულით გავემგზავრე პარიზიდან. ერთმანეთს მხოლოდ შემოდგომაზე შევხვდით, მაგრამ იმდროინდელი ჩემი ჩანაწერები ახლა საზღვარგარეთ მაქვს დატოვებული, ასე რომ მიჭირს მოვლენების ზუსტად გახსენება. მაგრამ რილკეს მაშინდელი წერილი ცოტათი მაინც ამოავსებს ამ სიცარიელეს.

იგი პირველ დეკემბერს მივიღე, თან ახლდა რილკეს მშვენიერი ილუსტრირებული წიგნი როდენის შესახებ, გერმანული გამომცემლობა „ინზელის“ მიერ 1913 წელს დასტამებული, და, გარდა ამისა, ვან ედენის წიგნიც. წერილში ეწერა:

ძვირფასო ბატონო რომენ როლან,

...თქვენმა მაშინდელმა ვიზიტმა ძალზე გამახარა. ახლა მძიმე პერიოდი მაქვს (რომელიც, ცოტა არ იყოს, კიდევ გაგრძელდა) და, როცა ვცდილობ მოვიგონო ჩემი ცხოვრების მანუგეშებელი გარემოებები, ერთერთ ასეთ გარემოებად ის მეგულება, რომ თქვენ ჩემი მეზობელი და (თუკი უფლება მაქვს ასე ვიფიქრო) ჩემი მონყალე და დიდსულოვანი მეგობარი ბრძანდებით...²

შემდეგ ომი დაიწყო. ჩვენ ერთმანეთს ცეცხლოვანი კედელი და სისხლის ნიაღვარი გვაშორებდა. 1914 წლის გაზაფხულიდან მოყოლებული შვეიცარიაში ვიმყოფებოდი, იქ დავრჩი, საერთაშორისო წითელი ჯვრის ტყვეთა დახმარების სააგენტოში სამუშაოდ და, ამავე დროს, იმ წერილების დასაწერადაც, რომლებიც ამასობაში დაიბეჭდა და ჩემი მკითხველებსათვის ცნობილი გახდა. საბრალო რილკე მობილიზაციაში მოჰყვა. მე არ წარმომიდგენია სამხედრო მუნდირის ამაზე დიდი შეურაცხყოფა: იგი ჩააცვეს თვინიერ და უმწეო პოეტს, რომელიც მთელი არსებით ძრწოდა თავისი გასრესილი, განადგურებული ბავშვობის გახსენებისას! ცვაიგმა ნახა ის ამ მუნდირით ვენაში 1915 წელს; მისი სიტყვებით, რილკე სულიერად და ფიზიკურად ისე იყო დავრდომილი, არავითარ წინააღმდეგობას აღარ უწევდა ბედისწერას, რომელიც მას, როგორც რჩეულს, სხვებზე უფრო მზაკვრულ დარტყმებს აყენებდა. ერთ-ერთი ყველაზე აღმამფოთებელი დარტყმის შესახებ ცვაიგმა მიაგმა: „რილკეს პარიზის ბინაში დარჩენილი ავეჯი, მისი ხელნაწერები, ათი წლის მანძილზე ნაგროვები წერილები, მისი წიგნები, – ყველაფერი ეს ვილაცებს გაუყიდათ თუ გაუძარცვიათ. მისი ცხოვრების მთელი დიდი მონაკვეთი უხეშად იქა განადგურებული. დაიკარგა ხელოვნებისა და აზროვნების ძვირფასი ნიმუშები...“ რილკე იმდენად იყო განადგურებული, რომ შველის სათხოვნელადც კი არ ჰყოფნიდა ძალა...

მის მაგივრად შევლას მე მოვუხმე. 1916 წლის 7 იანვარს მივწერე მის მეგობრებს პარიზში. ვევედრებოდი, მხოლოდ რილკესთვის კი არა, „საფრანგეთის ღირსებისათვის“ გადაეჩინათ ის, რაც კიდევ დარჩა.

წერილი კოპოს გავუგზავნე. პასუხი ჟიდმა მომწერა 11 იანვარს, რასაც შემდეგ მისი სხვა წერილებიც მოჰყვა. ის თავზარდაცემული იყო. იმწამსვე გაქცეულა კოპოსთან ერთად კამპან-პრემიერის ქუჩაზე. მაგრამ გაყიდვის შემდეგ, რომელიც ფრიად საეჭვო პირობებში განხორციელდა, უკვე ერთი წელი ყოფილა გასული! ეს იყო ნამდვილი ყაჩაღობა. ოთხიდან სამი დამნაშავეს კვალს ველარ მიაგნეს, მეოთხემ კი თავი მოისულელა, აღარაფერი მახსოვსო. გატაცებული წიგნებისა და ავეჯის ღირებულება 538 ფრანკს შეადგებდა! საბედნიეროდ, კონსიერეს უყოჩაღია: წერილები და ზოგიერთი დოკუმენტი ჩემოდნებში გადაუშალა. ეს მაინც გადარჩა! მაგრამ ჟიდი მაინც საშინლად განიცდიდა იმას, რომ ვერ შეძლო ძვირფასი მეგობრისათვის ამ მორალური დარტყმის აცილება.

რილკეს ყურამდე მიაღწია ამბებმა, რომ პარიზში მასზე ზრუნავენ და ეს მის დაჭრილ გულს სალბად მოედო. მაგრამ ჭრილობა ძალზე ღრმა იყო. ცვაიგი მწერდა: „ყველა გარემოება საბედისწეროდ მის წინააღმდეგაა მომართული და წიგნებისა და ხელნაწერების დაკარგვა ამ ჯაჭვის მხოლოდ ერთ-ერთი რგოლია.“

მისი ბედისწერა კი თავისმხრივ მხოლოდ ნაწილი იყო იმ საერთო ბედისწერისა, ურიცხვი კლანჭი რომ ჩაასო გერმანიისა და ევროპის სხეულს და ჩვენ ყველანი კიდევ კარგა ხანს მისი მსხვერპლნი ვიყავით...

ჩვენ ორის პირად ბედისწერას რაც შეეხება, მას, როგორც ჩანს, დაჟინებით სურდა, მას შემდეგ, რაც ათი წელი პარიზში რილკეს მეზობლად ვცხოვრობდი, ეს შვეიცარიაშიც გაგრძელებულიყო. მოხდა ისე, რომ მის მეზობლად აღმოვჩნდი მისი სიცოცხლის ბოლო წლებშიც და მისი აღსასრულის ჟამსაც. მან მაღლა, მიუზოში მოიწყო ბუდე, მე კი იმხანად სიერში ვცხოვრობდი და ბევრჯერ ავეყევი მისი ციხე-კოშკისაკენ ამავე კლდოვან აღმართს. და, როდესაც ის გარდაიცვალა ვალმონტის კლინიკაში, რომლის ხშირი სტუმარი მეც ვიყავი, ჩემი თანჯრიდან ვილნიოვში, ჩამავალი მზის ოქროსფერ ნათელში, დავინახე, თუ როგორ დააღწია თავი მისმა სულმა მიწიერ საპყრობილეს. რადგანაც გულდასმით ვადევნებდი თვალს მძიმე და აუხსნელ სენტან მის უკანასკნელ ჭიდილს, ვიცი, რომ ბედის ამ საბოლოო დარტყმასაც ისევე წრფელად და უშფოთველად შეეგება, როგორც მუდამ სჩვეოდა მის კეთილშობილ და ეულ სულს... The rest is silence.³

1941 წლის 1 დეკემბერი

ფრანგულიდან თარგმნა
თამარ კოტრიკაძემ

- 1 (ლათ.) მიყვარხარ და მძულხარ.
- 2 თითქმის მთელი წერილი ეთმობა ვან ედენს, „ამ კეთილშობილი და თავდადებული კაცის ცხოვრებას“. – რამოდენიმე მოკრძალებული სიტყვით მოიხსენიებს საკუთარ წიგნსაც. (ავტორის შენიშვნა)
- 3 „შემდეგ – დუმილი...“ (შექსპირის „ჰამლეტის“ ფინალი)

გრიგოლ აბაშიძე

ანი, ბანი, ბანი...

ოჯახი

აბაშიძეების გვარი ძველია და საკმაოდ გავრცელებული – მთათუშეთიდან მოყოლებული და აჭარით გათავებული.

აჭარაში დღემდე ცხოვრობენ ერთ დროს დიდგვაროვანი აბაშიძეები. ჩვენს დროში აჭარელმა აბაშიძეებმა – მემედ ბეგ, ზია ბეგ და ჰაიდარ ბეგ აბაშიძეებმა ოსმალეთის სანჯაყბეგობის პატივს ქართველი პატრიოტობა არჩიეს და ჩვენს სამშობლოს ფიზიკურადაც და სულიერადაც აჭარა შემოუმტკიცეს.

აბაშიძეებმა კახეთში ჩვენს დრომდე მოაღწიეს და 1924 წელს კომკავშირლებმა ერთიანად ამოხოცეს (სოფ. ვეჯინი). ეს აბაშიძეები ალბათ ნიკოლოზ ბარათაშვილის „ბედი ქართლისაში“ მოხსენიებული იოანეს შთამომავლები იყვნენ:

**თამაზ ენისელთ მოურავის ძე
და იოანე კახთ აბაშიძე...**

პავლე ინგოროყვამ ერთხელ ჩემთან საუბარში გამოთქვა მოსაზრება, რომ აბაშიძეების გვარი იმ მუხას-ძედან უნდა მოდიოდეს, რომელსაც მონღოლების შემოსევისას რუსუდან დედოფალმა თბილისის დაცვა მიანდო, როცა იგი იმერეთს ილტვოდაო (სამწუხაროდ ბნ პავლეს წყარო არ ახსოვდა და არ მიუთითებია).

XVII-XVIII საუკუნეებში აბაშიძეების გვარი ზემო იმერეთში გაძლიერდა და მათი გავლენა სააბაშიო ქართლის ნანილზედაც (ხაშურამდე) ვრცელდებოდა. კაცების თავადები მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ იმერეთის სამეფოში, ხოლო ერთ-ერთი აბაშიძე (გიორგი) ცოტა ხნით იმერეთის ტახტზეც იჯდა.

ჩემი წინაპრების საცხოვრისი სოფელი ჭალა (საჩხერის რაიონი) იყო. ეს საკმაოდ დიდი და მშვენიერი სოფელი დღესაც არსებობს. ჭალელი აბაშიძეები „ტახტის აზნაურები“ იყვნენ და ამით თავიც მოჰქონდათ. მათი შთამომავლები იმდენად მომრავლდნენ ჭალაში, რომ ერთმანეთისგან გამოსარჩევად მეორე გვართაც იწოდებოდნენ (ივანიშვილები, თოთიკაშვილები და სხვ.).

მამაჩემის მამა – ჭალელი იოსებ აბაშიძე სოფელ ზედარგანში (დღევანდელი ჭიათურის რაიონი) ზედსიძედ შესულა არქიფო ერგემლიძის ოჯახში, ვასასი ერგემლიძის ქალი შეურთავს და პირველი შვილისათვის გრიგოლი (შინაურობაში ჯიბო) დაურქმევია.

მე ჯიბო აბაშიძის მეხუთე შვილი ვარ (მას სულ ექვსი შვილი ჰყავდა).

სოფელი ზედარგანი ჭიათურიდან 4-5 კილომეტრით არის დაშორებული და მამაჩემის ოჯახს ის უფრო საზაფხულო აგარაკობას უწევდა, თუმცა ვენახები და სახნავ-სათესიც საკმაოდ გვქონდა; ჩემს მახსოვრობაში იქ მხოლოდ ზაფხულობით ვცხოვრობდით.

როდესაც ჭიათურის რაიონის სოფლებში შავი ქვის (მანგანუმის) მადანი აღმოჩნდა, ჭიათურას უამრავი ბედის მაძიებელი მოაწყდა თურმე – ესენი იყვნენ გერმანიისა და ინგლისის, საფრანგეთისა და ბელგიის ინდუსტრიული ცენტრების წარმოგზავნილები, აგრეთვე ბერძნები და სომხები. ისინი ჩალის ფასად იძენდნენ რაიონის ლარიბი თავადაზნაურობისაგან მწირმოსავლიან მამულებს, რომელთა წიაღი არაჩვეულებრივად მდიდარი იყო უმაღლესი ხარისხის მადნით.

მამაჩემს აკაკი წერეთლის რჩევითა და საკუთარი ალლოს კარნახით, სხვა მინისმფლობელთაგან განსხვავებით მამულების მატება და შესყიდვა დაუწყია. როცა რევოლუციამ და მინის ნაციონალიზაციამ მოუხსნო, მამა მადნით უმდიდრესი მამულების პატრონთა შორის ერთ-ერთი პირველთაგანი ყოფილა. რევოლუციამ და შემდეგ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ გამდიდრების ეს წყარო მოსპო, მაგრამ მამაჩემი იმ დროისათვის უკვე კაპიტალისტი ყოფილა. ნეპის პირობებში ის შავი ქვის გამამდიდრებელ ორ ქარხანას (№4 და №17) ფლობდა, საკუთარი ფირმა ჰქონდა და ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა სააქციო საზოგადოების („ჩემო“) საქმიანობაშიც ნამყვან როლს თამაშობდა, როგორც აქციონერი და ქველმოქმედი მოღვაწე.

მამა გონებაგახსნილი, ბუნებრივი ნიჭით უხვად დაჯილდოებული კაცი იყო და სულ ნანობდა, რომ თავის დროზე შესაფერისი განათლება ვერ მიიღო (საჩხერის სკოლაში, სადაც იგი წარმატებით სწავლობდა, თურმე, რაღაც ეპიდემია გაჩენილა, მშობლებს შეშინებიათ, შვილი არ დაგველუპოსო, ბავშვი სკოლიდან გამოუყვანიათ და შემდეგ უკან აღარ მიუბრუნებიათ).

ამ დანაკლისის შევსებას მამა თვითგანვითარებით ცდილობდა, უყვარდა ნიგინი და ბევრს კითხულობდა. საოცრად მიმნდობი და გულმართალი იყო. მახსოვს, ჩემს ბავშვობაში, ჩემმა უფროსმა ძმამ – დათიკომ კვიცი იყიდა. ძალიან ლამაზი კვიცი იყო და ჩვენ ყველანი ზრუნვას არ ვაკლებდით. რომ გაიზარდა და გახედნეს, მამაჩემი სხვა ცხენზე აღარ ჯდებოდა, თუმცა იმის გარდა კიდევ ორი ცხენი გვყავდა – და ერთ მშვენიერ დღეს ჩვენი ნაფერები ცქციტა (ასე ვეძახდით მას) თავის უნაგირითა და ალკაზმულობით, მამამ ვილაც კიკნაძეს „უფუშქამა“. ძალიან გული დაგვწყდა, მაგრამ მამის სურვილის წინააღმდეგ ვის შეეძლო!

მეორე შემთხვევა არც ისე დიდი ხნის წინათ მოხდა. ერთმა ჩემმა მეგობარმა მითხრა, ჩვენთან ინჟინერი ვახტანგ ჯაფარიძე მუშაობს, მამაშენთან ერთად გადასახლებულთა „ეტაპში“ მოხვედრილა და დაუჯერებელ ამბავს ჰყვებაო. შევეხვეწე, ჩემთან მოეყვანა. ერთ საამოს ჩემს მეგობართან ერთად წყნეთში მენვია ეს ჯა-

ფარიძე. ასე სამოცი წლისა იქნებოდა, უკვე გაჭალარა-
ვებული და გატყევილი.

– მე სამუშაოდან წამიყვანეს, ზაფხული იყო და, რაც
მეცვა ტანთ, იმის ამარა ჩამრთეს ეტაპში. გადასახლე-
ბულთა ვაგონში რომ შემეყვანეს, ციოდა. მამათქვენმა
ამხედ-დამხედა, თბილი არაფერი გაქვსო? – მკითხა და
პასუხს არ დაელოდა, თავისი პალტო გაიხადა და მე მო-
მახურა. შევწუხდი, თქვენ თავად რას ჩაიცვამთ-მეთქი.

– არა უშავს, მეც რალაცას ვენვიო, – მითხრა და
არაფრით პალტო უკან აღარ დაიბრუნა. ჩვენ სხვადასხვა
ბანაკებში გაგვანაწილეს და მერე ერთმანეთს აღარ შევ-
ხვედრივართ, რომ როგორმე
მადლობა გადამეხადა. სულ
იმის დარდი მქონდა, მე კი გა-
დამარჩინა ამ კეთილმა კაცმა,
მაგრამ ვაითუ თვითონ ჩემს
გადარჩენას ემსხვერპლა.
ეგებ თქვენ მაინც მოგაგოთ
მამათქვენის სამადლობელი,
მზად ვარ გემსახუროთ.

მე მისი რა სამსახური უნ-
და დამჭირებოდა, თვითონ
გადავუხადა მადლობა, რომ
მამაჩემის სიკეთეს აფასებდა
და მეც მის კეთილშობილე-
ბის ამბავს მაზიარა.

მამა საერთოდ ძალიან
გულუხვი და პურადი კაცი
იყო. იგი დღევანდელი დღით
ცხოვრობდა და „შავი დღის-
თვის“ არაფერს ინახავდა.
ამის გამო იყო, რომ როგორც
კი დააპატიმრეს, მისი მრავალრიცხოვანი ოჯახი სილა-
რიბეში ჩავარდა.

დაპატიმრება კი ასე მოხ-
და: მამაჩემის პაპა დედის
მხრიდან, არქიფო ერგემლიძე,
ოთხმოცდაათ წელს მიტა-
ნებული მოხუცი, 1927 წელს
ავად გახდა. ბაბუა მეტად კო-
ლორიტული პიროვნება იყო. ობლობაში გაზრდილს მი-
წის საკუთრებაზე დავა მოსვლია მეზობლებთან, მოდავე
მძიმედ დაუჭრია და ამ დანაშაულის გამო გაუციმბირე-
ბიათ. ჯანმრთელი კაცი ყოფილა, სასჯელი მოუხდია,
შინ საღ-სალამათი დაბრუნებულა და ოჯახს მოჰკიდე-
ბია. სამოც წელს მიტანებული ორივე თვალით დაბრმა-
ვებულა, მაგრამ არ გატყევილა. კარგი ხმა და სმენა ჰქონ-
და, ციმბირული სიმღერები იცოდა და ცოტას რომ და-
ლევდა, სიამოვნებით ისხენებდა. მორწმუნე კაცი იყო და
რაკი უსინათლობის გამო თითქმის არაფრის გაკეთება
აღარ შეეძლო, დღე-ღამის უდიდეს ნაწილს ლოცვაში
ატარებდა. საეკლესიო საგალობლების მცოდნე იყო,
წირვას არ გამოტოვებდა. ამბიონთან სკამს უდგამდნენ
და მლოცველთა დამატებობლად გალობდა.



გრიგოლ აბაშიძე მამასთან ერთად

აი ეს მოხუცი რალაც ავადმყოფობამ წააქცია, ერ-
თბაშად მოტყეხა და გალია. წამლებმა და ექიმებმა ველარ
უშველეს და აღესრულა.

კვირა დღეს ვასაფლავებდით. ეკლესია და სასაფ-
ლაო ჩვენი სახლიდან სულ ახლო იყო. მიცვალებული გა-
მოსვენეს და ცოტა ხნით ეზოში დაასვენეს.

სწორედ ამ დროს დაგვადა თავს ორი ჩეკისტი, ჭია-
თურის „ჩეკას“ უფროსი დავლიანიძე ეზოს გარეთ უც-
დიდათ. მამამ ითხოვა, მიცვალებული დამამარხვინეთ
და მერე წამიყვანეთო, მაგრამ ჭირისუფლების ხვეწნა-
მუდარა დავლიანიძემ ყურად არ იღო, მამაჩემს მიცვა-
ლებულთან გამოთხოვება არ
აცალეს, შუაში ჩაიყენეს და
ჭიათურისკენ გააქანეს.

შემდგომში ეს დავლიანი-
ძე დანინაურდა თავის სამსა-
ხურში და ბოლოს ვენერლო-
ბამდეც მიაღწია. მე ის დარ-
ბაზიდან ვნახე, როგორც სა-
სამართლო სხდომაზე დამ-
სწრემ. იგი ბერიას უახლოეს
თანამშრომლებთან (რაფავა,
რუხაძე, წერეთელი, ხაზინი
და სხვ.) ერთად, ბრალდებუ-
ლის სკამზე იჯდა, დაფუყუ-
ლი, სათაგურში გამომწყდე-
ული თავგვივით დამფრთხალი
და შეშინებული.

იმ დღიდან ჩვენი ოჯახის
ჩარხი უკულმა დატრიალდა.
მამა ერთხელ კი დაბრუნდა
ციხიდან, მაგრამ მეორედაც
დააპატიმრეს (1932 წ.). მესა-
მედ მამა 1937 წელს დააპა-
ტიმრეს.

ეს იყო ჩვენი ოჯახის გაუ-
ბედურების წელი: მამა ათი
წლით ციმბირში გადასახ-
ლეს, ჩემი უფროსი ძმა დავი-
თი, რომელმაც უმაღლესი გა-
ნათლება გერმანიაში მიიღო

და უკრაინის ერთ-ერთ დიდი საწარმოს მთავარ ინჟინ-
რად მუშაობდა, დახვრიტეს, ხოლო მისი ცოლი გადაა-
სახლეს. მათ წლინახევრის გოგონა ჰყავდათ, ჩემი რძა-
ლი რომ ჩეკაში დარბოდა ქმრის გადასარჩენად, პატარა
გაუცივდათ და დაეღუპათ. მამაჩემს ერთადერთი ძმა
ჰყავდა – მიხაკო აბაშიძე, მანაც უმაღლესი განათლება
ევროპაში (ავსტრიაში) მიიღო. მამა მიხაკოზე 21 წლით
უფროსი იყო და ისიც შვილივით ჰყავდა გაზრდილი.
როგორც გადმოგვცეს, ბიძაჩემი ციმბირისაკენ მიმავალ
ეტაპში დაღუპულა.

ჩვენი ოჯახის კიდევ ერთი წევრი – ჩემი დის ქმარი –
ნიკოლოზ წერეთელი ათი წლით გადასახლეს. ერთ
ოჯახში ამდენი რეპრესირებული ალბათ სარეკორდო
იყო იმ დროისთვისაც კი.

**მიხეილ ჯავახიშვილის
ადლით**

უნივერსიტეტის ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი 1936 წელს დავამთავრე წარჩინებით და გიორგი ლეონიძემ ლიტერატურის მუზეუმის უმცროს მეცნიერ-თანამშრომლად ამიყვანა. მუზეუმში დიდხანს არ მიმუშავია. იმ დროისათვის საკმაოდ მქონდა გამოქვეყნებული ლექსები და მძვინვარე რეპრესიებს რომ გავრიდებოდი, მიხეილ ჯავახიშვილისა და ილო მოსაშვილის ხელშეწყობით მოსკოვს გავემგზავრე, კინემატოგრაფიის ინსტიტუტთან მწერლებისათვის გახსნილ სასცენარო აკადემიაში სასწავლებლად.

მიხეილ ჯავახიშვილი ჩვენი დროის უდიდესი ქართველი ბელეტრისტი; მან პირველმა შექმნა ჩვენში ევროპული რომანები, რომელთა შორის „ჯაყოს ხიზნები“ ნამდვილად საუკუნის ნიგნია. მან ქართველებს დაანახა ის დიდი საფრთხე, რაც ჩვენს დროში განხორციელდა, მან თითქოს იწინასწარმეტყველა ის უბედურება, რაც ქართველი თავადების მცონარობის შედეგად დღეს ხდება.

„ჯაყოს ხიზნები“ ქუთის სასწავლებელი ნიგნია; დაწერილია ჭეშმარიტი მამულიშვილის დიდი გულსიტკვილით სამშობლოს ბედზე, მის მომავალზე დაფიქრებული მწერლის გულახდილობით. მიხეილ ჯავახიშვილის ლიტერატურულ მემკვიდრეობაზე მე არაერთი წერილი მაქვს დაწერილი და მასზე ჩემი მალალი აზრის აქ განმეორებით თავს აღარ შეგანყენთ. მე მხოლოდ მასთან ჩემს ურთიერთობაზე მინდა მოგიტყვი:

1937 წელს, როცა სტალინურმა რეპრესიებმა პიკს მიაღწია, ჩემი ოჯახი სხვაზე მეტად დაზარალდა. მეც უთუოდ ჩემი ოჯახის წევრების ბედს გავიზიარებდი, მიხეილ ჯავახიშვილი რომ არ მომვლენოდა გადამრჩენლად. ბატონი მიხეილი საქართველოს ლიტფონდის თავმჯდომარე იყო და მას მოუვიდა მოსკოვიდან მომართვა შეერჩია ერთი ახალგაზრდა მწერალი სასცენარო აკადემიაში გასაგზავნად. მიხეილ ჯავახიშვილის და მისი მოადგილის - პოეტ ილო მოსაშვილის არჩევანი ჩემზე შეჩერებულა. ბატონმა მიხეილმა დამიბარა და მამაშვილურად მირჩია მესარგებლა ამ კარგი შემთხვევით, პირობები გამაცნო, თავის მხრივაც დახმარება აღმითქვა სტიპენდიის დანიშვნით. ჩემთვის ეს შეიძლება ერთადერთი შანსიც იყო გადარჩენისა, რადგან მწერალთა კავშირში ჩემზე „მზრუნველი“ ადამიანები, რომლებიც „ხალხის მტრების“ გამომჟღავნებაში იყვნენ დაოსტატებულნი, ჩემს „სამხილებელ“ მასალებს აგროვებდნენ.

მე ბატონი მიხეილის წინადადება მაშინვე მივიღე მადლობით, მოსკოვს გავემგზავრე და სასცენარო აკადემიაში გამოცდები ჩავაბარე. თითქმის ორი წელი დაყვავი მოსკოვში და სწორედ იქ ყოფნას ვუმაღლი, რომ ოცდაჩვიდმეტ წელს გადავურჩი. მოსკოვშივე შევიტყვე, რომ ჩემი კეთილისმყოფელი მიხეილ ჯავახიშვილი თვითონ ვერ გადაურჩა რეპრესირებას.

1937 წლის ტრაგიკული მოვლენებიდან დაახლოებით ოცი წლის შემდეგ, როცა უდანაშაულო ადამიანების „ლიკვიდაციის“ მონაწილე ქართველ ჩეკისტთა გასამართლებას ვესწრებოდი, ჩემს გვერდით იჯდა მიხეილ ჯავახიშვილის ქალიშვილი ქ-ნი ქეთო. ბრალდებულთა სკამზე ისხდნენ: რაფაეა, რუხაძე, წერეთელი, კრიმიანი და სხვა ჯალათები, რომელთაც ჩვენი ხალხის საუკეთესო შვილები მოსპეს.

სასამართლოზე ბრალმდებლად სსრ კავშირის გენერალური პროკურორი რუდენკო გამოდიოდა. იგი აიძულებდა განსასჯელებს ბოლომდე ელიარებინათ თავიანთი „წვლილი“ იმ არნახულ რეპრესიებში, მაგრამ როგორც კი ისინი მიზეზთა მიზეზს – სტალინის მიადგებოდნენ, სიტყვას აწყვეტინებდა და ნებას არ აძლევდა სათქმელი ბოლომდე ეთქვათ. ასე მაგალითად, წერეთელი მოყვა, როგორ გამოაყოლეს ის და ვლოდიმირსკი მოსკოვიდან იმ მატარებელს, რომლითაც სსრ კავშირის ელჩი ჩინეთში – იურიევი მოდიოდა წყალტუბოში დასასვენებლად. მათ ელჩის „გასაღება“ ევალებოდათ. რუდენკო ჩააცვიდა, როგორ მოკალითო, წერეთელი ჯიუტობდა, არ უნდოდა თქმა, მაგრამ ბოლოს ამოლერდა: ჩაქური დავარტყითო თავში. ამ აღიარებამ დამსწრეებზე ურუანტელის მომგვრელად იმოქმედა. ვისი დავალებით ჩაიდინეთ ეს მხეცობაო – შეეკითხა რუდენკო. წერეთელს არ უნდოდა პასუხის გაცემა, მაგრამ მაინც იძულებული გახდა ეთქვა, ბერიას დავალებითო და იქვე დაუმატა, რატომ იმას არ შეეკითხებით, ბერიამ ვისი დავალებით დაგვავალა ჩვენო. რუდენკომ მაშინვე მოუჭრა სიტყვა და არ ათქმევინა, რომ ბერია სტალინის დავალებით მოქმედებდა.

სასცენარო აკადემიაში ცოდნის გასაღრმავებლად კარგი პირობები მქონდა. ლექციები კვირაში მხოლოდ სამჯერ გვეკითხებოდა კინოხელოვნების, ზოგადად ხელოვნების, კინოტექნიკისა და სასცენარო ხელოვნების საგნებში. დანარჩენი სამი დღე „შემოქმედებით“ დღეებად გვეთვისებოდა და ლექციები აღარ გვიტარებოდა.

აკადემიაში მომუშავე და აგრეთვე მონვეული ლექტორები შემოქმედებითი ელიტის წარმომადგენლები იყვნენ (ალ. ტოლსტოი, ვ. შკლოვსკი, კ. სტანისლავსკი, ს. იუტკევიჩი, ვ. პუდოვკინი, ს. ეიზენშტეინი და სხვ.). მახსოვს, ერთხელ სტანისლავსკიმ სამხატვრო თეატრში მიგვიწვია და თავის რეპეტიციას დაგვასწრო.

აკადემიას შესანიშნავი ფილმოთეკა ჰქონდა და ჩვენ, მსმენელებს შეგვეძლო ნებისმიერი ფილმი შეგვერჩია, გამოგვეჩერა და გვენახა.

იმ წლებში მოსკოვის ბუკინისტური მაღაზიები სავსე იყო იშვიათი ნიგნებით (როგორც ამბობდნენ, რეპრესირებულთა ოჯახებიდან) და მე მაშინ შევიძინე რუსული და დასავლური პოეზიის ბევრი რარიტეტული გამოცემა, რომლებიც ჩემს ბიბლიოთეკას ამშვენებს.

ერთი სიტყვით, თვალსაწიერის გაფართოებისა და განათლების გაღრმავებისათვის „სასცენარო აკადემიაში“ ყველა პირობა იყო და იმ ორ წელიწადს ჩემთვის ამაოდ არ ჩაუვლია.

ის იყო საოცრება...

*

ნუცა თოფჩიშვილს ესაუბრება მერაბ თავაძე

ბევრს კარგად ახსოვს რუსთაველის თეატრის „ოქროს ხანა“, ტრიუმფალური სპექტაკლი „კავკასიური ცარცის წრე“ და განუმეორებელი გრუშე ვაჩნაძე. უკვე სამი წელი მიილია, რაც ქალბატონი იზა გიგოშვილი ცოცხალი აღარ არის, მაგრამ მის მიერ დაარსებულ „სამეფო უბნის თეატრში“ იზა გიგოშვილის სული ტრიალებს და მისი ერთგული მეგობარი და მეუღლე, მერაბ თავაძე ბურჯივით უდგას თეატრს და იზას ხსოვნის უკვდავსაყოფად ყველაფერს აკეთებს.


ბატონ მერაბს სასაუბროდ თეატრში ვენციეთ, სადაც მან ტკივილით და სევდით გაიხსენა იზა გიგოშვილის რთული ცხოვრება, თეატრის ინტრიგები და მკითხველისთვის ბევრი უცნობი დეტალი.

– ბატონო მერაბ, როდის გაიცანით თქვენი მეუღლე და ეს ხომ არ იყო ერთი ნახვით შეყვარება?

– ერთ-ერთ პირველ სექტემბერს, თეატრალურ ინსტიტუტში პირველი კურსის სტუდენტი როცა მივედი. საზეიმო განწყობა სუფევდა, უამრავი სტუდენტი ირეოდა. ჩემი ყურადღება მიიქცია ძალიან გამხდარმა, ფართოვალეზიანმა გოგონამ, რომელსაც განიერი ბოლოკაბა და ძალიან მსუბუქი, თხელიძირიანი, ტყავის ფესხაცმელი ეცვა. ისეთი აღნაგობა ჰქონდა, უფრო მოცეკვავეს ან ბალერინას მიამსგავსებდით. იმ პერიოდში თეატრალურ ინსტიტუტში ძალიან ბევრი ლამაზი გოგონა სწავლობდა, მაგრამ იზა მათ შორის გამორჩეული იყო. შეხედავდი და დაგამახსოვრებოდა. ერთ ჯგუფში აღმოვჩნდით. ცოტათი უფროსიც იყო. თეატრალურ ინსტიტუტში ჩაბარებამდე მინსკის სამხატვრო აკადემიაში სწავლობდა. მიუხედავად იმისა, რომ კარგად ხატავდა, დაანება სამხატვრო აკადემიას თავი და სამსახიობო ფაკულტეტი აირჩია. ჩვენს შორის მეგობრული ურთიერთობა მალე დამყარდა. მის გვერდით ყოფნა საოცრად მიზიდავდა და ერთხელაც სიყვარულის ახსნა მიკიბულ-მოკიბულად მოვახერხე. ჩემს ნათქვამზე იზას გაეღიმა. თურმე ქმარი და თვეების ქალიშვილი ჰყოლია. ახლა რაც ჩვეულებრივად იქცა, ადვილად არ გადაილახებოდა ჩვენს თაობაში. იყო მორალის დანერგილი თუ დაუნერგელი კანონები, რაც რაღაც-რაღაცებს გვიკრძალავდა. ეთიკური და მორალური ნორმები მკაცრად იყო ჩვენს თაობაში დამკვიდრებული, მათი დამრღვევი საზოგადოებისა და მეგობრების გაკიცხვის საგანი ხდებოდა.

– და თქვენ ფარ-ხმალი დაყარეთ? მერე როგორ წაიშალა თქვენი ურთიერთობა?

– არა, როგორც ჯგუფელებს კარგი ურთიერთობა გვექონდა, მაგრამ მეორე კურსზე ცოლი შევირთე. როგორღაც შევატყვე, ეს იზამ განიცადა. ჩვენს მეგობრობას თითქოს წერტილი დაუსვა. ორივეს ჩვენ-ჩვენი პრობლემები გვექონდა და მეოთხე კურსამდე ჩვეულებრივი, როგორც ჯგუფელებს შეჰყვრის, ისეთი ურთიერთობა გაგვანაწინა ერთმანეთისადმი.



ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ რატომღაც მე და იზა რუსთაველის თეატრში გაგვანაწილეს. არადა, ჩვენს კურსზე ძალიან ბევრი ნიჭიერი მსახიობი იყო: ლია გუდაძე, ირმა გურიელი, გოგი ხარაბაძე, გია მატარაძე. რუსთაველის თეატრში, ჩვენმა პედაგოგმა, მიხეილ თუმანიშვილმა, პირველი როლი მე და იზას სპექტაკლში „მატყუარები“ მოგვცა. ჩვენ მთავარი როლები გვერგო და რეპეტიციებს სერგო ზაქარიაძესთან ერთად გავდიოდით. ამ დროს მე ოჯახში უკვე პრობლემები მქონდა, რაზეც არ მინდა ახლა საუბარი. პრაქტიკულად უკვე მარტო ვიყავი. ერთად მუშაობამ თავისი შედეგი გამოიღო და პირველი კურსიდან მიძინებული გრძნობა გააღვივა. ჩვენს შორის კვლავ თბილმა ურთიერთობამ დაისადგურა. როგორც აღმოჩნდა, იზასაც პრობლემები ჰქონდა ოჯახში. მიუხედავად იმისა, რომ პირველი სპექტაკლი მოხსნეს, იყო სხვა სპექტაკლები, იყო ზიარი სიხარულიც და იყო პატარა-პატარა კონფლიქტებიც, რაც სიყვარულისთვის დამახასიათებელია. მე და იზა ხშირად დავდიოდით იმელის შენობასთან მდებარე კაფე „შავ ყავაში“. ამ კაფეს ძირითადად შეყვარებულები ირჩევდნენ. ერთხელ იქიდან წამოსულები რუსთაველის ძეგლთან აღმოვჩნდით და იზას ვუთხარი, იქნებ გადანყვიტო და ერთად ყოფნაზე ვიფიქროთ-მეთქი და ცოტა პათეტიკურადაც დავამთავრე – მთელი ცხოვრება შენი ერთგული ვიქნები-მეთქი. იზამ მაშინ არაფერი მიპასუხა, მაგრამ მალე შეეუღლდით. სამი წელია, ის აღარ არის. სიცოცხლეში ბოლომდე გვერდით ვედექი და მისი სიკვდილის შემდეგ რასაც ვაკეთებ, მის დაარსებულ თეატრში და თეატრის გარეთ, მხოლოდ მისი ხსოვნის უკვდავსაყოფად. ასე რომ, ჩემს ცხოვრებას რომ გადავხედო, პირობა, იზასთვის მიცემული, არ დამირღვევია.

– რუსთაველის თეატრის ტრიუმფი „კავკასიური ცარცის წრიდან“ დაიწყო. იქნებ გაიხსენოთ, იზა გიგოშვილის მუშაობა გრუშე ვაჩნაძის სახეზე, თქვენ ხომ ამ პროცესის ყოველდღიური თვითმხილველი იყავით?

– 1974 წელს რუსთაველის თეატრმა ახალ პროექტზე, „კავკასიური ცარცის წრეზე“ დაიწყო მუშაობა და იზა მთელი არსებით როლმა მოიკვია. მუშაობის ასეთი პროცესი არ მინახავს. ეს იყო საქმისადმი აბსოლუტურად გან-

სხვაგვარი, აბსოლუტურად ინდივიდუალური მიდგომა. როლს ქმნიდა ხასიათიდან, პლასტიკიდან, სულ რაღაცის ძიებაში იყო. ამ პროცესს მშობიარობას შევადარებდი. ქალის დაორსულებიდან დაწყებული, ბავშვის ამოძრავებით, თავისი თანმდევი სირთულეებით, ტკივილით და ბავშვის დაბადების სიხარულით დამთავრებული. გრუშე ვაჩნაძე იზამ დაბადა. ეს როლი მისი იყო. გენიალურმა მხატვარს გოგი მესხიშვილს გრუშე ვაჩნაძის როლისთვის სულ სხვა კოსტიუმი ჰქონდა. იზამ თავისი პლასტიკისთვის მოსახერხებელი კოსტიუმი შექმნა და ეს კოსტიუმი დარჩა ბოლომდე. იზას შექმნილი იყო გრუშე ვაჩნაძის თმა და პლასტიკაც; ხელების გაშლაც, ხიდზე თოკის განევის სცენაც. ხელების გაშლით ამბობდა, მე აბსოლუტურად გულღია ვარ შენს წინაშე. ამის გამეორება შეუძლებელია, ეს ტექნიკური მხარე არ იყო. ეს შიგნიდან მოდიოდა. ეს როლი, რომელმაც ამდენხანს გაძლო და ახლა სხვა თამაშობს, იზას შექმნილია. ამ როლში ვერც თმას შეცვლი, ვერც კოსტიუმს და ვერც პლასტიკას. თუ შეცვლი, მთელი სპექტაკლი უნდა გადააკეთო.

– ცნობილია თეატრალთა წრის ინტრიგები, რაზეც გულახდილად საუბარს ერიდებიან ხოლმე. ფართო საზოგადოებისთვის არ არის ცნობილი, რატომ დაკარგა იზა გიგოშვილმა გრუშე ვაჩნაძის როლი. იქნებ თქვენ მოგვიყვით ამის შესახებ?

– ინტრიგები და შური ყველა პროფესიაშია და მსახიობთა წრეში, შეიძლება ითქვას, უფრო მწვავედაც, როცა სიმაღლის მიღწევისას ყველა ბრძოლას გიცხადებს. ჩვეულებრივს არასოდეს ერჩიან. საკმარისია ფესტივალზე ნახვიდე და ფესტივალის დედოფლად გადიარონ, პრიზები მოგცენ, ყველა შენ წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაერთოს. სწორედ ამან შეუშალა იზას ხელი. მახსოვს მოსკოვში რუსთაველის თეატრმა „სეილეშის პროცესი“ წაიღო. იზას დიდი წარმატება ხვდა. საგრიმიოროში იზასთან ია სავინა შემოვიდა და უთხრა: არაჩვეულებრივად თამაშობ, მაგრამ ძალიან ფრთხილად იყავი, შენი კოლეგებიდან ვინმემ ჭიქა წყალი რომ მოგანოდოს, არ დალიო, რა იცი, რა ხდებაო. ამ სიტყვებმა იზა გააოგნა. არ იცოდა, რა ხდებოდა. ია სავინა გამობრძმედილი იყო თეატრის ინტრიგებში და გრძნობდა, იზა გიგოშვილს წარმატებას არავინ აპატიებდა. სწორედ ის ჭიქა წყალი, რომელიც მიანოდეს იზა გიგოშვილს, შხამიანი აღმოჩნდა... და ეს შხამი ნელ-ნელა ამოქმედდა. ვილაცას შემურდა, ვილაცას არ მოეწონა – რატომ ის და რატომ ჩვენ არაო. დატრიალდა ინტრიგები. ყველაფერი კეთდებოდა იმისთვის, რომ იზას „კავკასიური ცარცის წრე“ დაეტოვებინა, მისი ტრიუმფი დამთავრე-

ბულიყო. ის არ უნდა ყოფილიყო პირველი. პირველობა სხვას ენება. საქმე იქამდეც კი მივიდა, რობერტ სტურუამ უსაყვედურა, ამ როლს რაღაც ვეღარ თამაშობო. მაგრამ ამ შემთხვევაში რობერტ სტურუა შეაგულიანა მისმა გარემოცვამ, რომელიც იზას წინააღმდეგ აქტიურად მუშაობდა. არც ის დამავინყდება, როცა ერთხელ საგრიმიოროში შესულ იზას მისი საკუთარი კაბა და პარიკი არ დახ-

ვდა. როცა იკითხა, ჩემი კოსტიუმო, უთხრეს, შენ დღეს არ თამაშობო. აბა, ვინ თამაშობს ჩემი კაბით და პარიკით, გრუშე ვაჩნაძის როლი ხომ ურთულესი როლია და მას მომზადება სჭირდებაო. როლი თურმე იზას ფარულად დიდი ხნის განმავლობაში მზადდებოდა. მის სულში რა ხდებოდა, არავინ იცის, მაგრამ აბსოლუტურად მშვიდად გამოვიდა საგრიმიოროდან და პარტერში შევიდა. სპექტაკლი დაიწყო და იზა უყურებდა მსახიობს, რომელიც მისი კაბით და პარიკით თამაშობდა მის როლს. მოვიკიდე ხელი, ჩავსვი მანქანაში და წავედით... იზამ თითქოს შვილი დაკარგა.

ერთ უსიამოვნებას მეორე მოჰყვა. „კავკასიური ცარცის წრე“ სახელმწიფო პრემიაზე წარადგინეს. ითქვა, რადგან იზა გიგოშვილი სპექტაკლიდან მოხსნილია, სახელმწიფო პრემია არ უნდა მიიღოსო. საოცარი რამ მოხდა, იზა რუსებმა დაიცვეს. რატომ

მოხსნეს იზა ამ როლიდანო, როდესაც იკითხეს, ცუდად მოიქცაო. ცუდად მოქცევა კი იმაში გამოიხატებოდა, რომ ბაქოში გასტროლების დროს, სპექტაკლში როლი ვერ ითამაშა. რატომ ვერ ითამაშა და ია სავინას სიტყვები სწორედ ბაქოში გამართლდა. სპექტაკლის დროს გულისრევის შეგრძნება ჰქონდა. არავინ იცის, დალია თუ დაალევიან რამე, მაგრამ მართლა ცუდად იყო. რობერტ სტურუას შემოეხვივნენ და ნააქეზეს, აი, შეხედე, როგორ თამაშობსო. რუსებმა კატეგორიულად მოითხოვეს, იზა გიგოშვილი სახელმწიფო პრემიაზეა წარდგენილი, ამიტომ ერთ საჩვენებელ სპექტაკლში უნდა ითამაშოს და ჩვენ უნდა ვნახოთ სცენაზეო. ეს ხდება 80-იან წლებში. უპრეცედენტო ამბავი იყო, ერთ სპექტაკლში უნდა ეთამაშა და შემდეგ დაეტოვებინა ეს სპექტაკლი. თუმცა, თეატრიდან არ აგდებდნენ, იყოსო, სამონყალოდ ტოვებდნენ. მე ამ სპექტაკლს დავესწარი. დარბაზი სულგანაბული ადევნებდა იზას თვალს. მისი ასეთი საოცარი თამაში არავის უნახავს. ეს ტკივილნარევი თამაში იყო, როლთან გამომშვიდობებისა. პარტნიორები გაოგნებულნი უყურებდნენ. სპექტაკლის შემდეგ აპლოდისმენტებმა დაანგრია დარბაზი. იმ დღის შემდეგ მხოლოდ იზასთვის აღარ იყო გრუშე ვაჩნაძის როლი, მეწყვილე მოუვლინეს. იზას, როცა მოისურვებდნენ, მაშინ ათამაშებდნენ. იზა შეიძლება ნასულიყო გასტროლებზე, შეიძლება – არა. თუ ვინმეს



იზა გიგოშვილი გრუშე ვაჩნაძის როლში „კავკასიური ცარცის წრე“

სურვილი ექნებოდა, იზა ვერ ითამაშებდა. 90-იანი წლებიდან მისი კარიერა მკვეთრად დაეშვა, მიუხედავად იმისა, რომ ყველა ამბობდა, როგორ შეიძლება ასეთი მსახიობი დაკავებული არ იყოსო. შეიძლება, ყველაფერი შეიძლება, თუ ამისი სურვილი იქნება.

– ყველასთვის ცნობილია, „სამეფო უბნის თეატრი“ როგორ ჩამოაყალიბა ცარიელ ადგილზე და რა ბრძოლის გადატანა მოგიხდათ მის შესანარჩუნებლად. ისიც ცნობილია, სიცოცხლის ბოლომდე რომ თამაშობდა ამ სცენაზე. თუ შეიძლება გაიხსენეთ ეს პერიოდი?

– თეატრის გარეშე იზას ცხოვრება შეუძლებელი იყო. „სამეფო უბნის თეატრისთვის“ თავნაკრული მუშაობდა და ასუფთავებდა დანგრეულ შენობას; მაგრამ 9 აპრილის მონამვლა, რუსთაველის თეატრის ტრავმასთან ერთად მოქმედებდა და იზა ნელ-ნელა ცუდად ხდებოდა. ბევრმა არც იცის, „სამეფო უბნის თეატრში“ „შუშანიკი“ რომ ითამაშა, კულისებში ყავარჯნებით იდგა, სცენაზე გასვლის წინ ყავარჯნები გადავარდებოდა და ისე თამაშობდა, ვერც ერთი მაყურებელი ვერ ხვდებოდა, თუ რა ტკივილი ტანჯავდა. სცენიდან გამოსულს კი ყავარჯნებს ვაგებებდით. ვაჟა-ფშაველას დადგმისას ფეხზე ვვლარ იდგა. ღია გუდაძეს სთხოვა, შენ უნდა შემოხვიდე სპექტაკლშიო. საოცარი სპექტაკლი იყო. იზას სცენაზე ღია დაჰყვებოდა გვერდით, თუ ვინცოცაა ნაიქცა, ხელი შევაშველოო. არ ვიცი, რას შევადარო ან იზას თავდადება, ან ღიას ერთგულება, რომელიც იზას მეგობარი პირველი კურსიდან იყო. არ ვიცი, რა ჰქვია ასეთ მეგობრობას, კოლეგიალობა თუ სიმბიოზი. როცა ისეთი დროც დადგა, იზამ ველარ ითამაშა, ღია შევიდა სპექტაკლში, იზა კი პარტერში იჯდა და უყურებდა მეგობარს. უამრავი რამ მინახავს, მაგრამ ასეთი მეგობრობა არაა. შეიძლება არსებობს, მაგრამ მე არ მინახავს. არც თეატრისადმი ასეთი ფანატიკური სიყვარული მინახავს, არც მეგობრებისადმი ასეთი უზომო თავდადება.

– 90-იან წლებში თქვენ და იზა გიგოშვილი გერმანიაში იყავით და იქ დგამდით სპექტაკლებს. რომ ჩამოხ-

ვედით, იზა გიგოშვილი სრულიად დაუმსახურებლად გაათავისუფლეს თეატრიდან. რობერტ სტურუას აღარ შეხვედრია?

– 1993 წლიდან, რაც იზა თეატრიდან წამოვიდა, რუსთაველის თეატრისკენ აღარ გაუხედავს. არ ვიცი, რას გრძნობდა რუსთაველის გამზირზე რომ გადიოდა და თეატრს გაუსწორდებოდა, მაგრამ ის თეატრში აღარ შესულა, არც ერთი სპექტაკლი აღარ უნახავს. ეს თეატრი თითქოს მის ცხოვრებაში აღარ არსებობდა, მაგრამ 2002 წელს, როცა რუსთაველის თეატრში რემონტი დაიწყო და თეატრი შენობის გარეშე დარჩა, ჩემდა სასიხარულოდ რობერტ სტურუამ თქვა, „სამეფო უბნის თეატრი“ ის თეატრია, სადაც მე შემიძლია მუშაობა გავაგრძელოო. მკითხა, შეიძლება თუ არა თქვენს თეატრში ვითამაშოთ? რა თქმა უნდა-მეთქი.

2003 წელს, 14 იანვარს, თეატრის დღეს რუსთაველის თეატრი საზეიმოდ გამოვიდა შენობიდან სანთლებით ხელში, ფეხით გამოუყვა რუსთაველის პროსპექტს და საღამოს 11 საათზე ჩვენს თეატრში შემოვიდნენ. დიდი სიყვარულით მივიღეთ და მეგობრული სუფრაც დავახვედრეთ. 12 საათზე იზამ დარეკა. უკვე ცუდად იყო, ვეღარ დადიოდა. ნიკუშამ ტელეფონს სასწრაფოდ მიკროფონი მიუერთა და იზამ რუსთაველის თეატრს ჩვენს თეატრში შემოსვლა მიულოცა. კეთილი იყოს თქვენი შემოსვლა „სამეფო უბნის თეატრში“. ამ თეატრს კეთილი კედლები აქვს და მე მინდა თქვენმა თეატრმა ყველანაირი სითბო იგრძნოსო. ჩვენ კი დავგიბარა, ყველაფერი გააკეთეთ, კეთილი მასპინძლობა რომ გაუწიოთო. 17 იანვარს იზა გარდაიცვალა. ამის შემდეგ რობერტ სტურუამ საოცარი წერილი დანერა, სადაც რუსთაველის თეატრში იზას ცხოვრებას იხსენებს. რობიკო და იზა მეგობრები იყვნენ. იზას წარმატება რობიკოს უკავშირდება, მაგრამ ყველამ იმუშავა იმისთვის, რომ იზას და რობიკოს შორის ბზარი გაჩენილიყო. რობიკოს წერილი ასე მთავრდება: იზა იყო საოცრება, ალილუია-ალილუია-ალილუია.

ქრონიკა

14 დეკემბერს „კავკასიური სახლის“ კიდევ ერთი საინტერესო საღამო ცნობილი ქართველი მეცნიერის თინათინ ყაუხჩიშვილის მოღვაწეობას მიეძღვნა. „კავკასიური სახლის“ მუშაობის ერთი მიმართულება გენდერულ საკითხებთან დაკავშირებული პროექტებია, რომელთა შორის ერთ-ერთი ინიციატივა ქართველი მეცნიერი ქალების ღვაწლისა და მნიშვნელობის წარმოჩენას ისახავს მიზნად.

ამ ინიციატივის ფარგლებში „კავკასიურმა სახლმა“ დღემდე გამართა პროფესორ ვერა ბარდაველიძის საღამო და გამოსცა ვერა ბარდაველიძის ორი მნიშვნელოვანი გამოკვლევა.

14 დეკემბერს თინათინ ყაუხჩიშვილისადმი მიძღვნილი შეკრება კი განსაკუთრებულად საინტერესო გამოვიდა. ვიღაცამ აქ მოსული აუდიტორიის დანახვაზე მოსწრებულად იხუმრა, რომ ერთი საღამოს განმავლობაში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ „კავკასიურ სახლში“ გადმოინაცვლა.

ეს სრულიად ლოგიკური იყო, რადგან საღამო მსოფლიოში ცნობილ მეცნიერს, ქართული გრეცისტის ტრადიციათა გამგრძელებელს ქალბატონ თინათინ ყაუხჩიშვილის ეძღვნებოდა. ძირითადად მომხსენებლებმა ისტორიის მეცნიერებათა დოქტო-

რებმა ქალბატონმა გიული ალასანიამ და ბატონმა იულონ გაგოშიძემ საინტერესოდ და ხელშესახებად გამოჰკვეთეს ის ფასდაუდებელი წვლილი, რაც ქართული ჰუმანიტარული მეცნიერების განვითარებაში ქალბატონმა თინათინ ყაუხჩიშვილმა შეიტანა.

პროფესორმა გიული ალასანიამ, თავისი საინტერესო სიტყვის დასასრულს აღნიშნა, რომ ქალბატონი თინათინ ყაუხჩიშვილი მისთვის მისაბამ პიროვნებას წარმოადგენდა და მუდამ ცდილობდა, ქალბატონ თინას დამსგავსებოდა, მაგრამ ეს ძნელი კი არა, შეუძლებელია, რადგან ქალბატონი თინათინ ყაუხჩიშვილი განსაკუთრებული მოვლენაა საქართველოს სამეცნიერო და კულტურულ ცხოვრებაში.

ძირითად მომხსენებელთა გარდა, სიტყვით გამოვიდნენ, „კავკასიური სახლის“ დირექტორი, მწერალი ნაირა გელაშვილი და ცნობილი მეცნიერი თამაზ გამყრელიძე.

ქალბატონ ნაირა გელაშვილის არც იმ საღამოს ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სტუმარი დავინწყებია, რომელსაც თოთხმეტ დეკემბერს დაბადების დღე ჰქონდა: ქალბატონი ანა კალანდაძე. გადაწყდა, რომ მის იუბილესაც მალე „კავკასიური სახლივე“ გადაიხდის.

ძირო აკავაჯა

შესვდრა გმირებთან

I

ყავაში, უდავოა, რალაც შეურიეს...

– რაიმე დასალევს მოვამზადებ! იოსიკო, შენ ყავა, კაკაო თუ ჩაი? იქნებ კიდევ გინდა რამე?

ეს ბიძაჩემის ცოლია, კაძუე სუძუკი. არ მიფიქრია, ისე ვუპასუხე, ყავა-მეთქი.

სასტუმრო ოთახში ჩემიანად ხუთნი ვიყავით.

აქ ასაკით ყველაზე პატარა ვარ. ეს-ესაა ოცი წელი შემისრულდა. სწორედაც რომ ეს-ესაა: დღეს ჩემი დაბადების დღეა.

ოცი წელი. ეს ჩემთვის მხოლოდ სრულწლოვანების დღე კი არ არის, ოთხასი მილიონი იენის მფლობელი ვხდები. ბოლო მოელო მათხორცულ ყოველთვიურ რჩენას!

მამა სამი წლის წინათ გარდაიცვალა. მთელი ეს ხანი დღევანდელ დღეს ველოდი!

– შენა, და რამდენს მიიღებ?

ეს ჩემი ბიძაშვილი ჰიტოსი სუძუკია.

უკვე ოცდაშვიდისაა, მუშაობაზე კი არც ფიქრობს, სახლში ზის და უსაქმურობს. თავი ქალების მუსუსად და დარდიმანდად მოაქვს, მე კი ათჯერ ნაკლებად მიწახავს ქალებთან, ვიდრე ტრაბახობს.

ჩემი ბიძაშვილი რომ არ იყოს, ასეთს არც კი დაველაპარაკებოდი.

– დაახლოებით 400-მდე მილიონს – გამოეხმაურა დეიდა კაძუე.

– ოჰოოო! – გადამეტებულად გაიკვირვა ჰიტოსიმ

რა თქმა უნდა მან დედაზე არანაკლებ იცოდა, რა თანხა უნდა მრგებოდა. ასეთ აშკარად ყალბ შეკითხვებზე პასუხის გაცემაც არა მსურს.

– არც ისე ადვილი იქნება გართობაზე მათი დახარჯვა! – ჩაურთო ბიძაჩემმა სირო სუძუკიმ და თან ვისკი მოწრუბა. ექიმია, მაგრამ ნატრებახება უყვარს, განსაკუთრებით, როცა დალევს, ფულად საქმეებში კარგად ვერკვევიო. შემოსავალიც არცთუ ურიგო აქვს.

თუმცა ისეთი ცოლი რომ გყავს, რომელმაც ფულის ყადრი არ იცის, და უსაქმური შვილი, ფრთებს დიდად ვერ გაშლი.

– ფულს რას უპირებ? მსოფლიოს გარშემო იმოგზაურებ? მანქანას, იახტას, კარმიდამოს იყიდი?... რომ გადამწყვეტ, ჩემთვის ჭკუის კითხვა არ დაგავინყდეს – სიცოლით მითხრა ჰიტოსიმ. მხრები ავიჩქე.

– ასეთი რამეები არ მაინტერესებს.

– ძალიანაც სწორია. – კვერი დამიკრა ძია სირომ. – ოთხასი მილიონი ცოტა არ არის, მაგრამ უკან მოხედვას ვერ მოასწრებ, თვალსა და ხელს შუა გაგიქრება. საქმეში უნდა ჩადო. კაპიტალი უნდა იზრდებოდეს!

– სწორედაც! – დაეთანხმა დეიდა კაძუე. – ჩემი ქმარი ასეთ რამეებში თავის მედიცინაზე არანაკლებ ერკვევა. იოსიკო, შეგიძლია მისი იმედი გკონდეს!

– არაფერი მსგავსის გაკეთებას არ ვაპირებ! – ვერ მოვითმინე – უკვე დიდი ხანია გადავწყვიტე, რა ვუყო ფულს.

დეიდამ და ძიამ ერთმანეთს გადახედეს. დეიდა ბარი-საკენ გაემართა ყავის მოსამზადებლად.

– მომისმინე, იოსიკო, – მომიახლოვდა ძია.

მამაჩემს უმცროსი ძმა არ ჰგავდა. მეტიც, სრულიად საპირისპირო ადამიანი იყო. ბავშვობიდან არავითარი მშობლიური გრძნობები მისდამი არ მქონია.

იაპონელი წიგნის გამომცემელი შვილიშვილებს ლეგენდებს უამბობენ ამ კაცზე, რომელიც რომანებსა და მოთხრობებს ისეთი სისწრაფით ქმნიდა, რომ მელანი გაშრობას ვერ ასწრებდა. მას ასეც უწოდებენ: “მელანთა შთანთქმელი”. თავის შემოქმედებით მან აგატა კრისტი დაჩრდილა - დეტექტიური ჟანრის პირველმა ლედიმ წნ წლის მანძილზე 70 რომანი დაწერა, იაპონელის ანგარიშზე კი 1976 წლიდან 400 ნამუშევარია გამოქვეყნებული. მისი რომანების გაყიდვის რიცხვმა ასობით მილიონ ეგზემპლარს გადააჭარბა.

იაპონელი, რომელმაც დაჩრდილა აგატა კრისტი

ნისა და მოთხრობის სიუჟეტური ქარგის გაჩერებაა”.

წერის სისწრაფის განვითარებისას აკავაჯამ სტენოგრაფიისა და შემოკლებათა შესწავლის ტრადიციულ გზაზე უარი თქვა. შეიმუშავა ავტოკალმის საკუთარი დიზაინი, რომლის პარტიასაც მისთვის საგანგებო დაკვეთით ამზადებენ და ქალაქშიც განსაკუთრებული ხარისხისა შეარჩია.

კანცელარიის უჩინარი თანამდებობის მუშაკი აკავაჯა ვერც კი იოცნებებდა მომავალ დიდებაზე. მწერალი მხოლოდ ღამით მუშაობს. ყოველ დღით წიგნის გამომცემლობათა აგენტებს აკავაჯასგან მიაქვთ მისი შემოქმედების აუცილებელი ღამის ულუფა - ოთხმოცდერდიანი - ერთმანეთზე მიტყუპებული, წვრილი ოთხასი იეროგლიფით თითოეულზე - ხელნაწერი. ეს შეესაბამება ჩვეულებრივი ლათინური ხელნაწერის დაახლოებით 160 გვერდს. როგორ ხსნის თვითონ აკავაჯა თავის შრომის-ნაყოფიერებას? “უბრალოდ მიყვარს წერა და საქმის დროული კეთება. ჩემთვის მთავარია, ხელნაწერი დროულად ჩავაბარო. ყველაზე რთული კი გონებაში ერთდროულად რამდენიმე რომან-

რაფიისა და შემოკლებათა შესწავლის ტრადიციულ გზაზე უარი თქვა. შეიმუშავა ავტოკალმის საკუთარი დიზაინი, რომლის პარტიასაც მისთვის საგანგებო დაკვეთით ამზადებენ და ქალაქშიც განსაკუთრებული ხარისხისა შეარჩია.

იაპონელი ბესტსელერის ოსტატი ძირითადად წერს დეტექტიურ მოთხრობებს, ნარკვევებს, რომანებს გაგრძელებით, ფანტასტიკას, სათავგადასავლო ნაწარმოებებს. წერს ფართო მასშტაბისთვის გასაგებ - უბრალო იაპონელთა ენაზე, რომლებიც სამსახურში მიმავალნი კითხულობენ მის წიგნებს მატარებელსა და მეტროში.

აკავაჯა არასოდეს მეორდება - მისი დეტექტივების სიუჟეტური ქარგა იდუმალია და მკითხველიც ბოლო გვერდამდე დაძაბული.

თუმცა სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ აკავაჯას მხოლოდ ერთი რამ უშლის ხელს გინესის რეკორდთა წიგნში შევიდეს. ასობით მისი რომანიდან მხოლოდ ერთი თუ ორია თარგმნილი.

შესაძლოა მთარგმნელები ვერ ასწრებენ?

– ნუთუ მართლა აპირებ მთელი ოთხასი მილიონი საქველმოქმედო ფონდში ჩადო?

– რატომაც არა?! – დამაინტერესა – თანაც, მამასაც ასე უნდოდა.

– უცნაური კაცი იყო მამაშენი – თავი გადააქნია ძია სირომ. – ცხოვრებით ტკობაზე წარმოდგენა არ გააჩნდა. ღირს კი მას მიბაძო?

– მეც ისეთივე მინდა ვიყო.

ჰიტოსი ადგა და მოგვიახლოვდა.

– კარგი ერთი, რა სისულელეა! რალაც ნაწილის ჩადება რომელიმე ფონდში გადასახადების შესამცირებლად კიდევ მესმის, მაგრამ... ეს ყველაფერი სისულელეა. საკითხავია, მაგ შენს ფულებს როგორ გამოიყენებენ!

– სწორედაც, სწორედაც! – დაეთანხმა ძია. ქველმოქმედებისათვის თანხის გაცემა ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ შენს ფულს მიზნობრივად გამოიყენებენ. ამ ფონდების უმრავლესობა ისე უთავბოლოდ განკარგავს თანხებს!

– ამაზე მეც ვიფიქრე

– მერე?

– თვითონ შევქმნი ფონდს და, როგორც საჭიროა, ისე განვკარგავ. მმართველს დავნიშნავ. თვალყურის სადევნებლად რომ თანხა სასარგებლოდ დაიხარჯოს.

– მაინც სისულელეა, – წამოიწყო ჰიტოსიმ, მაგრამ ძიამ შეაწყვეტინა:

– მოიცა, ეს კარგადაც მოგიფიქრებია. და სულაც, თუკი იოსიკოს სურს თავისი თანხა ასე განკარგოს, რა უფლება გვაქვს ხელი შევეშალოთ?

– მიხარია, ჩემი რომ გესმით – მივუგე.

– ოღონდ ასეთ საქმეებში შენ ვერ ერკვევი... მომისმინე, იდეა მაქვს. ჰიტოსი ახლა არაფრითაა დაკავებული. შეიძლება მმართველი ის ყოფილიყო.

– სწორედაც რომ შესანიშნავი აზრია – ისევე კვერი დაუკრა დეიდამ. – ასეა თუ ისე, ჰიტოსის უნივერსიტეტი აქვს დამთავრებული. ასეთი სამუშაოს კი კარგადაც გაუძღვება!

– ამ განხრის სპეციალისტი ახლობელი ადვოკატების მეტი რა მყავს. გაგაცნობ, – ტრბახით შემომთავაზა ძიამ. გუნება აშკარად გამოუკეთდა. რატომაც არა, ფული იყნოსა! მეც მნახეს რა! ის და მისი ნაცნობები ყველაფერს წამში გადასანსლავენ, როგორც ლომი ხორცის ნაჭერს გალიაში.

– გამდლობთ, ჩემზე რომ ზრუნავთ, – ვუპასუხე მე – მაგრამ არ მინდა შეგანუხოთ. აი, რატომ მოვიწვიე დღეს ადვოკატი.

უკვე ვთქვი, რომ სასტუმრო ოთახში ჩემიანად ხუთნი ვიყავით. ძიას ოჯახობის გარდა კიდევ ერთი სტუმარი: დივანზე ჭალარა მოხუცი თვლემდა.

ეს გახლდათ ადვოკატი ტაგაკი, მამას ნდობით აღჭურვილი პირი ჯერ კიდევ ძველი დროიდან.

– ეს ბებერი? – აღშფოთდა ჰიტოსი – ეს ხომ კარგა ხანია აფრენს! იცი, რას გეტყვი, მას ნებისმიერი გააცურებს!

– მე კი ვენდობი. ყოველი შემთხვევისათვის, შენზე მეტად, ჰიტოსი! – მოუჭერი მე.

ჰიტოსიმ ბოროტად გამომხედა, მაგრამ მაშინვე გამხიარულდა:

– არა, დაიკო, შენ ყველაფერს ხელალებით აკეთებ.

– იცი, რა, იოსიკო, – ყავის ჭიქით ხელში მომიახლოვდა დეიდა. – ჩვენ ხომ შენზე ვზრუნავთ, დასანანია, რომ არ გვენდობი.

– გამდლობთ, მაგრამ მეჩვენება, რომ ჩემზე კი არა, ოთხას მილიონზე ზრუნავთ. უკაპიკოდ რომ დავრჩენილიყავი, ხელსაც არ გაანძრევდით, თუნდ ღობის ძირას დამელია სული.

ყავა მოვსვი.

დეიდამ და ძიამ ერთმანეთს გადახედეს.

– კამათში ხომ ვერავინ გაჯობებს. კარგი, რა გაენცობა, ჩვენი ნასვლის დროც მოვიდა.

– გამდლობთ, რომ შემოიარეთ. ბატონ ტაგაკისთან ყველა დეტალს განვიხილავ და შეგატყობინებთ.

ჩემი სამი ნათესავი წასასვლელად მოემზადა. დერეფანში მათთან ერთად გავედი

– შემდეგ სანანებელი არ გაგიხდეს – თვალი თვალში გამიყარა დეიდა კაძუმ, რომელიც უკვე კარებში იდგა.

მაგრამ ასეთების ყურისგდებას მიუჩვეველი ვიყავი.

– ნუ შენუხდებით.

კარი მივხურე.

– აი, საქმე, – ჩავიბურტყუნე ჩემთვის.

ესეც ასე, დღეიდან ეს გაშლილი კარმიდამოც ჩემია. თუმცა, ერთი ჩვეულებრივი ბინაც მეყოფოდა.

ხომ არ გამეყიდა?

არა, სჯობს აქ ჩემი ფონდის მმართველის კანტორა გავხსნა. ჰო, ალბათ ასე. რაც უნდა იყოს, ეს ის სახლია, სადაც გავიზარდე. არ მინდა სხვის ხელში მოხვდეს! უკვე სამი წელია, მამა აღარ არის. დედა კი მაშინ გარდაიცვალა, როცა სულ პატარა ვიყავი. რამდენ ხანს ვიცხოვრეთ აქ მე და მამამ!

მამაჩემი მენარმე იყო და არცთუ ცოტა ქონება დააგროვა. მაგრამ არასოდეს უნუნურაქია, უყოყმანოდ დებდა თანხებს საზოგადოებრივ საქმიანობასა და ქველმოქმედებაში.

და მის უკანასკნელ სურვილს არ გადავალ.

რა გაენცობა, დროა ტაგაკი გავაღვიძო და საქმეს მივხედოთ. თურმე უკვე რა გვიანია!

სასტუმრო ოთახის შესასვლელში უცებ ნავიბორძიკე მოულოდნელად უცნაური შეგრძნება დამეუფლა – თითქოს იატაკი ფეხქვეშ გამომეცალა.

მინისძვრაა? არა! უცნაურია. ძალიან უცნაური!

მთელი ოთახი დაიკლაკნა. იქითა კედელი წამოვიდა, ჭერი კი ზედ თავზე დამეკიდა.

გამსრესს! შიშისაგან ეკალმა დამაყარა.

მიშველეთ! ვინმემ მიშველეთ!

ფეხზე ვედარ დავდექი. შიგნიდან რალაც მწვავდა. გარშემო ყველაფერი განითლდა, როგორც შუქფილტრში გახედვისას.

ცხელა! ასე რატომ ცხელა?

იატაკი დაიგრისა. ვცურდები. სად? უძირო უფსკრულმა მტაცებელივით დაალო ხახა... ვეცემი!

არ მინდა! მიშველეთ ვინმემ!

ხალიჩას ჩავეჭიდე. ხელიდან მეცლება... არ მინდა! არ მინდა!

ვინმე! აქეთ, ვილაც მაინც!

რალაც არანორმალური ძალით მენევა. უსასრულო წყვილიადმი ვვარდები...

- სხვა აღარაფერი დაგვრჩენია
- ვერავინ ვერაფერს გაიგებს.
- როგორ ჩავფარცხოთ ეს საქმე?
- იფიქრებენ, მძარცველები იყვენო...

რაზე ლაპარაკობენ? რამდენადაც უცნაური უნდა იყოს, ყველა სიტყვა მესმოდა, მიუხედავად იმისა, რომ თავში ჯერ კიდევ ხმაურობდა რალაც.

ისე მანჯღრევს, თითქოს მანქანაში ვიყო.

ჰო! მართლაც მანქანაში ვარ.

სად მივყავარ?

ნაცნობი ხმებია... ძია და დეიდა! შეკითხვას ვცდილობ:

- სად მივდივართ?

მაგრამ ტუჩები არ მიმოძრავებს. თავი თითქოს მუშაობს, სხეული არ ემორჩილება. ვცდილობ ადგილიდან დავიძრე, მაგრამ თითის განძრევაც არ შემიძლია...

მანქანა მგონი ქალაქგარეთ გავიდა. ალბათ ღამეა: უკუნეთი, ფანჯრიდან ოდნავაც არაფერი ბუჭტავს.

ნეტა სად მივდივართ? გაურკვევლობისაგან ღამის არის გავგიჟდე, მაგრამ მაინც ვერაფერს ვაკეთებ. განძრევის თავი არა მაქვს.

როგორც იქნა მანქანა გაჩერდა.

ფეხის ხმა მოისმა, კარები გაიღო.

- თვლები რომ ღია აქვს! - შემოიხედა ვილაც უცნობ-მა ტიპმა.

- არა უშავს, მაინც უგონოდაა. აბა, ავიყვანეთ!

რას ჰქვია უგონოდ! ვცოფდები, მაგრამ სიტყვას ვერ ვძრავ.

რალაცაზე მანვენენ. სანოლივით არის და ბორბლების წრიპინით მივდივართ.

საავადმყოფო ხომ არ არის? არა, რალაც ისე ვერაა...

საკმაოდ თანამედროვე კაბინეტში შევყავართ. საუცხოო სანერი მაგიდიდან კაცი დგება და მოემართება ჩემს შესახვედრად... არა - ბიძაჩემის!

- კუმე, კლინიკის ხელმძღვანელი. დაბრძანდით, გეთავყვა, თქვენ მის შესახებ... ზემოდან ქვემოთ ჩამათვალიერა.

- დიახ, უპასუხა ბიძაჩემმა - ყოველთვის რთული ბავ-შვი იყო.

- და ნათესაობაში იყვნენ შიზოფრენიკები. - ჩაურთო დეიდამ.

რა ბოდვაა, რისთვის სჭირდებათ ეს?

- ყოველი შემთხვევისათვის, ახლა უეცრად აერია გონება - თავი გადააქნია ბიძაჩემმა - დანას ხელი დაავლო და ჩვენი ნაცნობი ადვოკატი სიცოცხლეს გამოასალმა.

ხელ-ფეხი გამეყინა. მოვკალი? ადვოკატი ტაგაკი?

- წარმომიდგენია! - თავი გადააქნია მსუქანა ხელ-მძღვანელმა, რომელიც ექიმზე მეტად კომივოიაჟერს უფრო წააგავდა. - ასეთი ღამაზია და ...

- არ გვინდოდა ციხეში რომ მოხვედრილიყო - უთხრა ბიძაჩემმა - ამ დროს გაგვასხენდა, რომ თქვენი დანესე-ბულების შესახებ მეგობრებისაგან გვსმენოდა. მოათავსეთ თქვენთან, ძალიან გთხოვთ!

- კი, მაგრამ, ასე თუ ისე, ადამიანია მოკლული!

- პოლიცია ეჭვობს, რომ სახლში მძარცველები შეიპარნენ. და თუ თქვენამდეც მოაღწიეს, ნუ გაგვთქვამთ!

- კარგით, - თავი დაუქნია კუმემ. - მილების თარიღი გასული კვირით ხომ არ აღვნიშნოთ?

- შესანიშნავია! რა თქმა უნდა ამ კვირას გადავიხდით.

- მოვილაპარაკეთ. ჩვენი კლინიკა იაფფასიანთა შორის არ არის, სამაგიეროდ, ყველაფერს ჩვენს თავზე ვიღებთ.

- მიხედეთ გოგონას!

ესე იგი ეს ყველაფერი ხუმრობა სულაც არ არის! ყვირილი მომინდა. ნუთუ ტაგაკის მოკვლა შემეძლო! ეს შეცდომაა! მაგრამ ხმა კვლავინდებურად არ მქონდა.

- ახლა კი ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე! - ისევე გაისმა კლინიკის ხელმძღვანელის - კუმეს ხმა. - რამდენი ხნით გსურთ ქალიშვილის დატოვება ჩვენი მზრუნველობის ქვეშ?

დეიდამ და ძიამ სწრაფად გადახედეს ერთმანეთს და ბიძაჩემმა უპასუხა:

- მთელი ცხოვრება.

II

ორი მოკლე თეთრხალათიანი კოროდორში ღამის მიმართევდა.

- საით? - დაინტერესდა ერთი

- მეცხრე პალატაში

- მეცხრეში? ასეთი ნორჩი? რა საცოდაობაა - ჩაიქირ-ქილა.

- ბევრს ნუ ტლიკინებ!

გარეთ მთვარის შუქზე ხეები დავინახე - უფრო ჭალა იყო, ვიდრე ბალი. ფოთლებში მოციმციმე ყვირთელი სინათლე იჭრებოდა. საავადმყოფოს ეზოს ჰგავს.

- აბა, ცოტა კიდევ! - თქვა ერთმა.

ვგრძნობდი, როგორ მიბრუნდებოდა ხელ-ფეხის თავისუფლად მოძრაობის უნარი. მაგრამ სანიტრებს განგებ ისე დავეკიდე ხელებზე, თითქმის ტარება მოუხდათ ჩემი. დროს ვიხელთებ და გავიქცევი!

ახლა ყველაფერს მივხვდი. აი, თურმე რა ჩაიფიქრეს დეიდამ და ბიძამ.

ყავაში რალაც ისეთი ჩამირიეს, რომ გონება დავკარგე. მოკლეს ტაგაკი. დანაშაული მე მომანერეს და გამომამ-წყვდიეს.

და ყველაფერი ოთხასი მილიონი იენისათვის! თუ მე გავქრები, ფული ბიძაჩემის ხელში მოხვდება. ნუთუ შეიძლება ასეთი რამ აიტანო!

ოლონდ, აი, ამ ბეხლენებისაგან თუ შევძლებ თავის დაღწევას?

- მოვედით! გაუშვი!

- აი, აქ, სკამზე.

ზემოთ მიმავალ სამსაფეხურიან ქვის ზღურბლთან სკამზე აღმოვჩნდი.

ქვის შავი შენობა მიტოვებულ სამლოცველოს მაგონებდა.

ჩემმა ერთ-ერთმა გამცილებელმა ორსაკეტიან ხის კარზე დააბრახუნა. თავის წამონვევისას ჩუმ-ჩუმად შენობას ვათვალიერებდი.

სილუეტი პირქუშად და ავისმომასწავლებლად წამომართულიყო ღამის სიბნელეში. კარზე ციფრი "9" გამოჩნდა.

ესე იგი ეს არის მე-9 პალატა? ცუდად გავხდი, სანიტარის ნათქვამი რომ გამახსენდა: "ასეთი ნორჩი! რა საცოდაობაა"...

– რას აკეთებენ ამდენ ხანს! – სანიტარმა გაგულისებით დააბრახუნა კარზე.

– მოიცა ერთი, – მივიდა მეორე სანიტარი და იყვირა:

– ჰეი, ცოცხლები ხართ მანდ?! აბა, გამოდით!

დროა! სკამიდან წამოვვარდი და კარს ვეცი.

– საით! დაიჭირე!

შემამჩნიეს! ჭალაში შევევარდი.

რა რა და სირბილი კი შემიძლია. კარგად ვყოფილიყავი, ვერაფრით დამენუოდნენ. მაგრამ, როგორც ჩანს, საძილე წამალს მოქმედება ჯერ არ გასვლოდა: რამდენიმე ნაბიჯის გადადგმაც ვერ მოვასწარი, ფეხები ამებლანდა და ძირს მოვადინე ზღართანია.

ის იყო უნდა წამოვვარდნილიყავი, სახეში ფანრის შუქმა ჩამომანათა.

– ასე, არა!? – დაიხვნემა ერთ-ერთმა და მუშტი მითავაზა მუცელში. სუნთქვა შემეკრა და თვალთ დამიბნელდა. მომეჩვენა, ვკვდებოდი.

და ყველაფერი გაქრა...

– როგორ გრძნობთ თავს?

თვალი გავახილე და უცნობი მამაკაცის სახე დავინახე. მგონი სანოლზე ვწევარ. დავიგრისხე, რადგან მუცელი ჯერ კიდევ მტკიოდა.

– გცემეს, არა? ანამზადები! ცივი საფენი დაგადოთ?

– არაფერია, გამიღლის, – ამოვიღულულე – სად ვარ?

– მეცხრე პალატაში, – მიპასუხა მამაკაცმა.

მიმოვიხედე. ჩვეულებრივი, საკმაოდ დიდი ოთახია.

– ეს... საავადმყოფოა?

– რა თქმა უნდა. აქ, მეცხრე პალატაში იმით ათავსებენ, ვინც ველარასოდეს გავა აქედან.

– ჰო, მაგრამ ეს ოთახი სულაც არა ჰგავს საავადმყოფოს პალატას!

– მთელი შენობა საავადმყოფოს პალატაა. ფანჯრები დაგმანულია. არავითარი კავშირი გარე სამყაროსთან. კორიდორში, გასასვლელ კართან ზედამხედველები დგანან. საჭმელიც მათ მოაქვთ. აბა, სცადე და თითი დააკარე, როცა სამნი არიან და თანაც პისტოლეტებით.

– საშინელებაა... ეს ხომ ციხეა!

– სამაგიეროდ, შიგნით სრული თავისუფლებაა. – შემეპასუხა უცნობი – კარგადაც გვკვებავენ. რაც უნდა იყოს, ვინც აქ გავვამნესა, ჩვენს შესანახად საკმაოდ ძვირს იხდიან. თუ გაბედავენ და ცუდად მოგვეპყრობიან, სკანდალი ატყდება. და აქაურ უფროსს კუმეს ხეირი არ დაადგება! მოკლედ, თუ გაქცევაზე არ იფიქრებ, აქ ყოფნა სავსებით ასატანია.

– მაგრამ მე... რადაც უნდა დამიჯდეს, აქედან უნდა გავაღწიო. რა სისულელეებს მეუბნები! როგორ – მთელი ცხოვრება აქ უნდა დავრჩე!

– ჩემმა თანამოსაუბრემ მხოლოდ მხრები აიჩეჩა. დავაკვირდი. საკმაოდ განონასწორებული ჩანს. გარეგნუ-

ლად – ორმოცდახუთი წლისა. საუკეთესო ტვიდის კოსტუმში აცვია.

– მაპატიეთ, – მოვუბოდიშე მე. – თქვენ რომ დაგეტაკეთ!

– არაფერია, არაფერი. მესმის რა ყოფაში ხართ, – თავი დამიქნია უცნობმა, – მაგრამ უნდა მოითმინოთ. წამოდგომა შეგიძლიათ? თქვენს ოთახში მიგაცილებთ.

– გმადლობთ!

ძლივს წამოვდექი. ტკივილიც, მგონი, ყურდებოდა.

– ქალთა ოთახები მეორე სართულზეა, დერეფნის ბოლოს

– ესე იგი... აქ კიდევ არიან ქალები?

– რა თქმა უნდა. თუმცა ზოგიერთთან ცოტათი ძნელია ურთიერთობა.

– რას ნიშნავს "ძნელია ურთიერთობა"?

– საკმაოდ პირქუში ადამიანები არიან. აი, ნაითინგელთან საერთო ენას გამონახავთ.

– ფლორენს ნაითინგელთან? მოწყალების დასთან?

– აჰა, ესე იგი გსმენიათ მის შესახებ?

– რა თქმა უნდა! ის ყირიმის ომში იყო...

– სწორედაც! ახლა კი აქ არის.

– აი, თურმე...

თანამოსაუბრის სახეს დავაკვირდი. ხუმრობის კვალიც არ ეტყობოდა.

– ქალებიდან კიდევ ვინ არის?

– აი, მაგალითად... მარია კალასი, ოპერის პრიმადონა.

და ელენ კელერი, და დედოფალი ვიქტორია. მართალია, მისი უდიდებულესობა ცოტა ქედმაღალია, მასთან დაახლოება საკმაოდ ძნელია.

– ააა...

– ერთი ხანობა მომეჩვენა, ჩემს აქ ყოფნას რაღაც შეალამაზებდა, მაგრამ ამ ყველაფრის გამგონე სულ ჩავეშვი.

– მომისმინეთ, – დავინტერესდი მე, – თქვენ თვითონ რა გქვიათ?

– მე? – ჩემი თანამოსაუბრემ, საფეხურებზე ასვლას რომ განაგრძობდა, ოდნავ დამიკრა თავი. – შერლოკ ჰოლმსი გახლავართ.

ოთახი მართლაც არცთუ ცუდი იყო, ერთადგილიან სასტუმრო ნომერზე ოდნავ პატარა. ოღონდ ფანჯარა დაგმანული – ბნელა და ცივა, როგორც ნამდვილ ციხეში.

ჩემი ახალი ნაცნობი, შერლოკ ჰოლმსად რომ გამეცნო, გავიდა. სრულიად დაბნეული ჩამოვჯექი სანოლზე.

როგორც ჩანს, ეს ჰოლმსი არცთუ ცუდი კაცია, მაგრამ გიჟია. დახმარების იმედი არსაიდანაა.

ნუთუ აქ წლების გატარება მომინევს, აქ დავბერდები?

– მამა, – ნავიჩურჩულე და ცრემლები თავისით წამსკდა...

და უეცრად ჩემს თვალებთან ცხვირსახოცი გაჩნდა. შეშინებულმა უცბად ავხედე. ჩემს წინ უღვაშებიანი ახალგაზრდა იდგა.

ახალგაზრდა... ჰო, ოცდაათზე მეტისა არ იქნებოდა. მოფრანტო, უღვაშები გულმოდგინედ გადაენკიპა. რა ლამაზია!

– რა მოგივიდათ ქალბატონო?

– კი, მაგრამ...
 – ერთმანეთს არ ვიცნობთ. მაგრამ ღირსება ნებას არ მძღვეს გულგრილად ვუყურო, როგორ ტირის ნორჩი ქალბატონი! მომენდეთ!
 – კი, მაგრამ, ვინ ხართ? – ვკითხე მორიდებით.
 – სამართლიანობისათვის მებრძოლი! სუსტთა დამცველი! – მგზნებარედ წარმოთქვა და ხელი გულზე დაიდო.
 – იდუმალი ზორო? – წამოვროშე პირველი, რაც თავში მომივიდა. მაგრამ სტუმარი თავმოყვარეობა შელახულის იერით შემეპასუხა
 – დარტანიანი გახლავართ.
 ცრემლები არც კი შემეშრო, კინაღამ გადავიხარხარე:
 – აი, თურმე, რა!
 დარტანიანს ხელები ზურგზე შემოეწყო და ოთახს დინაბიჯებით ზომავედა:
 – რა ავაზაკები არიან! თქვენს ბიძასა და დეიდას ვგულისხმობ, რომლებმაც მამათქვენის ქონების ხელში ჩასაგდებად აქ გამოგამწყვდიეს!
 – დიას!
 – მკვლელობასაც არ მოერიდნენ!
 – დიას!
 – არამზადები! მათი დანაშაული დაუსჯელი არ უნდა დარჩეს! – წამოიყვირა დარტანიანმა და მუშტი მოიღერა. პირდაპირ ისეა, როგორც პიესაში ფრანგული რევოლუციის გამირებზე!
 – გამაღობთ, თქვენმა სიტყვებმა დამამშვიდა. – ვუთხარი მე.
 – სიტყვები? თქვენ გგონიათ სიტყვებს ვიკმარებ? – დარტანიანი ცხვირწინ დამიხტა. უნებლიეთ კედლისაკენ გავინე.
 – ნუთუ მოლაყბე გგონივართ?! რა სისულელეა! დარტანიანი საქმის კაცია! აი, ამ ხელებით მოვუღებ ბოლოს!
 “აქედან გასაქცევად მხოლოდ ძლიერი ხელები არა კმარა” გავიფიქრე ჩემთვის. კარგი, ცოტათი გავხალისდები მაინც!
 – მაპატიეთ... მაგრამ ცოტა ხნით მარტო მსურს ყოფნა. – შევეცადე სიტყვა ჩამერთო, მაგრამ ჩემმა სტუმარმა, თითქოს არც გაუგონიაო, წამოიძახა:
 – აქ დამელოდეთ! – და გარეთ გავარდა.
 ცოტა არ იყოს დაბნეულმა კორიდორში გავიხედე. დარტანიანი გასაოცარი მოხერხებით, თითქოს მოაჯირს არც ეხებო, ისე ჩასრიალდა კიბეზე, ბაქანზე გადახტა და პირველ სართულზე აღმოჩნდა.
 უკან რომ მოიხედა და დამინახა, გაიღიმა და თავისთან მიხმო.
 მეც ჩავედი ქვემოთ, თუმცა არ მესმოდა, რა საჭირო იყო ასეთი სიჩქარე.
 დარტანიანს კორიდორში კარებთა რიგს შორის მიეყავდი. ცივი ქვის ჩისხაც კარი ჰქონდა. დარტანიანმა გაალო და, ჩემდა გასაოცრად, იქ ქვემოთკენ მიმავალი კიბე დავინახე.
 – აქ რა, სარდაფია?
 – რა თქმა უნდა! იქ საკმაოდ ცივა და ჰაერიც სულის შემხუთავია, თუმცა ვილაც-ვილაცებს ეს ძალიანაც მოსწონთ.

– ვინმე თავის ნებით ცხოვრობს მინისქვეშეთში?
 – სწორედაც! ვთხოვთ! – და ჩავიდა.
 სარდაფი ფართოვდებოდა და რალაც უკარო ოთახს ქმნიდა. კუთხეში დაუდევრად მიუყრიათ ძველი სკივრები, სკამები...
 კედელზე მიმაგრებული სინათლე ბჭუტავდა. სინათლის წრეში წვერმოშვებული გრძელთმიანი კაცი იჯდა.
 – ეს ვინ არის? – ვკითხე მე.
 – ედმონ დანტესი!
 სად მსმენია ეს სახელი?
 – აა, გრაფი მონტე-კრისტო!
 – ეს შემდეგ, ახლა კი ჯერ უბრალოდ ედმონ დანტესია. კაცი საკმაოდ ახალგაზრდაა. გარეგნულად კი მართლაც ედმონ დანტესის ალიკვალაია!
 – რას აკეთებთ მანდ? – მოისმა კიბიდან ნაცნობი ხმა.
 – ეს ხომ შერლოკია! – წამოიძახა დარტანიანმა.
 – მომართვისას “ჰოლმსი” მირჩენია – ცივად უპასუხა მან. გაუგონარი ამბავია! შერლოკ ჰოლმსი და დარტანიანი სტუმრად ედმონ დანტესთან!
 სიცილს ძლივს ვიკავებდი. გიჟები კი არიან, მაგრამ თითოეული ისე გამოიყურება, როგორც შეეფერება!
 – თავს არ დავზოგავ ქალბატონისათვის! – წამოიძახა დარტანიანმა.
 – მეც – თავი დაუკრა ჰოლმსმა. – ჩვენი ვალია – დავეხმაროთ ახალგაზრდა ქალბატონს, რომელიც აქ ჩაუდენელი მკვლელობისათვის მოხვდა.
 – ოჰო, თქვენ ყველაფერი იცით!
 – სახელოზე სისხლის კვალს ვაქვთ. – აუხსნა ხოლმსმა. – მაგრამ თქვენ თვითონ დაჭრილი არა ხართ. ანუ ეს თქვენი სისხლი არ არის. თქვენ არ მიეკუთვნებით ადამიანთა კატეგორიას, ვინც თუ რალაცა, მაშინვე დანას დააძრობს. აქედან გამომდინარე, კაბა ვილაც სხვამ დაგისვართ, თანაც განგებ. მიზეზი? ალბათ უფრო ფული! მემკვიდრეობით დიდი ქონება უნდა მიგეღოთ, მაგრამ ვილაც თქვენმა ნათესავმა (დეიდამ? ბიძამ?), თავისი ბოროტი ბუნების გამოისობით, დაგიგოთ ეს ხაფანგი. ასე არ არის?
 – წარმოუდგენელია! სრული სიმართლეა! – მართლაც გაოგნებული ვიყავი.
 – ეს მხოლოდ ვარაუდია, დედაქციაც კი არ არის, – შენიშნა ოდნავ დარცხვენილმა ჰოლმსმა. – ახლა კი თქვენ თვითონვე მომიყევით დაწვრილებით.
 ჩემო ამბავი რომ მოისმინა, ჰოლმსმა ნელა დააქნია თავი:
 – გასაგებია. ძილის წამალი გამოიყენეს, თქვენთვის მკვლელობა რომ დაებრალბინათ. აი, როგორ ყოფილა ყველაფერი, მაგრამ რალაც მაეჭვებს. რა საჭირო იყო ადვოკატ ტაგაკის მოკვლა? მხოლოდ იმისათვის, რომ თქვენ დაედანაშაულებინეთ? ეს არასაკმარისი მოტივია. როგორც ჩანს, ბიძათქვენი მართლაც ჩამდენია დანაშაულისა, მაგრამ არა ისეთი, რომ უმიზეზოდ მოკლას ადამიანი. ალბათ კიდევ რალაც მიზეზია.
 – კიდევ მიზეზი? მაგრამ რა?
 – სწორედაც ეს არ ვიცი! – თავი გადააქნია ჰოლმსმა.
 – აუცილებელია საქმის გამოძიება.
 – გამოძიება? – ამოვიკვანესე – ჩვენ ხომ ველარასოდეს გავალთ აქედან. არაფერი გამოგივათ!

– ნუ დაღონდებით, – დამამშვიდა დარტანიანმა. – თუ აქედან თავის დაღწევა გსურთ, გაჩვენებთ, როგორ უნდა მოიქცეთ!

– მართლა?! – გაოცებისაგან თვალეები დავაჭყიტე. დარტანიანი ედმონ დანტესს უკვე აგდება იატაკზე დაგებული საფარებლიდან, რომელზეც ის იჯდა. დანტესი საკმაოდ უკმაყოფილო გამომეტყველებით ადგა და გვერდზე გადაგა. დარტანიანმა საფარებელი გადააძრო და ქვის ერთ-ერთ იმ ფილას დაანვა, რომლითაც იატაკი იყო მოკონწყლული.

ერთი შეხედვით ურყევი ქვის ფილა ყოველგვარი დაუბრკოლებლივ დატრიალდა. იატაკიდან ხვრელი იჭყიტებოდა. გაოგნებული ჩავაშტერდი იქაურობას...

III

ჩემს სახლთან ნაცნობი მანქანა დავინახე.

გული ლამის ამომივარდა. აქ არის!

შესასვლელი კარი ჩუმად შევალე. შიგნით სიჩუმეა, ჩამიჩუმი არ ისმის. თუმცა სინათლე ანთია. ყური დავუგდე. სასტუმროდან რაღაც ხმა ისმის!

ნახევრად შეღებულ კართან მივიპარე და ოთახში შევიხედე. ასეცაა. ის არის!

ის. სიუნიტი ტაგაკი. ადვოკატის შვილი, ჩემი ბავშვობის მეგობარი. ერთადერთი, ვისაც სავსებით ვენდობი.

კარმა, რომლის გაღებაც ვცადე, დაიჭრიალა. ტაგაკიმ მოიხედა.

– შენ... – ამოილულულა.

– სიუნიტი – ამის თქმაღა მოვახერხე.

– სად... სად იყავი? – გაოგნებისაგან ჯერ კიდევ ვერ მოსულიყო გონს.

– საავადმყოფოში. ბიძამ და დეიღამ დამაძინეს და იქ გამომამწყვდიეს.

– გამოგამწყვდიეს?

– ჰო, მაგრამ გაქცევა მოვახერხე. სიუნიტი, მამაშენი არ მომიკლავს!

– რაა? ა, ჰო, რა თქმა უნდა, მჯერა შენი. რატომ არ ჯდები?

– გმადლობთ, ისე დავიღალე!

– დალევ რამეს?

– კი, კარგი იქნებოდა რაიმე ცივი. სიუნიტი, მოდი, ახლოს დამიჯექი, გთხოვ!

დაღლილობისაგან ძალა გამომლეოდა. ისე მინდოდა მისი ხელების სითბო მეგრძნო!

– ყველაფერი კარგად იქნება, არ ინერვიულო. – ჩამჩურჩულა სიუნიტიმ. – შენთან ვარ. ყველაფერი კარგად იქნება!

– ჰო, მაგრამ ისე დავიღალე!

– ცოტა დაისვენე, მე შენს გვერდით ვიქნები.

– კარგი იქნებოდა – ამოვიხვნეშე, – მაგრამ არ შეიძლება!

– რატომ?

– დიღამდე უკან უნდა მივბრუნდე საავადმყოფოში.

– დიღამდე... კი მაგრამ, რატომ?

– კონკიასავით – გავუღიმე – მაპატიე, გთხოვ! შენ მამა აღარ გყავს, მე კი...

– კარგი, კარგი! ჯობს მომიყვე, რა გადაგხდა თავს.

– შევეცდები, მაგრამ მეექვსე-ბა დამიჯერო.

– მაინც მომიყევი.

ზედმეტი ნვრიღმანების გარეშე ვუამბე მეცხრე პალატისა და მის მკვიდრთა შესახებ. ახლა ბევრი რამ მეც დაუჯერებლად მეჩვენებოდა.

– მინისქვეშა გასასვლელი საავადმყოფოს ლობის გარეთ ჭალაში გადიოდა. გამოვედი, ცოტა გავიარე და შოსეზე მოვხვდი. ლამით, თვითონაც იცი, მანქანა არც ისე ბევრია, მაგრამ საბედნიეროდ პირველივემ გამიჩერა. პირდაპირ სახლამდე მომიყვანეს.

– ზღაპარივითაა, პირდაპირ...

– მაგრამ ყველაფერი სიმართლეა.

– და მაინც, თუ მინისქვეშა გასასვლელია, ყველა რატომ არ გამოიქცა?

– ესმით, რომ საავადმყოფოს კედლებს მიღმა სამყარო მათ არ მიიღებს. იქ კი ბედნიერები არიან... თავი კი ტუსაღებად რომ არ იგრძნონ, მინისქვეშა გასასვლელი გათხარეს, საიდანაც ნებისმიერ დროს შეიძლება წასვლა.

– დიღამდე რატომღა უნდა დაბრუნდე?

– დიღით, როცა საუზმეს ჩამოატარებენ, ამონებენ, ყველა ადგღზეა თუ არა. გესმის, რა ატყდება, ერთს თუ ვერ აღმოაჩენენ?! მინისქვეშა გასასვლელს იპოვნიან და ამოქოღავენ, და მაშინ კვღავ ტუსაღებად გადაიქცევიან! ზედამხედვეღობაც გამკაცრდება. მოკღედ, თავისუღვალ ცხოვრებას ბოღო მოღდება.

– რა კეტიღი ხარ! – გაიღიმა სიუნიტიმ – უთანაგრძნობ?

– აბა, რა! ისეტი კარგი ადამიანები არიან.



მხატვარი ვახტანგ მეგრელიშვილი

– მაგრამ დილაზე ხომ ვერაფერს მოასწრებ. რისთვის უნდა დაბრუნდე? დარჩი!

– მერე...

– შენი ახალი ნაცნობები? შენზე ფიქრითაც აღარ ფიქრობენ! დაფიქრდი, იქ რა გესაქმება!

თვითონაც არ ვიცოდი. თითქოს მართლაც არაფერი, მაგრამ ჰოლმსისა და დარტანიანის მომღიმარე სახეები თვალწინ მედგა. ისინი გაქცევაში დამეხმარნენ და ვგრძნობდი, ბედის ანაბარა მათი დატოვება არ შემეძლო.

ხომ დავპირდი, აუცილებლად დავბრუნდები-მეთქი!

– და თანაც ის უფრო მნიშვნელოვანია, გადავწყვიტოთ, შემდგომ როგორ მოვიქცეთ! – თავისაზე იდგა სიუნიტი.

– ყველაფერი ბიძაჩემისა და დეიდას ბრალია. მათ გამოამწყვდიეს საავადმყოფოში, ფული რომ ჩაეგდოთ ხელთ.

– მოიცა, მოიცა. მოდი ყველაფერი რიგის მიხედვით ავწონ-დავწონით. მათ აქ ელაპარაკებოდი, ასეა?

– ჰო, მამაშენი კი ამ დროს თვლემდა. დეიდამ ყავა მოამზადა და მე დავლიე. შემდეგ... ბიძაჩემი, დეიდა და ჰიტოსი წავიდნენ.

– ჰიტოსი? – აა, შენი ბიძაშვილი!

– ჰო. იცნობ? შემოსასვლელიდან შემოვბრუნდი. და მაშინ... თავბრუ დამეხვა... ვერც კი მოვასწარი გამეგო, რა ხდებოდა... გონს მანქანაში მოვედი, საავადმყოფოსაკენ რომ მივდიოდით.

– და შენ გაიგე, როგორ თქვა ბიძაშენმა მამაჩემზე, მოკლულიაო?

– ჰო, და ამიტომაც დავბრუნდი. სიმართლე უნდა გავარკვიო! – ამ დროს სიუნიტიმ კარისაკენ გაიხედა.

– მოიცა!

გავშეშდი. კარებში... ადვოკატი ტაგაკი იდგა

– თქვენ? დივანიდან ძლივს წამოვდექი, ფეხზე ვერ ვდგებოდი.

– სად დაიკარგე, ლამის არის გავგიჟდეთ! – ოთახში შემოვიდა ადვოკატი.

– მამა, – მიუბრუნდა სიუნიტი, – ამას ეგონა, შენ მოგკლეს. ასე რომ, გვარიანად გააკვირვე!

– მომკლეს, მე? – ადვოკატს თვალები კიდე უფრო დაუმრგვალდა. რისთვის, ნეტავ? დაჯექი, დაჯექი... ძალიან კი გამოაცე!

– ეს ბიძაჩემმა და დეიდამ მოიგონეს, თითქოს მე მომეკალით! რა კარგია, ცოცხალი რომ ხართ.

სიუნიტის გაბრაზებულმა შევხედე.

– მაშინვე რატომ არ მითხარი?

– ნუ ბრაზობ. მამამ აქ გამომიძახა. შენზე მითხრა, გაქრაო. ამიტომაც ჯერ მინდოდა გამეგო, რა შეგემთხვა.

– და მაინც... – უნებურად მხრები ავიჩიჩე – ბატონო ტაგაკი, ბოლობოლო მითხარით, რა მოხდა?

– მე თვითონაც არ ვიცი. – თავი გადაიქნია მოხუცმა ადვოკატმა. – ჩავთვლიმე. გისმინეთ, გისმინეთ... და უცებ ისე მომერია ძილი!

– მანამდე რამე დალიეთ?

– ფინჯანი ჩაი.

– დარწმუნებული ვარ, მასში რალაც ჩაგვიყარეს!

– იქნებ ასეც იყო. ყოველ შემთხვევაში არ მახსოვს ძილს ასე დაერიოს ხელი – დამეთანხმა ადვოკატი. – და როცა გონს მოვედი, სახლში არავინ იყო. ერთ ოთახში შევედი, მეორეში – არსად არავინაა! ავლელდი, ბიძაშენს დავურეკე.

– რა გითხრათ?

– ყურმილი ჰიტოსიმ აიღო. მითხრა, მშობლები შინ არ არიანო. შენზე თითქოს არაფერი იცოდა. ალბათ გასართობად წავიდაო...

– როგორ გაბედა! – გავბრაზდი მე – ალბათ თავის თავში ავერიე!

– კარგი, მთავარია უვნებელი ხარ. მე კი სული ამიფორიაქდა.

სიუნიტიმ მამას ჩემი ნაამბობიდან მთავარი უამბო. ჰოლმსისა და დარტანიანის შესახებ გონივრულად გაჩუმდა.

– გაუგონარია, – ადვოკატი ლამის ცუდად გახდა. – გოგონა არაფრისათვის საგიჟეში გამოამწყვდიო... მაგათ ვასწავლი ჭკუას!

– მე რა ვქნა?

– მათ არ იციან საავადმყოფოდან რომ გამოიქცევი და ამიტომაც არაფერზე ლელავენ. სწორედ ამას გამოვიყენებთ.

– მაგრამ მინდოდა რაიმეთი დაგხმარებოდი!

– არ არის საჭირო. გარკვეულ დრომდე ჯობს არ გამოჩნდე. მომენდე. მე სიუნიტი დამეხმარება. სიუნიტი წამოდი, მაგათ ვურჩვენებთ სეირს.!

– წავედი. იოსიკო, აქ დაგველოდე!

– კარგით, ოღონდ მალე დაბრუნდით!

– დარწმუნებული იყავი! – ჩაიციინა სიუნიტიმ.

მამა-შვილი ტაგაკი საჩქაროდ გავიდნენ. დივანზე დავეშვი.

ახლა უკვე ყველაფერი რიგზეა. მამაჩემის მემკვიდრეობა არ დაიკარგება.

დაღლილობა ისევე შემომეპარა, რადგანაც ალბათ დავმშვიდდი. ქუთუთოები დამიძიმდა... ჰო, მაგრამ რა ეშველებათ ჩემს მეგობრებს საავადმყოფოდან?!

ჰოლმსი, დარტანიანი! შეიძლება მათი ბედის ანაბარა მიტოვება?

ასეა თუ ისე, მთავარია მემკვიდრეობის განკარგვა. ასე რომ, საავადმყოფოსაკენ გზა ჩაკეტილია!

სამწუხაროა... კარგი, როცა ყველაფერი დალაგდება, ადვოკატ ტაგაკის დავავალებ, ამ საავადმყოფოს მიხედოს!

ალბათ ბევრი ხალხია იქ, ნების საწინააღმდეგოდ გამოკეტილი. ისინი უნდა დავიხსნა, ჰოლმსისა და დანარჩენთათვის კი ყველაფერი უნდა ვიღონო, რომ იქ მშვიდად იცხოვრონ.

თვალეები საბოლოოდ დამეხუჭა და დამეძინა.

– გაიღვიძეთ, ქალბატონო, გაიღვიძეთ!

ვისი ხმაა? მგონი სადღაც მსმენია... ძლივს გავახილე თვალი. ზემოდან ქვემოთ აღერსიანი თვალეები დამცქეროდნენ.

– ღმერთო ჩემო, ბატონო ჰოლმს! – წამში მოვედი გონს. ჩემს წინ ჰოლმსი იდგა.

IV

მიმოვიხედე.

ეჭვი არ არის, ჩემი სახლის სასტუმრო ოთახში ვარ. მაგრამ ჩემს წინ ხომ ჰოლმსი დგას.

– ჰოლმს... აქ საიდან მოხვდით?

ვიდრე ჰოლმსი რაიმეს მიპასუხებდა, კარი გაიღო და დარტანიანი შემოვიდა.

– აჰა, გაიღვიძეთ? – ხალისიანად შემოსძახა.

– ახლა ხალისის დრო არ არის, – შეაჩერა ჰოლმსმა, მე კი ამიხსნა. – თქვენი წასვლის შემდეგ ადგილს ვერ ვპოულობდით. მივხვდი, რომ არცთუ უბრალო შემთხვევასთან გვქონდა საქმე. თანაც დარტანიანიც სულ თქვენს დასაცავად იწვედა და ამიტომაც გამოგყვით ორივე.

– კი, მაგრამ მე ხომ მანქანით წამოვედი...

– ჩვენ კი მის სახურავზე ავხტით!

– დეტექტივის სამუშაო თავლი არ არის – ამოიხენება ჰოლმსმა – გზად ჩიბუხიც დავკარგე!

– ბატონო ჰოლმს! – ჩაერია დარტანიანი – რაღაც მინდა შეგატყობინოთ.

– დიახ.

– მესმის, ღვინოს ეძებდით.

– ღვინო ვერ ვნახე, მაგრამ რაღაც საინტერესო აღმოვაჩინე.

– რა?

– გვამი! – თითქოს არაფერიო, ისე უპასუხა დარტანიანმა.

– შეუძლებელია! – წავილულულე, როგორც კი მეტყველების უნარი დამიბრუნდა.

– დავრწმუნდეთ, ამაზე ადვილი არაფერია. – მშვიდად თქვა ჰოლმსმა

სამზარეულოში გავედით.

ჩვენი სამზარეულო საკმაოდ დიდია. საკუჭნაოს კარი შორეულ კუთხეში შეღებული აღმოჩნდა.

– კარი ღია იყო? – დაინტერესდა ჰოლმსი

– რა თქმა უნდა, სხვაგვარად როგორ დავინახავდი შიგნით რა იყო.

კარს უკან, იატაკზე სხეული გაშხლართულიყო. გულმკერდი სისხლით მოსვროდა, სახეზე გაოგნება აღბეჭდვოდა.

– ვინ არის? – იკითხა ჰოლმსმა.

– ეს ხომ... – ამოვილულულე – ეს ხომ ბიძაჩემია! ბიძაჩემი სირო სუძუკი!

საბოლოოდ დავიბენი.

– დანიტაა მოკლული! – ჰოლმსი იმ ნამდვილი ჰოლმსივით დასცქეროდა გვამს. – თანაც, სამზარეულოსი. ჰო, აქ ხომ სამზარეულოა. დანებს სად ინახავთ?

– აი, აქ, კარადაში. – მივედი და კარი გამოვაღე. – მართლაც, ერთი აკლია. დიდი, ხორცის საჭრელი დანა.

– კარგად იყო ალესილი?

– დიახ.

– მაშინ სწორედ ის გამოიყენეს მკვლელობის იარაღად. – თავი დააქნია ჰოლმსმა. – სისხლის მიხედვით არც ისე დიდ ხნის წინათაა მოკლული. ალბათ ერთი საათი იქნება.

– ერთი საათი? – გავიკვირვე – რამდენ ხანს მეძინა?

– ასე, ოცი წუთი. მას შემდეგ, რაც სახლში შეხვედით, ცოტა ხანს ქუჩაში გავჩერდით, მაგრამ შემდეგ ავლედით, რადგან არ ვიცოდით, რა ხდებოდა შიგნით და, უნდა გვაპატიოთ, ეზოში შემოვიპარეთ.

– შემდეგ კი ორნი გამოვიდნენ, ალბათ მამა-შვილი.

– დიახ, ეს ადვოკატი ტაგაკი იყო შვილთან ერთად.

– ცოტა ხანს კიდევ ვუთვალთვალეთ სახლს და შემოვედით.

– ესე იგი... ბიძაჩემი ჩემს მოსვლამდე ცოტა ხნით ადრე მოკლეს.

– ასე გამოდის.

– კი, მაგრამ, ვინ?

– იცით, რა – შემეხმინა ჰოლმსი, – წარმოსახვა ფასეული თვისებაა, მაგრამ მისი თამამის წესის გაგება პირიქითაა საჭირო.

– პირიქით?

– თქვენ გეგონათ, რომ დეიდასა და ბიძას თქვენი ქონების ხელში ჩაგდება სურდათ, მაგრამ მართლა ასე იყო სინამდვილეში?

სასტუმრო ოთახში შევბრუნდით.

– ამას გარდა, საკითხავია, იკისრებდნენ მკვლელობას ამის გულისათვის? ნორმალურმა ადამიანმა და არა მკვლელმა-მანიაკმა შეიძლება მკვლელობა ჩაიდინოს სასონარკვეთილებისას..

– ეს კი მესმის.

– და დეიდათქვენისა და ბიძის მდგომარეობა ასე უიმედო იყო? როგორ ფიქრობთ?

დავფიქრდი.

– ძნელი სათქმელია. ბიძაჩემი ექიმი იყო და ფულთან დაკავშირებით სირთულეები არ ექნებოდა.

– აი, ხედავთ! ვთქვათ, მათ მართლაც სურდათ თქვენი მემკვიდრეობა. შემიძლია ისიც ვიფიქრო, რომ თქვენი სავადმყოფოში გაშვებაც გაერისკათ. მაგრამ მკვლელობაზე გაბედო! მკვლელობის მოტივი შეძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ ის, რომ მამათქვენის მემკვიდრეობა უკვე აღარ არსებობდა.

– რას ამბობთ – გავოგნდი. – ეს როგორ შეიძლება.

– რატომაც არა?

– ფულს ხომ ბატონი ტაგაკი განკარგავდა. ბიძაჩემს როგორც უნდა დაეგა თვალი, გროშსაც ვერ მიიღებდა!

– კეთილი, მაგრამ თვითონ ტაგაკიზე რას ფიქრობთ?

– ტაგაკიზე?

სრულიად დაბნეული მივაშტერდი ჰოლმსს. – შედეგს შეხედეთ. ტაგაკი კი არა, ბიძათქვენია მოკლული! მკვლელობისას თქვენი, ადვოკატ ტაგაკისა და მისი შვილის გარდა აქ არავინ ყოფილა.

– სულ დამაბნით...

– ბიძათქვენსაც თვალი ეჭირა მემკვიდრეობაზე. ტაგაკის შეგონებით ძილის წამალი ჩაგიყარათ და სავადმყოფოში წაგიყვანათ. მაგრამ ტაგაკიმ უკვე დიდი ხანია ფული მიითვისა და გაანიავა, და ხეირი არ დაადგებოდა, ბიძათქვენს ეს რომ გაეგო.

– ამიტომაც მოკლა?

– შესაძლოა იმედი ჰქონდა, მოვრიგდებოდა. მაგრამ, როგორც ჩანს, ბიძათქვენმა მოთმინება დაკარგა, როცა

გაიგო საქმის ვითარება და პოლიციით დაემუქრა. ტაგაკის სხვა აღარაფერი დარჩენოდა, გარდა იმისა, რომ მოექლა.

– და ამ დროს თქვენ გამოჩნდით! – ჩაერია დარტანიანი.
– ძალიანაც დროულად ტაგაკის ოჯახისათვის! – დაურთო ჰოლმსმა.

– დროულად? რატომ?

– ვის, თუ არა თქვენ, ჩავთვლიან ეჭვმიტანილად? დარტანიანის ვარ, პოლიცია მთელი სისწრაფით აქეთ მოექანება.

– ჩემად! – წამოიძახა დარტანიანი. – კარეტის, უფრო სწორად, მანქანის ხმა მესმის.

– პოლიცია?

– ვნახოთ. ყოველ შემთხვევაში, უხმაუროდ სჯობს. ზარის ხმა გაისმა.

– როგორ მოვიქცე? – მივუბრუნდი ჰოლმსს.

– გააღეთ, ჩვენ დივანის უკან დავიმალდებით.

ჰოლმსი და დარტანიანი დივანის ზურგს ამოეფარნენ. შემოსასვლელისაკენ გავემართე, მაგრამ დარტანიანმა თავი ამოყო:

– მაპატიეთ, ქალბატონო, ქოლგა თუ გაქვთ, იქნებ მოგცათ.

– ქოლგა? – გავიმეორე კითხვა. რა ჩაიფიქრა?

გავედი და კარი გავაღე. იქ ჰიტოსი სიძუკი იდგა.

– ჰიტოსი...

– სად არის მამაჩემი? – მოჭრით მკითხა, გვერდზე გამწია და შემოვიდა.

– იცი, რა...

– ადვოკატმა დამირეკა! მითხრა მამაშენი საფრთხეშია!

– ტყუილია! შენ არაფერი იცი!

– სად არის?

– სამზარეულოში... მაგრამ აჯობებს...

ჰიტოსი სამზარეულოში შევარდა. არ ვიცოდი, როგორ მოვქცეულიყავი, და შემოსასვლელში დავრჩი. წამში ჰიტოსი გამობრუნდა და ნელ-ნელა მომიახლოვდა. სახე ცოფიანს მიუგავდა.

– ჰიტოსი, არ გინდა, მე არ მომიკლავს! მე არა!

ჰიტოსის ხელები ყელზე შემომეჭდო. იატაკზე წამაქცია.

– მოგკლავ!

გავფართხალდი, მაგრამ ჰიტოსი ზემოდან მომექცა და ვეღარ გავთავისუფლდი. მისი ხელები სულ უფრო ძლიერად მეჭდობოდა ყელზე. "ნუთუ მომკლავს?" გამიელვა.

ყრუ დარტყმის ხმა მომესმა და ხელები, მე რომ მახრჩობდნენ, მოეშვენ. ჰიტოსიმ ძირს ბრავგანი მოაღინა.

– ხომ არ დამავდით? – დარტანიანი ნიგნების თაროდან ალებულ ბრინჯაოს სადგამს აწვალებდა.

– თქვენ გადამარჩინეთ. – ამოვიხრიალე და ძირს დაგდებულ ჰიტოსიზე დაყრდნობით ძლივს წამოვდექი. – მკვდარია?

– არა, უბრალოდ გონება დაკარგა, – მიპასუხა დარტანიანი. – მაგრამ კართან კვლავ ვილაც არის.

– რაა?

– ქოლგა სადაა?... აჰა, ვიპოვნე! ნებას დამრთავთ?

– რა თქმა უნდა!

დარტანიანმა ხელი დასტაცა მამის ძველ ქოლგას და დაშინასავით წუილით გააპო ჰაერი.

კარი გაიღო და სიუნიტი ტაგაკი გამოჩნდა. მე რომ დამინახა, ადგილზე გაშეშდა:

– შენ... გადარჩი?

– როგორც ხედავ. შენ რა გნებავს?

– იცი...

– რატომღაც რომ არ ვიცოდე! ჰიტოსის უთხარით, რომ ძია სირო მე მოვკალი, რათა ჩემთვის გაესწორებინა ანგარიში! მაშინ ხომ ვერავინ შეიტყობდა სხვისი ფულები როგორ გამოიყენეთ!

– რას ბოდავ?!

მაგრამ წამიერად გაფითრებულმა სახემ გათქვა. იმავე წამს ადვოკატი ტაგაკი შემოვიდა.

– რა მოხდა?

– მორჩა! ყველაფერი გაიგო!

– აი, თურმე... რა გაენყობა! მისი მოკვლაც მოგვიწევს.

– შეჩერდით, ბატონებო! – დარტანიანი ამოიზარდა შემოსასვლელში. ორივე ტაგაკი კინალამ ადგილზე ჩაიკეცა.

– ეს ვინლაა?!

– მე დარტანიანი გახლავართ, სამართლიანობისათვის მებრძოლი! – და თავი დაუკრა. – არა მჩვევია ბოროტმოქმედების დაუსჯელად დატოვება.

შემდეგ მოხდა რაღაც წარმოუდგენელი. ძველმა ქოლგამ ჰაერში გაიშხულია. ამოსუნთქვაც ვერ მოვასწარი, რომ ორივე დაუპატიჟებელი სტუმარი ასე სამ მეტრზე გადაფრინდა და იატაკზე დაენარცხა.

– აი, ახლა ყველაფერი რიგზეა! – სახეგაბადრულმა დარტანიანმა მარჯვედ მოხაზა წრე.

– ჩვენი წასვლის დროა! – ჰოლმსიც შემოსასვლელში იდგა. – მშვიდობით, ქალბატონო!

– მაგრამ... მე ხომ დილაამდე თქვენთან უნდა დავბრუნდე!

– ჩვენ რომელიმე მანქანა გავგიყვანს, თქვენ კი ასეთ ადგილას რა გესაქმებათ? ასე არ არის?

– მაგრამ მე თუ ვერ მიპოვნია, თქვენ ცუდ დღეში ჩავარდებით!

– რას ამბობთ, ჩვენი მეგობარი დანტესი სიამოვნებით ამოთხრის კიდევ ერთ მინისქვეშა გასასვლელს! – ჩაერია დარტანიანი. – ჩვენ კი გათენებმდე წამდვილად უნდა ვიყოთ ადგილზე.

მეგობრები წასასვლელად მოემზადნენ

ველარ მოვითმინე. – მოიცათ! მანქანა მე მყავს. წაგიყვანთ და... თქვენთანაც დავრჩები!

– მაგრამ, ქალბატონო – წამოიწყო ჰოლმსმა, მაგრამ არ დავამთავრებინე:

– ორმაგი ცხოვრებით ვიცხოვრებ: დღისით იქ, ღამით – აქ. მაგარი იქნება! საავადმყოფოსთან ახლოს გადმოვალ... სამყაროში იმდენი ბოროტება! ისეთი არაჩვეულებრივი ადგილი, თქვენთან რომაა, როგორ მივატოვო!

– თქვენ, მგონი, ცოტა აურიეთ! – გაიღიმა ჰოლმსმა.

– სწორედ ეს მხდის ღირსს თქვენი საზოგადოებისა, – ვუპასუხე და გასასვლელი კარი გავაღე.

დოქმა მითხრა საიდუმლოდ

*

ქართული ხაიაშიანა თვალის გადავლახით

მინცდამაინც გასაკვირი არ არის, ძალიან დაგვიანებით რომ შემოაღწია ომარ ხაიაშის პოეზიამ საქართველოში. ასე ძალზე დაგვიანებით გაიცნო იგი ინგლისმა და შემდეგ მთელმა ევროპამ და ირანმაც ხელახლა აღმოაჩინა პოეტი, ვინც სამუდამოდ დაიმკვიდრებს ადგილს მსოფლიო პოეზიის თანავარსკვლავედში.

როგორც ყველა ქვეყანაში, „რობაიათმა“ საქართველოშიც თავიდანვე საყოველთაო აღტაცება და ინტერესი გამოიწვია, შეიქმნა ჩინებული თარგმანები, ესეები თუ ნარკვევები და, შეიძლება ითქვას, ხაიაშიანა თვალსაჩინოდაა გამოკვეთილი ჩვენს სინამდვილეში. ის კვლავაც ნარმატებით გრძელდება, მაგრამ უკვე აუცილებელი შეიქნა თვალის მიგვედევნებინა ამ მრავალმხრივ მნიშვნელოვანი ლიტერატურულ-კულტურული და, აგრეთვე, საზოგადოებრივი მოვლენის ისტორიისათვის, რომლის იდუმალსა და მომხიბლავ გარემოშიც პავლე ინგოროყვა შემოგვიძღვა – როგორც შესანიშნავი ესეის „ომარ ხაიამ“ ავტორი და თარგმნის თაოსანი – მისი შთაგონებით მოჰქიდა ხელი იუსტინე აბულაძემ რობაიების პროზაული ვერსიის გადმოღებას ქართულ ენაზე – და მისთვის გზის დამლოცავი უურნალ „კავკასიონის“ ფურცლებზე.

მან განსაზღვრა ომარ ხაიაშის შემდგომი ბედი ქართულ მწერლობაში და ეს სასიკეთო ნამოწყება კიდევც დამშვენდა საუკეთესო მიღწევებით. დიდი გამოძახილი ჰპოვა ამბაკო ჭელიძის თარგმანებმა, მერე უკვე მაგალი თოდუასი და ვახუშტი კოტეტიშვილის... ბოლო ხანს გამოჩნდა ნომადი ბართაიას, ალექსანდრე ელერდაშვილისა თუ გიორგი ლობჯანიძის მიერ თარგმნილი ნიმუშები. პროზაული თარგმნის ტრადიცია კი განაგრძეს გივი მალულარიამ და ბაჩანა ბრეგვაძემ. გივი მალულარიამ ვრცელი ნარკვევიც უძღვნა დიდ ირანულ შემოქმედს. აღსანიშნავია თამაზ ჩხენკელის სტატიაც და ზვიად გამსახურდიას ვრცელი პასაჟებიც ნიგნში „ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველება“...

განსაკუთრებით საგულისხმო კი ის აღმოჩნდა, რომ ორმა კლასიკოსმა მწერალმა თავიანთ პერსონაჟებს მიაწერა ომარ ხაიაშის რობაიების თარგმნა და თითქოს ამით ამოავსეს ის ხარვეზი, საუკუნეთა მანძილზე ამ პოეტის სტრიქონიც რომ არ გახშირებულა ქართულ ენაზე. ასეა თუ ისე, ხაიაშს გრივად აბაშიძის რომანში „ლაშარელა“ თარგმნის მეფე ლაშა-გიორგი, ლევან გოთუას რომანში „გმირთა ვარაში“ კი – ზაზა კახნიაური.

ამის მიგნებამ აფიქრებინა **როსტომ ჩხეიძეს**, რომ სწორედ ამ ორიგინალურ კომპოზიციურ ქარგაზე დალაგებულიყო ქართული ხაიაშიანა, როგორც ჩვენი კულტურის ერთ-ერთი გამორჩეული მიღწევა. ასე შეიკრა მისი ნარკვევის კომპოზიციური ჩარჩო – უპირველესად ლაშა-გიორგის წარმოსახვითი თარგმანის ირგვლივ.

აქვე ჩაერთო მოკლე ანალიზიც თეოდორ მეითსონის დეტექტიური ნოველისა „ომარ ხაიაში – დეტექტივის როლში“, რომლის ქართული თარგმანიც გამოჩნდა „ჩვენი მწერლობის“ ფურცლებზე და კიდევ ერთხელ ცხადყო, თუ რაოდენ პოპულარულია ეს პოეტი და როგორ ეძვირფასებათ მისი სახელის ხსენება, რომ ასეთ უჩვეულო ამპლუაშიც კი წარმოადგინეს – ჩახლართული სისხლიანი ამბის გამხსნელად.

და „ჩვენი მწერლობის“ დარბაზში იმდღევანდელი თავმოყრაც და განსაკუთრებული აჟიოტაჟიც ომარ ხაიაშის ხსოვნისადმი მიძღვნილმა საღამომ გამოიწვია.

მომხსენებლის წყალობით მსმენელებმა ხაიაშიანას ისტორიას ერთიან პერსპექტივაში გაადვენეს თვალი, რობაიების გარეგნულ, ხელმისაწვდომ სამოსელსაც და მის დაფარულ, ეზოტერულ სიბრძნესაც, სიმბოლიკა სულ სხვაგვარად რომ ამოიხსნება და ამქვეყნიური ლხენისა და დროსტარების ნაცვლად ღვთის ძიების დაუოკებელ ჟინად გვევლინება; და ნატვრით ინატრეს, ეს ყოველივე მალე ერთ ნიგნადაც შეკრებილიყო.

თავყრილობა ამჯერადაც დაამშვენა ჩვენი ცნობილი მსახიობის, დეკლამატორისა და ლიტერატურის დიდი პოპულარიზატორის **ჯემალ მონიავას** ხელოვნებამ – როგორც მოველოდით, მან ხელშესახებად განაცდევინა დარბაზს ომარ ხაიაშის პოეზიის შთამბეჭდაობა და მადლი და მისი ქართული სამოსელის ბრწყინვალეობა.

ზოგიერთი ფრაგმენტი სტენოგრაფიული ჩანაწერიდან.

გიორგი ლობჯანიძე:

„ხაიაშის მთარგმნელად არ მიმანია თავი, რადგან ვთარგმნიდი არასისტემურად, განწყობისამებრ. ამას ნინათ დამირეკა ბ-ნმა ვახუშტი კოტეტიშვილმა და მითხრა, ვაპირებ ხაიაშის სრული კრებული გამოცეც და თუ რამე გაქვს, იქნებ მოგვანოდოო. დავიწყე ძებნა, სადღაც უჯრებიდან ამოვქექე ძველი თარგმანები, ზოგი ჩემს მეგობრებს გაახსენდათ, ზოგი მე თვითონაც მახსოვდა ზეპირად და საბოლოოდ აღმოჩნდა, რომ ოცდაათი რობაი მითარგმნია, ამიტომაც ხაიაშის მთარგმნელებს ვერ შევცვილები, მიუთმეტეს, ამხელა ტრადიცია არსებობს ხაიაშის თარგმნისა, ეს როსტომმა შესანიშნავად აღნიშნა თავის ნარკვევში.

ვერ დავეთანხმები თამაზ ჩხენკელის მოსაზრებას ხაიაშის მთარგმნელებთან დაკავშირებით, მაგალი თოდუას თარგმანები ვერ მოექცა მისი ტემპერამენტის ფოკუსში“.

როსტომ ჩხეიძე:

„მე ხომ მეთანხმები ყველაფერში?“

გიორგი ლობჯანიძე:

„პირველობა ამ საქმეში ნამდვილად ეკუთვნის ბ-ნ ვახუშტი კოტეტიშვილს, შესანიშნავი და განუთქორებელია მისი თარგმანები, მაგრამ ყველა იმ მთარგმნელმაც წვლილი შეიტანა იმაში, რომ ყოფილიყო ვახუშტი კოტეტიშვილის ვერსია იმ სახით, როგორი სახითაც გვაქვს, და განსაკუთრებული წვლილი ამ მხრივ მიუძღვის ბ-ნ მაგალი თოდუას, რომელმაც სწორად განსაზღვრა ტონალობა ქართული ხაიაშისა, და მერე რაღაცა ვარიაციებით ყველა ნავიდა ამ ვაკვალულ გზაზე.“

ტონალობა, რაც ასე მნიშვნელოვანია თარგმანისათვის, მაინც ბ-ნ მაგალის დამსახურებაა – ეს არც არის გასაკვირი, ქრონოლოგიურად სხვებს იგი უსწრებს. მან მიზანმიმართულად მოკიდა ხელი არა მარტო ხაიამის, არამედ ბევრი სხვა ირანელი პოეტის ამეტყველებას ქართულად და შესანიშნავადაც გაართვა თავი. თუნდაც ერთი ბრწყინვალე ნიმუში ბ-ნმა ჯემალმა ახლა წაიკითხა:

**მეჩეთში რომ ვართ, კვლავ ლოთები განა არა ვართ, განა ალაჰის იმედების ანაბარა ვართ!
აქ ერთ დღეს მოლას სალოცავი ნოხი მოვპარეთ, ისევ მოვედით ახალ ნოხის მოსაპარავად.**

ამ ნიმუშით იამაყებდა ნებისმიერი ხალხი.

ძალიან კარგია, დღეს ეს საღამო რომ იმართება, თუნდაც იმიტომ, რომ თვალი გადავავლოთ ყველაფერს, რა მონაგარიც გვაქვს გარკვეული ასპექტებით, ხაიამთან დაკავშირებით იქნება თუ სხვა პოეტებთან.

სიტყვა გამიგრძელდა და ისევ თარგმანს დავუბრუნდები. ხაიამმა განსაზღვრა დიდნილად, ვიქნებოდი თუ არა მთარგმნელი...

რალაცნაირად მინდა, დღევანდელი ჩემი თარგმანების კითხვა იყოს ბატონი კარლო ტაბატაძის სულის მოსახსენიებელი, რომელმაც მე-6 კლასელ გიორგის დააწყებინა სპარსულის სწავლა და მე-11 კლასის ჩათვლით კვირაში ერთხელ ერთი დღე ხაშურისა და ჩამოვდიოდი მასთან. სადღაც მე-10 კლასში ჩამანერინა ომარ ხაიამის ერთი რობაი, რომელსაც გზად ავტობუსში ვიზუპირებდი, რალაც მომენტში ჩამეძინა და თავისთავად მიეზა ქართული ტექსტი იმას, რასაც ვკითხულობდი“.

როსტომ ჩხეიძე:

„არარსებული არსებულად ჩათვალე ხომ, ხაიამის ერთი რობაისა არ იყოს?“

გოჩა ჯაფარიძე:

„ბ0-იანი წლების დასაწყისში, როდესაც ვახუშტი კოტეტიშვილის თარგმანები გამოვიდა, ახალგაზრდები ალტაცებულნი ვიყავით. აი, დღეს გაგვახსენა ბ-ნმა როსტომმა:

**ბაგით დავწვდი დოქის ბაგეს, ბაგე გადავიბადაგე, დღეგრძელობას ვეძიებდი, ჟამთა სრბოლით დავიდაგე.
დოქმა მითხრა საიდუმლოდ: მომაგებე ბაგეს ბაგე, ქვეყნად განა კიდევ მოხვალ, დალიეო, რას ქადაგებ.**

არ ვიცი სპარსულად როგორ ჟღერს, მაგრამ ქართულად ბრწყინვალეა.

მოვისმინეთ შესანიშნავი ესეი ბ-ნი როსტომისა. დღეს აღმოსავლური დღეა ამ შენობაში. როსტომ ჩხეიძეც აღმოსავლეთმცოდნეა. ასე რომ, რაც კარგები ვართ...

ასევე შესანიშნავი თარგმანებია გიორგი ლობჯანიძის. თავი ვერ შევიკავე, პირველმა მე დავუკარი ტაში.

გიორგის პოეტური ნიჭი ამ თხუთმეტი წლის წინათ დავინახე, როცა ყურანის ნაწყვეტები ვთარგმნეთ უნივერსიტეტში. მან პოეტურად თარგმნა. ეს არ არის პოეზია, გარითმული პროზაა, მაგრამ მისი თარგმანი ძალიან კარგი იყო, ძალიან მომეწონა და ვუთხარი: პოეტი ყოფილხარმეთქი. თურმე მართლა პოეტი იყო, მაგრამ მე არ ვიცოდი“.

თემურ ნადარეიშვილი:

„როდესაც ევროპაში გაცნენ ხაიამის ალგებრულ შრომებს, ასეთი რამ ითქვა: ევროპამ მთელი საუკუნე დაკარგა, ამ შრომებს რომ არ იცნობდაო. იგი იყო ასევე დიდი ასტრონომი. ჩვენი კალენდარი, რომელიც დღეს არსებობს, მის შექმნაში ლომის წილი ხაიამს მიუძღვის,

მე პატარა ესეიც მქონდა გამოქვეყნებული „ხაიამის სინდრომი“. შეიძლება ის თავის რობაიებს ქმნიდა მეცნიერული შრომებისაგან დასვენების დროს... როცა ვარსკვლავების ცქერისგან გადაილღებოდა, რობაიებს ქმნიდა...“

მარინა ალექსიძე:


„მიხარია, რომ ეს მთარგმნელობითი ტრადიცია გრძელდება. ბევრი სტუდენტი ვიცი, აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე იმიტომ აბარებდა, რომ ხაიამი სპარსულად წაეკითხა, იმდენად დიდი იყო ხაიამის თარგმანების გავლენა.

მინდა სპარსულად წავიკითხოთ ეს ნიმუში: „ბაგით დავწვდი დოქის ბაგეს...“

მანანა კვაჭაძე:

„მე გახლავართ ერთ-ერთი იმ აბიტურიენტთაგანი, რომელიც გახდა აღმოსავლეთმცოდნე სწორედ ქართული თარგმანების მეშვეობით. რადგანაც მისაღებ გამოცდებს გასაუბრება უძლოდა წინ. მქონდა ბედნიერება, რომ მე და ჩემისთანებს გასაუბრებოდნენ მაშინდელი დეკანი ბ-ნი გიორგი ფუთურიძე და ვახუშტი კოტეტიშვილი. ხაიამს მივადექი და მკითხეს, ვისი თარგმანები მოგწონსო, ზუსტად არ მახსოვს, რომელმა მკითხა... ვაქე, ვადიდე მთარგმნელი ვახუშტი კოტეტიშვილი ისე, რომ არ ვიცოდი ვის ვესაუბრებოდი...“

ძალიან იმოქმედა ჩემზე ბ-ნი როსტომის ესეისტურმა გამოკვლევამ. თუმცა, რომ ვთქვათ, ახალი არაფერი



ჯემალ მონიავა

ყოფილა... მაგრამ ეს ყველაფერი ისე იყო თავმოყრილი და დალაგებული, რომ სულისშემძვრელად იმოქმედა ჩემზე...

ისტორიზმის პრინციპით რომ შევხედოთ, ბრძენ ომარ ხაიამს საქართველოში ფეხიც არ შემოუდგამს... არც კი გაუფონია იმდროინდელ საქართველოში, არც სახელს, არც განწყობას...

და რომ არა 1924 წელს, დიახაც, დიდი პავლე ინგოროყვა, მისი ცოდნა, განათლება, გემოვნება და, რაც მთავარია, საზოგადოებრივი აზროვნება, კიდევ დიდხანს არ გახშიანდებოდა ეს სახელი, შემოსვლით შემოვიდოდა ოდესმე ხაიამის სახელი, მაგრამ უფრო გვიან.

ის არ შემოსულა ბუნებრივი გზით, ის შემოიყვანა პავლე ინგოროყვამ შეგნებულად.

რვა საუკუნე ქართველმა კაცმა ხაიამის გარეშე იცხოვრა..."

როსტომ ჩხეიძე:

„ქ-ნ მანანას გამოსვლა ერთ კარგ ნერილს დაედება საფუძვლად, იმედია დიდხანს არ გვალოდინებს“.

კონსტანტინე ზ. გამსახურდია:

„მახსოვს, 1928 წელს სპეცსემინარი დაინიშნა – ბატონი ვახუშტი იყო ამ სემინარის ავან-ჩავანი და ჩემთვის დაუფინყარია. აი, ამ ლექსებს ის კითხულობდა და ჩვენც გვაკითხებდა სპარსულად და მისი მიზანი იყო, ეჩვენებინა ეს საოცარი გადასვლები, პოეტური ვირტუოზულობა.“

საზღვარგარეთ ყოფნისას ვთარგმნე ზვიად გამსახურდიას შრომა „ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველება“ – იქ მთელი თავები ეძღვნება ომარ ხაიამს – ლაპარაკია იმაზე, რომ აუცილებლად უნდა იყოს ეს ეზოთერული ტერმინოლოგია ზუსტად თარგმნილი, რადგანაც ამას დიდი მნიშვნელობა აქვს. მაგალითად, ასეთი სახეცაა მოხმობილი, რომ ყურძენი არის რელიგიის ეგზოთერული მხარე, ხოლო წვენი – ეზოთერული მხარე.

იქ მითითებულია ძალიან საინტერესო შრომა, რომელიც მე მქონდა ხელთ – სპეციალურად ჩავედი უნივერსიტეტის საცავში მის მოსაპოვებლად – იდრის შაჰის შრომა სუფიურ ტერმინოლოგიაზე. ეს ნუსხა საკმაოდ ზუსტია. ეს ის ტერმინოლოგიაა, რასაც ვხვდებით ომარ ხაიამთან და არა მხოლოდ მასთან, სხვებთანაც.

სუფიზმი საკმაოდ მოწესრიგებული სისტემა იყო და არ უნდა გვიკვირდეს, რომ პოეტი, რომელიც იკვებება სუფიური ეზოტერიზმით, მეცნიერიც იქნებოდა.

ბოლოსდაბოლოს, გავიხსენოთ გოეთეს, რომელიც ასევე დიდად დავალებული იყო ომარ ხაიამისგან, ცნობილი სენტენცია, რომ ხელოვნების და მეცნიერების მფლობელს აქვს აგრეთვე რელიგიაც. ეს არის თვალსაჩინო არა მარტო ხაიამთან.

იმავე „ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველებაში“ თავშესაქცევი ისტორიაც არის მოთხრობილი ფიცჯერალდის თარგმანებზე. ხაიამმა ევროპაში გზა გაიკვლია ფან-კლუ-

ბებით. ეს იყო ევროპაში 20-30 წლებში, როცა მოდერნიზმი ყვაოდა, – ძირითადად მახვილდებოდა ყურადღება სმაზე, ქეიფზე, ბოჰემაზე, არავინ არ ფიქრობდა, თუ რა სემანტიკა დევს ამ საოცარ სიმბოლიკაში.

დაახლოებით გეტყვით, როგორი შინაარსის ლექსია ფიცჯერალდისეულ თარგმანში: „ღვინომ დამკრა ძარღვებში, მაგრამ ჩემი სულისგან ვერასოდეს ვერ გაკეთდება საუნჯე იმ კარებისთვის, რომელსაც ამოვ შეჰყმუის იგი“...

იდრის შაჰის თარგმანში ასეა: „ღვინო არის ის ღვთიური მადლი, რომლის ძალითაც ჩემი სულისგან შესაძლოა გამოდნეს ის გასაღები, რომელიც გააღებს საკრალურ კარს“ – მნიშვნელობაც კი სრულიად განსხვავებულია.

ფიცჯერალდს უყვარდა ჩამატება სიტყვების, ისეთი რამის, რაც ტექსტში საერთოდ არაა, მაგალითად: „შეჰყმუის“ – ასეთი სიტყვა საერთოდ არაა ტექსტში.

ბ-ნმა თენგიზ კეშელავამ ერთი ლექსი მასწავლა ზეპირად და, აი, იმას გეტყვით ახლა, თარგმანი კი თქვენ ბრძანეთ...“

გიორგი ლობჯანიძე:

„მიხარია, აქ რომ გხედავთ ბ-ნო კონსტანტინე, აქ, ამ დარბაზში, და საერთოდ საქართველოში. ალბათ, დიდ დროს ნაიღებს თეორიულ ნაწილზე რომ ვისაუბროთ, მაგრამ არ შემიძლია არ გამოვცხმაურო, რაც ბ-ნმა კონსტანტინემ ბრძანა:“

რა თქმა უნდა, ვიცნობ ბ-ნი ზვიადის გამოკვლევას, რომელიც, უნდა მოგახსენოთ, ერთ-ერთი ბრწყინვალე გამოკვლევაა ამ საკითხზე, რაც წამიკითხავს, კერძოდ, რაც ეხება სუფიზმის თეორიულ ნაწილს, როდესაც პარალელებს ძებნის ის სუფიურ სამყაროსა და „ვეფხისტყაოსანთან“ და ამ კვლევას რა სიღრმით აწარმოებს და როგორ პლანში გადატეხავს ყველაფერ ამას, მხოლოდ სპეციალისტისთვის შეიძლება იყოს საცნაური, შეიძლება იმისთვისაც კი არა, იმიტომ, რომ იმდენ ლიტერატურაზე მიუწვდებოდა ხელი.

თუმცა ომარ ხაიამზე, როგორც ქ-ნმა მანანამაც აღნიშნა, დღემდე კამათობენ თვითონ ირანშიც კი. რადგან დღევანდელ ირანში, სადაც კი ღვინოა ნახსენები, უნდა დაერქვას სუფიზმის სახელი, რათა ტექსტებმა, თუნდაც შუა საუკუნეების ტექსტებმა ხილოსა დღის სინათლე. მაგრამ ომარ ხაიამთან დაკავშირებით დღემდეა კამათი. არის თუ არა იგი სუფი ავტორი? რასაკვირველია, არსებობს მოსაზრება, რომ არის, და უფრო მეტი მოსაზრებანია, რომ არ არის. შორს წავიყვანს იმაზე ლაპარაკი, რატომ არ არის, მაგრამ მე მიმაჩნია იქიდან გამომდინარე, რომ ვიცნობ სუფიურ პოეზიას. ომარ ხაიამი, მიუხედავად იმისა, რომ მისტიკური სულითაა გაჟღენთილი – და მისტიკის გარეშე არ არსებობს დიდი პოეზია – მაინც არ არის სუფი ავტორი, სუფიური ტერმინებით მანიპულირების მიუხედავად.



მანანა კვაჭაძე

რაც შეეხება ფიცჯერალდის თარგმანებს – ეს უფრო იყო ადაპტაცია, მოტივები ომარ ხაიამის თემაზე.

ქართული თარგმანები – თუნდაც ბ-ნ მაგალის და განსაკუთრებით ბ-ნ ვახუშტის შემთხვევაში – თითქმის მისდევს ბნკარი ბნკარს და ეს არის ისეთი სასწაული, ისეთი ალქიმია თარგმანისა, რომელიც მხოლოდ ოსტატის ხელში გარდაქმნის ქვიშას ოქროდ. ამ შემთხვევაში ვერ ვუსაყვედურებთ ქართველ მთარგმნელებს, რომ ვერ გაიგეს, ან ვერ გადმოსცეს ის სუფიური ტერმინოლოგია, თუ რამე არის ხაიამთან“.

როსტომ ჩხეიძე:

„ომარ ხაიამის ლექსით დავამთავროთ, გიორგი, თითქოს ბისზე გიძახებდეთ, ისევ პირველი თარგმანი წაიკითხე“.

გიორგი ლობჯანიძე:

უქონლობისა არა მჭირს საფიქრალ-სავაგლახო რამ, ან განა მიტომ არ ვთვრები, ვინმეს არ შევეუძრახო რამ, ღვინოა გულის სალბუნი, მოსალხენ-საინახო რამ, მე, ჩემო, შენგნით დავბრმავდი, შენ იქნებ დაინახო რამ.

წინაპარნი და შთამოავალი

შორენა ლებანიძე

ნაკაშიძეთა საბა

როგორ იქცა ჯიბეცარიელი ფრანტი პირველი გილდიის სოვდაგრად და როგორ აღმოჩნდა თავადის ოქროს რუბლები მენშევიკური მთავრობის საბანკო ანგარიშზე

ბათუმის ბულვარის მომიჯნავე ერთ-ერთი შენობის ფსადაზე, წესით, გაკრული უნდა იყოს ისტორიული ფაქტის მაწიყე-ბელი აბრა: „ნოე ჟორდანიამ და საქართველოს მენშევიკური მთავრობის სხვა წევრებმა ემიგრაციამდე დარჩენილი დღეები მიხეილ ნაკაშიძის სახლში გაატარეს.“

სანამ ვუპასუხებთ კითხვას, ვინ იყო ან რატომ გაბედა გურიის კულტურტრეგერად მონათლულმა მიხეილ ნაკაშიძემ თბილისიდან დევნილი პოლიტიკოსების მასპინძლობა, დროებით 20-იანი წლების დასაწყისის ბათუმში გადავინაცვლოთ.

მაშ ასე, 1921-ის 16-17 მარტი, დემოკრატიული რესპუბლიკის უკანასკნელი სამხედრო პლაცდარმი – აჭარის ადმინისტრაციული ცენტრი. ქალაქი, რომლის სტრატეგიული ობიექტები, ართვინ-არდაგანის ოლქების, ხულოსა და ქედას ალების შემდეგ, ოსმალების ხელშია. რეგიონის ანექსიის მოსურნე თურქები სიტყვით – საქართველოს, საქმით კი – რუსეთს, უკვე მიტაცებული ტერიტორიების სანაცვლოდ, ჰპირდებიან მოკავშირეობას. რუსეთ-თურქეთის ორმაგ ფრონტზე ბრძოლა გამოიციხულია. დემოკრატიული რესპუბლიკის მესვეურები არჩევანის წინაშე დგანან: ან სრული გასაბჭოება, ან აჭარის დაკარგვა. ჟორდანიას ქვეყნის მთლიანობის შენარჩუნებას ამჯობინებს. გადწყვეტილება რევკომის დელეგაციასთან 17 მარტს,

ქუთაისში გამართულ მოლაპარაკებაზე შედის ძალაში. რევკომს მამია ორახელაშვილი და აბელ ენუქიძე წარმოადგენენ, მენშევიკურ მთავრობას – სამხედრო მინისტრი გრიგოლ ლორთქიფანიძე.

მოლაპარაკება დროებითი ზავის შესახებ არსებითად წყვეტს ფორმაციის შეცვლის, კომუნისტური რეჟიმის ცნობის საკითხს. საბჭოთა ჯარებთან საომარი მოქმედებების შეჩერება 26 მაისის აქტის გაბათილებას, საქართველოს დამოუკიდებლობის დასასრულს ნიშნავს. ჟორდანიას ექსხელისუფლება დამარცხებას აღიარებს, მაგრამ არ აღიარებს თებერვლის მოვლენების სტატუსსა და რუსეთის „საშუამავლო“ როლს – ქართულ-სომხური „კონფლიქტით“ ნაკარნახევ სამხედრო ჩარევას. ბორჩალოს მაზრაში გათამაშებული „შინაამბობება“ საერთაშორისო სახელმწიფო, და არა სამოქალაქო, ომის წინაპირობა, ერთგვარი გამართლება იყო, 1920 წლის 7 მაისს მოსკოვთან დადებული სამშვიდობო ხელშეკრულება კი – ფარსი. ყველაფერი დამთავრდა. ქართული მენშევიზმი ბათუმის ქუჩებიდან ქემალის განდევნით სტოვებს უკანასკნელ პლაცდარმს.

17 მარტს მიხეილ ნაკაშიძე სტუმრებს პორტისკენ მიაცილებს. მასპინძლები უკანასკნელად ფინანსთა მინისტრს, კანდელაკს ემშვიდობებიან. სავარაუდოდ, სწორედ ის მალავს ექსხელისუფლების ბეჭდებს სასტუმრო დარბაზის ბუხარში. მოგვიანებით, ბუხრის განმენდისას, ბეჭდებს ნაკაშიძის მემკვიდრეების მიერ დაქირავებული მუშები პოულობენ.

პორტში ფრანგული გემი დგას. „ფენევის სულის მოციქული“ არისტიდ ბრიანი დახმარების ხელს უწყდის (თავშესაფარს სთავაზობს) საქართველოს დევნილ მთავრობას. ბრიანის ნებას საფრანგეთის დესპანი და უზენაესი კომისარი ამიერკავკასიაში აბელ შვეალე გამოხატავს. შვეალე, ჟორდანიასთან შეთანხმებით, სახაზინო ქონებისა და სამუზეუმო ექსპონატების პარიზს გატანის საკითხს აგვარებს. 3 მარტს თბილისიდან ბათუმის რკინიგზაზე 187 ცეცხლგამძლე თუჯის ყუთით ჩააქეთ: ოქრო-



მიხეილ ნაკაშიძე

ვერცხლი – ზოდებად და მონეტებად, ანტიკვარიატი, სა-
ეკლესიო სიმდიდრეები, ნახატების კოლექციები, ეროვ-
ნული ვალუტა. განძის მეთვალყურეებად დამფუძნებელი
კრების თავმჯდომარის თანაშემწე, მუზეუმების ზედამ-
ხედველი ექვთიმე თაყაიშვილი და ფინანსთა მინისტრის
მოადგილე იოსებ ელიგულაშვილი ინიშნები-
ან. მათ ძვირფასი ნივთები ევროპის
ბანკებს დემოკრატიული რესპუბ-
ლიკის სახელზე უნდა მიაბა-
რონ.

ტვირთს მარსელის გან-
ძსაცავამდე – 48-დღიანი
„ოდისეა“, საქართველოში
დაბრუნებამდე კი მეოთ-
ხედი საუკუნე ელის. ის 11
მარტს სტოვებს ბათუმის
სანაპიროს. რამდენიმე
დღის შემდეგ კრეისერ „ერ-
ნესტ რენანის“ კვალს მენშე-
ვიკური მთავრობის წევრებიც
მიუყვებიან. ქალაქში მამისონ-მე-
ხადირის, კოჯორ-ტაბახმელასა
და ვაზიან-სოლანლულის ბრძო-
ლებს გადარჩენილი ქართული
მხედრობა რჩება. გენერალ გი-
ორგი მაზნიაშვილის რაზმები ოსმალთა განდევნას 18
მარტს იწყებენ. 23-ში მათ ცხედრებს აზიზიეს (ახლანდე-
ლი თავისუფლების) მოედანზე კრძალავენ.



სოფიო ნიკოლოზის ასული დადიანი-ნაკაშიძისა,
შვილებთან – კონსტანტინე და სოფიო
ნაკაშიძეებთან ერთად.

* * *

მენშევიკებისადმი მიხეილ ნაკაშიძის თანადგომა ორ-
კვირიანი მასპინძლობით არ ამოწურულა. ე.წ. ლეგაციის
ოტელში, მოგვიანებით ლევილის საზაფხულო რეზიდენ-
ციაში დაბინავებულ ქართველ ემიგრანტებს პირად ანგა-
როშზე ბათუმელი მრეწველის მიერ ნაჩუქარი 700 ათასი
ოქროს რუბლიც ერიცხებოდათ. ფაქტი, სავარაუდოდ, არ
გახმაურდა. დევნილი ხელისუფლების დახმარებისთვის
ნაკაშიძისგან პასუხი არავის მოუთხოვია. მხილების საბა-
ბი სხვაც ბევრი არსებობდა:

მიხეილ ნაკაშიძე და მისი მეუღლე სოფიო დადიანი ნუ-
ლამდე დასაყვან „კლასობრივ მტერთა“ სიაში, წესით, სა-
ქართველოს გასაბჭოებისთანავე უნდა შეეყვანათ. გური-
ის კულტურტრეგერი უმდიდრესი თავადი იყო, სოფიო –
დადიანებისა და შერვაშიძეების პირდაპირი მემკვიდრე,
აფხაზეთის უკანასკნელი მთავრისა და ცნობილი პოეტის,
გიორგი შერვაშიძის დისშვილი. ოჯახის უძრავ-მოძრავი
ქონება ცხრა დესეტინა მიწას, ოზურგეთის მაზრის სო-
ფელ ზედუბანში გაშენებულ ჩაის პლანტაციებს, ჩაქვის
ფაბრიკას, ღვინისა და სახერხ ქარხნებს, „ჩხავერის“
ზერებს, ბაღდათის ტყეებს, ბათუმის სახლსა და ოც სულ
ძროხას მოიცავდა.

ნაკაშიძეების მატერიალურ დოვლათს საფუძველი
კერძო მრეწველთა წინააღმდეგ მიმართულმა ბრძოლამ
გამოაცალა: ძროხების ჯოგი თავადის მიერ „ექსპლოატი-
რებულ“ მწყემს ჯოჯუებს უწყალობეს. მიწის ნაციონალი-
ზაციის შესახებ მიღებული დეკრეტის თანახმად, ზედუბ-

ნის ჩაის პლანტაცია მსხვილ სახალხო მეურნეობად გარ-
დაქმნეს. ფაბრიკა-ქარხნები და ტყეები სახელმწიფო სა-
კუთრებად გამოაცხადეს.

კონფისკაციას მხოლოდ ოზურგეთისა და ბათუმის სა-
მოსახლოები გადაურჩა. ჯოგი დააბრუნეს. „კლასობრივი
მტრის“ იარლიყი და, შესაბამისად, რეპრესი-
ის საფრთხეც უკან დარჩა: მიხეილს
სამშობლოს წინაშე განუელი დამ-
სახურება, უფრო ზუსტად,
თვითმპყრობელობის დამხო-
ბის მოსურნე და მოგვიანე-
ბით ხელისუფლების სათა-
ვეში მოსული რევოლუციო-
ნერების მფარველობა –
მასპინძლობა, ფულადი
შემწეობა – დაუფასეს.

უკვე ნახსენები სას-
ტუმრო დარბაზის მომიჯნა-
ვე ოთახებში, ცარიზმის
დროს, მიხა ცხაკაია, შალვა
ელიავა, ფილიპე მახარაძე ცხოვ-
რობდნენ. ბათუმის ზღვისპირა
მანსარდიანი შენობის შენარჩუ-
ნებას ნაკაშიძეები სწორედ მა-
ხარაძის ქომოგობასა და თავა-
დის მოღვაწეობის შეფასებას უმადლოდნენ: „გურიის
კულტურტრეგერი, ჩაის ცნობილი ენთუზიასტი.“

* * *

ჩაის კალმებისა და ციტრუსების შემოტანა მიხეილმა
900-იანი წლების დამდეგს დაიწყო. მანამდე სალიბაურსა
და ჩაქვში საუფლისწულო მამულების უწყების კაპიტა-
ლისტური მეურნეობები და ნედლეულის გადამამუშავე-
ბელი ფაბრიკები გაიხსნა. უფრო ადრე მარადმწვანე
ტროპიკული კულტურა – „ჩინური სასწაული“, დეკორა-
ტიულ მცენარედ გავრცელებისა და სოფლის მეურნეობის
დარგად ქვევის პერსპექტივით, ოზურგეთის მაზრის სო-
ფელ გორაბერეჟოულში გაშენდა. საცდელი სადგურის
პირველი პროდუქცია აგრონომმა მიხეილ ერისთავმა
სრულიად რუსეთის 1864 წლის გამოფენაზე გაიტანა. ჩაის
კულტურის განვითარებამ რუსეთს უცხოური ნედლეუ-
ლის შესაძენი თანხიდან მილიონობით მანეთის დაზოგვის
შანსი მისცა. სახელმწიფოებრივ დაინტერესებას კერძო
პირთა ინიციატივა დაემატა. და აი, 1903-ში თავადმა ნაკა-
შიძემ ზედუბნის პლანტაციებს ცხრა დესეტინა მიწა და-
უთმო და მალე, ჩაქვის აგრონომიულ სასწავლებელთან
ერთად, ოზურგეთის მაზრის პირველი მცირეძალიანი
ფაბრიკაც ააშენა.

* * *

ზედუბნელი მრეწველის შვილიშვილი, მწერალი ჭაბუა
ამირეჯიბი ფიქრობს, რომ მიხეილ ნაკაშიძე საზღვარგა-
რეთ განათლებამიღებული პროფესიონალი აგრონომი კი
არა, თვითნასწავლი მეურნე იყო. ის რუსეთსა და დასავ-
ლეთ ევროპაში მხოლოდ სავაჭრო გარიგებების დასადე-
ბად, ჩაისა და ციტრუსების პარტიების გასატანად მიემ-

გზავრებოდა. უკვე გამდიდრებულმა, საფრანგეთისა და ლონდონის უნივერსიტეტები შეიღებს – თამარს, კონსტანტინეს – დაამთავრებინა. თვითონ გიმნაზიის კედლებიდან პირდაპირ ბათუმის ბულვარზე ამოჰყო თავი და მამაპაპეული ქონება ქეიფებს, ბანქოს თამაშს, ნადირობას, დუელებს, ქალებს გადააყვალა.

„ასე იცხოვრა ორმოცი წლის ასაკამდე, – ვკითხულობთ ჭაბუა ამირეჯიბის „გორა მბორგალში“, – მერე რა დაემართა, ამისა ვერავინ ვერაფერი გაიგო – ჯერ ვეგეტარიანობას მიჰყვა და მერე ტოლსტოის მოძღვრებასაც ეზიარა. . . სიკვდილამდე ბოსტნეულისა და მანვნის მეტი არაფერი უჭამია. . . ნეგოციანტობას შეუდგა. ამით მამა-პაპის დატოვებული ქონება, რომელიც მან თავისი უკუღმართობით გაფლანგა, მოკლე ხანში აღადგინა, ქართველთა შორის ერთ-ერთი დიდი მრეწველი, ბითუმად მოვაჭრე და პირველი გილდიის სოციალური გახდა.“

სარფიან კაპიტალდაბანდებათა ახალი წყაროების მოძიებაში მიხეილს უკრაინელი თავადი, მარგანეცის საბადოების მფლობელი, მულტიმილიონერი მძახალი, ილოვაისკი დაეხმარა. ილოვაისკის ვაჟი, სამთო ინჟინერი, მოგვიანებით ჭიათურის ქარხნის თანამშრომელი ვასილი (ვასილიოკი) ნაკაშიძის შუათანა ასულმა, თამარმა საფრანგეთში სწავლისას გაიცნო. გიმნაზიელი გოგონა ჯერ, თურმე, გლეხური წარმოშობის სამხედრო პირზე, ვინმე ჩეჩელაშვილზე აპირებდა გათხოვებას. მშობლებმა თავში ხელი შემოიკრეს: სად წმინდა სისხლის არისტოკრატი, ნაკაშიძეების, დადიანების, შერვაშიძეების შთამომავალი და სად ვიღაც ჩეჩელაშვილი და ქალი სასწრაფოდ გაამგზავრეს პარიზს.

ახალდაქორწინებული ვასილი მამასთან ერთად ჩავიდა ბათუმში. ჭლეტით დაავადებულ უკრაინელ მაგნატს ექიმებმა შავიზღვისპირეთის მთა-გორიან ადგილას მკურნალობა ურჩიეს. აჭარის სუბტროპიკული ჰავა ილოვაისკისთვის მისწრება აღმოჩნდა. თავადმა ქალაქის განაპირას, მაღლობზე სასახლე წამოჭიმა და სამშობლოში დაბრუნება აღარც უფიქრია – გამოჯანმრთელდა.

ილოვაისკი და ნაკაშიძე დამეგობრდნენ. მულტიმილიონერმა მძახალს კაპიტალბრუნვისთვის საჭირო თანხა ასესხა. მიხეილმა ჩაის ფაბრიკა და ხანისწყლის სახერხი ქარხანა უახლესი დანადგარებით აღჭურვა, ბაღდათის ტყეები შეისყიდა (მისი პირადი მეტყევე ვლადიმერ მაია-

კოვსკის მამა იყო), ბათუმის სახლის აგებას შეუდგა, მალე ვალიც გაისტუმრა და გამდიდრდა. ბანკში მის ანგარიშზე მილიონი ოქროს რუბლი ირიცხებოდა.

* * *



ირაკლი გიორგის ძე ამირეჯიბი. მარიამ მიხეილის ასულ ნაკაშიძის მეუღლე, ჭაბუას მამა.



თამარ ნიკოლოზის ასული დადიანი-ნაკაშიძის ბიძა – გიორგი შერვაშიძე, აფხაზეთის მთავრის მემკვიდრე

ნაკაშიძის ახალი „რეზიდენციის“ ადგილი საგანგებოდ შეირჩა. შენობის ყველა კუთხე-კუნჭულიდან ბულვარსმილმა გაშლილი სანაპირო მოჩანდა. მესამე სართულის მანსარდაზე, მოლბერტთან ერთ დროს ივანე კონსტანტინოვიჩ აივაზოვსკიც მდგარა. მერე იმ მოლბერტზე ზღვის მორიგი პეიზაჟი დახატულა.

ზღვა მაშინ ძალიან ახლოს იყო. ძლიერი დღევისას ტალღები ლამის კედლებს ასკდებოდა. მოგვიანებით წყალმა უკან დაიხია. გამოთავისუფლებულ სივრცეზე პირამიდული კვიპროსები, ჩინური ვარდები დარგეს.

სახლს პალმები ჩრდილავდა. ოთახებში მაგნოლიის სურნელება აღწევდა. შუშაბანდის სარკმლებს არ კეტავდნენ. თავადს საღამოობით ღია სარკმელთან, სარწვეველა სავარძელში ჯდომა უყვარდა. ვინ აცლიდა? მომსვლელ-წამსვლელი, გასამასპინძლებელ-დასაბინავებელი უამრავი იყო.

ნაკაშიძეებს სტუმრობდნენ: დიპლომატები, პოლიტიკოსები, პოეტები, მწერლები. უფრო კონკრეტულად: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, გიორგი შერვაშიძე. . . მოგვიანებით ვაჟის, კონიას ცისფერყანწელი მეგობრები: ტიციანი, პაოლო. . . აგრეთვე, შავიზღვისპირეთის ქვეყნების პრინცები. რევოლუციონერ-მენშევიკებზე უკვე ვთქვი.

სტუმრებს ხვდებოდნენ: მაღალი, ახოვანი, წარმოსადეგი მიხეილი; პეტერბურგის კეთილშობილ ქალთა პანსიონში განათლებამიღებულ, ბათუმის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თავმჯდომარე, მარიამ დემურასა და ეკატერინე გაბაშვილის უახლოესი მეგობარი სოფიო; ექვსი უღამაზესი ასული – ნინო, ნელი, თამარი, მარია, მართა, სონია; ვაჟი – კონსტანტინე.

* * *

მიხეილ ნაკაშიძემ კონსტანტინე ინგლისში, ერთი მიზეზის გამო, გაგზავნა: „ცისფერყანწლებთან გადაბმულ ქეიფს, ჭრელა-ჭრულა, მომღერალი ბოშებით სავსე ეტლებს დაქირავებასა და ბულვარზე ნავარდს გადაყვა ბიჭი.“

„ბიჭი“ აგრონომის დიპლომით უნდა დაბრუნებულიყო და ჩაის პლანტაციებისთვის მიეხედა. ვერ დაბრუნდა:

„ქვეყანა გასაბჭოვდა, თავად-აზნაურებს შეუბრალებლად უსწორდებიან, ფეხი არ მოიცვალა,“ – მისწერა მამამ და თან მურაბის მორიგ ქილაში ჩამალული ოქროს მონეტები გაუგზავნა.

კონსტანტინე, ოპერის ცნობილ მომღერალზე დაქორწინების შემდეგ, კანადაში გადასახლდა და საქართველოს ერთადერთხელ, უკვე ხანდაზმული, ორიოდე თვით ეწვია.

გურულებმა დიდი პატივით მიიღეს: მიხეილ ნაკაშიძის სახელი ყველას კარგად ახსოვდა. ამბობდნენ, ზედუბნელების უმრავლესობა მან მონათლა, ხოლო რამდენიმე სტუდენტს სტიპენდია დაუნიშნა, ქველმოქმედი კი იყო, მაგრამ ყაირათიანობის ფასიც იცოდა, გულუხვობას თავისებურად გამოხატავდაო. ერთხელ, თურმე, მოურავმა შეატყობინა: „გლეხებმა ბაღში ნახევარი ფუთი ფორთოხალი ჩამოკრიფეს და ნარინჯის ნერგები მოიპარეს. ხომ არ დავსაჯოთ?“ თავადმა მიუგო: „ფორთოხლის ნამლებს გაუფავრდი, ნერგებისას კი თავი დაანებე. დარგავს, ალბათ, და საკუთარი ბაღი ექნება.“

იმასაც ამბობდნენ, პრინციპული იყო: დაფასოებული პროდუქტისთვის განკუთვნილ მომცრო ყუთებს, წარწერით – „თავად ნაკაშიძის ქართული ჩაი“, მოსკოვსა და პეტერბურგში ყიდდა. მოულოდნელად დამკვეთებმა ეტიკეტზე სიტყვა „ქართული“ „რუსულით“ ჩანაცვლება მოითხოვეს. მიხეილი არ დათანხმდა. არც დამკვეთებმა დაიხიეს უკან. ტონობით საქონელი დაღპა. ბოლოს შეთანხმდნენ, ყუთებზე წაენერათ – „თავად ნაკაშიძის ჩაი.“

* * *

ზემოთ ნათქვამს დავუბრუნდეთ. ოქროს მონეტებიანი მურაბის ქილების ამბავი მიხეილ ნაკაშიძეს ძვირად დაუსვენს: აჭარის ნომერ პირველ ჩეკისტთან დაიბარეს და მცირეოდენი შეხლა-შემოხლის შემდეგ დააპატიმრეს.

შეხლა-შემოხლის დეტალებს „გორა მბორგალი“ აღწერს: მოსაცდელში ხანგრძლივი ლოდინითა და უყურადღებობით გაღიზიანებული ნაკაშიძე „მაგიდასთან მივიდა, მთავარსამმართველოს უფროსს უთხრა, – კაძახო, მოხუცი ადამიანი რომ შემოვა, ფეხზე უნდა ადგე, მიესალმო და დაჯდომა სთხოვო. მაგ ზრდილობით აპირებთ ახალი წყობის აშენებასო? .. და თავისი კორძებიანი ხელჯოხი თავში ჩასცხო. ნაკაშიძე უზარმაზარი ტანის, ლონიერი კაცი გახლდათ, მთელი ძალით ჩასცხო. უფროსმა გონება დაჰკარგა, სავარძლიდან გადავარდა.“

თავადს მსგავსი უსიამოვნება ადრეც შეემთხვა. ისევ ჭაბუა ამირეჯიბის რომანს დავეყრდნოთ:

ბათუმის გიმნაზიის ინსპექტორმა, სტარჩინსკიმ თუ ველჩინსკიმ ნაკაშიძეების ოჯახში საეჭვო პირი შენიშნა. თავადს საიდუმლო პოლიციაში უხმეს. დამსმენი „პირზე დაადგა, – თქვენთან ესა და ეს კაცები მყავს ნანახი. იმპერატორის მტრები არიან და თქვენც მისი მტერი ხართო. .

. ნაკაშიძემ მშვიდად მიუგო, – პროვოკატორის უხამსი პირით მისი უდიდებულესობის ხსენებას ჩემს პირად შეურაცხყოფად ვთვლიო! . ხანჯალი დაიძრო და ინსპექტორს მუცელში ატაკა. . .“

ემიგრანტ ვაჟთან მიმოწერისა და მთავარსამმართველოს უფროსის გალახვის გამო დაკავებული მიხეილი ორთაჭალის ციხეში ჩასვეს. მისი ქალიშვილის სიძე, აკადემიკოსი ბენო ბალავაძე სიდედრის ნაამბობს იხსენებს:

„ერთხელ ციხის უფროსმა, შალიკო ბაქრაძემ პატიმარს, თურმე, ნინოშვილის ქუჩაზე დაბინავებული უმცროსი ასულის, სონიას ოჯახის მოსანახულებლად, საკუთარი ეტლი ათხოვა. ეტლი სადარბაზოსთან მთელი საათი იცდიდა. თავადს დათქმული დროისთვის წუთითაც არ გადაუცილებია. სონიჩკას დაემშვიდობა და უკანვე, ორთაჭალისკენ გასწია. კანონმორჩილი იყო. იცოდნენ, სიტყვას არ გადავიდოდა, გაქცევას არ ეცდებოდა და ენდობოდნენ.“

პატიმრობამ რამდენიმე თვეს გასტანა. ბათუმში მიხეილს ცუდი ამბები დაახვედრეს. შინსახკომი ვასილი ილოვასკის წარმომავლობასა და წარსულს იკვლევდა. 1924 წლის აჯანყება უკვე ჩავლილი იყო. რეპრესიების მორიგი ტალღა ახლოვდებოდა.

* * *

ჭაბუა ამირეჯიბის და, კინომცოდნე ნათია ამირეჯიბი: „ნაკაშიძეების ორი სიძე – ვასილი ილოვასკი და მამარქემი, ირაკლი – ბაბუას გარდაცვალების შემდეგ, 1937-38 წლებში დახვრიტეს. დახვრეტამდე მამა და მოგვიანებით დაპატიმრებული დედა, მარიამ ნაკაშიძე სამსახურიდან გაათავისუფლეს. მარიამი პედაგოგი იყო. თბილისის ისტორიულ-ფილოლოგიური ინსტიტუტი ჰქონდა დამთავრებული. თავადის ქალი მუშებისა და გლეხების შვილებს ვერ ასწავლიო, და არტელისათვის წინდებს აქსოვინებდნენ. მასთან ერთად წინდებს ქსოვდნენ ირაკლი და ვახტანგ კოტეტიშვილი, თან კანტსა და ჰეგელზე საუბრობდნენ.“

ბათუმის ზღვისპირა შენობა ჩეკისტების მიერ შესახლებული მდგმურებით აივსო. ილოვასკის მეუღლეს, თამარს ერთადერთი ოთახი შერჩა. იმ 18 კვადრატულ მეტ-



მარიამ (მარცხნივ) და სოფიო მიხეილის ასული ნაკაშიძეები, თავიანთ ნათესავ ვერა შერვაშიძესთან ერთად.

რში გაატარა გადასახლების შემდგომი წლები. სახლი მხოლოდ გვიან, ძალიან გვიან დაიბრუნეს ამირეჯიბებმა. დღეს მანსარდაზე, საიდანაც აივაზოვსკი ზღვის პეიზაჟს ხატავდა, მწერლის სამუშაო კაბინეტია. ვრცელი და მაღალჭერიანი დარბაზები ზაფხულობით დასასვენებლად ჩასულ სტუმრებს ეთმობა. თალიანი სარკმლებიდან ოდესღაც გადაშლილ ხედებს მაღალი პალმები ფარავს, ხოლო ევროპული ყაიდის ფასადზე ჯერაც არავის გაუკრავს აბრა, წარწერით: „1905-1936 წლებში აქ ცნობილი

მრეწველი და პირველი გილდიის ვაჭარი მიხეილ ნაკაშიძე ცხოვრობდა.“

გამოყენებული ლიტერატურა: ჭაბუა ამირეჯიბის „გორა მბორგალი“, გრიგოლ ლორთქიფანიძის „ფიქრები საქართველოზე“, გივი ჟორდანიას „დაბრუნებული საუნჯე“, ბეჟან შაფაქიძის „მეჩაივობის განვითარება საქართველოში“, ბათუმის მერიის ვებგვერდი.

მიხეილ ნაკაშიძის შესახებ მასალების მოწოდებისათვის განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით კინომცოდნე ნათია ამირეჯიბს.

კრიტიკა

მაკა ჯოხაძე

კრიტიკოსთა წიგნები

„გამეორება“

რა არის ადამიანი? – იდეალური ვარიანტი ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემისა იქნებოდა უფლის თავდაპირველი ჩანაფიქრი: ადამიანი სიყვარულით გალიცლიცებული ძვირფასი ჭურჭელია და ეს ჭურჭელი, ანუ სხეული თუნდაც იმიტომ არ უნდა დააზიანო ცოდვებით, რომ რაც შეიძლება გაუზზარავად, დიდხანს ატარო სიყვარულის ღვთაებრივი სითხე. რაც შეიძლება ხანგრძლივი დროის მანძილზე იყო ოაზისად უდაბნოში, ჭად სოფელში, რათა დიდი გვალვების უამს მგზავრებს სული მოათქმევინო. ჩვენ ხომ ყველანი მგზავრები ვართ.

ეს რაც შეეხება იდეალურ ვარიანტს, თორემ ადამიანში ათასი რამაა და შესაბამისად ათასგვარ რამედაცაა აღქმული. ამ ნაირგვარობაშიც არსებობს პრიორიტეტები, უფრო ზუსტად, ჩვენ ყველას ჩვენ-ჩვენი არჩევანი გავვანჩნია.

პირადად ჩემთვის ადამიანი, უპირველეს ყოვლისა, ხსოვნაა და რეაქციაა.

მანანა კვაჭანტირაძის 2005 წლის გამოცემული წერილებისა და ესეების კრებულის უჩვეულო სათაურმა „გამეორება“ რემი დე გურმონის სიტყვები გამახსენა, რითაც სკეპტიკოსებს დაუპირისპირდა სიბრძნის გადმოფრქვევა რომ ეიოლებათ წამდაუნუმ, თუნდაც ამგვარის – „ყველაფერი უკვე ნათქვამია“.

მცონარე გონება, მცონარე სინდისი, მცონარე გული თვით აქსიომებსაც კი სამყაროს, აზრის დასამუხრუჭებლად იყენებს. ნურას უკაცრავად – „ყველაფერი უკვე ნათქვამია, მაგრამ რადგან არავის ესმის, ისევ თავიდან და თავიდან გვინევს განმეორება“, – ასე ებრძოდა სიყრუეს გურმონი.

თითქოს ისიც აქსიომაა, რომ ჩვენ ყველანი ადამიანები ვართ, მაგრამ დოსტოვესკი მაინც დაჟინებით იმეორებს „ჟამიდან-ჟამზე ადამიანებს უნდა შეახსენო, რომ

ისინი ადამიანები არიან“. ილიამ ეს შესხენება მარადიული შეკითხვის დასმით მოახერხა – „კაცია-ადამიანი?!“

ღმერთის მაღლიერი ვარ, ჩემი ბუნება რომ ისე მოაწყო, არასოდეს გამჭირვებოდა ჯანსაღი აზრით გამონვეული სიხარულის სხვათათვის გაზიარება. ძალიან მომწონს კულტურის პატრიარქისეული განმარტება – კაფე-ბარებითა და სკვერებით ქალაქის კეთილმონყობა კი არ არის მხოლოდ კულტურა, არამედ პირველყოვლისა ადამიანთა ერთმანეთით გახარების უნარი...

მანანა კვაჭანტირაძემ ჩვენი ჰუმანიტარული სივრცის გახარება შეძლო ნიგნით, რომელსაც „გამეორება“ ჰქვია. ზედმიწევნით ზუსტად გათვალა და შეარჩია მან ეს სათაური: „ამ ნიგნს გამეორება დაერქვა, რადგან გამეორება სხვა არაფერია, თუ არა შესხენება იმისა, რაც ყოველთვის იყო, არის და იქნება – ან ძველის, ან ახლის, ან სულაც მომავლის სახელით... ეს „ვინ“, რომელსაც ხსოვნა ევალება, არაფერია გამეორების გარეშე, რადგან გამეორება სიცოცხლის რიტმების აყოლაა, მიბაძვაა. გამეორება სიკვდილს აფრთხობს და ძილიდან გვაფხიზლებს.

ეს ნიგნიც შესხენებაა იმისა, რასაც მწერლობა იმეორებს – ჩვენთვის, მკითხველისათვის და საკუთარი თავისთვისაც. დაბოლოს, არ არსებობს გა-მეორ-ება. არსებობს ხელახალი შესვლა სიცოცხლის ნაკადში, სიცოცხლის უფლების თავიდან მოსაპოვებლად.

გამეორება საუბრის გაგრძელებაა, ამ საუბრის მოთხოვნილება კი იქ ჩნდება, სადაც სიცოცხლე ახალ ციკლს იწყებს“.

ავტორისეული წარდგინებით მანანამ მოახერხა უაღრესად დაწურულად, ლაკონურად ეთქვა მწერლობის უმთავრესი დანიშნულებისა და მისი რაობის შესახებ.

გამეორება საუბრის გაგრძელებააო და მის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგი ბუნებრივად საუბრობს, მისი წერილების ინტონაცია ისეთი უცნაური ინტიმის მატარებელია, ნებისმიერ მკითხველს მოეჩვენება – ავტორი პირადად მასთან ლაპარაკობს. ეს შეგრძნება დაახლოებით იმ კლასიკურ პორტრეტებს ნააგავს, როცა ინტერიერის ნებისმიერი კუთხეში მდგარს ფერწერული ტილოდან წამოსული მზერა, თითქოს პირდაპირ შენ გიყურებს თვალებში.

სხვათა შორის, ეს ინტიმური ინტონაცია დიდი მიღწევაა დღევანდელი გარემოსა და ურთიერთობების ფონზე, როცა ყველაზე მეტად სწორედ წამდვილი ფასეულობების ეჭვქვეშ დაყენება, ნახალისება და სტიმულირება ხდება ათასნაირი ხერხებითა და საშუალებებით...

ხშირ შემთხვევაში პოსტმოდერნიზმის წარმომადგენლები თუ თაყვანისმცემლები ამბიციის გამო ზემოდან დაჰყურებენ სამყაროს ჰარმონიულობის იდეას. უფრო მეტიც, აქტიურად იღვნიან ამ ჰარმონიის დასაშლელად. დესტრუქციული, ასიმეტრიული სამყაროა მათი ხანმოკლე შთაგონების წყარო. ყოველგვარი თანაგრძობისა და თანაგანცდის გარეშე უარს ამბობენ სამყაროში არსებული სიკეთისა და სილამაზის რესურსებზე. მათ აღარ სჯერათ ამ პოტენციის, აღარ სწამთ იმისა, რომ რაიმე სტაბილური არსებობს სამყაროში. მიუხედავად იმისა, რომ ბუნების უღალატო ციკლი მათ თვალწინ მუდმივად იმეორებს მარადიულ მელოდიას – გაზაფხული-ზაფხული-შემოდგომა-ზამთარი...

მაგრამ როცა აღარაფრის გჯერა და აღარაფრის გნამს, მაშინ უღმერთობის დამანგრეველი ინერცია ბოროტების ყვავილებივით გამოჰყოფს გონებისდამბანგავ შხამს... გაბრმავებს და გაყრუებს.

მანანა კვაჭანტირაძე, როგორც ჰუმანიტარი მკვლევარი, ძალიან ფრთხილად, აქტიურად ადევნებს თვალს იმ პროცესებს და ტენდენციებს, როცა ერთი მხრივ, ადამიანის უფლებების დაცვის ეგიდით თავისუფლებისმოყვარე ათასგვარი ორგანიზაციები, გაერთიანებები, ინსტიტუტები ქრონიკულად ჩაგვძახიან, რომ ჩვენი ინტერესების სადარაჯოზე დგანან, ხოლო მეორე მხრივ, სახელმწიფოს აღმასრულებელ თუ საკანონმდებლო განშტოებებთან ერთად, უკვე აშკარად, შეუნიღბავად ყიდიან ყველაფერს, რისი გაყიდვაც შესაძლებელია ან ფანტაზიის სფეროს განეკუთვნება. ამით ბუნებრივია, ხუფავენ და გუდავენ როგორც სასიცოცხლო, ისე სააზროვნო სივრცესაც.

„გაურკვევლობის ბლანტ ჭაობში კი“, როგორც მანანა კვაჭანტირაძე წერს, „მშვენივრად იდგამს ფესვს ძალადობის ახალი ინტელექტუალური და იდეოლოგიური სახეები ნაირგვარი სახელებითა და შეფერილობებით. არა მგონია თანამედროვე ფილოსოფია იმაზე უკეთ ერკვეოდეს ესქატოლოგიურ პრობლემებში, ვიდრე ეპისტოლეთა ავტორები, რადგან ეს უკანასკნელნი კონკრეტულ საქმეს აგვარებდნენ – სინათლე და რწმენა შეჰქონდა – ადამიანთა შიშითა და ეჭვით შეპყრობილ გონებაში. ალბათ დამეთანხმებით, რომ კაცობრიობის ინტელექტუალურ ნაწილს არასდროს არაფერი უკეთებია ამაზე ღირებული. სხვათა შორის, ამავე ფუნქციას ასრულებდა ლიტერატურა სულ ბოლო ათწლეულებამდე, სანამ ფილოსოფიის კვალდაკვალ საერთოდ უარი არ თქვა ადამიანის პრობლემებზე, მაგრამ დამარცხება რომ არ ეღიარებინა, იგი თავისუფლების ცნებას ამოეფარა და უსასრულო ექსპერიმენტების საგნად აქცია („ბოლოსდაბოლოს, ვინ აკაკუნებს?“).

მანანა კვაჭანტირაძის, როგორც პროფესიონალის, როგორც მკვლევარის სიფხიზლესა და აქტივობას ლიტერატურის დიდ სიყვარულთან და ჭირისუფლობასთან ერთად მისი რელიგიურობაც განაპირობებს, რომლის დემონსტრირებაც არასოდეს ხდება რიტუალური ან თუნდაც ტერმინოლოგიური თვალსაჩინოების ხარჯზე. ეს რე-



ლიგიურობა რწმენის იმ ხარისხის მატარებელია, როცა კრძალვის გამო თითქოს ტაბუც კი ადევს მაცხოვრის სახელის წამდაუნუმ სხენებას, მაგრამ აშკარად გრძნობ, რომ სწორედ მას გულისხმობს მკვლევარი, როდესაც ერთი წერილიდან შემდეგ პასაჟს კითხულობ: „თუკი მართლა „ჩვენს ხელთაა ისტორიის აღსასრულის თავიდან აცილება“, და მაშინაც, თუკი არაფერს განვაგებთ და არც არაფერი შეგვიძლია, რისკის განევას ნამდვილად აქვს აზრი. ჩვენს ძალისხმევას ვიძვრის თვალი დაჰყურებს. მე ვფიქრობ, იგი ჩვენი „სხვა“, უფრო ზუსტად, ჩვენ ვართ მისი „სხვა“ და „სხვა-ობები“. მისთვის სულერთი არ იქნება ჩვენი მცდელობა, – როგორც არ უნდა

იყოს ეს „ვილაც“ – „აბსოლუტური სხვა“ თუ ჩვენი „სხვა“, რადგან იგი თუკი რაიმესთვის (და)გვსჯის, სწორედ გულგრილობისა და უმოქმედობისათვის (და)გვსჯის“. (და)გვსჯის – ამ დეფინაციით მანანა კვაჭანტირაძე დასჯის მიმდინარე პროცესზე მიანიშნებს.

როდესაც გადაივლის ეს მართლაც გარდამავალი ხანის განამანია და ყველა ნამდვილი ღირებულება ჭეშმარიტების მიზიდულობის კანონის შემწეობით კვლავ დამკვიდრდება ჩვენს მონანულ გულებში, დარწმუნებული ვარ, როგორც ქართული მწერლობა ზოგადად, ისე კონკრეტულად ჩვენი დღევანდელი ლიტერატურული ცხოვრებისა და ატმოსფეროს აღმუხსნველ ქრონიკებში ჩამჯდარი მკვლევარი არ დაუკარგავს მანანა კვაჭანტირაძეს იმ გულისტკივილსა და სიყვარულს, რითაც იგი ექომბავებოდა თავის ეროვნულ ღირსებას წერილში „რატომ ერჩიან მწერლობას“.

იმდენად, რამდენადაც ჩვენ ერთი თაობის წარმომადგენლები ვართ, და წლების განმავლობაში ვაკვირდებოდი მის მუშაობას, წინსვლას, დღეს უკვე შემიძლია ვთქვა, რომ მან, როგორც ნამდვილმა პროფესიონალმა მიაღწია სასურველ შედეგს – ბუნებრიობას. როცა ინტელექტუალური მარაგი იმ კონდიციამდეა მისული, რომ აღარ ჩაგრავს შემოქმედის ემოციურ სანყისს, როცა გონება, გული და სული სამივე თავისი წილი გამოცდილების ურთიერთგაზიარების პროცესში იმყოფება და ახალი სივრცეების ასათვისებლადაც მზურვალედ ერთიანდებიან. სწორედ ამ ერთობის წყალობით ინერება ისეთი შესანიშნავი ესეები და წერილები, როგორიცაა „თანამედროვეთა გასაგონად“, „კულტურული სივრცე და პოეტური სიტყვა“, „ღმერთს ერთგული მწერლები უყვარს“ და სხვა.

ამ სერიოზულ და გულთბილ წიგნზე კიდევ ბევრის თქმა შეიძლება... დასასრულისთვის ერთ დაკვირვებას შემოგთავაზებთ.

არიან ნიჭიერი, ხშირ შემთხვევაში ძალიან ნიჭიერი ადამიანები, რომელთა პროფესიონალური საქმიანობა არცთუ იშვიათად ინვესს აღმოჩენების, მიგნებების სასიამოვნო განცდას, გადამდებია მათი პათოსიც და ენერჯიაც, მაგრამ მუშაობა და თუნდაც ათეული წლებით აღწუსხული გამოცდილება ღვანლის ხარისხამდე მაინც ვერ მალდებდა. ამას მრავალი მიზეზი გააჩნია – ხასიათი (რომელიც ჰერაკლიტეს თქმით – ბედისწერაა) იმპულსურო-

ბა, განწყობილებების ტყვეობაში ყოფნა, ხშირად აღებულ-ლი ე.წ. ნუთშესვენებები, ამბიციურობა, მიღწეულით ხანგრძლივი ტკბობა, მცონარება, ნებელობის მოდუნება და ა.შ. და ა.შ.

ამ ბოლო წიგნმა განსაკუთრებული სიძლიერით წარმოაჩინა მანანა კვაჭანტირაძის განუწყვეტელი მზადყოფნა ყოველგვარი სიახლისა თუ კარგად დაბერებული და სიახლედ გასაღებული ტენდენციისა და პროცესის მიმართ. იგი, როგორც შემეცნების წყურვილით შეპყრობილ ადამიანებს სჩვევიათ, გამუდმებით ახლის გაცნობისა და ათვისების პროცესშია. ნებისმიერ დასავლურ დოქტრინას, რომელიც სიკეთის განხრებისა და რღვევის შეჩერებას ემსახურება, იშვიათი ძალისხმევითა და ბუნებრივობით გადაშლის ჩვენი დღევანდელი ლიტერატურის საკმაოდ რთულ და ჭრელ რელიეფზე, რათა კიდევ ერთხელ შეგვახსენოს, რომ: „მთელი ჩვენი ლიტერატურა, განსაკუთრებით კი XX საუკუნისა – კიდევ ერთხელაა წასაკითხი და გასაანალიზებელი და არა იმიტომ, რომ მათ შესახებ უკვე გამოთქმულ შეხედულებებს არ ვეთანხმებით, არამედ იმიტომ, რომ ახალი კრიტიკურიუმების შუქზეც შევაფასოთ ჩვენი ლიტერატურა. სწორედ მეცნიერული არგუმენტაცია, სწორედ დღევანდელი მსოფლიოს ლიტერატურათმცოდნეობითი აზრის გათვალისწინებით შემუშავებული მოსაზრებებია საჭირო იმისათვის, რომ შემოცოცებული ნიჰილიზმი დაიძლიოს. გეჭირდება ლიტერატურის კარგი სახელმძღვანელოები სკოლებსა თუ უმაღლეს სასწავლებლებსთვის. არანაირი ტიპის ლიტერატურული მოღვაწეობა არ უნდა დარჩეს გულგრილი მიმდინარე პროცესებისადმი“.

სხვათა შორის, წიგნის წაკითხვამდე თუნდაც ეს უკანასკნელი ფრაზები ზოგად მოწოდებებად რომ არ აღიქვას ვინმემ, მოვლენებს წინ გაუწინრებ და ვიტყვი, რომ „გამეორებაში“ მანანა კვაჭანტირაძემ XX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიის გააზრების უაღრესად საინტერესო, მისეული ვერსია შემოგვთავაზა, რომელმაც პირადად მე კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რომ იგი, როგორც პიროვნება და პროფესიონალი, არა მხოლოდ მუშაობს, არამედ ცოცხლობს მშობლიური ლიტერატურის ინტერესების დასაცავად.

„ბედნიერი თვალი“

თავის დროზე საკუთარ ვაჟიშვილთან საუბრისას დავით კლდიაშვილი იტყვის: „მართალი უნდა გითხრა, სერგო ლიტერატურულ სკოლებში არასოდეს მიფოთარებია. ჩემთვის მთავარია – რას და როგორ წერ. თუ მწერალი განწყენებულია, ის ჩემთვის არ არსებობს. ყალბსაც უჭბად შევნიშნავ. აი, შენ რომ ერთ დროს პიპიშვესკის კითხულობდი. მე ის არ მომწონს, სტყუის ის, კუდაბიკა აზნაურივით იქაჩება, რაღაცას იბერება, რაღაც ბრძნული უნდა ვითომ სთქვას და სტყუის. კაცი იმას არ უყვარს, ადამიანის უკეთესობისთვის არ ფიქრობს. სიძულვილით შორს ვერ ნახვალ. გავა დრო, სკოლა გაქრება, ნაწერებიდან კი მხოლოდ ის დარჩება, რომელიც ადამიანისადმი სიყვარულით არის სავსე, გადახედე, თუ ასე არაა!“

სხვათა შორის, დიდი მწერლის ეს ბოლო ფრაზები, მისთვის ჩვეული სისადავითა და უბრალოებით სვამს ზუსტ დიაგნოზს, თუ როგორ უნდა შეფასდეს ნამდვილი ხელოვნება.

რთული ტერმინოლოგიითა და ფილოსოფიური წიაღსვლებით გადატვირთულ თანამედროვე ლიტერატორთა ნააზრევში, ბოლოს მაინც გუმანი, ინტუიცია იმარჯვებს და ლიტერატურის ისტორიკოსებიცა და თეორეტიკოსებიც ხელოვნურად გართულებული აზრის ლაბირინთებიდან, რომელიც ასევე სტილისტურ გართულებებს მოიყოლიებს, სწორედ გუმანით გრძნობენ იმ სისადავისა და უბრალოების ფასს, ეს-ესაა რომ გამოჩნდა დიდი მწერლის მიერ გამოთქმულ მოსაზრებებში.

სწორედ ამ სიყვარულმა და სისადავემ მაგრძნობინა ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდას, როდესაც ამ დიდი მწერლის შემოქმედებით დავინტერესდი, რომ დავით კლდიაშვილი მომავლის მწერალი იყო, სწორედ გუმანით მივხვდი, რომ მომავალი გაცილებით მეტსა და უკეთესად იტყოდა მის შემოქმედებაზე, რადგან უფრო ნათლად გამოიკვეთებოდა და დაფასდებოდა მწერლის იდეალები, ადამიანური ყოფიერების ფონზე გულითადი ურთიერთობების უმაღლეს ღირსებად წარმოჩენა, სიყვარულის, ჭირთათმენის, ურთიერთგატანის, გაგების, ყურადღების აუცილებლობა...

და ეს მართლაც ასე აღმოჩნდა, რადგან უკვე დღევანდელი გადასახედიდანაც (რომ აღარაფერი ვთქვათ შორეულ მომავალზე) შემაშფოთებელია დავით კლდიაშვილის ცხოვრების რეალური დროიდან ჩვენამდე განოლილი დროისა და სივრცის ის განძარცულობა, ყოველგვარი კეთილშობილებისაგან, რამაც ჩვენი ანმყო სულიერ უდაბნოდ აქცია.

სწორედ ყოველივე ნამდვილის დეფიციტმა და ნოსტალგიამ კიდევ უფრო მეტად დაგვიახლოვა ეს საოცარი მწერალი და თუკი ვინმეს ამაზე არა მხოლოდ მხურვალედ, არამედ ზედმინევეთი გამოწვლილვით შეუძლია საუბარი, ეს პირველ რიგში ჩვენი თანამედროვე შესანიშნავი მკვლევარი და ქალბატონი ლალი ავალიანია.

საერთოდ, როგორც მკვლევარისთვის, ლალი ავალიანისთვის დამახასიათებელი არა მხოლოდ მხატვრული ტექსტის ზუსტი ცოდნა, არამედ მთელი იმ საარქივო ზღვა მასალის მოძიება, სკრუპულოზური დამუშავება, პირდაპირ უშუალოდ რომ ეხება საკვლევ ობიექტს, ან თუნდაც ირიბად, წარმოსახვით რომ უახლოვდება მას.

ყოველთვის მაკვირვებდა ლალი ავალიანის პედანტიზმამდე მისული კვლევის მეთოდი, როცა მონესრიგებული გონება თუ ბუნება (არც კი ვიცი, რომელს დავაბრალო) ისეთი წვრილმანი დეტალების მოხელოებას ახერხებდა, შეუმჩნეველი რომ რჩებოდა სხვებს. ამ თვალსაზრისით, მისი, როგორც მეცნიერის თვალზეც შეიძლება გავიმეოროთ იგივე, რაც დავით კლდიაშვილის „ბედნიერ თვალზე“ ითქვა.

ზემოსხენებული მონესრიგებულობა თუ პედანტიზმი, როგორც წესი, თითქოს გამორიცხავს აღმოჩენით მოგვრილ აღმაფრენებსა და სიხარულს, მაგრამ ლალი ავალიანის შემოქმედებითი ბუნება ძალიან ხშირად არღვევს ჩვენს სტერეოტიპულ წარმოდგენებს და გვიჩვენებს, რომ სწორედ მასალის ძირისძირამდე წვდომისა და დამუშავე-

ბის სურვილით ხდება სრულიად შეუმჩნეველი დეტალებისა და წახნაგების სამზეოზე ამოზიდვა და აელვარება... ასეთი ნიმუშებითაა სავსე მისი წიგნი „დავით კლდიაშვილის ბედნიერი თვალი“, მაგალითად – როცა ანრიპინებული ნინილის ნისკარტზე წავლებული მასპინძლის თითები არასოდეს შეგიმჩნევია და თურმე იმერული სტუმარ-მასპინძლობის რა საიდუმლოს ინახავს იგი, ანდა როგორი დადარაჯებული სიფხიზლე გამოსჭვივის მისი ბუნებისა, როცა „შეცდომას“ აღმოაჩენს დიდი მწერლის ტექსტში. მარტო საშინაო და საგარეო ოპოზიციური წყვილების დახარისხება რად ღირს დავით კლდიაშვილის მოთხრობებში, აქამდე რომ მხოლოდ ძირითად სამოსს უკავშირდებოდა. არადა, თურმე იგივე წარმატებით შეიძლება აღმოაჩინო ეს დაწყვილება საშინაო და საგარეო სუფრისა, საშინაო და საგარეო მეტყველებისა და ლალი ავალიანის სასახლეოდ უნდა ითქვას, რომ უამრავი ასეთი დეტალი მანამდე არავის შეუმჩნევია.



არ შეიძლება არ დაეთანხმო ლალი ავალიანის მოსაზრებას დავით კლდიაშვილის რელიგიურობის საკითხის შესახებ, როცა იგი ასე დელიკატურად აღნიშნავს – „გერონტი ქიქოძისადმი ჩემი უღრმესი თაყვანისცემის მიუხედავად, მაინც მგონია, რომ დიდ მწერალს (დ. კლდიაშვილს) რელიგიური რწმენისა თუ ურწმუნოების საკითხი დაიხაჯ რომ ქეჯნიდა“.

ეს რომ მართლაც ასე იყო, შესანიშნავად წარმოჩინდა „საიქოს ნამყოფი“ გმირის მაგალითზე. ეს თავი ძალიან დიდი ინტერესით იკითხება და კერძოდ ის პარალელები, როცა ქართველი მწერლის პერსონაჟის კარიკაძის მონათხრობის გვერდით, როგორც თანხვედრის ილუსტრირება

რება მოცემულია ექიმ რაიმონდ მოუდის დღეს უკვე გახმაურებულ წიგნში – „სიცოცხლე სიკვდილის შემდეგ“ – დაფიქსირებული სხეულთან გაყრილი სულის დაკვირვებები... აქვე უნდა მივანიშნოთ ქალბატონ ლალის ერთ შესანიშნავ თვისებაზე. ესა თუ ის მეცნიერული მიგნებები, საერთოდ სამეცნიერო კვლევის პროცესი ლალი ავალიანთან იმ მოვლენებისა და პრობლემების შუქზე მიედინება, რომლითაც ჩვენს თვალწინ ცოცხლდება ეპოქის სული. ასე იყო ამ შემთხვევაშიც, როცა მან 1978 წლის „ლიტერატურა-ნაია გაზეტაში“ მკაცრი ცენზურის პირობებში გამოქვეყნებული ტაბუდადებული ინფორმაცია „კონტაქტები სხვა სამყაროსთან“.

მისტიკა თუ მისტიფიკაცია? ასევე გაიხსენა ამერიკელი ჟურნალისტის დანიელ გოულმენის დაბეჭდილი მასალა „იდუმალების ზღურბლზე“. სტატიაში მიმოხილული იყო ზემოხსენებულ ექიმ მოუდის, პარაფსიქოლოგების – კარლის ოსირისა და ჰერალდსონის გამოკვლევათა სენსაციური შედეგები – სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზე მყოფ, გამოსაჯანსაღებელ პირთა ჩვენებები, რომელთა უმრავლესობა, მართლაც სულის უკვდავებას ადასტურებდა.

დიდ ერუდიციასთან ერთად ეს შესაშური ნებისყოფის თვალსაჩინო მაგალითია ისიც, რომ უშუქობით, უსახსრობით, უზნეობითა და უპერსპექტივობის განცდით აღსავსე ეს მღვრიე წლები ქ-ნმა ლალიმ არა მხოლოდ როგორც პიროვნებამ ღირსეული სტოიციზმით გამოატარა, არამედ როგორც პროფესიონალმა შემოქმედებითი ნაყოფებიც მოიხსა. ამის შესანიშნავი ნიმუშია თუნდაც ბოლო წლებში გამოცემული მისი წიგნები: „დავით კლდიაშვილის ბედნიერი თვალი“, „ჭაბუა ამირეჯიბიდან აკა მორჩილაძემდე“, „გიჟი დროის მწერლობა“.

გამოსაშრება

ნინო ვახანია

დრო რბის

დრო მიდის და მასთან ერთად იცვლება ყველაფერი. „ყოველი კაცი, რომელსაც კი თვალებზე ჩამოფარებული არა აქვს რა, ხედავს, რომ ცხოვრება, რაც გუშინ იყო, ის დღეს აღარ არის, რომ იგი იცვლება, მიდის წინ და მოაქვს განახლება ყოვლისფერისა“ (ილია). დროის ცვლა ჩვენც გვცვლის თუ ჩვენ ვცვლით დროს. ეს დრო რბის თუ ჩვენ ვმოდრობთ გაჩერებულ დროში? დროის სვლასა (იმ მნიშვნელობით, რაც მას ჩვეულებრივ სიტყვათა ხმარებაში აქვს) და კაცობრიობის წინსვლა-განვითარებას შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირია?

რა არის დრო? არც თქვენ იცით. „ეს ამტკიცებს, რომ თქვენში სიბრძნის მარცვალა“ (მარტი ლარნი. „სოკრატე ჰელსინკში“).

არსებობს კი მარადიული საკაცობრიო ღირებულებები – ყველგან, ყველა დროში, ყველასათვის ერთნაირად ფასეული? თუ ყველაფერი ცვალებადი, წარმავალი, ფარდობითია? მოკლედ, მე მინდოდა მეკითხა, დღეს რომ უცაბედად სოკრატე მოგვევლინოს დროის სიღრმიდან ცოცხალი, ხორცშესხმული, თუ გავუგებთ, მივიღებთ, მივხვდებით ან ვიცნობთ მაინც?... რა თქმა უნდა, მარტი ლარნის შესანიშნავ ნოველაზე „სოკრატე ჰელსინკში“ გესაუბრებთ (დაიბეჭდა ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ 2006 წ. №22-ში. ქართულად ჩინებულად თარგმნა მაკა ჯაფარიძემ).

ნოველაში პირველად ცათა სასუფეველში ვხედავთ ჩია, სახედალარულ და მაინც ლამაზ და კეთილ მოხუც სოკრატეს, რომელიც მარადისობასა და სიცოცხლის უწყვეტობაზე ფიქრობს. არაფერი არ შეცვლილა. თუ იქ სულები განაგრძობენ არსებობას, მაშ, სოკრატე კვლავ სოკრატედ უნდა დარჩეს, ფინელი ჯარისკაცი ვიხტორი ვირტანენი კი იმავე ვიხტორიდ. ასეც არის. საუკუნო სასუფეველში გადასახლებული ხეპრე ვიხტორი ერთი რიგითი წარმომადგენელია საზოგადოებისა, მასისა. იგი

არაფრით განსხვავდება სხვა ათასი ვიხტორისაგან. დიდი ილიასი არ იყოს, სხვების ჭუჭყი მას ცხია და მისი – სხვებს.

როგორც მოსალოდნელი იყო, ვერ გაუგეს ერთმანეთს ახალგარდაცვლილმა ჯარისკაცმა და ძველმა ბერძენმა მოაზროვნემ. „შენი სიტყვებისა არაფერი მესმის, რა ენაზე მელაპარაკები?“ – ეკითხება გაოცებული სოკრატე რიგით ვირტანენს. ვერ გაუგეს იმიტომ კი არა, რომ ისინი ბაბილონის გოდოლის დაშლის შემდეგ წარმოქმნილ სხვადასხვა ენებზე ლაპარაკობენ, არც იმიტომ, რომ სხვადასხვა დროის, ეპოქის შვილები არიან, არამედ იმიტომ, რომ მათი სულები განიცდიან და საუბრობენ განსხვავებულად.

ვირტანენი ისეთია, როგორადაც უსულგულო და უკულმართ გარემოში აღზარდეს. მას უამრავი საქმე აყრია თავზე. რა საქმე? უნდა განმინდოს ტერიტორია, დანვას სოფლები და ქალაქები, დახოცოს მოხუცები და ბავშვები, გააუპატიუროს ქალები... ერთი სიტყვით, ნესიერი და სანიმუშო მოქალაქე უნდა იყოს. ეს ხომ მარტო ჯარისკაცის (კერძოდ, ქვეითის) საქმიანობა არაა. ეს ჩვენი საზოგადოების ყოველდღიური ომია, უკაცრავად, ცხოვრებაა. „ღმერთი მოკვდა“. სიკეთე, სილამაზე, ზნეობა, ერთგულება, პატიოსნება, სიყვარული... გაქრა, დაიკარგა. ადამიანი ადამიანისთვის მგელია. იქნებ სოკრატეს დროს სხვა რამეს ერქვა სიყვარული? მაგრამ ზნეობრივი და ამალღებული ხომ ყველა დროში, ყველა ისტორიულ ვითარებაში, ყველასთვის ზნეობრივი უნდა იყოს. თუ ასე არ იქნება, მაშინ რა მნიშვნელობა აქვს ზნეობრივს?

სასაცილოა, რომ სოკრატეც და ვირტანენიც სამოთხის მკვიდრნი არიან. როგორც ირონიულად შენიშნავს მწერალი, ვიხტორი ვირტანენი იქ სრულიად კანონიერი გზით მოხვდა, ასევე სოკრატეც – მიუხედავად იმისა, რომ ის ახალგაზრდობის გარყვინისა და სახელმწიფო რელიგიის უარყოფისთვის გაასამართლეს (იუმორი, მოსწრებული, მახვილი სიტყვა, ჩანს, საერთოდ, დამახასიათებელია, მარტი ლარნისთვის. ამას მოწმობს ის გამონათქვამები, რომლებიც მთარგმნელს ნოველის ბოლოს დაურთავს).

როგორ უსაშველოდ არეულა ყველაფერი. სადღაა საყოველთაოდ მიღებული და აღიარებული ზნეობა?

ლარნის კეთილი ნებით, ვიხტორი და სოკრატე მწერლის თანამედროვე ჰელსინკში მოხვდნენ. ყოფილი ჯარისკაცისთვის გარემო უფრო ნაცნობი და ახლობელია, ვიდრე მისი თანამგზავრისთვის. ვიხტორის არც ავტობუსის ეშინია, არც რადიო და სარეცხი მანქანა ეუცხოება.

რით მთავრდება ჩვენი გმირების საოცარი თავგადასავალი?

კლასიკოსი ფილოლოგიის პროფესორი უნივერსიტეტის დარბაზში შეკრებილთ უყვებოდა, თუ როგორ შეხვდა სოკრატეს ჰელსინკში, ოღონდ რიგით ვიხტორი ვირტანენზე არაფერი უთქვამს...

ნეტავ რამდენმა ადამიანმა შეიცნო ვიხტორი ვირტანენში თავისი თავი, ან, იქნებ, აღარც არიან ჩვენს შორის ვიხტორები? მეორე მსოფლიო ომის დროინდელი სამხედრო ფორმა ხომ უკვე აღარ აცვიათ!

„უკვალოდ არაფერი ქრება. მხოლოდ ფორმა იცვლება“. ესეც იმავე ნოველიდანაა, თბილი და მსუბუქი იუმორით დაწერილი ნოველიდან „სოკრატე ჰელსინკში“.

ელისო კალანდარიშვილი

ყავლგასული სოკრატე

თარგმანის შეფასებისას ყოველთვის მნიშვნელოვანია იმაზე დაკვირვება, თუ რას ირჩევს ამა თუ იმ ენიდან გადმოსაღებად მთარგმნელი. ამ არჩევანში ვლინდება მისი ლიტერატურული გემოვნება, ფასეულობათა სისტემა. თარგმნა მექანიკური პროცესი არ არის. მთარგმნელი თანამონაწილე და თანაზიარია ავტორისა. თუ ეს არ ხდება, თარგმნილი თხზულება, რაგინდ გამართულიც იყოს ენობრივ-სტილისტურად, უსულო და გამოფიტული იშვება ახალ ენაზე. თარგმნა, უდავოდ, თანაშემოქმედებაა.

ამ საფიქრალს აღძრავს მაკა ჯაფარიძის მიერ გადმოღებული მოთხრობა „სოკრატე ჰელსინკში“. მისი ავტორია ცნობილი ფინელი მწერალი მარტი ლარნი. ვინც ოდნავ მაინც იცნობს ფინურ ლიტერატურას, ამ რომანისტიკის ნაღვანი მისთვის ახლობელი და მნიშვნელოვანია. მისი პროზა გამოირჩევა თვითწარმავების, თვითანალიზისადმი სწრაფვით, რასაც ერწყმის თხრობის იშვიათი სილალე, ორიგინალობა, მსუბუქი იუმორი. მისი მწერლური

სტილის წარმოსაჩენად ეს მოთხრობა ძალზე მომგებიანია. ვფიქრობთ, ამიტომაც შეაჩერა მასზე ყურადღება მთარგმნელმა.

იმ მკითხველისათვის, რომელიც მიზეზთა და მიზეზთა გამო ვერ გაეცნო ამ ნაწარმოებს, მოკლედ გადმოვცემ მის ფაბულას: ცათა სასუფეველში ერთმანეთს ხვდება ორი გარდაცვლილის სული. ესენი არიან უდიდესი ბერძენი ფილოსოფოსი სოკრატე და ყველასთვის უცნობი ფინელი ჯარისკაცი ვიხტორი ვირტანენი. სოკრატეს მიწიერი სამყარო 2004 წლის წინ დაუტოვებია, საკმაოდ ასაკოვანს, ვირტანენი კი სულ ოციოდე წელია, რაც ბრძოლაში დაიღუპა სრულიად ახალგაზრდა, 28 წლისა. მრავალგზისი მცდელობის შედეგად ისინი მოიპოვებენ ერთი კვირით დედამიწაზე დაბრუნების უფლებას. სწორედ მათი მიწიერი თავგადასავალია აღწერილი მოთხრობაში.

მარტი ლარნი იმ რანგის მწერალია, რომელმაც კარგად უწყის, თუ რაოდენ საჭირობოროტია ზებუნებრივ, მისტიკურ მოვლენებზე წერა, ირაციონალური სამყაროს ზეგრძნობადი სინამდვილის გრძნობად-კონკრეტული რეალობებით ასახვა. ამ დროს ზომიერების დაუცველობამ შესაძლოა მწერალი მკრეხელობის ზღვრამდე მიიყვანოს. ამიტომაც ის შეგნებულად ცდილობს ცათა სასუფეველის აღწერისას მიმართოს ხალხურ წარმოდგენებს, გადმოცემებს, გავრცელებულ სახე-სიმბოლოებს. სამოთხეში ისმის ანგელოზთა ქოროს გალობა და არფების უღარუნი, ირგვლივ ყველაფერი თეთრი და უფეროა, სულები მოჩვე-


ნებითი პალმების ძირში ჩამომსხდარან და ერთმანეთთან ზეციურ ენაზე საუბრობენ. პეტრე მოციქული ამ სამყაროს პრეზიდენტი. არსებობს სამოგზაურო ბიუროც, რომელიც დედამიწაზე დროებით დაბრუნების მოსურნე სულთა დოკუმენტებს განიხილავს, რათა განსაზღვროს მათი მოგზაურობის მიზანი, მინიერი დროის ხანგრძლივობა, ჩინოვნიკები კი უჟამო ჟამს თათბირობენ, დართონ თუ არა ნება ამა თ იმ სულს დედამიწაზე დაბრუნებისა.

უნდა აღინიშნოს, რომ ავტორი მიზნად არ ისახავს საღვთო მოვლენების პაროდირებასა და გაშარჟებას, რაც ესოდენ გავრცელებული ლიტერატურული ხერხია თანამედროვე მწერლობაში. მარტი ლარნის მსოფლმხედველობისთვის ეს სრულიად მიუღებელი იქნებოდა. პირიქით, ის ფრთხილად, მონივნებით, სიყვარულით აღწერს ზეციურ სამყაროს, ადამიანური გონებისთვის მიუწვდომელს, ტრანსცენდენტურს, ენით გამოუთქმელს. ქრისტიანული სიმბოლიზმისთვის დამახასიათებელი „უსახოთა გამოსახვის“ პრინციპი უკარნახებს მას ამგვარ მიდგომას – რაც ენით არ გამოითქმის, ის აღინერება ადამიანური, მინიერი ხატ-სახეებით.

მოთხრობის საბოლოო მიზანი არაა ცათა სასუფეველის არსის წვდომა მწერლის ჩანაფიქრი სულ სხვაა. მას უფრო თავის პერსონაჟთა მინიერი თავგადასავალი აინტერესებს. ლარნის სათქმელი ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს: თანამედროვე სამყაროში ყველი გასვლია სიბრძნის, შემეცნების წყურვილს, ადამიანის მიერ საკუთარი თავის შეცნობისაკენ სწრაფვას. მეოცე საუკუნის ჰელსინკიში ჩამოსული სოკრატე სრულ ანაქრონიზმად გამოიყურება. იგი ერთ დროს მშობლიურ ათენში ახალგაზრდობას ცხოვრების შეცნობას ასწავლიდა, ჭეშმარიტებისკენ ისწრაფოდა, ახლაც, ცათა სასუფეველშიც, მარადისობასა და სიცოცხლის უწყვეტობაზე განაგრძობს ფიქრს. სჯერა, რომ უკვალოდ არაფერი ქრება, ხოლო „ბრძენი არის ის, ვინც თავისი უვიცობის შესახებ იცის“. თუმცა მისი ეს ცოდნა თანამედროვე სამყაროში არავის სჭირდება. სოკრატე თავისი სიბრძნით სრულიად ზედმეტია, უფრო მეტიც, ის უვიცი, გაუცნობიერებელი ადამიანივით გამოიყურება, რადგან არ იცის რა არის „ჯაზი“, „კომიქსი“, „კინო“; ავტომობილი მითითური ურჩხული ჰგონია, მიკროავტობუსი კი – უზარმაზართვალეებიანი არგუსი. მას არ უნახავს ტყვია, არც თანამედროვე შეიარაღების მიღწევებს იცნობს. სოკრატე თავს იმართლებს ვირტანენის წინაშე, რომელიც მას საყვედურობს: „თანამედროვე იარაღიც კი არ იცი. ნეტავ იქ (ათენში – ე.კ.) რას ასწავლიდი?! ამაზე იგი დამორცხვებით პასუხობს: „მოკვლა არასოდეს მისწავლებია. ამას სიბრძნე არ სჭირდება“.

სოკრატეს უკვირს, თუ როგორ წინ წასულა ადამიანი მისი ეპოქის შემდეგ. ყველაზე დიდ სასწაულად ასანთს აღიქვამს, გაკვირვებული ატრიალებს და თავისებურად, ფილოსოფიურად ხსნის მის დანიშნულებას – ასანთი მის-

თვის მარადიული ცეცხლია, ამ ნივთში ცეცხლი ცოცხლობს. უბრალო ტრამვის ვაგონის დანახვაზე თვალები სიხარულით ენთება – ნუთუ მუდმივი მოძრაობა ნაპოვინია?! თუმცა თანამედროვე ტექნიკურ მიღწევებს რომ გაეცნობა, უჩნდება კითხვა: მართალია, ყოველივე ეს ადამიანს საქმიანობას უადვილებს, დროს უზოგავს, მაგრამ სად მიდის ის დაზოგილი დრო? ამის პასუხი ვირტანენს არ გააჩნია. სოკრატეს ისიც აინტერესებს, ამ საოცრებათა გამოგონებაში გააკეთილშობილა ადამიანი თუ პირიქით, გააუხეშა, ზიანი მოუტანა. ვერც ამის პასუხს მიიღებს. თუმცა მკითხველი მშვენივრად ხვდება, რომ მწერალს სწორედ ეს სატიკვარი ანუხებს: ცივილიზაცია, ტექნიკური მიღწევები, დედამიწისა და კოსმოსის ათვისება, მინის სიღრმისა და ცის სფეროების ჩხრეკა კარგად არ დამთავრდება კაცობრიობისთვის, თუ ეს მხოლოდ შემეცნებით პროცესად დარჩება, თუ მას ადამიანის გაკეთილშობილების, ზნეობრივი დახვეწის მისია არ დაეკისრება. ავტორი ნუხს, რომ მინაზე ბევრი რამ სასიკეთოდ შეცვლილა, მაგრამ გამქრალა



სოკრატე

ჰარმონია, ნონასწორობა, ურომლისოდაც ყოველი გამოგონებისა თუ ტექნიკური მიღწევის აზრი უბრალოვდება. ყოველივე ამის გარეშე ჩვენი ყოფა იქცევა მექანიზებულ, ავტომატიზებულ არსებობად, სადაც სრულიად ზედმეტია სოკრატე თავისი „მოძველებული“ ფილოსოფიით, სადაც დაასკვნია, რომ „მისი გონებრივი განვითარება არ აღემატება ექვსი წლის ბავშვის დონეს“, რადგანაც არ იცის რა არის რადიომიმღები, ელექტროზარი, სარეცხი მანქანა, სამაგიეროდ ფლობს ჭეშმარიტ სიბრძნეს იმის თაობაზე, რომ „თუკი ადამიანი სინდისის ხმას მისდევს, არასოდეს მოუწევს მონანიება... ჭეშმარიტ ცოდნას ზნეობრივი ცხოვრებისკენ მიყვავართ“, რომ ყველაზე დიდი სიქველე საკუთარი თავისა და სამყაროს შეცნობაა და არა ამ სამყაროს მართვა-გალამაზება, შეკაზმვა და აღჭურვა. ამიტომაც არის, რომ მოთხრობის მეორე პერსონაჟს, უბრალო ჯარისკაცს, ვიხტორი ვირტანენს ერთ დღეში ბეზრდება დედამიწა, რომელზე დაბრუნებასაც ასე ესწრაფოდა, იმედგაცრუებული ფიქრობს, თუ რა აკეთოს აქ დარჩენილ ექვს დღეს, რომელიც „შვებულეებით“ ეკუთვნის. მას ზეცაში მოწყენილობა სტანჯავდა, აქ კი – უგულობა, უხეშობა, უსიყვარულობა. ის ხვდება, რატომ მოსწონს სოკრატეს ზეცად ყოფნა – იქ ხომ ჰარმონიაა, სინათლეა, ჭეშმარიტებაა.

ჩვენ ისლა დაგვრჩენია მადლობა გადავუხადოთ მთარგმნელს, რომელმაც დახვეწილი ქართულით გადმოცემული ამ მოთხრობით შეგვახსენა, რომ ჭეშმარიტ ღირებულებებს სრულიად სხვა საზომი აქვთ – მარადიულობა. ისინი არ სდევნენ ჟამთა ცვლას, არ ემორჩილებიან დროის ქარტეხილებს, არსით მუდამ მყარნი და უცვლელნი არიან.

და საერთოდ, რად ფასობს ის სამყარო, სადაც სოკრატეს ყავლი გაუვა?

ბრიგოლ რობაქიძე და ახალი თაობა

16 დეკემბერი. პირველი საჯარო სკოლის გადავსებული სააქტო დარბაზი. საგანგებოდ ამ დღისთვის დაპატიჟებული სტუმრები. ელექტროენერჯის უცბადი გამორთვის გამო, მღელვარებაზეუმჩნეველი მასპინძლები და მერიიდან მონვედნილი მანუგეშებელი ხმა – სინათლე სულ მალე გექნებათო... და იქვე, წინა რიგთან, თბილი სიტყვები გაცრთება: „გახსოვთ ის დღე? იცით, როგორ მიყვარხართ?“



სცენა პირველ სკოლელთა სპექტაკლიდან „ლამარა“

შუქი ზუსტად იქ ეცემა, ღია კარიდან, სადაც ტელეკომპანია „იმედის“ ოპერატორს ჩაუმუხლავს დივანზე ჩამომსხდარი ქალბატონების, ამაგდარი პედაგოგების ლიანა შენირულისა და ნანული რატიანის წინაშე. ცდილობს მაღლიერი სიტყვებით თავს შემოეფლოს მათ. ფაქიზია მოგონებები სკოლასთან დაკავშირებული, თუნდაც სიყმანვილის გახსენების გამო...

ნამის ყოფა და ყველაფერი ჩვეულ რიტმს უბრუნდება. ერთბაშად გაჩახჩახდა დარბაზი, კედელზე პროექტორი აციმციმდა, მიკროფონიც ჩაირთო და პირველი საჯარო სკოლის დირექტორი ლელა წიქარიშვილი გულითადად ესალმება მიწვეულთ.

ალბათ ეს დღეც ისტორიის სამახსოვრო ფურცლად ჩაიკეცება ამ სანაქებო სკოლისათვის.

... მაინც მოვლენების კვალდაკვალ.

ქალბატონმა ლელა წიქარიშვილმა განათლების სამინისტროს პროექტის – „ორმის ნახტომი“ – ფარგალში საკუთარი სკოლის ვებგვერდის პრეზენტაცია გახსნა. საქმიანად ისაუბრა კომპიუტერული კლასების მიერ შექმნილ ელექტრონულ პროდუქციაზე, კერძოდ, სკოლის ვებგვერდი ქართული ლიტერატურის კლასიკოსის გრიგოლ რობაქიძის შემოქმედების სრულყოფილად წარმოჩენას რომ დაეთმო.

ქალბატონმა ცირა კილანავამ, ამ ვებგვერდის ავტორმა, ვისი ხელმძღვანელობითაც ჩატარდა სამუშაოები, პროექტორზე წარმოაჩინა საინტერესო მენიუ, კერძოდ, თუ როგორ ჩაიდო და დასათაურდა კომპიუტერში მასალები, რისი მოძიებაც უკვე ნებისმიერს შეეძლება. აღნიშნა, რომ სრულყოფილი და სანდო მასალა გრიგოლ რობაქიძის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე სამ ნაწილადაა წარმოდგენილი: პოეზია, პროზა, ესეი.

ნორჩმა კორესპონდენტებმა, მეცხრეკლასელებმა: ეკო ამყოლაძემ, ქეთი დათუკიშვილმა და ლექსო ზარდიაშვილმა გულითადად ისაუბრეს გრიგოლ რობაქიძის შემოქმედების მკვლევარებზე: თამაზ ჩხენკელზე, ნესტან სულავასა და მაია ჯალიაშვილზე, რომელთა გულისხმიერი დახმარებითაც ცოლენა გაიფართოვეს და ინტერვიუებიც მოამზადეს.

მათ გარდა მკვლევარებს სოსო სიგუასა და ზაზა შათირიშვილს ინტერვიუებისთვის ესტუმრნენ სალომე კუსიანი, თეკლა კაპანაძე, ქეთი ნაკაშიძე და გიორგი გვიგვილი. აღსანიშნავია, რომ პრეზენტაციას პრემიერა მოჰყვა.

ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის ლელა მელიქიშვილის მოსწავლეებმა სახელდახლოდ გამართულ სცენაზე წარმოდგინეს სპექტაკლი „ლამარა“, მწერლის ამავე სახელწოდების ტრაგედიის მიხედვით.

70-იანი წლებიდან მოყოლებული, ჯერ კიდევ საბჭოურ ხანაში რუსული ჰუმანიტარული სივრცე ნაბიჯ-ნაბიჯ, მიზანიმართულად იღვწოდა იმისათვის, რათა რეპრესირებული და შემოქმედებითი ემიგრაცია თავიდან მოეპოვებინა.

ქართულ სინამდვილეში ეს პროცესი უფრო მდორედ, დუნედ მიმდინარეობდა. საქართველოში თაობები გაიზარდა დიდი მწერლისა და მოაზროვნის გრიგოლ რობაქიძის სახელის გარეშე. .. არადა ამ მწერლის, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მარტო ენობრივი,

ლექსიკური წიაღი სუფთა უნაგბადივით წაადგებოდა მოზარდი თაობების სრულყოფილ ზრდასა და ჩამოყალიბებას. ..

რაც იყო იყო. .. როგორც იტყვიან – სჯობს გვიან ვიდრე არასდროს. დრო უსწრაფესად გარბის. ე.წ. გარდაქმნის პერიოდს ეს ერთი სიკეთეც ნამდვილად მოჰყვა, ქართველ ემიგრანტთა სახელები თანდათან უბრუნდება სამშობლოს. მათ შორის გრიგოლ რობაქიძე უპირველესი შემოქმედი.

დღევანდელმა ახალგაზრდობამ მისი მხატვრული სამყარო ისე შეივარა და გაითავისა „ლამარაც“ კი წარმოადგინა სცენაზე. .. ეს თითქმის სასწაულის ტოლფასია. ამიტომ შემთხვევით არ უკითხავთ სკოლის დირექტორისათვის იმ დღეს – ქალბატონო ლელა მოსწავლეების ნაცვლად მსახიობები ხომ არ შემოგვაპარეთო. ..

ამ ნახევრად იუმორულ შენიშვნაში ის განცვიფრებაც იგულისხმებოდა, რითაც თავის დროზე შერისხულ მწერალთა რიგს მიკუთვნებული შემოქმედი ასე ზუსტად რომ გაიგო და მიიღო ჩვენმა მომავალმა თაობამ.

ეს იყო მართლაც ცოცხალი და შთამბეჭდავი სანახაობა. ყმანვილებმა წრფელი სიყვარულით განასახიერეს როლები. ხევსურებისა და ქისტების საუკუნოვანი მეზობლობის, ძმობის, ვაჟკაცობის და სიყვარულის სილამაზის ბედისწერა ამაღლელებლად წარმოაჩინეს. თანაც, თამაშობდნენ საკუთარ თავს, ამითაც იყვნენ მომხიბლავნი. მათ მკაფიო და საყვარლად გამოთქმულ ფრაზებს თითქოს ქაშუეთის ზარების რეკაც შეენეოდა...

გავა დრო; მარიამ ქარქაშაძე (ლამარა), მარი როინიშვილი (მაია), კოკო როინიშვილი (მურთაზი), გიორგი არაბული (ლაგაზი), ვახო სილაგაძე (ჰიდდირი), რეზო ბახტაძე (ქავთარი), ნინო მაჭარაშვილი (მზიულა), თათია ლანჩავა (ხევსური ქალი), თენგი ალფენიძე (ლეგაი), ნიკა ჩხეიძე (ქისტი), გიორგი ყორღანაშვილი (მინდია), გიორგი ბახუტაშვილი (თორღვა), გიორგი გულუა (იჩო), ზაზა მელაძე (ქისტი). წლების მერე, როცა შეხვდებიან თავიანთ მასწავლებლებს, აუცილებლად ჰკითხავენ: გახსოვთ ის დღე?..

მანამდე კი მათ სპეტაკ და კეთილ მზერას მოფრთხილება სჭირდება.

ღვთის სადიდებლები

სან ხუან დე ლა კრუსი
(1542-1591)

ჰოჯის საბალოები

შორი გზით მოდის ეგ ქალწული
მუცლადღებულნი...
ხომ არ გექნებათ თქვენს ფუნდუკში
მისთვის ადგილი?

ბალოა, თქმული სან ხუან დე ლა კრუსისა, როდესაც სულმა აღიტაცა ღვთიანობივი ჰვრატის ჟამს

მივისწრაფე და შევალნიე...
არ კი ვიცი, – სად.
და მე, უღირსი
და ყოველთა უნარჩევესი,
შეუცნობელის შეცნობისა
შევიქმენ ღირსი.

და მე არ ვიცი, სად ვიყავი.
ვიცი, – ვიყავი,
ვიცი, – ვიხილე
სიდიადე ენით უთქმელი.
მაგრამ არ ვიცი,
ვინ მომმადლა ეს ნეტარება.

იყო სიბრძნე და სიყვარული,
სათნობა, სიკეთე და სიჩუმე დიდი.
და მარტოობამ მიმიჩინა გზა მართალი,
გზა იდუმალი.
ჩემი გრძნობები განერიდა წარმავალობას,
ყველაფერს სასრულს
და ამქვეყნიურს.
და მე, უღირსს, კნინს,
უნარჩევებს ყოველთა კაცთა,
უფალი ღმერთი შემენია:
გარდამოვიდა ჩემზე მადლი
და მე შევიტყვე,
რომ გული სწვდება მიუწვდომელს,
ამოუთქმელს, მოუხელთებელს.

ბალოა სულისა, რომელიც ღვთისმოპიჯებით მიიასხლა უფალს

ანკარა წყარო ამოხეთქავს
უკუნ ღამეში.
კაცთა თვალთაგან წყაროსთვალნი დაფარულია.
და მე არ ვიცი, სად ვიგულვო წყაროს სათავე,

რადგან თვით არის ის სათავე ყოველივესი.
ქვეყნად მშვენება არ არსებობს მისი სადარი.
მას ენაფება ცაც და მიწაც
უკუნ ღამეში.
ღრმაა, წყალსავსე, იდუმალი, მას ვერვინ დაშრეტს.
მიედინება, გზას მიიკვლევს
უკუნ ღამეში.

მის სიკამკამეს, მის სინმინდეს ვერვინ შეამღვრევს,
რადგან თვით არის წილნაყარი იმ ნათელისა, –
უსანწყისოსი, მარადისის, დაულამებლის.
წყალუხვია და მისი ჩქერი სხივს იტყორცნება,
არწყულებს ზეცას, კაცთა მოდგმას, თვით
ზესთასოფელს.

ჩქერი წყაროსი ცქაფია და დაუდგრომელი.
მირაკრაკებს და მიიჩქარის
უკუნ ღამეში...
უშრეტო წყაროვ, უხილავო და იდუმალი,
მომნიჭებელი სიცოცხლისა, უკვდავებისა!
შენ არყოფნიდან გამოიხმე ყოველი არსი,
ყოველს ადგილი განუწესე და განუჩინე.
სიცოცხლის წყაროვ, უსასრულოვ, მარადიულო,
წყაროვ უხრწნელო, უსანწყისოვ, დაუსაბამოვ,
შენკენ მოვილტვი, გზას მოვიკვლევ
უკუნ ღამეში.

უცნობი ავტორი (მე-16 საუკუნე)

ჯვარცმული ძრისტა

უფალო ჩემო,
შეგიყვარე მთელი სულით და მთელი გულით,
არა იმიტომ, რომ სამოთხის კარი შევალო,
არც – იმის შიშით,
რომ მომელის მე ჯოჯოხეთი,
სადაც სინმინდის წამბილწველნი იტანჯებიან.
უფალო ჩემო,
შეგიყვარე, რადგან გიხილე,
გიხილე მაშინ,
გიმზერ ახლაც,
გხედავ ყოველწამს
განკიცხულს, ჯვარცმულს...
ვხედავ შენს სხეულს,
ტანჯულს, ნანამებს,

და ვხედავ შენს შუბლს,
სისხლით დაცვარულს.
სიყვარულისთვის შემქმნა უფალმა...
მიყვარხარ,
ჯილდოდ შენ სამოთხე რომც არ აღგეთქვა,
ანდა სასჯელად ჯოჯოხეთი არ მოგვევლინა!
ხსნის იმედი თუ წარწყმედის შიში
ვერაფერს მატებს და ვერც აკლებს
სიყვარულს ჩემსას.

პედრო დე ესპინოსა
(1578-1650)

ღვთისმშობლის მიძინება

ფირუზისფერი ზეცის სიღრმეში,
მზის ვარაყიან ღრუბელთა შორის,
ტაძარი ხელთუქმნელი წამომართული.
და ბრიალებენ ქორკანდელები,
ცვილის სანთლები...
ღვთის სადიდებლად ედებათ ალი.
ბოლავს კანდელი,
კვამლის ბოლქვებს
უფლისკენ მიაქვთ
ფიქრი მრავალი,
თხოვნა, ვედრება.
ინვის ინდური საკმეველი,
ასურული გუნდრუკი ხრჩოლავს...
ყვავილწუნულებით მოქსოვილ ნოხზე
ქალწული დედა მიემართება.
მზე არის მისი მოსახსამი,
მთვარე კი – ხამლი.
აჰა, სავანე უზენაესის!
ენვია ზეცას –
მოუთმენლად მის მომლოდინეს.
ფერხთ ემთხვევიან სერაფიმები,
ქებას უგალობს ანგელოზთ დასი...
და ქალწული
სიტყვამ ღვთისამ დაისვა გვერდით.

ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს

უგზოდ, უკვალოდ ვეხეტებოდი
ამაოების, ცთუნების და ლიქნის მორევში.
ზღვაოსანს ვგავდი,
გზააბნეულს,
ქარიშხლით დევნილს.
დუჟმორეული ზღვა ბორგავდა და ტორტმანებდა,
ცა იქცეოდა,
მეხისტეხა თავს მატყდებოდა;
მრისხანე ბედი ბობოქრობდა,
შიშით მთრგუნავდა.
სასონარკვეთამ მოიყოლა დარდი, ვაება...
და მიუსაფარს კაემანმა დამრია ხელი;
სადღეხვალის საზრუნავი მიქადდა დანთქმას,
მინიდან აღგვას,
წალეკვას და სულის წარწყმედას...
და, ეჰა, იგი სასწაული განსაკვირველი!
გადაიკარა, გამონათდა, მზის სხივმა მიხმო!

ყოვლადწმიდაო ღვთისმშობელო,
ქალწულო დედავ,
შენმა მზერამ და სხივთამფენი თვალების შუქმა
გზა გამინათა და წამიძღვა ნავსაყუდლისკენ.

ფსალმუნი

ცანი ცათანი შენ გაქებენ, შენ გადიდებენ
და მადლს გიძღვნიან შენნი შექმნილნი:
მინა და წყალი, ჰაერი, ცეცხლი.
ეს გულიც შენგან მიფეთქავს მკერდში;
და ყოველივე,
რასაც ვუმზერ, რაც სმენას სწვდება,
მონინებასა და სიმდაბლეს
მოითხოვს ჩემგან
და სიყვარულის ალით ამანთებს.
თავმოთნეობამ, თავკერძობამ
დამძლია ბევრჯერ;
ჰე, ჩემი სული გადაშლილი წიგნია შენს წინ!
უფალო ჩემო,
შენ სასწაულს უამრავს მივლენ,
მაგრამ მე ყური მაქვს დახშული
და თან მზერაც მაქვს დაბინდული.
მითხარ, უფალო, კვირტს როგორ კვანძავ?
ყვავილის ფურცელს რით ანაზებ, რით ალამაზებ
ჩვენს გასახარად,
ჩვენი მზერის წარსატაცებლად?
მითხარ, უფალო, როგორ შექმენი
ვარდის მეფური მოკაზმულობა?
და – სურნელება, ყვავილში რომ თვლემს?
ანდა – შრომანას ნატიფი ყელი?
მიხაკის ფურცლის მაქმანივით ხუჭუჭა კიდე?
სად გქონდა ფუნჯი? ზამბახი რამ მოგახატვინა
წვრილი ძარღვებით და ფორეჯებით?
ან – მზე და მთვარე?
ზეცის თალის ეს ორი თვალი –
დღის ჩახჩახა ჩირაღდანი, ღამის კანდელი –
ქვეყნიერების ციმციმა ცრემლი?

მითხარი, წყალი რად არს თხევადი?
ტალღის ვარდნა და აქაფება რომ დაგვენახა?
ზვირთების ბორგვა,
ჩქერის ჩქამი და ბუტბუტი
რომ გაგვეგონა?
წყალს რა აშფოთებს?
ქარბორბალას რა ატრიალებს?
წყალდიდობას და ქარიშხალს რა შობს?
მითხარ, უფალო,
ჩვენი დედა, დედამინა, რას დაამყარე?

სრა-სასახლენი? პალატები ხელმწიფეთანი?
მთაგრებილები, სერები და მწვერვალნი მითათა?
ველები, სადაც ყვაილები ღალანებენ,
იფურჩქნებიან?
ან – ზღვის ნაპირთან კბოდები, თავჩაჩქნიანნი,
აბჯარს რომ ჰგვანან,
წყლის ძალადობას გმირულად რომ უმკლავდებიან?..

ჰოი, უფალო,
შემეძრახე, მაღალო ღმერთო!
მე ენა მებმის... თქმას ველარ ვბედავ...
ნამლექა შენმა სიყვარულმა და დამატყვევა...

ესპანურიდან თარგმნა
მანანა გიგინეიშვილმა

სკორტი

გივი გამრეკელი

„ელექტრონული
ჯალათი“
აცამტკერებს
მსოფლიო ჩემპიონს

ეს თითქოს გუშინ იყო. ერთმანეთს შეხვდა ორი დიდოსტატი, რომლებიც სხვადასხვა ვერსიით მსოფლიო ჩემპიონის წოდებას ატარებდნენ: ვლადიმირ კრამნიკი და ვესელინ ტოპალოვი. გაიმარჯვა კრამნიკმა, გახდა ამ წოდების ერთადერთი მფლობელი, მაგრამ ვერცკი მოასწრო ხეირიანად ეზიმა ეს უდავო წარმატება, რომ ძლეულ ბულგარელს შურისმაძიებელი აღმოუჩნდა და თანაც როგორი!

რა აღარ ახსოვთ ჭადრაკის ისტორიკოსებს! ადრე უკვირდათ, როცა რომელიმე ცნობილი ოსტატი დაფაზე დაუხედავად რამდენიმე მოყვარულს ეთამაშებოდა. პირველი ამ დახელოვნებულ მოჭადრაკეთა შორის საიდ ბენჯუბერი (გარდ. 714 წელს) ყოფილა. ევროპაში კი პირველად ასეთი თამაში 1265 წელს არის ნახსენები, როცა ალი აშ-მატრანჯი დაფაზე დაუხედავად ოთხ მოჭადრაკეს შეეჯიბრა. დიდრო და სალამბერი თავიანთ „ენციკლოპედიაში“ აღნიშნავენ, რომ ფრანსუა დანიკან ფილიდორი, ვითომც აქ არაფერიაო, სამი მოყვარულის წინააღმდეგ თამაშობდა. დიახ, ეს თავის დროზე საოცრებად ითვლებოდა. აი, რას წერდა ცნობილი რუსი ოსტატი პეტროვი: „უფრო იოლია წყალში ჩაყვინთო და იქიდან მარგალიტი ამოიღო, ვიდრე ასეთნაირად ითამაშო“ (1858 წელი). საინტერესოა, რას იტყოდა პეტროვი, როცა მორფიმ იმავე 1858 წელს უკვე 8 დაფაზე ითამაშა, იგივე პაულსენმაც გაიმეორა, ცუკერტორტმა კი 1876 წელს დაფების რაოდენობა 16-მდე გაზარდა.

XX საუკუნეში დაფების რიცხვი უფრო იზრდებოდა და იზრდებოდა. პილსბერის უკვე 22 მოწინააღმდეგე ჰყავდა, ალიოხინს – 26, კოლტანოვსკის – 30, ნაიდორფს – 45, ფლეშს – 52. ფლეშის მიღწევა (1960 წ.) დღემდე არავის გაუუმჯობესებია. 1950 წელს თავისებური რეკორდი და-

ამყარა მსოფლიო ჩემპიონობის ყოფილმა პრეტენდენტმა ფაინმა. მან მატჩში გამოიწვია ცნობილი დიდოსტატი პილნიკი. პირობები ასეთი იყო – 10 პარტია უნდა ეთამაშათ, მაგრამ თუ ფაინი, ასე ვთქვათ, ზეპირად თამაშობდა, პილნიკი დაფასთან იჯდა, ათ პოზიციას, სანამ სვლას მოიფიქრებდა, როგორც უნდოდა, ისე გადააადგილებდა... რა ვუყოთ, რომ ასეთ თამაშში წარმატებას უფრო „სუსტმა მხარემ“ მიაღწია – პილნიკმა მოიგო 6 პარტია, ნაავო 3, ერთი კი ყაიმით დასრულდა.

რა თქმა უნდა, ასეთი თამაში კვლავაც გაგრძელდება, თუმცა ახლა როლები შეიცვალა. დაფაზე აღარ იხედება... კომპიუტერი, მოჭადრაკე კი მაგიდასთან ზის, ყველაფერს თვალნათლივ ხედავს, დროც საკმაოდ აქვს, მაგრამ მაინც... აგებს!

პირველი კომპიუტერები, რომლებიც ადამიანის წინააღმდეგ თამაშობდნენ, კარგა ხანს საკმაოდ სუსტები იყვნენ, დიდოსტატები მათ იოლად ამარცხებდნენ. თუმცა იმთავითვე ამბობდნენ, რომ კომპიუტერები თანდათან მომძლავრდებოდნენ, დიდოსტატს კი, ვინც უნდა იყოს იგი, თავისი „ჭერი“ აქვს, ამაზე უკეთ ველარ ითამაშებს. თუ ერთხანს კომპიუტერს იოლად ამარცხებდნენ გნებავთ კარპოვი, გნებავთ კასპაროვი, მაგრამ უნდა დამდგარიყო დრო, როცა ადამიანს ძალიან გაუჭირდებოდა ავტომატთან თამაში.

თქვენ წარმოიდგინეთ, ეს დრო უკვე დადგა! ჯერ კიდევ შარშან ინგლისელი დიდოსტატი მაიკლ ადამსი, რომელიც ყოველგვარი ეჭვის გარეშე, მსოფლიოს 10 უძლიერესი მოჭადრაკის რიცხვს მიეკუთვნება, ერთ-ერთ კომპიუტერთან დამარცხდა ანგარიშით 0,5:5,5! ეს ხომ ნამდვილი განადგურება იყო, თითქმის მსგავსი, თავისი დიდების ზენიტში მყოფი ფიშერი თავის უახლოეს მეტოქეებს რომ უგებდა.

ამასთან ისიც ვთქვათ, რომ ადამიანს არ სჩვევია წინასწარ დანებება. ამიტომ როცა გერმანულ პროგრამა „დიპ ფრიცის“ შემქმნელებმა სათამაშოდ (6 პარტია, მოგებული სკონორარი 1 მილიონი ევრო, წაგებულია – ნახევარი მილიონი) თვით კრამნიკი გამოიწვიეს, იგი უყოყმანოდ დათანხმდა. ჯერ ერთი, კრამნიკი არ არის ადამსი, თუმცა წინასწარ ძნელი გასათვალისწინებელი იყო, როგორი სიძლიერით თამაშობდა „დიპ ფრიცი“. თურმე ნუ იტყვით, მას ის ადრინდელი, ადამსის მძლეველი კომპიუტერი შეგივრდადაც კი არ გამოადგებოდა...

კრამნიკმა იცოდა, რომ „დიპ ფრიცის“ პროგრამისტები მას დიდ სიურპრიზს უმზადებდნენ. ამიტომ წინასწარ, თავის საკუთარ კომპიუტერთან, 60 საწვრთნელი პარტია

ითამაშა. რადგან „დიპ ფრიცისაგან“ მაქსიმალურ ხიფათს მაშინ ელოდა, როცა ავტომატი თეთრებით ითამაშებდა, ამიტომ ყველა საშინაო შეხვედრისას შავი ფიგურები აირჩია. შედეგი მაინც მეტად მოულოდნელი იყო: ამდენი პარტიიდან მსოფლიო ჩემპიონმა მოიგო მხოლოდ ორი. რა თქმა უნდა, არავინ იცოდა, როგორ დამთავრდა ეს საშინაო მატჩი, მაგრამ მრავალრიცხოვანი კომენტატორების პროგნოზი მაინც სრულიად გარკვეული იყო – „დიპ ფრიცი“, რომელიც ერთ წამში 3,5 მილიონ პოზიციას ითვლის, და, როგორც ახლა ამბობენ, აკონტროლებს, აუცილებლად დაამარცხებდა კრამნიკს. ასე გასინჯეთ, თითოეული ყაიმიც კი ამ 6 პარტიისაგან შემდგარი მატჩისაგან მსოფლიო ჩემპიონისათვის დიდი მიღწევა იქნებოდა. ხომ ამბობდნენ ბრძენი რომაელები: „დრო იცვლება და ჩვენც ვიცვლებით მასთან ერთად“. თუმცა, იგივე რომაელი გაიუს სალუსტიუსის აზრით, „ადამიანი თვით არის თავისი ბედის მჭედელი“. ახლა კი „დიპ ფრიცმა“ ნათლად დაამტკიცა, რომ ამ თითქოსდა სწორ აზრში შეიძლება ეჭვის შეტანა.

არც ისე დიდი ხნის წინათ, დავით ბრონშტეინმა ხუმრობით თქვა, რომ მანქანამ ისიც კი არ იცის, რომ ჭადრაკს თამაშობს, არავითარი წარმოდგენა არა აქვს, ვთქვათ, ესპანურ პარტიაზე, ნიმცოვიჩის დაცვასა თუ ლაზიერის გამბიტზე. მაგრამ ბრონშტეინმა არ უარყო მთავარი – მანქანამ იცის, როგორ უნდა მოიგოს. მსოფლიოს მეექვსე ჩემპიონმა, მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორმა მიხეილ ბოტვინიკმა თავისი ცხოვრების მესამედი კომპიუტერული მანქანების შექმნას კი მოანდომა, მაგრამ, ეტყობა, ვერ მიიღო ის, რასაც მოელოდა და ცხელ გულზე მას „(ვარიანტების) კეთილსინდისიერად მთვლელი იდიოტი“ უწოდა. შეიძლება ადრინდელი კომპიუტერები ზოგჯერ მართლაც წაიიდოტებდნენ, მაგრამ ამას ვინ იტყვის დღევანდელ ძლიერადად „დიპ ფრიცზე“!

კრამნიკისა და „დიპ ფრიცის“ მატჩმა, რომელიც ბონში გაიმართა, მთელი საჭადრაკო სამყაროს ცხოველი ინტერესი გამოიწვია. ერთი რამ ცხადი იყო – ადამიანი ძალიან დედავდა. ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, რომ მას ყელზე ყულფი ჰქონდა მოხვეული, პატარა სკამზე იდგა და შიშით ელოდა, როდის გამოაცლიდნენ ამ საყრდენს. შეიძლება ეს სკამი სულ მალე გამოეცალათ, შეიძლება ნამება დიდხანს გაგრძელებულიყო, შედეგი კი, სულ ერთია, ადამიანისათვის უნუგემო იქნებოდა. „დიპ ფრიცს“ კი რა ანერვიულებდა, მისთვის დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა, ყოველი მხრიდან გარემოცული „ქალაქი“ როდის დანებდებოდა.

ისე ნუ ვიფიქრებთ, რომ თითქოს ავტომატი არასოდეს ცდება. ცდება, როგორ არა, სწორედ ეს აფიქრებინებს

სპეციალისტებს, რომ მასთან თამაში შემდგომში შეიძლება, შეიძლება კომპიუტერის შეცდომების გამოყენება.

კრამნიკმა კი ვერცერთი ეს შეცდომა ვერ გამოიყენა. რატომ? იმიტომ, რომ „დიპ ფრიცის“ უძლეველობა რომ დაიჯერა, შეშინდა და ძალიან განერვიულდა. ერთმა კომენტატორმა ხუმრობით თქვა, იგი ძალიან მალე დარწმუნდა, რომ ამჯერად ვესელის ტოპალოვთან კი არა, ნამდვილ „ელექტრონულ ფიშერთან“ თამაშობდა. ამ შიშით იყო გამოწვეული, რომ კრამნიკი, რომელსაც ყველა წამყვან თანამედროვე დიდოსტატთან შედარებით ნაკლები შეცდომა მოსდის, ზოგი კი თვით კაპაბლანკასაც კი ადარებს, სშირად ნათელ პოზიციებშიც კი სწორ გზას ვერ პოულობდა. მისი ქომაგები ლაპარაკობენ კრამნიკის „ღვთაებრივ ინტუიციასზე“, რომელმაც უშველა მას კასპაროვთან, ლეკოსა და ტოპალოვთან, მაგრამ ვერაფრით დაეხმარა მსოფლიო ჩემპიონს ამ წყევულ „დიპ ფრიცთან“.



ვლადიმირ კრამნიკი

ასეც მოხდა, თუმცა მოულოდნელი ის იყო, როგორ გამოჩინა მსოფლიო ჩემპიონს ერთსვლიანი შამათი, რომელიც მას „ელექტრონულმა ჯალათმა“ გამოუცხადა. მესამე, მეოთხე და მეხუთე პარტიები ყაიმიტო დასრულდა, თუმცა „ჯალათს“ უკეთესი შედეგის მიღწევაც შეეძლო (კონკრეტულად მეხუთე პარტიაში). და, აი, ბოლო მეექვსე პარტიის წინ კრამნიკს ასეთი შესაძლებლობა ჰქონდა, ამ შეხვედრის მოგების შემთხვევაში, მატჩი საყაიმიო შედეგით დაესრულებინა. ნურას უკაცრავად, ეს მეექვსე პარტია „დიპ ფრიცმა“ მოიგო და საბოლოო ანგარიში 4:2 აღინიშნა.

ერთი სიტყვით, რახან „ღვთაებრივი ინტუიციის“ მქონე ვლადიმირ კრამნიკი დამარცხდა, არა გვგონია, უახლოეს წლებში რომელიმე სხვა დიდოსტატი შეეცადოს „დიპ ფრიცთან“ შეპაექრებას. მისმა შემდგენლებმა ჯილდოდ ერთი მილიონი ევრო მიიღეს და შეეცდებიან, თუ სადმე რაიმე ხინჯი ნახეს, მის მოცილებას.

ახლა ორიოდე სიტყვაც იმის შესახებ, რაც ამ მრავალტანჯულ მატჩთან არ არის დაკავშირებული. როგორც ტოპალოვის მენეჯერმა განაცხადა, მას უკვე აქვს ორი მილიონი ევრო და კრამნიკს მარტში სოფიაში საპასუხო ორთაბრძოლაში ინვესტ. ამაზე კრამნიკმა უპასუხა, რომ იგი „სერიალების“ გამართვას არ აპირებს. ამ „სერიალებს“ ნამდვილად აჯობებს ამ მოკლე ხანში ცოლი მოიყვანოს, ქორწილი კი 30 ან 31 დეკემბერს პარიზში დაინიშნა. მისი რჩეული ფრანგი ჟურნალისტი ქალია, რომელიც კრამნიკთან ამ ორი წლის წინათ ლეკისთან მატჩის დროს ინტერვიუს ასალებად მისულა...

დეივიდ ჰერბერტ ლორენსი

პარდნარის ჩრდილში

ზღვის პირა მშვენიერი კოტეჯის სარკმელს ჩია ტანის ახალგაზრდა კაცი მისჯდომოდა და გაზეთის წაკითხვას ამოად ცდილობდა. დაახლოებით დილის ცხრის ნახევარი იქნებოდა. გარეთ მზე საუცხოო ვარდებს თავს დასდგომოდა და ცეცხლივით აეელვარებინა. ყმანვილმა კაცმა ჯერ მაგიდას, შემდეგ საათს და ბოლოს საკუთარ ვერცხლის მოზრდილ მაჯის საათს დახედა. სახეზე ჯიუტი მოთმინება გამოეხატა. მერე წამოდგა და ოთახის კედელზე დაკიდულ, ზეთის საღებავით შესრულებულ ნახატს – „დატყვევებული ხარირემი“ – ყურადღებით, მაგრამ ავი მზერით შეავლო თვალი. პიანინოს თავსახურის ახდა სცადა და დაკეტილი აღმოჩნდა. პატარა სარკეში საკუთარ სახეს მოჰკრა თვალი, ნაბლისფერი უღვაში შეისწორა და თვალები ფხიზელი ინტერესით დაძაბა. უშნო არ ეთქმოდა. უღვაში გადაიგრიხა. მომცრო ტანის მიუხედავად ზედმინევიანით სხარტი და ენერგიული გარეგნობა ჰქონდა. საკუთარი ფიზიონომიით ალტაცებული და თვითკმაყოფილი სარკეს მოსცილდა.

სხვებისაგან შეუმჩნევლად ბაღში გაიპარა. ახალთახალი, ელეგანტური ქურთუკი ტანზე მშვენივრად ადგა და მის თავდაჯერებულ ხასიათს კიდევ უფრო ცხადად წარმოაჩენდა. გაზონის შორიახლოს მსხმოიარე ვაშლის ხე შენიშნა. სხვა ხეილისკენაც გაისეირნა. მოყავისფრო-მონითალო ნაყოფით დახუნძლული ვაშლის ხე შეარჩია. ირგვლივ მიმოიხედა, ერთი ცალი მონყვიტა და სახლისაკენ ზურგშექცეულმა მადაიანად ჩაკბიჩა. ხილი უჩვეულოდ ტკბილი აღმოჩნდა. სხვასაც მისწვდა. შემდეგ ისევ შემოტრიალდა და ბაღში გამომავალი საძინებელი ოთახის ფანჯრები შეათვალიერა. ქალის ფიგურას მოჰკრა თვალი. მისი ცოლი იყო. ზღვას მიშტერებული კაცს ვერც კი ამჩნევდა.

ცოტა ხანს უთვალთვალა. სასიამოვნო, საკმაოდ ფერმკრთალი, მაგრამ ჯანმრთელი გარეგნობის ქალი გახლდათ. ასაკით ქმარზე უფროსი ჩანდა და ნაღვლიანი სახე ჰქონდა. სქელი, ოქროსფერი თმის კულულები შუბლზე დაჰფენოდა. სადღაც შორეთში, ზღვისკენ იმზირებოდა. უყურადღებობამ კაცი გააღიზიანა, წითელი ვაშლები მონყვიტა და სარკმელს ესროლა. ქალი შედგა, კაცს შმაგი ღიმილით შეხედა და ისევ ზღვისაკენ გაიხედა. შემდეგ ფანჯარას ელვისებური სისწრაფით მოშორდა. კაცი შინ შევიდა და ცოლთან შესახვედრად გაემართა. მშვენიერი ეტლი ქალის საკუთრება გახლდათ, რითაც ძალიან ამაყობდა და ტანთ თეთრი მარმამის თხელი კაბა ემოსა.

„დიდი ხანია ვუცდი“, თქვა კაცმა.

„მე თუ საუზმეს?“ მსუბუქად ჰკითხა ცოლმა.

„ცხრაზე არ შევთანხმდით? მეგონა მგზავრობის მერე ძილს გამოაცხობდი.“

„რა, არ იცი, ხუთზე რომ მუდამ ფეხზე ვარ და ექვსის მერე სანოლში გაჩერება არ შემძლია? ამისთანა დილას ლოგინში ნებივრობა თხრილში ჯდომის ტოლფასია“.

„ისევ თხრილი, არ მეგონა, აქაც თუ გაგახსენდებოდა.“

ქალი ოთახის დასათვალიერებლად შებრუნდა, მინის საფარქვეშ მოთავსებულ ჩუქურთმებს უმზერდა. კაცი ბუხრის წინ დაგებულ ფარდაზე უხერხულად გაჯგიმულიყო და ცოლს უხალისო მოთმინებით უცქერდა. ქალმა მხრები აიჩეჩა.

„ნამო“, თქვა მან და ქმარს ხელი მოჰკიდა.

„ბაღში ჩავიდეთ, ვიდრე მისის ქოუთსი საუზმეს მოვკვიშავდებდეს.“

„მაღე იქნება“, თქვა კაცმა და უღვაში მოინიკნა.

ქალმა ყასიდად გაულიმა, ქმარს ხელმკლავი გამოსდო და ბალისაკენ გასწიეს. კაცმა ჩიბუხს მოუკიდა.

მისის ქოუთსი ოთახში შევიდა. ტანმალალი, მომხიბლავი, თუმცა უკვე ხანდაზმული ქალი სტუმრების უკეთ დასანახად ფანჯარაში გადაეყუდა. ბილიკზე მიმავალი ახალგაზრდა წყვილის დანახვაზე მომცრო ცისფერი თვალები გაუნათდა. ქმარს ცოლისათვის ხელი გაეყარა და მსუბუქი, თვითდაჯერებული ნაბიჯებით მიაბიჯებდა. მოხუცმა საკუთარ თავს ნაზი, იორკშირული აქცენტით გაუბა საუბარი:

„სწორედაც რო შესაფერისები არიან. თავისზე დაბალს არც გაჰყვებოდა, თუმცა სხვაფრივ ქმარზე ყველაფრით მეტია.“ ოთახში შემოსულმა გოგონამ ლანგარი მაგიდაზე დადო და ბებიასკენ გაექანა.

„ის კაცი ვაშლებს ჭამდა, იცი, ბები,“ თქვა მან.


„მართლა? მერედა რა მოხდა, ჭამოს თუკი სიამოვნებს, რატომაც არა.“ კართან მოახლოებული მოხდენილი მამაკაცი ჩაის ფინჯნების წკარუნს მოთმინებით ისმენდა და, როგორც იქნა, სასაუზმოდაც დასხდნენ. დანაყრების შემდეგ ქმარი ერთხანს შეყოვნდა და თქვა:

„ბრილიანგტონზე უკეთესი ადგილი თუ სადმე გეგულებო?“

„არა“. გაეპასუხა ცოლი. „ნამდვილად არა. გარდა ამისა, ისევ შინა ვარ. ეს ზღვისპირა ადგილი სრულებითაც არ მეუცხოება.“

„აქ რამდენი ხანი გაატარებ?“

„ორი წელი“.



კაცი საჭმელს ფიქრებში წასული მიირთმევდა.

„სჯობდა უფრო სუფთა ადგილი მოგენახა“, თქვა ბოლოს.

ქალი ერთხანს ჩუმად იჯდა, მერე კი თავაზიანად მოუსინჯა კბილი.

„რატომ?“ ჰკითხა მან. „გგონია საკმარისად ვერ ვისიამოვნე, თუ რა?“ ქმარს გულიანად გაეცინა და პურის ნაჭერს მურაბა სქლად გადაუსვა.

„ასე მგონია“, თქვა მან.

ქალმა კვლავ არაფერი შეიმჩნია.

„მაგრამ ფრენკ, ჩემზე სოფელში მაინც ნურაფერს იტყვი, კარგი?“ უნებლიედ წამოსცდა ქალს. „ნუ იტყვი, ვინა ვარ, ან თუ აქ ვცხოვრობდი, განსაკუთრებით კი არავისთან შეხვედრა არა მსურს, და იცოდე, რომ თავს ისე ლალად ველარ ვიგრძნობ, თუ ვინმემ მაინც მიცნო.“

„მამ რატომღა ჩამოხვედი?“

„რატომ? ვერ გაგიგია, რატომ?“

„ვერა. რატომ არ გინდა, რომ გიცნონ?“

„მხოლოდ ადგილის მონახულებას ვესწრაფოდი და არა ადამიანებისა.“

ქმარს მეტი აღარაფერი უთქვამს.

„ქალები“, თქვა ქალმა, „მამაკაცებისაგან განსხვავდებით. მე თვითონაც არ ვიცი, წამოსვლა რატომ მსურდა – მაგრამ მაინც გამოვემგზავრე.“

ცოლმა ქმარს კიდევ ერთი ფინჯანი ყავა გულთბილად შესთავაზა.

„მხოლოდ ერთ რამეს გთხოვ,“ შეწყვეტილი საუბარი გააგრძელა ქალმა, „სოფელში ჩემს შესახებ ნურავის მოუყვებო“. აკანკალებულმა გაიცინა. „საკუთარი წარსულის ამხედრება არა მსურს“ და თითებით სუფრიდან ნამცეცები წამოკრიფა.

კაცი ყავის სმას მორჩა და ქალს შეხედა; უღვაში კვლავ მოქაჩა, ფინჯანი დადგა და უხალისოდ წარმოთქვა:

„დარწმუნებული ვარ, მდიდარი წარსულის პატრონი ბრძანდები.“

ქალმა ქვეშიდან დარცხვინილი თვალებით ამოიხედა, რითაც კაცს პატივმოყვარეობა დაუკმაყოფილა და ფრიად აამა.

„მჯერა,“ მოალერსე ხმით უთხრა ცოლმა, „ვინც არ უნდა აღმოვჩნდე, მაინც არ მიმატოვებ, ხომ მართალს ვამბობ?“

„აბა, რა,“ სიცილით ანუგემა ქმარმა. „გვერდიდან ვერასოდეს მოგიცილებ.“ კაცი ერთობ ნასიამოვნები ჩანდა.

ქალი ერთხანს მდუმარედ იჯდა. ცოტა ხნის შემდეგ თავი ასწია და თქვა:

„მისის ქოუთსი უნდა ვნახო და ბევრი რამ მოვანესრიგო. ასე რომ, სჯობს ამ დილას მარტომ გაისეირნო. პირველზე კი ერთად ვისადილოთ.“

„მერედა ამას მთელი დილა რაში სჭირდება?“ იკითხა კაცმა.

„ოჰ, როგორ არა. რამდენიმე წერილიც დასანერი მაქვს და ქვედატანს ლაქები უნდა მოვაცილო. ათასი წვრილმანი საქმე მაქვს. სჯობს, მარტო გახვიდე.“

კაცი მიხვდა, ქალს მისგან განმარტოება სურდა. ასე რომ, როცა ცოლი კიბეს აუყვა, ცილინდრი დაიხურა და ბრაზმორეულმა ციცაბო კლდეებისაკენ ზანტად გასწია.

ქალიც მალევე გამოვიდა. ვარდებით შემკული ქუდი ეხურა და თეთრ კაბაზე სირმებით განწყობილი გრძელი შარფი მოეგდო. ნერვიული მოძრაობით ქოლგა გამალა და სახე მის ფერადოვან ჩრდილში ნახევრად ჩამალა. ვინრო, მეზადურთა ხშირი სვლისაგან ჩაზნექილ ფილაქანს მიუყვებოდა. ქოლგის წყალობით საკუთარ თავს უსაფრთხოდ, სხვათაგან უჩინრად გრძნობდა.

ეკლესიას ჩაუარა და ვინრო ბილიკით გზისპირას აღმართულ მალალ გალავანს მიადგა. მის ქვეშ ფრთხილად გაძვრა და ღია ჭიშკართან, რომელიც პირქუში კედლის ფონზე სინათლით გაჩახჩახებულ სურათს მიაგავდა, შორიახლოს შეჩერდა. იქ, ჭიშკრის მიღმა, მზით განათებულ, ზღვის მოლურჯო-მოთეთრო კენჭებით მოკირწყლულ ზღაპრულ ეზოში ჩრდილი ჩამონოლილიყო, ხოლო მწვანედ გაბიზინებულ გაზონში დაფნის ხეები ჰყვავოდა. ეზოში ფეხაკრეფით, ნერვიულად შეაბიჯა. ჩეროში წამომართულ სახლს ახედა. უფარდო ფანჯრები ჩამავებული, უკაცრიელი ჩანდა, სამზარეულოს კარი ღია დაედო.

თავდაპირველად ნაბიჯი გაუბედავად გადაადგა შემდეგ კვლავ წინ წადგა და მალე ეზოს უკან მდებარე ბალისაკენ მგზნებარედ მიილტვოდა.

სახლის კუთხესთან მისულს ხეების ტკაცუნთან ერთად მძიმე ნაბიჯების ხმაც მოესმა და მეზადეც წინ აესვებოდა. ხელში გადამნიფებული, მენამული ხურტკემლით დახვავებული მონწული სინი ეკავა. ქალს მძიმედ მიუახლოვდა.

„ბალი დღეს არ მუშაობს“, მშვიდად უთხრა ერთობ მომხიბლავ ქალს, რომელმაც დინჯად დაიხია უკან. მცივრე ხანს გაოცებისაგან გაყურდა. როგორ? ნუთუ ბალი ყველასათვის ღიაა?

„როდის აღებთ ხოლმე?“ სულმოუთქმელად, ეშმაკურად ჰკითხა.

„მოძღვრის ნება-სურვილით. პარასკევს და სამშაბათობით.“

ქალი გახევებული, ანთლებული იდგა. რა უცნაურია, ნუთუ მღვდელი ბალის კარს საჯაროდ აღებინებს ხოლმე!

„აღბათ ყველა ეკლესიაშია“, პირმოთნედ თქვა ქალმა. მეზადის მოთაფვლას შეეცადა. „შინ არავინ არის, ხომ ასეა?“

კაცი გაინძრა და ძირს მოზრდილი ხურტკემელი ჩამოუვარდა.

„მოძღვარი ახალ რეზიდენციაში ცხოვრობს“, თქვა მან. ორივე ჩუმად იდგა.

კაცს ქალის წასვლა არ სურდა. ბოლოს კაცს გამარჯვებული ღიმილით მიუბრუნდა.

„შეგიძლია ვარდებს შემახედო?“ ალერსიანი, მშვენიერი სურვილით აღსავსე ხმით ჰკითხა ქალმა.

„არც არაფერი დაშავდება“, მიუგო კაცმა და გზა დაუთმო, „მხოლოდ დიდხანს ნუ დააყოვნებთ“.

ქალი წინ წავიდა. მეზღის არსებობა უმაღლე მიაგინ-
ყდა, სახე დაძაბოდა და ენერგიულად მიაბიჯებდა. გზა-
დაგზა გარემოს ათვალეერებდა გაზონის მხარეს გამომავალი ყველა სარკმელი უფარდოდ დაეტოვებინათ და პირქუში ჩანდა. უკაცრიელ სახლს თოთქოს რალაციის-
ათვის იყენებდნენ, მაგრამ აშკარა იყო, შინ აღარავინ ცხოვრობდა. ქალს თავსდამდგარი ჩრდილი არ შორდებოდა. გაზონის გადაღმა ბალისაკენ გასწვრივ, ალისფერი ხვიარის ფანჩატურში გაძვრა. ფერადოვანი ქიშკრის მიღმა დილის ცვრით დანამული ზღვის ყურე განოლილი-
ყო და შორეული შავი კლდის კონცხი წყლისა და ცის ლურჯ ლაჭვარდში ბუნდოვნად გამოშვერილიყო. ქალს სახე გაუნათდა, ერთდროულად ჭმუნვითა და სიხარულით ალევსო. ნაირ-ნაირ ყვავილთგროვებში მიდიოდა და ცვრიანი ბალახი ფეხქვეშ ეგებოდა და ქვემოთ, მოშორებით ტანმადალ ხეებს მორაკაკე ნაკადული დაეჩრდილა.

მზით განათებული ყვავილნარისაკენ შებრუნდა. პატარა კუთხეში ურთხელის ხის ქვეშ დასაჯდომი რომ იყო, კარგად ახსოვდა. აქედან უკვე ტერასა იწყებოდა. უამრავი ყვავილი აქაც ხარობდა, შემდეგ კი ბალის ორივე მიმართულებით თითო ბილიკი ჩადიოდა. ქალმა ქოლგა დაკეცა და ყვავილთა ზღვაში გზა გაიკვლია. ირგვლივ მხოლოდ ვარდის ბუჩქები, მისი უზარმაზარი ზვინები იდგა, სვეტებზეც ხვიარა ვარდი აცოცებულყო და სხვა ბუჩქებსაც მოსდებოდა. მინაზე აურაცხელი ნაირფერი ყვავილი ამოსულიყო. იქვე, თვალის განვდენაზე მოჩანდა ზღვა და მასში შეჭრილი კონცხიც.

თითქოს წარსულისაკენ პირი იბრუნაო, და დაბლა ბილიკზე მომაბეზრებლად ნელა, ზოზინით დაეშვა.

უცბად რამდენიმე ხავერდით გლუვ, მენამულ ვარდს შეეხო, ჩაფიქრებული ანგარიშმიუცემლად უსვამდა ხელს, აი, ისე, დედა რომ თავის პირმშოს ეფერება ხოლმე. ოდნავ მოიხარა და დაეცნო. მერე ისევ ხეტიანს მოჰყვა. ზოგჯერ სრულიად უფერულ, უსუნო ვარდთან ჩერდებოდა. დადგებოდა და ისე მიაშტერდებოდა, თითქოს პირველად იხილაო. ჩამოცვენილი, ვარდისფერი ფურცლების უზარმაზარი გროვის დანახვაზე უნაზესი სიახლოვის გრძობა დაეუფლა. შემდეგ თეთრ ვარდს მიუახლოვდა, ყინულის მსგავსი მომწვანო შუაგული რომ ჰქონდა. ბილიკი ასე, ნელ-ნელა, თეთრად მოფარფატე პეპელასავით ჩაათავა და ვარდებით სავსე მომცრო ტე-



მხატვარი იანა ზალიშვილი

რასაზე აღმოჩნდა. აქ, გაჩახჩახებულ მზისქვეშეთში, თითქოს მხიარულ ბრბოს მოეყარა თავი. ქალმა დაირცხვინა, რადგან ისინი ძალიან ბევრნი იყვნენ და გასაოცარი ნათელი ადგათ. საუბრობდნენ და იცინოდნენ კიდევ. თავი უცხოდ იგრძნო. გამხიარულდა, საკუთარ არსებას თავი დააღწია. აღლევებისაგან განითლდა. ჰაერში საუცხოო სურნელი ტრიალებდა. თეთრ ვარდებს შორის დასაჯდომი სწრაფად მონახა და ზედ დაეშვა. ალისფერი ქოლგა მუქ ლაქასავით მოჩანდა სითეთრის ფონზე. უძრავად იჯდა, თითქოს არსებობა შეენწყვიტა. იმ გაუშლელ

კოკორს მიაგავდა, აყვავება რომ არასოდეს ელირსა. თეთრი კაბის კალთაზე ბუზი დააფრინდა. ვარდს დააჯდაო, გაიფიქრა. საკუთარ თავს აღარ ეკუთვნოდა.

ქალი იტანჯებოდა. სწორედ ამ დროს ადამიანის ჩრდილი დალანდა. კაცს ფეხები ფლოსტებში წაეყო და უხმაუროდ მოდიოდა. ტილოს ლაბადა ეცვა. დილა იწურებოდა. დრო სადღაც გაპარულიყო. ქალს მხოლოდ დაკითხვისა ეშინოდა. კაცი წინ გამოეშურა. ქალი წამოდგა. მერე, კაცის ახლო დანახვაზე ძალა გამოეცალა და კვლავ სკამზე დაეშვა.

ახალგაზრდა, ოდნავ ჩასხმული კაცი გახლდათ. სამხედრო მოსამსახურის იერი ჰქონდა. საგულდაგულოდ დავარცხნილ შავ თმას

ბზინვარება გაჰქონდა, უღვაშები უღაპლაპებდა. ქალმა ახელა. ტუჩები გაფითრებოდა და კაცს თვალეში უყურებდა. მას კი შავი თვალეები გაემტერებინა. ვერავის და ვერაფერს ხედავდა. არამქვეყნიური მზერა ჩასდგომოდა და ქალისაკენ მიემართებოდა. კაცი დაუინებით მიაშტერდა. უსიცოცხლოდ მიესალმა და გვერდით მიუჩოჩდა. მერე ოდნავ გაინია, ფეხები გადაანაცვლა და ჯარისკაცური ხმით, ჯენტლმენურად წარმოთქვა: „ხომ არ შეგანუხეთ?“

ქალი დამუნჯებული, უმნეოდ იჯდა. კაცი გაპინკინებული მუქ ტანსაცმელსა და ტილოს ლაბადაში გამოიწყო. ქალს განძრევაც არ შეეძლო. ნეკზე მისთვის კარგად ნაცნობი ბეჭედი წამოეცვა. ქალს თავი სიზმარში ეგონა. მთლიანად სამყარო გადარეულიყო. სკამზე უსარგებლო ნივთივით იდო. ოდესღაც ვნებიანად მოალერსე ხელეები კაცს ჯანსაღ მუხლებზე ჩამოედო და ქალი შიშმა აიტანა.

„შეიძლება მოვნიო?“ იდუმალი ხმით ჰკითხა და ხელი ჯიბისაკენ წაიღო.

გაპასუხების თავი არც ჰქონდა, თუმცა კი რა? პასუხი რად უნდოდა? კაცი თავისი არსებით ხომ სხვაგან იყო.

ქალს ინტერესის ჟინმა წამოუარა: „თუ მიცნო მაინც?“ „მიხვდა თუ მაინც ვერ?“

ტანჯვისაგან გაფითრებული იჯდა. ვერ შორდებოდა. სურდა ბოლომდე დატანჯულიყო.

„არც ერთი გრამი თამბაქო არ გამაჩნია,“ ფიქრიანად თქვა კაცმა.

მთლიანად კაცთან იყო და სიტყვები ვერ გაიგო. ნეტა იცნო თუ მართლა ყველაფერი ოდესღაც სამუდამოდ დამთავრდა? ყინულივით ცივი ეჭვი გულს უკანრავდა.

„მხოლოდ ჯონ კოტონს ვენევი,“ თქვა კაცმა, „და ცოტა მეტი მომჭირნობაც მმართვეს, ძალიან ძვირია. იცით, ამნაირი კანონების გადამკიდე მთლად ხელგაშლილად ველარ ვცხოვრობ.“

„არა,“ თქვა ქალმა, და გული გაეყინა, სული გაუსასტიკდა.

კაცი შეირხა, თავი მსუბუქად დაუკრა, წამოდგა და სადღაც წავიდა. თვითონ ისევე გახევებული იჯდა. კაცის სხეულს ხედავდა, ერთდროს გაგიჟებით რომ ელტვოდა. ოდესღაც ლამაზი თავის ფორმის, მოხდენილი აღნაგობის ჯარისკაცი გატეხილ, დაუძლურებულ მამრად ქცეულიყო. არა, ეს იმ კაცს სულ არაფრით არა ჰგავდა. ეს უბრალოდ რაღაც არსება იყო, რომელმაც ქალი გამოუცნობი შიშით ალაგსო.

მოულოდნელად კაცი კვლავ გამოჩნდა, ცალი ხელი ქურთუკის ჯიბეში ჩაეყო.

„შეიძლება მოვნიო?“ იკითხა მან. „აღბათ ზოგიერთ რამეს მერე უკეთესად დავინახავ.“ ისევე გვერდით მიუჯდა, ჩიბუხი გატენა. ქალი კაცის ლამაზ თითებს უმზერდა. ოდესღაც ამისთანა ჯანმრთელი ხელების უმნიშვნელო კანკალიც კი აოცებდა. ახლა მათ აქეთ-იქით აცეცებდა და ჩიბუხიდან თამბაქო უცვიოდა.

„კანონიერი ბიზნესის პატრონი ვარ, რომელსაც ყოველთვის ვერ ვენდობი. პირად ადვოკატს ზუსტად, დეტალებში ვეუბნები, რაც მსურს, მაგრამ შედეგს ვერასოდეს ვაღწევ.“

ქალი გარინდებული იჯდა და კაცის საუბარს ისმენდა. თუმცა ის ხომ სულ სხვა იყო, ისევე ისეთივე ხელები ება, ერთ დროს რომ გაშმაგებით უკოცნიდა, შავი თვალებიც კვლავინდებურად უელავდა, რაც ქალს ოდესღაც გიჟმაჟი ვნებით ალავსებდა და მაინც, იმ ადამიანს არაფრით არა ჰგავდა. შიშისაგან დამუნჯებული უძრავად იჯდა. კაცს თამბაქოთი საფეხ ქისა ძირს დაუვარდა და მიწაზე ხელების ფათურს მოჰყვა. არა, მაინც ვერ ადგებოდა. უნდა დალოდებოდა, როდის იცნობდა. აბა, რანაირად წავიდოდა! – ცოტა ხნის შემდეგ კაცი წამოდგა.

„უნდა დაგტოვოთ“, თქვა მან. „აგერ, ბუც მოდის“. შემდეგ იდუმალი ხმით დაუმატა: „რა თქმა უნდა, ბუ წამდვილი სახელი არ არის, მე შევარქვი ასე. ნავალ და ვნახავ, მართლა მოდის თუ არა.“

ქალიც წამოდგა. მის წინაშე ახალგაზრდა, ვაჟკაცური აღნაგობის, სიმპათიური მთვარეული გამტყრებული იდგა. ქალი დაჟინებით უმზერდა და უმზერდა.

იქნებ მიცნო, კვლავ ამის გაგებას ლამობდა. კაცის ხელახლა აღმოჩენა სურდა.

„ვერ მიცანით?“ სულის სიღრმიდან ამოსული ხმით იკითხა ეულად მდგარმა ქალმა.

კაცმა დამცინავი ხმით მოხედა. მამრს თვალები უცნაურად უელვარებდა, თუმცა კვლავ უაზროდ გაეშტერებინა. ქალმა მზერას ველარ გაუძლო. კაცი მისკენ მიიწევდა.

„რა თქმა უნდა, გიცანით,“ მტკიცედ, დაჟინებით წარმოთქვა კაცმა და ქალის სახეს გიჟურად წაეტანა. ქალი შიშისაგან ილეოდა. ღონიერი მთვარეული სულ უფრო და უფრო უახლოვდებოდა.

აჩქარებული ნაბიჯებით მომავალი კაცი გამოჩნდა. „ამ დილას ბალი დაკეტილია,“ თქვა მან.

შეშლილი შედგა და კაცს შეხედა. დარაჯი სკამთან მივიდა და თამბაქოს ქისა აიღო.

„აქ ნუ დატოვებთ, სერ,“ თქვა მან და ტილოს ლაბადიან კაცს ქისა ხელში ჩაუდო.

„ქალბატონს სასაუზმოდ ვეპატიჟებოდი,“ თავაზიანად მიუგო ამ უკანასკნელმა.

„ჩემი ახალი მეგობარია.“

ქალი მიტრიალდა. მზით გაჩახჩახებულ ვარდნარში სწრაფი ნაბიჯით, ბრმასავით მიდიოდა. ბალიდან გასულმა მუქ, ბნელ ფანჯრებთან სახლს ჩაუარა და ზღვის კენჭებით მოკირწყლული ეზოდან ქუჩაში აღმოჩნდა. წინ შეუჩერებლად, გაურკვეველი მიმართულებით უსინათლოსავით მიინევდა. შინ მისვლისთანავე ზემოთ ავიდა, ქუდი მოიხადა და სანოლზე ჩამოჯდა. თითქოს გულის სიღრმეში რაღაც ორად გაიფხრინა, თითქოს რეალურად აღარც არსებობდა, ფიქრის ან განცდის ილაჯი აღარ გააჩნდა. ზღვიდან მონაბერი ქარი სუროს ფოთლებს ამრიალებდა და აქეთ-იქით აფარფატებდა. ჰაერში თვალისმომჭრელი სინათლით გაკაშკაშებული ზღვის მსგავსი იდუმალეზა ტრიალებდა. ქალი კვლავ გარინდებულიყო. სიცოცხლის ნიშანწყალი არ ეტყობოდა. გრძნობდა, ავად იყო და დაფლეთილ მუცელში სისხლი თითქოს თავისით მიედინებოდა. გაყურებული, უძრავად იჯდა.

ცოტა ხნის შემდეგ დაბლიდან ქმრის მძიმე ნაბიჯების ხმა მოესმა და მისი სიარულის მანერა მთელი სიცხადით წარმოიდგინა. თვითონ არც განძრეულა. შემდეგ სევდის-მომგვრელი ნაბიჯების ხმა ისევე შემოესმა, მერე ლაპარაკსაც მიაყურადა, ესმოდა ვილაცას როგორ ეპასუხებოდა, ლაზღანდარობდა და ფეხების მტკიცე ბრაგუნიც თანდათან უახლოვდებოდა.

საკუთარი გამჭრიახი გონებითა და ძლიერი აღნაგობით თვითკმაყოფილი ქმარი ოთახში უტიფრად შევიდა. ქალი იძულებული გახდა განძრეულიყო. კაცს უწინდელი გამბედაობა დაეკარგა.

„რა დაგემართა?“ მოუთმენლობა შეპარული ხმით ჰკითხა ქმარმა. „ცუდად ხომ არა ხარ?“

ეს ნამდვილი ნამება იყო.

„ძალიან“, უპასუხა ქალმა.

„რა მოხდა?“ ჰკითხა კაცმა.

„არაფერი.“

ქმარმა რამდენიმე ნაბიჯი გადაადგა და ჯიუტად გაჩერდა. ფანჯარაში ყურება დაიწყო.

„ვინმეს ხომ არ გამოუქეცი?“ იკითხა მან.

„ვის? აქ არავინ მიცნობს“, თქვა ქალმა.

კაცს ხელები დაეკრუნჩხა. ქალის სიცივემ და არაფრად ჩაგდება მგალიზიანა. შემდეგ მთელი ტანით ცოლისაკენ შემობრუნდა და სწრაფად ჰკითხა:

„რალაც გეწყინა, ხომ ასეა?“

„სრულებითაც არაფერი, ასე რატომ იფიქრე?“ გულგრილად თქვა ქალმა. კაცი ჩალის ფასად ქცეულიყო, აღარაფრად მიაჩნდა, მხოლოდ აღიზიანებდა. კაცი გაცოფდა, სიბრაზისაგან ყელის ძარღვები დაებერა.

„ასე მგონია,“ თქვა მან, ცდილობდა გაბრაზება არ შეემჩნია, რადგან მიზეზი არ გააჩნდა. ქვემოთ ჩავიდა. ქალი კვლავ ლოგინს მიესვენა და გულში გრძნობის ნატამალი აღარ ჰქონდა. ქმარი ტანჯვად გადაქცეოდა და შეზიზღდა. დრო გავიდა. სადილისა და ბალიდან მონაბერი ქმრის თამბაქოს სუნი შეიგრძნო. მაგრამ მაინც ვერ ინძრეოდა. ლოგინზე მკვდარივით ეგდო. ზარის წკარუნი მოესმა. ქმარი შინ ბრუნდებოდა. მერე ისევ კიბეზე ავიდა. ყოველ ნაბიჯზე ცოლს გული ელეოდა. კაცმა კარი გამოაღო.

„სადილი მზად არის,“ თქვა მან.

ქმართან ყოფნას ველარ შეძლებდა. ფუჭად დაკარგული ცხოვრების უკან დაბრუნება აღარ სურდა. მტკიცედ ნამოდგა და ქვემოთ ჩავიდა. ჭამისა და ლაპარაკის ილაჯი განწყვეტოდა. მარტოსულივით იჯდა, შინაგანად დაგლეჯილი და სულგამქრალი. კაცი ცდილობდა არაფერი შეემჩნია. მაგრამ ბოლოს მრისხანებამ დაადუმა. ქალი ზემოთ რაც შეიძლება სწრაფად ავიდა და საძინებლის კარი მიკეტა. აუცილებლად უნდა განმარტოებულიყო. ქმარი ჩიბუხიანად კვლავ ბაღში ჩავიდა. ქმარს საკუთარ თავს ყოველთვის ამეტებდა, ამიტომაც იყო, რომ წლობით შენიღბულმა ბრაზმა კაცს სული და გული ბოღმით აღუვსო. თუმცა ამას ვერასოდეს აცნობიერებდა. ქალთან ყოველთვის მარცხდებოდა.

ცოლს ქმარი არასოდეს ჰყვარებია. არც აინტერესებდა. მუდამ ნებაზე ჰყავდა მიშვებული. კაცი საგონებელში ჩავარდა, ყოველივე მწარედ დააფიქრა. მალაროს ერთი რიგითი ელექტრიკოსი იყო, ცოლს თავი მასზე მაღლა ეჭირა. მუდამ მისი სიტყვა გადიოდა, ყოველთვის წინ უშვებდა. და მაინც, ერთად ცხოვრების მანძილზე ამგვარი დამცირება და შეურაცხყოფა კაცს სულსა და გულს უნადგურებდა. ქმართან ყოველთვის ზერელე ურთიერთობა ჰქონდა, არაფრად აგდებდა. ახლა კი წლების მანძილზე დაგროვილი ბრაზის ერთბაშად ამონთხევა სურდა.

მოტრიალდა და შინ შევიდა. ცოლმა უკვე მესამედ გაიგონა კიბეზე ასვლის ხმა. გული გაქვავებოდა. კაცმა სახელური დაწია და კარს მიაწვია – ჩარაზული აღმოჩნდა. უფრო ძლიერად გამოწია. ქალს გული მაინც ვერ მოუღება. „ჩაკეტილი გაქვს?“ ხმადაბლა ჰკითხა კაცმა, არ სურდა დიასახლისს გაეგო.

„ჰო, ერთ წუთს მოიცადე.“

ნამოდგა და საკეტი გადაატრიალა, შემტვრევისა შეეშინდა. კაცის სიძულვილი ახრჩობდა, მარტოდ დარჩენის ნებას რომ არ აძლევდა. კაცი შევიდა, კბილებშუა ჩიბუხი გაეჩხირა და ქალი სანოლზე კვლაც წინანდელ პოზას დაუბრუნდა.

კაცმა კარი მიხურა და ზურგმქცევით დადგა.

„რა გჭირს?“ მტკიცე ხმით ჰკითხა.

ქალს კაცის ატანა არ შეეძლო. სახეში შეხედვაც არ უნდოდა.

„არ შეგიძლია, მარტო დამტოვო?“ უპასუხა და სახე მოარიდა.

ჯიქურ შეხედა, შეურაცხყოფისაგან კანკალებდა. ერთხანს დაფიქრდა, აწონ-დანონა.

„შენს თავს რალაც ამბავია,“ უთხრა გარკვევით.

„ჰო,“ მიუგო მან. „მაგრამ სულ ტყუილად მანვალე.“

„არ განვალე. რა მოგივიდა?“

„რისთვის უნდა იცოდე?“ სიძულვილით აღსავსე, სასონარკვეთილი ხმით იკვილა ქალმა.

რალაც გატკაცუნდა. დაიხარა და პირიდან გამოვარდნილი ჩიბუხი აიღო. შემდეგ ჩამოკბეჩილი მუნდშტუკის წვერს ენით შეეხო, პირიდან გამოიღო და ზედ დახედა. ჩიბუხი ჩააქრო და ლაბადიდან ფერფლი ჩამოიბერტყა. მერე თავი აწია.

„უნდა ვიცოდე“, თქვა მან. ფერდაკარგული სახე მოლრეცოდა. ერთმანეთის შეხედვა არ უნდოდათ. ქალმა იცოდა, რომ კაცს ახლა ცეცხლი ეკიდა, გული გამაღებთ უცემდა. ქმარი სძულდა, მაგრამ წინააღმდეგობის განწევის უნარი აღარ გააჩნდა. უცბად თავი ასწია და კაცს მიუტრიალდა:

„გააქვს კი უფლება, რომ იცოდე?“ შეეკითხა.

კაცმა ახედა. სახე გაყინვოდა და თვალებში ტანჯვა ეხატა. ქალი ცოტა არ იყოს შეცბა. თუმცა გული კვლავ გაქვავებოდა. არასოდეს ჰყვარებია. ახლაც არანაირი გრძნობა არ გააჩნდა.

მაგრამ მოულოდნელად თავი ისევ ჯიუტად აწია, თითქოს გათავისუფლებას ლამობდა. რალაც მტანჯველისაგან თავს დახსნა სურდა. ის რალაცა კაცი არ იყო მხოლოდ. სახელი ვერ მოეძებნა. საკუთარი თავისათვის თვითონვე მოეხვია და მისგან დაღწევა არცთუ იოლი აღმოჩნდა. ამ წუთას ყველაფერი შეზიზღებოდა და თავს დამარცხებულად მიიჩნევდა. კაცი კარს ზურგით აკვროდა. არაფრის დათმობას არ აპირებდა, ქალის განადგურება ბოლომდე სურდა.

ცოლმა ცივი, მტრული მზერა ესროლა. მალაროს მუშას ხელები კარისაკენ გაეწვინა და ისე იდგა.

„აქ რომ ვცხოვრობდი, ხომ იცი?“ გულისშემძვრელი, უხეში ხმით დაიწყო ქალმა. ქმარმა ძალა მოიკრიბა, ცუდი ამბის მოსასმენად დაიძაბა და თავი დაუქნია.

„ტორილ ჰოლში მის ბირჩს ვახლდი. ის და მღვდელი მეგობრობდნენ. არჩი ამ უკანასკნელის ვაჟი იყო“. მცირე ხნით შეყოვნდა. კაცს ვერ გაეგო, რა ხდებოდა. ცოლს მიმტვრებოდა. თეთრებით შემოსილი ქალი ლოგინზე მოკუნტულიყო და კაბის არმიას ფრთხილად აწვალებდა. ხმა სიძულვილით აღვსებოდა.

„არჩი ოფიცერი იყო, უმცროს საზღვაო ლეიტენანტად მსახურობდა. პოლკოვნიკთან უსიამოვნების მერე არმიას თავი მიანება. ასე რომ“ – კაბის კალთას არშია შემოაგლიჯა. ქმარი უძრავად იდგა, ცოლის ყოველი მოძრაობა ჭკუიდან შლიდა –

„ჩემთვის გიჟდებოდა და მეც თავდავინწყებით მიყვარდა“.

„რა ხნისა იყო?“ ჰკითხა ქმარმა.

„როდის? როცა პირველად შევხვდი თუ როცა დავშორდი?“

„როცა გაიცანი“.

„ოცდაექვსის, ახლა ასე ოცდათერთმეტის ან შეიძლება ცოტა მეტის, ოცდათორმეტისაც არის, რადგან მე ოცდაცხრისა ვარ, ის კი ჩემზე სამი წლით უფროსია“.

ქალმა თავი აწია და პირდაპირ კედელს შეხედა.

„მერე რა მოხდა?“ ჰკითხა ქმარმა.

ძალა მოიკრიბა და გულცივად თქვა:

„ერთი წელი ვიყავით დანიშნულები. ჩვენს მეტმა არავინ იცოდა. თუმცა ეჭვობდნენ, მაგრამ მაინც არ გაგვიცხადებია. მერე ის წავიდა“.

„მარტო მიგაგდო?“ უხეშად ჰკითხა ქმარმა, ცოლის გამწარება მთელი გულით სურდა. ქალი მრისხანებით ალივსო. შემდეგ „ჰო,“ თქვა მის გასაბრაზებლად. კაცმა ადგილი შეიცვალა და გაცეცხლებისაგან „ფუუ-ო!“ წამოიძახა. სიჩუმე ჩამოვარდა.

„შემდეგ“, შეწყვეტილი საუბარი განაგრძო ქალმა. მწველმა ტკივილმა ქმრის გამასხრების გუნებაზე დააყენა, „უცაბედად აფრიკაში საომრად წავიდა და თითქმის პირველივე დღეს მე და შენ ერთმანეთს შევხვდით. მის ბირჩმა შემატყობინა, რომ არჩიმ მზის დაკვრა მიიღო და ორი თვის შემდეგ დაიღუპა“.

„ეს ყველაფერი ჩემამდე მოხდა?“ ჰკითხა ქმარმა. შეკითხვა უპასუხოდ დარჩა. ორივე დუმდა. კაცი ვერ გარკვეულიყო. თვალები უშნოდ მოეწკურა.

„ასე რომ, ძველი სასიყვარულო ადგილების მოსანახულებლად ჩამობრძანებულხარ!“ თქვა მან. „ამ დილით მარტო გასეირნებაც ამიტომ გინდოდა“.

კვლავ არაფერი უპასუხა. ქმარი ფანჯარას მიუახლოვდა. ხელები უკან დაილაგა, ცოლისაგან ზურგით გაჩერდა. ქალი უტკეპრდა. კაცის ხელები თითქოს კიდევ უფრო მსხვილი მოეჩვენა, თავი კი საცოდავად ჩამოექინდრა.

უცბად მთელი ტანით შემოტრიალდა და საკუთარი სურვილის წინააღმდეგ ცოლს ჰკითხა:

„მასთან რამდენ ხანს დაეთრეოდი?“

„რას გულისხმობ?“ ცივად ჰკითხა ქალმა.

„მაინტერესებს, ერთად რამდენ ხანს დადიოდით?“

მალლა აიხედა. კაცის სახეს თავი მოარიდა. პასუხის გაცემა არა სურდა. შემდეგ თქვა:

„ვერ გამოვიცა, სიარულში რას გულისხმობ. გაცნობის წუთიდან გულში ჩამივარდა. ეს მის ბირჩთან დარჩენიდან ორი თვის მერე მოხდა“.

„და გჯერა, რომ მასაც ასე უყვარდი?“ დამცინავად ჰკითხა.

„დარწმუნებული ვარ“.

„მაშ რაღად მიგატოვა?“

ზიზღითა და ტანჯვით სავსე ხანგრძლივი დუმილი ჩამონვა.

„ერთად რამდენ ხანს იყავით?“ კვლავ ჰკითხა შიშნარევი, თუმცა მტკიცე ხმით.

„ირიბი შეკითხვებით გული ნუ გამინყალე“, უყვირა ქალმა, „ერთმანეთისათვის ჭკუას ვკარგავდით. საყვარლები ვიყავით, დიახ, საყვარლები. სულაც არ მენალვლება, რას იფიქრებ: რა შენი საქმეა. ის კაცი საყვარელი იყო ჩემი, ვიდრე გაგიცნობდი“.

„საყვარლები, საყვარლები“, გაიმეორა მრისხანებისაგან ფერდაკარგულმა კაცმა.

„ასე რომ, ჯარისკაცთან დროს ატარებდი, მერე კი, როცა მოგისროლა, მე მომთხოვდი“.

ქალი სიმწრისაგან თრთოდა. დიდხანს ხმას არცერთი არ იღებდა.

„ნუთუ ვერ ხვდები, ნამდვილი ღორივით რომ მოიქეცი?“ კვლავ დაუნდობლად ჰკითხა.

„რა შენი საქმეა, რას ვხვდები?“ უხეშად დაუკვივლა ქალმა.

კაცი მოიკუნტა, გაფითრებული იდგა. დამბლადაცემულეზივით დიდხანს იყვნენ გარინდულნი. კაცი დაპატიარავებულიყო.

„ქორწინებამდე ჩემთვის ამის თქმა არასოდეს გიფიქრია“, მწარე ირონიით თქვა ქმარმა ბოლოს.

„არასოდეს გიკითხავს“, მიუგო ქალმა.

„ასეთ რამეს ვერასოდეს ვიფიქრებდი“.

„თურმე უნდა გეფიქრა“.

კაცი გაოგნებული, უაზრო სახით იყურებოდა, თავში უამრავი ფიქრი უტრიალებდა. ვებერთელა ტკივილისაგან გული ლამის გაგლეჯოდა. მოულოდნელად ქალმა საუბარი წამოიწყა:

„და იგი დღეს ვნახე, არ მომკვდარა, ჭკუიდან შეიშალა“.

ქმარს თავზარი დაეცა. ცოლს შეხედა.

„გაგიჟდა!“ უსიცოცხლოდ ამოილულლულა.

„მთვარეულია“, თქვა ქალმა და იგრძნო, რომ ამ სიტყვის თქმა ძალიან გაუჭირდა. სიჩუმე ქმარმა დაარღვია.

„გიცნო?“ ხმადაბლა ჰკითხა.

„ვერა“, მიუგო ქალმა.

კაცი იდგა და ცოლს უმზერდა. საბოლოოდ მიხვდა, რომ მათ შორის უზარმაზარი ბზარი გაჩენილიყო. ქალი კვლავ ლოგინზე მოკუნტულიყო. კაცს მიკარება არ შეეძლო. იძულებით ვერცერთი ვერაფერს გახდებოდა. ყველაფერი თავისით უნდა გარკვეულიყო. გაოგნებისაგან ხმა ვერ ამოეღო. უსიცოცხლოდ გახვევებულიყვნენ და ერთმანეთი აღარ სძულდათ. ცოტა ხნის შემდეგ კაცმა ქალი დატოვა და სადღაც წავიდა.

ინგლისურიდან თარგმნა
მაია ზოლაშვილი

* * *

ვახტანგ ჭელიძე მემუარულ ნარკვევებში „ათი წელი ერეკლე ტატიშვილთან“ ზუსტი, მეტყველი დეტალებით წარმოსახავს იმ სულიწმინდით გაღებულ, რაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დასადავრებელიყო 30-იანი წლების მეორე ნახევარში – ყველაფერი ხელთ უპყრიათ პარტიულელებსა და კომკავშირელებს და არის ერთი დასმენა, ცილისწამება, თვალთვალი, დევნა-შევიწროება, გაუთავებელი შეურაცხყოფა ღირსეულებისა უღირსთაგან... ისედაც დამთრგუნველ რეალობას კიდევ უფრო ამძაფრებს საქვეყნოდ აღიარებულ მეცნიერთა დაპატიმრება-გაქრობანიც.

ყველა, ვინც თვალში არ მოსდით გალიფოსანთ (ამ სახელით იხსენიებთ მემუარისტს), ხალხის მტრად შეიძლება გამოცხადდეს და უკვე აღარაფერი ეშველება.

ორი ასეთი გალიფოსანი ფილოლოგიის ფაკულტეტზეც სწავლობს (თუმცა ასაკით სტუდენტობა დიდი ხნის მოლეული უნდა ჰქონდეთ) და ამჯერად აკაკი შანიძის ლექციას ესწრებიან ქართულ ენაში. პროფესორი ერთ-ერთ მათგანს გამოიძახებს, კალეს, და უმარტივეს კითხვას დაუსვამს:

– აბა, მითხარი, რომელ ბრუნვაშია „კაცო“?

ის ცოტა არ იყოს გაგულსდება, შეკითხვა როგორ გამოიხედესო, მაგრამ მაინც თავშეკავებას ამჯობინებს, იფიქრებს, იფიქრებს და, ვიდრე არ უკარნახებენ, სანუგემოს ვერაფერს მოიფიქრებს. ახლა კი თამამად გაიმეორებს:

– ნოდებითში.

აკაკი შანიძე მოუწონებს, მაგრამ ამჯერად დაინტერესდება:

– ხომ არ მიბრძანებთ, „ქალო“ რომელ ბრუნვაშია?

გალიფოსანი დაიბნევა და სიბრაზეც კვლავ წამოუელის, ნეტა რას ჩამაცვივდაო. და კვლავ კარნახი დასჭირდება, რათა სწორად უპასუხოს: ნოდებითშიო.

პროფესორი ისევ მოუწონებს, ოღონდ კიდევ ერთ კითხვას მოუწავს:

– მამ ესეც მითხარი, „იყო“ რომელ ბრუნვაშია?

და კალე კარნახს აღარ დაელოდება, მაშინვე თავმოწონედ შეაგებებს:

– ესეც ნოდებითშია!

აუდიტორიაში სიცილ-ხარხარი რომ ატყდება და აკაკი შანიძესაც გაელიძება, გულმოსული კალე მეორე გალიფოსანს მოძებნის თვალებით, ფაკულტეტის პარტორგანიზაციის მდივანს. ამასობაში კი პროფესორი განუმარტავს დროულ სტუდენტს: „იყო“ არსებითი სახელი არ არის და მისი ბრუნება არ შეიძლებაო.

და წამოიჭრება ის მეორე გალიფოსანი:

– ამხანაგო პროფესორო, რამდენად სწორია, რომ ლექტორმა სტუდენტს მცდარად დაუსვას კითხვა?

აუდიტორია გამტკნარდება. უწყინარ ხუმრობას შესაძლოა პოლიტიკური სარჩული გამოეკეროს.

აღარაფერი უკლია, რომ აკაკი შანიძეს ბრალი დასდონ პროვოკაციასა თუ სტუდენტების გზიდან აცდენაში და ხალ-



ხის მტრის იარაღი იყოს, საშველიც რომ აღარსაიდან იყოს.

სხვას მის ადგილას სისხლი გაეყინებოდა ძარღვებში.

და ამ კულმინაციურ ადგილას წყვეტს ამ ეპიზოდის თხრობას ვახტანგ ჭელიძე:

„აკაკი შანიძე არ დაიბნა... მაგრამ აღარ გავაგრძელებ. ისედაც გამიგრძელდა სიტყვა... მინდოდა მეჩვენებინა, როგორი ატმოსფერო იყო იმ დროს უნივერსიტეტში. რა დღეში იყვნენ პროფესორები“.

ეს გამოთქმა – „არ დაიბნა“ – მიგვახვედრებს, რომ სახელოვანმა მეცნიერმა რაღაც მახვილგონივრული გზა გამოძებნა თავის გადასარჩენად, უმწვავეს წუთას ბედნიერმა მიგნებამ გაკვესა მის გონებაში და განწირული ვითარება ერთბაშად შემოატრიალებინა.

მაგრამ რა იყო ეს მახვილგონივრული მიგნება?

ვახტანგ ჭელიძე ამ გაგრძელებას ვრცელი მემუარებისათვის შემოინახავდა, რომლისაც მხოლოდ დაწყებას მოასწრებდა, სიყმანვილის სურათების აღდგენას და უფრო აქეთ ველარ გამოჰყვებოდა თხრობას.

ასე იკარგებოდა ამ მღელვარე ეპიზოდის ეფექტური ფინალი, ბუნდოვან მინინებებაში იძირებოდა...

მაგრამ განწყვეტილი თხრობა მაინც უნდა აღდგენილიყო სხვა მემუარისტის წყალობით – მიხეილ ჭაბაშვილის, ვისი დიდი ღვაწლითაც გვაქვს ხელთ უმნიშვნელოვანესი ლექსიკოგრაფიული ნაშრომი

„უცხო სიტყვათა ლექსიკონი“, ქართული მემუარული მწერლობა კი უდავოდ დაამშვენა მისმა ამ მოგონებათა წიგნმა.

აქ დაზუსტებულია იმ ორი გალიფოსანის ვინაობაც, კომკავშირულ-პარტიული მოძრაობის ზედაპირზე რომ ტივტივებენ და მთელი უნივერსიტეტი ხელში უჭირავთ: კალენიკე ბოჭორიშვილი და იროდი ბარამია.

და, აი, ეს ბარამიაა, ჯიქურ რომ მოითხოვს პასუხს აკაკი შანიძისაგან.

პროფესორის ნამიერ შეცბუნებას იშვიათი სიმშვიდე შეცვლის და მარჯვედ მოფიქრებულ პასუხსაც აღარ დააყოვნებს:

– 1917 წლის გადატრიალების შემდეგ პეტროგრადიდან თბილისში მოვიდოდი. ბაქოში ჩამოვედით და არავინ იცის, არავინ ამბობს, რომელი მატარებელი საით მიდის. ერთ ნასვლელად გამზადებული მატარებლის გამყოფს ვეკითხები, ეს მატარებელი როსტოვს მიდის? არა, კაცო, თბილისშიო. აი, მცდარად რომ დავუხვი კითხვა, სწორად მიპასუხა.

გალიფოსანს ენა ჩაუვარდება და ველარაფერს აწამებს.

ესეც მოსწრებული სიტყვის მაღლი და ჯავარი – ნაცვლად საკონცენტრაციო ბანაკში გადაკარგვისა, კვლავაც მეცნიერული მოღვაწეობის გაგრძელება.

ამ პასაჟის დაკარგვა როგორ იქნებოდა.

აკაკი შანიძეზე ბიოგრაფიული რომანი თუ შეიქმნება ოდესმე, ვინ იცის, სულაც ამ სურათით დაიწყოს, ტრაგედიას აცდენილი კომიზმით.

* * *

შალვა ნუცუბიძესაც რომ მოსწრებული სიტყვა შეეხარბებოდა!..

მახვილგონივრული, ფრთიანი სიტყვა სჩვეოდა და, არამართო პირადი საუბრისას, ლექციების დროსაც მარჯვედ გამოურევდა, ორატორულ ხელოვნებას ამითაც გააღამაზებდა და ვერავინ უძლებდა ტრიბუნაზე შემდგარს. თვითონ მწარედ ახსოვდა ირაკლი ნერეთელთან საჯარო შერკინება, თავის მხრივ კი სხვებს დაამახსოვრებდა თავს მწარედ. ამიტომაც ძალდატანებით თუ აღკვეთდნენ მის ოქროპირობას, თორემ სხვაგვარად მისი დამჯავბნი არავინ ჩანდა.

მაშინაც: მის მონოგრაფიას რომ განიხილავენ — „რუსთაველი და აღმოსავლური რენესანსი“, და... მისდგებიან და მისდგებიან.

მეცნიერული დისკუსია დაერქმეოდა, მაგრამ მეცნიერული მხოლოდ გარეგნული იერი გახლდათ, სინამდვილეში კი ფარული ხელი წარმართავდა მის მსვლელობას და კორნელი კეკელიძეც კი — ამ წიგნის რედაქტორი — იძულებული შეიქნებოდა უღმობელი კრიტიკით გამოსულიყო. თუ ასე არ მოსწონდა, რედაქტორობა რატომღა ეკისრა? თუმც მამინ რას იფიქრებდა, რა გამოხმაურება მოჰყვებოდა „რუსთაველსა და აღმოსავლურ რენესანსს“ სამთავრობო წრეებში.



საბოლოო სიტყვას შალვა ნუცუბიძესაც ათქმევინებდნენ. ის შიშს ოდნავაც არ დაიმჩნევდა და თამამად მოეველებოდა ტრიბუნას, არ დათმობდა თავის არგუმენტებს და კვლავაც დაბეჯითებით შეუდგებოდა წიგნის უმთავრესი დასკვნების დამტკიცებას. არც იმის თქმა გამორჩებოდა, აქ მესამე და მეოთხე თარგმანების მიხედვით რომ მედავებთან, მე პირველწყაროები შემისწავლია და იქ ცოტა სხვაგვარად წერია ეს ყოველივე, ვიდრე მცდარ თუ თავისებურად ინტერპრეტირებულ თარგმანებშიაო.

დასწრენი შეატყობდნენ, უპირველესად პეტრე შარიას გულისხმობსო — ცენტრალური კომიტეტის მდივანს იდეოლოგიის დარგში და იმ სხდომის თავმჯდომარეს. იმისი ზეობის ჟამი გახლდათ და ცეცხლითა და მახვილით მისდგომოდა ყველასა და ყველაფერს, რაც საბჭოთა იდეოლოგიის თარგზე ვერა თავსდებოდა.

— თქვენი რეგლამენტი ამოიწურა, — პირზე შეატყებდა ორატორს სიტყვას.

— ორიოდ წუთი დამრჩა, — ითხოვდა შალვა ნუცუბიძე.

— არავითარ შემთხვევაში, რეგლამენტი რეგლამენტი, — თითქოს წესრიგი სულ მისხლობით გაეზომა.

და ორატორს სხვა რაღა დარჩენოდა, ტრიბუნა უნდა დაეტოვებინა. ბოლო ფრაზას მაინც დაავადებდა:

— მე შევწყვიტე, მაგრამ არ დამიმთავრებია.

ყელში ამოსდიოდა ეს საზარელი სინამდვილე და ხუმრობითა თუ ქილიკით, ხან ცინიკური გამოთქმებითაც იქარვებდა გულს.

მასაც რომ მოსწრებული სიტყვა შეეხარბებოდა.

ნაკვეთები დაერიგებინათ მეცნიერებისათვის, თქვენვე გაიჩინეთ თქვენი სარჩო, ავგრ მინა გვიბოძებია და ხელი გაანძირეთო. ისინიც შეესეოდნენ ნაკვეთებს და, სიმინდს რომ დათესდნენ, მონდომებით თიხნიდნენ, რწყავდნენ, თავს დაჰკანკალებდნენ. სად შეეძლოთ ამდენი — იქანცებოდნენ, ილაფებოდნენ, ისედაც გამხრჭვალნი სულ გაძვალტყავებოდნენ და სა-

კუთარი თავისა და კოლეგების შემხედვარე სოსო ხარშილაძე უეცრად შედგებოდა, თემა ვიპოვნე და არ დამიფანტოთო.

— რა არის ამისთანა? — იმათ მართლა სამეცნიერო ნაშრომი ეგონათ.

ამან კი:

— შრომის როლი ადამიანის გამაიმუნებაში.

ასე უბრალოდ შეიძლება დამდგარიყო თავდაყირა მარქსიზმი.

ყველა გაიცინებდა, შალვა ნუცუბიძე კი იკივლებდა:

— ეგ მე უნდა მიმეგნო.

— თქვენი იყოს, — გულუხვად შესთავაზებდა ისტორიკოსი, — შენ უკეთ დაამუშავებ, მაინც ფილოსოფიური ნაშრომი იქნება.

— ახლა რაღა დროს... რა იქნებოდა, ცოტა გეცლია და მე თვითონაც მივიდოდი ამ თემამდე!..

რა იქნებოდა, მართლა მეცლიაო, — დასძენდა სოსო ხარშილაძე, ამ ეპიზოდს რომ გაიხსენებდა ხოლმე.

დრო გადიოდა და შალვა ნუცუბიძეც მიჰყვებოდა თავის გზას შინიდან უნივერსიტეტამდე, ლექტორობა შერჩენოდა სასჯელივით პოლიტიკური ასპარეზის სანაცვლოდ. და იმ დღეს ლამის მანქანა შეასკდებოდა ქუჩაზე ხელჯოხით გადასვლისას. გაგულისდებოდა და რას გაგუ-

ლისდებოდა, და მძღოლს ისეთ ლანძღვას დააბერტყავდა თავზე, მტკვარიც ვერ გარეცხავდა.

ლექციაზე შესულს ვილაცის ბარათი მიუვიდოდა, ვინც უნებურად შესწრებოდა იმ სცენას და ახლა პროფესორთან გახუმრებას მოინადინებდა:

„ვერ წარმოვიდგენდი, თუ ფილოსოფოსს კაცს ასე შეგემინდებოდათ სიკვდილის“.

შავი იუმორი იმზირებოდა ქალაქის ნაგლეჯიდან, და სტუდენტს რომ ეგონა, ჩაიკითხავს, შეცბუნდება და უჩუმრად ჩაიცურებს ჯიბეში, რათა მერე ურნაში მოისროლოსო, შალვა ნუცუბიძე ხმამალა ნაიკითხავდა აუდიტორიაში და მიადევნებდა:

— სიკვდილისა კი არ შემშინებია, შენს გამო შემშინდა, ვინც ეს მოინერე, ვინღა ნაგიკითხავდა ლექციას.

და თავისას გააგრძელებდა.

აქ ვინ რას შეწყვეტინებდა.

პეტრე შარიას კი თავისი ბედი მოსწეოდა. საბჭოთა ხელისუფლების სუსხს ისიც მწარედ ინვნივდა და, გარდაცვლილ შვილს რომ დაიტვირებდა ლექსებით (უბედურება პოეტობის გუნებაზე დააყენებდა ამ გულამომშრალ კაცს), სასწრაფოდ გამოისტუმრებდნენ მესამე მდივანობიდან. მერე ციხე-გადასახლებაზე გამოცდიდა და შინ დაბრუნებული გადაიქცეოდა ერთ მლიქვნელ, ყველას თვალბეჭეში შემყურე, თავზე ნაცარდაყრილ ადამიანად, ვაითუ ძველი ცოდვები გამიხსენონ და პასუხი მომთხოვონო. მაინც რამდენი პიროვნება მოემდურებინა!..

შევწყვიტე, მაგრამ არ დამიმთავრებიაო...

არავისა არაფერი შეხარბებია, არც წიგნი, არც აღმოჩენა, არც დაკვირვება, მხოლოდ იმ ფრაზაზე წყდებოდა გული: რა იქნებოდა პირველს მე მომფიქრებოდა, შრომის როლი ადამიანის გამაიმუნებაშიო.

გულს გული იცნობს

ეს ამბავი მთლად მოულოდნელი არ ყოფილა და მაინც ბომბით გასკდა.

1958 წლის ოქტომბერში შვედეთის სამეფო აკადემიამ ნობელის პრემია მხატვრული ლიტერატურის დარგში მიანიჭა ბორის პასტერნაკს.

23 ოქტომბერს პოეტმა უდეპეშა სტოკჰოლმს: „უსაზღვროდ მაღლობელი და აღღვებული ვარ. ვამაყობ – გაცოცხლებული და დარცხვნილი“.

კრემლში დაასკვნეს, რომ პასტერნაკს პრემია მიენიჭა რომანისათვის „ექიმი ჟივაგო“, რომელიც 1957 წელს გამოქვეყნდა დასავლეთში, ხოლო საბჭოეთში ანტისაბჭოთა ნაწარმოებად იყო შერაცხული.

27 ოქტომბერს პასტერნაკი გარიცხეს საბჭოთა მწერალთა კავშირიდან.

პრესაში გაჩაღდა აღვირახსნილი კამპანია სახელოვანი შემოქმედის წინააღმდეგ.

29 ოქტომბერს პასტერნაკმა მეორე დეპეშა აფრინა სტოკჰოლმს: „იმ მნიშვნელობის გამო, რაც ჩემთვის მონიჭებულმა ჯილდომ მოიპოვა იმ საზოგადოებაში, რომელსაც ვეკუთვნი, იძულებული ვარ უარი ვთქვა დაუმსახურებელ პრემიაზე. გთხოვთ ნუ გეწყინებათ ჩემი ნებაყოფლობითი უარი“.

იმავე დღეს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე მოხსენებით გამოვიდა კომკავშირის შეფი ვლადიმერ სემიჩასტნი, რომელიც შეეხო პასტერნაკის საქმესაც და, სხვათა შორის, ამგვარი სიტყვები წარმოთქვა: „ლორი არასოდეს ნაბილწავს იქაურობას, სადაც ჭამს; არასოდეს ნაბილწავს იქაურობას, სადაც სძინავს. ამიტომაც, თუკი პასტერნაკს შევადარებთ ღორს, მე ვიტყვი, რომ ღორიც კი არ იზამს იმას, რაც პასტერნაკმა ჩაიძინა“ (ეს ტექსტი ხრუმჩოვის მიერ იყო ნაკარნახევი).

აქ დამონმებული სიტყვები მომხსენებლისა მქუხარე ტაშით დააჯილდოვეს.

სემიჩასტნი მოითხოვდა, რომ ამ „შინაურ ემიგრანტს“ სასწრაფოდ დაეტოვებინა საბჭოთა კავშირი.

31 ოქტომბერს ჩატარდა მოსკოველ მწერალთა საერთო კრება.



ნინო ტაბიძე, ბორის პასტერნაკი და ზინაიდა პასტერნაკი 24 ოქტომბერი, 1958 წელი

თოთხმეტი მწერალი ავიდა ტრიბუნაზე და კიდევ თოთხმეტი მზად იყო გამოსასვლელად, მაგრამ „კამათი“ დროზე შეწყვიტეს. პასტერნაკს, რომელიც არ ესწრებოდა კრებას, ამგვარად ამკობდნენ:

– ნადი, აიღე შენი ოცდაათი ვერცხლი, შენ აქ არა გვჭირდები!

– მე მიჭირს იმის წარმოდგენა, რომ პასტერნაკი ჩემს მეზობლად იცხოვრებს. არ უნდა დავუშვათ, რომ იგი მოხვდეს საბჭოთა კავშირის მოსახლეობის აღწერაში!

– მე მგონი, ყველაზე

მართებული ის იქნება, თუკი პასტერნაკი წაეთრევა ჩვენი ქვეყნიდან!


– პასტერნაკი იქ სჭირდებათ, ვიდრე აქ ცხოვრობს. როდესაც წამდვილი ემიგრანტი გახდება, აღარც იქ დასჭირდებათ.

პოეტს სამშობლოდან გაძევება ემუქრებოდა. უარმა ნობელის პრემიაზე და ინდოეთის პრემიერ-მინისტრის ჯავაჰარლალ ნერუს შუამდგომლობამ გადაარჩინა სასტიკი სასჯელს.

ნობელის პრემიის ამერიკელმა ლაურეატმა ერნესტ ჰემინგუეიმ, რომელიც უცხოელ მწერალთაგან, ალბათ, ყველაზე პოპულარული იყო საბჭოთა კავშირში, განაცხადა: „მე ვაჩუქებ სახლს და ყველაფერს გავაკეთებ, რათა გავუადვილო დასავლურ ცხოვრებასთან შეგუება.“

მინდა შევუქმნა იმგვარი ატმოსფერო, რომელიც აუცილებელია მისი შემოქმედებითი მუშაობის გასაგრძელებლად... ვიცი, რაოდენ ღრმადაა ფეხგვადგმული მის სულში რუსეთი. ისეთი გენიოსისათვის, როგორც არის პასტერნაკი, სამშობლოს დატოვება ტრაგიკული მოვლენაა. მაგრამ თუკი მას მაინც მოუწევს ჩამოსვლა ჩვენთან, გული არ უნდა გავუტეხოთ. ყველაფერს ვიღონებ, რაც ჩემს მოკრძალებულ ძალებს ხელეწიფება, რათა მსოფლიოს შევუწარმოო ეს შემოქმედებითი სული. დღენიადავ ვფიქრობ პასტერნაკზე“.

ჰემინგუეი და პასტერნაკი პირადად არც კი იცნობდნენ ერთმანეთს. მაგრამ, ილიასი არ იყოს, გულს გული იცნობს და ღონეს – ღონე.



ერნესტ ჰემინგუეი. 1959 წელი.

მასტროიანი და მარგალიტა



სერგო ფარაჯანოვი და მარჩელო მასტროიანი

ერთ მშვენიერ დღეს თბილისს სტუმრად ეწვია მარჩელო მასტროიანი. ისე როგორ უნდა მოვკვდე, რომ საქართველო არ ვიხილოო. დაათვალიერებინეს ჩვენი თვალწარმტაცი დედაქალაქი, საუცხოოდ გაუმასპინძლდნენ და დიდებული იტალიელმა კინომსახიობმა გულახდილად აღიარა, თქვენი პატივისცემა კუბოს ფიცრამდე არ დამავინყდებო. განსაკუთრებით მოსწონებია „თამადის“ ინსტიტუტი და საუკუნო დამეგობრების სწორუპოვარი რიტუალი, ჩვენში „ვანტანგური“ რომ ჰქვია და დასავლეთში კი „ბრუდერშაფტს“ უწოდებენ.

მასტროიანის უთქვამს, ბევრი რამ მსმენია ფარაჯანოვზე, მისი ფილმები ძალიან მომწონს და მინდა გავიცნოო. დაპირდნენ, შეგახვედრებთო. რუსთაველის თეატრში იტალიელ სტუმარს აჩვენეს „კავკასიური ცარცის წრე“ და ფარაჯანოვთან ვიზიტი შეაგვიანდა.

უკვე ღამის თორმეტი საათი იქნებოდა, კოტე მესხის ქუჩას რომ მიადგენ. ფარაჯანოვი გაშლილ სუფრასთან ელოდა მასტროიანის. კარგი დრო გაატარეს, გულიანად იმხიარულეს, სიმღერებიც იმღერეს და სურათებიც გადაიღეს. ორი საათი გავიდა და მასტროიანიმ მორჩილად ითხოვა, სასტუმროში გამიშვით, სასტიკად მეძინებაო.

მოგესხენებათ, ზაფხულის სიცხე ღამითაც არა ცხრება თბილისში. ფანჯრები ყველას ღია ჰქონდა. მარჩელოს გაცილებსას ფარაჯანოვი მოულოდნელად შეჩერდა ერთ ფანჯარასთან და დააკაკუნა. მიჩუმებულ ქუჩაზე ეს კაკუნი ქვეტა-ქუხილივით აგრილდა. კიდევ ერთხელ დააკაკუნა. მოუწოდებდნენ, გაჩერდით, მაგრამ ფარაჯანოვი რამეს რომ ჩაიფიქრებდა, იოლად ვერ გადაათქმევინებდა. ბოლოს და ბოლოს ოთახში შევიდა და შუახნის მანდილოსანმა ფანჯარაში გამოჰყო თავი – ქალარა თმა და ჟანგიანი ბიგუდი. მყისვე იცნო ფარაჯანოვი და უკმაყოფილოდ ჩაიბუზღუნა: რა ამბავია, ბატონო, საშველი აღარ არის, ეს ხულიგნები შუალამითაც აღარ გვასვენებენ, ძილს გვიფრთხობენ, თვითონ რა უშავთ, შუადღემდე სძინავთო.

ბუზღუნის ფარაჯანოვმა შეაწყვეტინა: – მარგალიტა, – გულთბილად მიმართა მეზობელს, – სულ გძინავს და გძინავს. ამდენი ძილი ვინ გაიგონა?! შენ ხომ სულ იმას ოცნებობდი, შენი თვალით გენახა ცოცხალი

მასტროიანი. სულ სიზმრებში ხედავდი და აჰა, ცხადშიც შეხედე. აგერ, თავისი ფეხით მოვიდა შენს სანახავად. გაიხარე, შენს წინა დგას შენი მარჩელო – ნამდვილი და ცოცხალი.

რას არ მოიგონებს ეს დამთხვეული სეროჟა, რის მასტროიანი, რომელი მასტროიანიო, – ისევე აბუზღუნდა მარგალიტა. რიგიანად ვერ გამოფხიზლებულიყო.

გაჯავრდა ფარაჯანოვის ულაზათო ოხუნჯობაზე და ფანჯრის დახურვას აპირებდა. აბა, როგორ დაიჯერებდა, რომ კოტე მესხის ქუჩაზე მობრძანდებოდა თვით მარჩელო მასტროიანი, რომელიც მორიგ გადაღებაზე ეგულებოდა ან რომში, ან ვენეციაში, ან ფლორენციაში.

მაგრამ კარგად რომ დააკვირდა სტუმარს, მაშინდა მიხვდა, ოცნება ამისრულდაო. ენა მუცელში ჩაუვარდა. გაოგნებულს უდასტურებდნენ, არ გეჩვენება, ნამდვილად ის არის, ნამდვილად მარჩელო არისო. მთელ დუნიაზე სახელგანთქმული მარჩელო მასტროიანი შუალამისას მოჩვენებასავით იდგა კოტე მესხის ქუჩაზე, გულლიად უღიმოდა მარგალიტას და რალაცას ეუბნებოდა იტალიურად.

მარგალიტა სიხარულით აკივლდა. მთელი ქუჩა გააღვიძა. მეზობელთა საერთო ძალით გაიშალა ახალი სუფრა. ღვინოც უხვად იყო და სიმღერებიც.

დაუფინყარი წუთები იდგა მარგალიტას ცხოვრებაში. „ვივა იტალია, ვივა მასტროიანი!“ – წამდაუნუნე გაიძახოდა თავისი ძვირფასი კერპის გაცნობით აღფრთოვანებულ თბილისელი მანდილოსანი.

მთელი ეს სცენა იმდენად ესადაგებოდა სერგო ფარაჯანოვის დაუდევარსა და ცხოვრებისეული სასწაულების მადიებელ ბუნებას, რომ კაცი იფიქრებდა, მასტროიანი საგანგებოდ ჩამოუყვანია თბილისში მარგალიტას გულის გასახარადო.

გამუდმებით ღამობდა ჩვენი ისედაც ღამაში ცხოვრების კიდევ უფრო გაღამაზებას.

... მასტროიანისა და მარგალიტას შეხვედრის ამბავს გადმოგვცემს კინოსტუდია „ქართული ფილმის“ ხმის რეჟისორი გარი კუნცევი – სერგო ფარაჯანოვის ხსოვნისადმი მიძღვნილ კრებულში, რომელიც რუდუნებით შეუდგენია კორა წერეთელს და გამოუციათ მოსკოვში.

ქრონიკა

15 დეკემბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალში საჯარო ლექციისათვის მიიწვიეს მწერალი და მეცნიერი როსტომ ჩხეიძე.

მან ისაუბრა ალექსანდრე ყაზბეგის დრამატულ ბიოგრაფიასა და „კავკასიურ ილიადად“ სახელდებულ მოთხრობებსა და რომანებზე. შეხვედრა გახსნა უნივერსიტეტის სასწავლო-სამეცნიერო დეპარტამენტის თავ-

მჯდომარემ ჯონი მარლანიამ. შესავალი სიტყვა წარმოთქვა და უძღვებოდა ასოცირებული პროფესორი ნინო ვახანია.

ლექციის შემდეგ მრავალმხრივ საინტერესო დისკუსიაში მონაწილეობდნენ ასოცირებული პროფესორი მარინე ბოკუჩავა, აგრეთვე ლექტორები ლირა გაბუნია და რობერტ მესხი, და სტუდენტები.